



SCIENTIA

მეოთხე საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენცია

გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებაებში

პროგრამა და PROGRAM &
მოხსენებები THE PAPERS



11-13
დეკემბერი
2024





კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

Scientia

მეოთხე საერთაშორისო THE FOURTH INTERNATIONAL
სამეცნიერო კონფერენცია SCHOLARLY CONFERENCE

გამოწვევები და ტენდენციები
ჰუმანიტარულ მეცნიერებებში
CHALLENGES AND TENDENCIES
IN THE HUMANITIES

პროგრამა და PROGRAM &
მოსხენებები THE PAPERS

11-13
დეკემბერი | DECEMBER
2024

თბილისი, საქართველო | GEORGIA, TBILISI

საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი
და რედაქტორი:

მანუჩარ გუნცაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

საორგანიზაციო კომიტეტი და სარედაქციო ჯგუფი:

გორ მარგარიანი | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია

ჰიროტაკე მადეა | ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი

ზურაბ თარგამაძე | ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ხათუნა ბაინდურაშვილი | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სოფიო ქადაგიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ნიკოლოზ ჯღენტი | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

შოთა მათითაშვილი | ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

ლევან კოჭლამაზაშვილი | არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გიორგი მირზაბეკიანი | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია

მიხეილ ქართველიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გურამ ჩხატარაშვილი | ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმი

ციცინო გულედანი | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

თამაზ გოგოლაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ISBN 978-9941-8-7316-4

DOI: 10.6084/m9.figshare.28082360

HEAD OF THE CONFERENCE ORGANIZING COMMITTEE
AND EDITOR:

Manuchar Guntsadze | Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts

ORGANIZING COMMITTEE:

Gor Margaryan | Armenian National Academy of Sciences

Hirotake Maeda | Tokyo Metropolitan University

Zurab Targamadze | Ivane Javakhishvili Institute of History And
Ethnology

Khatuna Baidurashvili | Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts

Sopio Kadagishvili | Ivane Javakhishvili Institute of History And
Ethnology

Nikoloz Zhgenti | Korneli Kekelidze Georgian National Centre of
Manuscripts

Shota Matitashvili | Central European University

Levan Kochlamazashvili | Arnold Chikobava Institute of Linguistics

Georgi Mirzabekyan | Armenian National Academy of Sciences

Mikheil Kartvelishvili | Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Guram Chkhartishvili | Batumi Archaeological Museum

Tsitsino Guledani | Korneli Kekelidze Georgian National Centre
of Manuscripts

Tamaz Gogoladze | Korneli Kekelidze Georgian National Centre
of Manuscripts

კონფერენცია ტარდება სამეცნიერო ჟურნალ Scientia-ს ეგიდით. კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსების კრებულში შესულია ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ მოხსენების სახით იქნა წარმოდგენილი. ამას გარდა, მოხსენებების ნაწილი წარმოდგენილი იყო სტატიები სსახითაც. შესაბამისად ის მოხსენებები, რომლებიც ჟურნალში დაიბეჭდება სტატიების სახით, მათი მოკლე შინაარსები წინამდებარე კრებულში არაა შესული.

ამასთანავე, ყველა იმ მოხსენებას, რომელიც წარმოდგენილია კონფერენციაზე, გავლილი აქვს მინიმუმ ორმაგი ფარული რეცენზირება.

The conference will be held on the basis of the scholarly journal – Scientia. The short contents of the papers include the articles that are read only at the conference, but part of presentations are full papers that will be published in the journal, therefore short contents of these papers are not published in the conference summary.

In addition, all papers presented at the conference have undergone at least double peer review.

პროგრამა

PROGRAM

კონფერენციის ადგილი:

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნულ ცენტრი, ელენე მეტრეველის სახელობის

საკონფერენციო დარბაზი

მისამართი: მ. ალექსიძის 1/3

CONFERENCE VENUE:

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Elene
Metreveli Conference Hall

ADDRESS: M. Aleksidze 1/3

დისტანციური მონაწილეობისათვის გამოიყენეთ პლატფორმა
Zoom

Use the Zoom platform to participate online

Meeting ID: 356 548 7851

Passcode: scientia

ან დაასკანერეთ QR კოდი

Or scan QR code



რეზლამენტი | TIME LIMIT

მოსხენება: 10 წუთი

დისკუსია: სესიის

ბოლოს

Report: 10 min.

Discussion: at the
end of the session

S სექცია 1, 15:00-16:00

 თავმჯდომარე | თამაზ გოგოლაძე

ხათუნა ბაინდურაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

თბილისში გადაწერილი სპარსული კოდექსების: P-260-ისა და P-611-ის კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი კვლევა

შორენა თავაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ეძრატზე შესრულებული გრაფიკული ხელნაწერების არაინვზაზიური კვლევები (ვიზუალური, მაკრო- და მიკრო შეფასება)

ქეთევან ქუთათელაძე

თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

„ქურმუხის“ სახელწოდებისთვის

თამაზ გოგოლაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; კავკასიის უნივერსიტეტი

1064-1073 წწ. ზაქარიას სააღმშენებლო წარწერა გოხნარის ნშიდა გიორგის ეკლესიიდან ლიკარით IV ერისთავთ ერისთავისა და მისი შვილების – რატ ერისთავთ ერისთავისა და იოვანეს მოხსენიებით (წარწერის ტექსტის დაზუსტება; ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი)

ელის ბაქრაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რელიგიური იდენტობის თავისებურებები სამცხე-ჯავახეთის სოფნურ თემში: კოსტასაჭოთა საქართველოს რელიგიური ტრანსფორმაციის კონტექსტში

შესვენება 16:00-16:30



სექცია 2, 16:30-18:00



თავმჯდომარე | ნიკოლოზ სარაჯიშვილი



ნოდარ ჩხაიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რევოლუციონერობიდან სცენაგდე: რეჟისორ სანდრო ახმეტელის ანარქისტული წარსული (1905-1907 წწ.)

ოთარ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში

ნატო სონღულაშვილი

თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

განათლება საქართველოში საბჭოთა პერიოდში (XX საუკუნის 80-იანი წლები)

სალომე კაპანაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

თეკლე განერელია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ულმართობის პროკაგანდა ქართულ საბჭოთა კრესაში (1932-1936წწ.)

ნიკოლოზ სარაჯიშვილი

უახლესი ისტორიის ცენტრი

**დასავლური მუსიკა და მუსიკოსები საბჭოთა პერიოდის
ოფიციალური პერიოდული გამოცემების ფურცლებზე**

ზაზა ქარჩავა

ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

**ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოები საქა-
რთველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში**

ხუთშაბათი, 12 დეკემბერი

სემინარი 3, 12:00-13:30



თავმჯდომარე | ზურაბ თარგამაძე



მაღხაზ მურუსიძე

გელათის სასულიერო აკადემია

**ალავერდის საპაისკოპოსოს ისტორიიდან (არქივისკო-
პოს ზაბაძის ბიოგრაფიული დეტალების დაზუსტების სა-
კითხისათვის)**

ქეთევანი მამასახლისი

თბილისის სასულიერო აკადემია

**სამონასტრო წეს-განგება და ძველი ქართული საეკლესიო
მწერლობა**

ლაშა დოხნაძე

თავისუფალი მკვლევარი

**დღესასწაულის და სამსხვერპლო რიტუალის
ურთიერთმიმართება ძველ საქართველოში**

ჰარუთიუნ ხუდანიანი

სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის
ინსტიტუტი, სომხეთის რესპუბლიკა

**ახალი არქეოლოგიური მონაცემები ზემო ტიგროსის აუ-
ზიდან**

ლუიზა ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით შავიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ვაკიაფიური მემორიალები როგორც ეთნოგრაფიულ-კა-
ლოგრაფიული კულტურის რეკონსტრუქცია (ფარაიდნელ
ქართველთა საფლავების მიხედვით)**

გიორგი ჩუბინიძე

დამოუკიდებელი მკვლევარი

**იოანე 1:1-2-ის ქართული თარგმანის ორი ვერსია (იოანე
კაბრიანისა და მთანშიძელების მიხედვით)**

შესვენება 13:30-14:00

საქეცია 4, 14:00 – 15:30



თავმჯდომარე | სოფიო ქადაგიშვილი



ლუიზა ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რამაზ ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**პურის კულინარიული ტრანსფორმაცია გასტრონომიულ
კულტურაში (საქართველოსა და მსოფლიოს მაგალითები)**

გვანცა ფოცხიშვილი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ნუცა პაპიაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ნანა კუპრაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

**კედლის მხატვრობის და დეკორატიული ელემენტების
ავთენტურ კონტექსტში შენარჩუნების გამოწვევები და
რეკონსტრუქციები**

მარინე ცინცაბაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „მემკვიდრეობა“

**კულტურული მემკვიდრეობის დარგები როგორც ტექნო-
ლოგიური მიღწევების ნიშანი**

დავით კუხლაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**ისტორიული/არქივული დოკუმენტების დაცვის როლი სა-
ხელმწიფოს პოლიტიკურ უსაფრთხოებაში**

თეა ქამუშაძე

თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი; ჭიპა

**მომავლის ანთროპოლოგია და ანთროპოლოგიის მომავალი
საქართველოში**

ნარი ჩხაბერიძე

დამოუკიდებელი მკვლევარი

**ღვთისმსახურების ქართულ სახელდაბაში აღბეჭდილი
მნიშვნელოვანი ასპექტები**

შესვენება 15:30-16:00



სემინარი 5, 16:00-17:30

თავმჯდომარე | ასმათ გვაზავა

ირინა გომონაია

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი



**ჟიმიურ-თაქნოლოგიური ცნობების შემცველი ქართული
ხელნაწერების შესახებ საქართველოს სიძველეთსაცა-
ვებში**

ვიქტორია ჯუღელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნინო მეგენიშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

**საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ლათინ-
ურ ნუსხათა კორპუსი**

ლელა გოცირიძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

**დოკუმენტებზე დასმული ლუჩების საკონსერვაციო-სარე-
სტავრაციო საკითხების კვლევა**

თინათინ მშვიდობაძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**გამოთვლითი კლათფორმა ჰერკულანეუმის კაპირუსის
ნერილების გაშიფვრისათვის**

ნატო ქობულაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ხელოვნური ინტელექტის საჭიროებები საუნივერსიტეტო
განათლებაში**

დავით გონდაური

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

**ხელოვნური ინტელექტი და უთანასწორობა: ჰინის კოეფი-
ციენტისა და პარალელანის მოდელის როლი ეკონომიკური**

თანდენციების შეფასებაში

ასმათ გვაზავა

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

რევაზ კლდიაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

**ბიოლოგიური საფრთხეები კულტურული მემკვიდრეობი-
სათვის (ბაქტერიებით გამონვეული ზიანი, გამონვევაბი
და კრევენციის გზები)**

პარასკევი, 13 დეკემბერი

სექცია 6, 11:00-12:20

თავმჯდომარე | ლევან კოჭლამაზაშვილი

თორნიკე სოილარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



**ARMAE/I-ZI ხატური ზმნის მნიშვნელობის დაზუსტებისათ-
ვის**

ლევან კოჭლამაზაშვილი

თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

სომათური ლექსიკა ხატურში: თ ვ ა ლ

ნინო ხახიაშვილი

თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

გამონათქვამისათვის: „იდუმალი „გულის კაცი“

მაია ბარამიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზოგიერთი ლექსიკური არქაიზმი სამხრულ დიალექტებში

ია ხაჭაპურიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ჟან რასინის „ფადრას“ ვერსიფიკაციული ანალიზის ზო-
გიერთი საკითხისათვის**

გიორგი ბარნაბიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
**სათაური - „მითოსური ორეულების“ კიდევ ერთი ახალი
ნიშუში (ოდისევსისა და კოლიფემოსის მითოსური სიუჟე-
ტის ასახვა კავკასიური თქმულებებში)**

შესვენება 12:20-13:30

სექცია 7, 12:30-13:20

თავმჯდომარე | მიხეილ ქართველიშვილი

გიორგი გოგუა
ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
**ალექსანდრე ამილახვარის კოლიტიკურ-ფილოსოფიური
შეხედულებები**

მაია ცერცვაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**1832 წლის შეთქმულების სათავეებთან - დიმიტრი ბაძო-
ნიშვილი თეზისები**

თინათინი ძოძუაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქორნიების როლი ქალის თვითდაგვირგობის პროცესში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში

გიორგი არქანია

კავკასიის უნივერსიტეტი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის
უნივერსიტეტი; უახლესი ისტორიის ცენტრი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება: გამოხ- მაურება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ

მიხეილ ქართველიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გენუის კონფრანცია და საქართველოს საკითხი ფრანგუ- ლენოვან კერიოდულ გამოცემებში (გაზეთების „LE FIGARO“ და L'HUMANITÉ -ის მიხედვით)

თამთა თხელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული განვითარება და კულაკებთან ბრძოლის პოლიტიკა

სექცია 8, 13:30-15:00

თავმჯდომარე | ლევან ბებურიშვილი

ლევან ბებურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი
„ოთარაანთ შვივი“ და ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი იდე-
ალი

თამარ გოგოლაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
1918 წლის თბილისი ტ. ტაბიძის ერთ კოეაში

ნიკოლოზ შამუგია
საქართველოს უნივერსიტეტი
**ვარსკვლავთა საუბარი როცა ანტიკური სახელები დუმაან
(ერთი მაგალითი)**

ლია წერეთელი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
ანტონ I-ის „სამი სტილი“ და ღვთისმეტყველება

თამარი ანთია
დამოუკიდებელი მკვლევარი
**დიღეის დაქლავის გზები პიერ კორნელის ტრაგედია
„ჰორაციუსის“ მიხედვით**

ქეთევან სირაძე
კავკასიის უნივერსიტეტი
ქართული ენის ფენოენი

ქეთევან სამადაშვილი
ივანე ჭავჭავიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ისტორია და ტრადიცია ანა კალანდაძის პოეზიაში

შესვენება 15:00-15:30

სექცია 9, 15:30-17:30

თავმჯდომარე | თამაზ გოგოლაძე

დარეჯან კლდიაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

**ქართველი სინაზა: O/SIN. GEORG. 38 ხელნაწერის ცნობა
1068 წლის 18 მარტს წმ. მოსეს ეკლესიის მინისძვრით და-
გრაჟის შესახებ**

ნოდარ ბახტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ნაოსპი მოწყობილი ბეშების ძიება ადრექრისტიანულ ქა-
რთულ ტაძრებში**

ირაკლი ფაღავა

კავკასიის უნივერსიტეტი; გიორგი წერეთლის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქალის ბრძოლა (1785 წლის 17 აპრილი)

ელენე ჭირაქაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

**ესპანელ ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და ფემი-
ნისტური მოძრაობა XX საუკუნის 50-70 - იან წლებში**

თამაზ გოგოლაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი; კავკასიის უნივერსიტეტი

ჯიმშერ ჩხვიმიანი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ახალი ეპიგრაფიკული მასალები მაშავერას ხეობიდან

დავით მერკვილაძე

დამოუკიდებელი მკვლევარი

**რევაზ გულაშვილის მოგონებები და ბერგმანის ბატალი-
ონი**

მაია შაორშიაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

**თედო ჟორდანიას “უბის წიგნაკები“ და მასში დაცული ზო-
გირთი გამოუქვეყნებელი მასალის ისტორიულ-წყა-
როთმცოდნეობითი ანალიზი**

მონსენეიბი

THE PAPERS

**1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს
რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ
ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც 1922 წელს
საბჭოთა ოკუპაციის პირობებში შეიქმნა**

ახლადარჩეული ეროვნული ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ავტონომიური ერთეულების გაუქმებას არ აპირებდა და ეს გაცხადებული ჰქონდა 1990 წლის 28 ოქტობრის არჩევნებამდე, მაგრამ რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა ვითარება რადიკალურად შეცვალა.

ცხინვალის რეგიონში ვითარება გამწვავდა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, 1988 წლიდან. მიხეილ გორბაჩოვის მიერ დაწყებულმა „გარდაქმნამ“ და „საჯაროობამ“ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების გააქტიურება და იატაკქვეშეთიდან გამოსვლა გამოიწვია. მანამდე თუ ეს მოძრაობები ვიწრო, შეზღუდული დისიდენტური მოქმედებებით შემოიფარგლებოდნენ, უკვე მათ საჯარო და ხალხმრავალი დემონსტრაციების მეთოდს მიმართეს, რაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ღია მოწოდებებში გადაიზარდა. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიური იყო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და საქართველოში. 1989 წლის აპრილიდან ე.წ. „არაფორმალური“ ორგანიზაციების უმთავრეს მიზანს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლა წარმოადგენდა.

რესპუბლიკებში ამ პროცესის პარალელურად ავტონომიურ ერთეულებში გააქტიურდა სეპარატისტული მოძრაობები. 1988 წლის ბოლოს ცხინვალში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „ადამონ ნიხასი“, რომელმაც საწყის ეტაპზე ავტონომიურ ოლქში ოსური ენის დაცვისთვის ბრძოლა გამოაცხადა მიზნად. შემდეგ ამას მოჰყვა ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის მცდელობა, ბოლოს კი სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებითა და საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის დეკლარირებით დაასრულა. 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიიღო დეკლარაცია „სამხრეთის

ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“, რომლითაც სამხრეთ ოსეთი საბჭოთა კავშირის სუბიექტად გამოცხადდა, რაც საქართველოს სამართლებრივი სივრციდან გასვლას ნიშნავდა. ოლქში დეკემბრის თვისთვის დაინიშნა ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ ეს დეკლარაცია უკანონოდ სცნო და გააუქმა.

დაახლოებით ორ თვეში ხელისუფლების სათავეში „მრგვალი მაგიდა“ მოექცა. უმრავლესობის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ 1990 წლის 22 ნოემბერს გააუქმა ავტონომიური ოლქის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მას მოუწოდა თავი შეეკავებინა არჩევნების თვითნებურად ჩატარებისგან. ამ მოწოდების მიუხედავად, 9 დეკემბერს არჩევნები მაინც ჩატარდა. სწორედ ამას მოჰყვა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს მიღებული დადგენილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. მალევე რეგიონში სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. წესრიგის დამყარების მიზნით, 1991 წლის იანვრის დასაწყისში რეგიონში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები შევიდნენ. ქართულ მილიციასა და სეპარატისტებს შორის შეიარაღებული შეტაკებები დაიწყო, რამაც მრავალრიცხოვანი მსხვერპლი და დევნილთა ნაკადი გამოიწვია.

მოხსენებაში განხილულია გამოხმაურებები, რომელიც მოჰყვა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებასთან დაკავშირებით. ის შეეხება უზენაესი საბჭოს შიგნით მიმდინარე დისკუსიას, საკითხისადმი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების ოფიციალურ დამოკიდებულებას, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და უცხოეთის (საბჭოთა კავშირი, ევროპა, აშშ) გამოხმაურებებს.

ცხინვალის რეგიონის საკითხი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი გამოწვევაა. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამ რეგიონზე კონტროლი სრულად დაკარგა, იგი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელმაც მისი დამოუკიდებლობა აღიარა და ყველა შესაძლო მეთოდებით ცდილობს კონფლიქტის ხანგრძლივ „გაყინვას“, რეგიონის საერთაშორისო აღიარებას, სეპარატისტული ხელისუფლების

მხარდაჭერას, სადემარკაციო ხაზის უკანონოდ გავლებას და ქართველებსა და ოსებს შორის კონსტრუქციული ურთიერთობებისთვის ხელის შეშლას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მოხსენება, ნაშრომი და პროექტი, რომელიც ცხინვალის რეგიონის კონფლიქტს, მის ისტორიას, გენეზისს, გამომწვევ მიზეზებს, მიმდინარეობას და ა.შ. შეეხება, აქტუალურია და მნიშვნელობას არ კარგავს.

ირინა გოგონაია

**ქიმიურ-ტექნოლოგიური ცნობების შემცველი
ქართული ხელნაწერების შესახებ საქართველოს
სიძველეთსაცავებში**

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „საბუნებისმეტყველო (ქიმიურ-ტექნოლოგიური და მინერალოგიურ-გემოლოგიური) ცოდნა ქართულ და აღმოსავლურ ხელნაწერებში საქართველოს სიძველეთსაცავებში“ (საგრანტო ხელშეკრულება FR-21-620, 2022-2025წწ.). კვლევის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული შინაარსის ხელნაწერების სისტემატიზაცია, მათში მოცემული ქიმიურ-ტექნოლოგიური ცოდნისა და წარმოდგენების ანალიზი, ქართული მეცნიერული აზრის განვითარების ეტაპების, გამოყენებული წყაროების, ასევე, კულტურული გავლენების გათვალისწინებით.

საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებსა და სიძველეთსაცავებში დაცული ქიმიური ცნობებისა და სამეცნიერო თხზულებათა შემცველი ხელნაწერები უაღრესად მრავალფეროვანია შინაარსის, შედგენილობის თუ წარმომავლობის მიხედვით. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქიმიური/ქიმიურ-ტექნოლოგიური შინაარსის ხელნაწერების ტიპოლოგიზაცია, ქრონოლოგიური ჩარჩოს დადგენა, ცალკეული გამორჩეული ხელნაწერების დარგის - ქიმიის ისტორიის თვალსაზრისით შესწავლა; შედგენილ იქნა მეცნიერული აღწერილობები აღნიშნული შინაარსის ხელნაწერებისათვის, რომლებიც საქართველოს შემდეგ სიძველეთსაცავებშია დაცული: კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ

ნული ცენტრი (ხეც), საქართველოს ეროვნული არქივი (სეა), საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი (სქლმ), თელავის ისტორიული მუზეუმი (თიმ), სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გიემ). პროექტის ფარგლებში შექმნილია მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რომელშიც მოცემულია ხელნაწერების არქეოგრაფიული აღწერილობა (არტეფაქტის რაობა, შიფრი, თარიღი, დარგი, ფურცლების რაოდენობა, ზომები, მასალა, მელანი, ყდა, დამწერლობის ტიპი, გადამწერი/გადანერის ადგილი; დამკვეთი/მფლობელი/შემომწირველი, ხელნაწერის ისტორია, ანდერძი, ცხრილები, სქემები სხვ.), ასევე, შინაარსობრივ-სტრუქტურული დახასიათება, წარმოდგენილია ხელნაწერების / ფრაგმენტების დიგიტალური ასლები.

ჩვენი კვლევის მიზნებისთვის საკვანძო ხელნაწერს წარმოადგენს ვახტანგ VI-ის ავტორობით შექმნილი უნიკალური შრომა (S-3721, ხეც) “წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის”, რომელიც ცალკე დგას მასში დამუშავებული თემების მრავალფეროვნებისა და საგნობრივი (ქიმიის/ქიმიურ-ტექნოლოგიური) ცოდნის სიღრმიდან გამომდინარე; მისი რთული და მრავალშრიანი ტექსტი მოიცავს დიდი რაოდენობის რეცეპტებს, გააზრებულ კომენტარებს და შეფასებებს, მასალის სტრუქტურირების მცდელობას; ვახტანგ VI-ის „ქიმიის სახელმძღვანელოში“ მოცემული მრავალფეროვანი მასალიდან კვლევის მიზნებისთვის გამოიყო მხოლოდ რამდენიმე თემა: 1. კოსმეტიკის, ჰიგიენისა და მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალებები; 2. საყოფაცხოვრებო და პრაქტიკული ქიმიის (კონკრეტულად - სხვადასხვა მასალის ღებვის/შეღებვის ხერხები); 3. ლიქიორები, სპირტიანი ნაყენები, სპირტის გამოხდა; 4. მინა და ფერადი მინების ხარშვა; 5. ზოგიერთი თეორიული კონცეფცია ქიმიური/ალქიმიური წარმოდგენების საფუძველზე (ჯაბირის მეტალების წარმოშობის სულფურ-მერკურული თეორია; არ - რაზის მინერალთა კლასიფიკაცია და სხვ.).

თემების გამოყოფამ ხელი შეგვიწყო საკვლევი ხელნაწერების კატეგორიზაცია შინაარსის მიხედვით მოგვეხდინა. აღსანიშნავია, რომ თემის - კოსმეტიკის, ჰიგიენისა და მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალებები - გამოყოფამ განაპირობა ის, რომ ქიმიური ცნობების შემცველი ხელნაწე-

რების წრეში მოექცა სამკურნალო წიგნები და კარაბადინები (ფუნდამენტური შრომების სახით - Q-877, ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი - კარაბადინი, XV ს. Q-270, იადიგარ დაუდი, XVII ს.).

ქიმიური/ქიმიურ-ტექნოლოგიური ცნობების შემცველ ხელნაწერთა რიგში ძველი ქართული საექიმო წიგნებისა და კარაბადინების ჩართვამ გააფართოვა კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო, რომელიც მოიცავს XV-XIX სს.

ვახტანგ მეფის „ქიმიის სახელმძღვანელოს“ გარდა, ქიმიური ცნობების შემცველი თხზულებები ძირითადად წარმოდგენილია შერეული და თემატური კრებულების სახით (H 3264, ხეც - საოჯახო კარაბადინი - კრებული, აბრეშუმის ქსოვილის შეღებვის წესები; H- 293, ხეც - წიგნი შესამზადებელი სანოვაგეთა მზვარეულთაგან; №1446/816, სეა - კარაბადინი, ვარდის ზეთის გაკეთების რეცეპტი; №1446/725, სეა - ღვინის ქვაზე; №1446/822, სეა - სპირტის საფუძველზე რთული ნაყენის დამზადების რეცეპტი „პრილოტოვლენიე ღრუდნოი ვოტკი“; №25227, სქლმ - სხვადასხვა წეს-რჩევა-დარიგებათა კრებული, „რქის დაღობა“, „შავად ძვლის შეღებვა ანუ რქისა“, და სხვ.).

შესწავლილი მასალა ასახავს შესაბამისი ცოდნის განვითარების ხანგრძლივ გზას, კულტურათა გზაჯვარედინზე მყოფი ქვეყნის მიერ არსებული ტექნოქიმიური პრაქტიკულის ცოდნის შევსებას აღმოსავლური, მუსლიმური, XVIII საუკუნიდან კი ევროპული/რუსული წყაროების თარგმნით, დამუშავებით და ინტერპრეტაციით. აღნიშნული გავლენები აისახება სამეცნიერო ლექსიკაში არაბულ-სპარსული, რუსული და ლათინური ნასესხობების სახით.

ქიმიური ცნობების შემცველი ხელნაწერების ცალკე ჯგუფს ქმნიან ლექსიკონები; ამ ჯგუფის გამოუქვეყნებელი ხელნაწერებიდან შესწავლილია გორის საისტორიო-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერი №დ 50/141, გსიემ; ლექსიკური ერთეულები განთავსებულია ანბანურ რიგზე; ქიმიური შინაარსის ტერმინები სულ რამდენიმეა, მათ შორის აღსანიშნავია ტერმინი: „ამიანატოს“, რომელსაც ახლავს ძირითადი განმარტება „ესე ბუნებრივი ქვა“ და დამატებითი „ესე მოქსოვილი ტილო ცეცხლში რომ ჩააგდოს არ დაიწვის, ცეცხლი არ მიეკარება და უფრო გაასუფთავებს“, რაც მიუთითებს ასბესტზე, ბოჭკოვან მინერალზე, ცეცხლგამძლე მასალაზე, რომლის გამოყენება სამშენებლო ინდუსტრიაში, ქიმიურ ფილტრებში,

სპეციალური ტანსაცმლის დასამზადებლად განპირობებული იყო სწორედ ცეცხლგამძლე თვისებებით.

კვლევის შედეგად ცალკე ჯგუფად გამოიყო მე-19 საუკუნის შრომები - სამეცნიერო-პრაქტიკული სახელმძღვანელოები, რომლებიც ფაქტობრივად თანამედროვე სამეცნიერო შრომების ანალოგებს წარმოადგენენ; ამ ჯგუფის ხელნაწერებიდან გამორჩეულად შესწავლილ იქნა თელავის ისტორიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერი (№2470, თიმ) „მებაღეობა, მებოსტნეობა, პურის მეურნეობა, მათთვის ნიადაგების ცნობა და ქიმიით გამოძიება“, რომელიც წარმოადგენს პირველი ქართული პროფესიონალი მეღვინისა და ამპეოლოგის, თავად ლევან ჯორჯაძის გამოუქვეყნებელ ნაშრომს, თარიღდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრით (1876წ.) და შეიცავს აგროქიმიის საკითხებს (ცნობებს მცენარეთა დაცვის ქიმიური მეთოდების შესახებ, ნიადაგის შეფასების ფაქტიურად თანამედროვე გრავიმეტრიულ მეთოდს, რომელიც ემყარება ნიადაგის ტენიანობის განსაზღვრას ნიადაგის სინჯის ანონვის შედეგად ღუმელში გამოშრობამდე და გამოშრობის შემდეგ, და სხვ.).

საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცული ქიმიური შინაარსის ქართული ხელნაწერების შესწავლა ხელს უწყობს მეცნიერების საბუნებისმეტყველო დარგების (ქიმია, აგროქიმია, გამოყენებითი ქიმია და სხვ.) განვითარების სურათის შევსებას კულტურულ - ისტორიულ წრელში, პროექტის ფარგლებში მომზადებული მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომს გახდის ფართო სამეცნიერო წრისთვის ნაკლებად ცნობილ მასალას შემდგომი მულტიმედიალური კვლევისთვის.

მეთევაჲ სამადაჲჲვილი

ისტორია და ტრადიცია ანა კალანდაძის პოეზიაში

ანა კალანდაძის შემოქმედების ძირითად ნაწილს ბუნების პეიზაჟების ამსახველი და რელიგიური ხასიათის ლექსები წარმოადგენს. მისი ელეგიები, ზღაპრულ-მითოსურ საწყისებზე შექმნილი და მიძღვნილი ხასიათის ლირიკის ნიმუშები გაჯერებულია ორიგინალური ავტორისეული ხედვით, ხმით, ფერით, ინტონაციით, ხელწერითა და სტილით.

ჩვენი მიზანია პოეტის შემოქმედების ერთი მნიშვნელო-

ვანი ასპექტის, ისტორიული ლირიკის განხილვა. საკითხის ამომწურავად შესაფასებლად შევარჩიეთ ნიშანდობლივი ლირიკული ნიმუშები, გავეცანით ანგარიშგასაწევ ავტორთა მოსაზრებებს როგორც კონკრეტულად პოეტის შემოქმედების, ისე მისი მოღვაწეობის ეპოქისა და ლიტერატურული მიმდინარეობების შესახებ.

კვლევამ ცხადყო, რომ განსახილველი მასალა პირობითად განშრევედება რამდენიმე ნაწილად - ისტორიულ ლირიკაში ერთმანეთს ორგანულად ერწყმის ეროვნულ-პატრიოტულ, ქრისტიანულ და წარმართულ თემებზე შექმნილი ლექსები.

პოეტის ინტერესის სფერო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გამოიკვეთა: მან ტაეპებში ღრმა გამომსახველობითი ძალით ჩაატია სამშობლო მიწისა და ზეცის სურათები; ათეიზმის ზეობის პირობებში ა. კალანდაძე წერდა ბიბლიურ პერსონაჟებზე, იესოზე, რომელიც ქვეყნიერებას მხსნელის სახით მოეველინა.

ა. კალანდაძის ფანტაზია, ნაყოფიერი შემოქმედებითი გზის მანძილზე, არაერთხელ გადასწვდომია წარმართული ღვთაებების იდუმალებას. სხვა ერთა კულტურებთან დასაახლოებლად პოეტი მოიხმობს ნიშანდობლივ ტრადიციულ ელემენტებს, რელიგიურ სიმბოლოებს. ლექსში „არაბები“ ცოცხლდება „მხურვალე შამსუ“ - იეზიდოზმის სხივოსანი ანგელოზი, კაცთა ლოცვისა და წყევლის შუამავალი უფალთან.

ლირიკული ნიმუში „მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს“ ჩვეულებრივი ადამიანის, უშიშარი წარმართის ყოფაა აღწერილი. გადარჩენისთვის ბრძოლის მიუხედავად, იგი მაინც არ კარგავს სამყაროს საიდუმლოს წვდომის უნარს. ტკბება „ირმის ტყავით შეკრული ხამლით,“ ხიბლავს მზისკენ მიმავალი „რძისფერი კვამლი“ და სჯერა, რომ მზის ღვთაება შივინი აუცილებლად შეისმენს ლოცვას. ძვ. წ. აღ. IX-VI საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო ურარტუ ერთ დროს მესოპოტამიიდან სამხრეთ კავკასიამდე იყო გადაჭიმული, ბოლოს კი მიდიასთან და ბაბილონთან ომებმა დასცა. ბუნებრივია, რომ ლექსის ლირიკული გმირი გამოქვაბულის მკვიდრია - დღეს ურარტუელთა ყოფნის დამადასტურებლად მხოლოდ კლდეში ნაკვეთ ნაგებობათა კომპლექსები, ციხესიმაგრეთა და ტაძართა ნაშთებიღაა შემორჩენილი.

ბრინჯაოს საუკუნის მბრძანებელი ხეთების იმპერიის მოსაგონარია ერთი უსათაურო ლექსი. მძლავრი ახალხეთური სახე-

ლმწიფო სათაყვანო სტიქიის კვამლივით გაუჩინარდა, პანანინა მწერი, ციცინათელა კი, „მარად სავსე უქრობი ცეცხლით“ იზიდას ტაძრის კეთილმსახურ ქურუმს ედარება - იგი დღემდე ადიდებს გადაშენებული ხალხების მთავარ ღვთაებას.

ლექსში „და მზეც რვალისა“ ავტორი შეგნებულად რამდენჯერმე შეუძახებს წარმოსახვით წინაპარს: „შენ თუბალი ხარ!“ ვფიქრობთ, შავთვალა, უშრეტი ძალის მქონე შორეული მამა-პაპის შემკობით, იგი თანამედროვეთაც აფხიზლებს: სამაგალითოა, რომ უხსოვარ დროში „უცხო მხარის სახილველად“ არც წყლის უნაპირობას, არც ხმელეთის შორეულ ჰორიზონტს დაუბრკოლებია მესხები და თუბალები, სანამ „გრძნეულ მიწაზე ცადამწვდენი ცეცხლი“ არ დააგზნეს, „რკინის უფლები“ არ გახდნენ.

დავითგარეჯის მონასტრისადმი მიძღვნილ 1961 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში პოეტი შენიშნავს, რომ გუნდრუკი და აიაზმა - კაცთა ღვთისმოსაობა და გულის სითბო - მოჰკლებია „უდაბნოს გოდოლს.“ ავტორი ავლებს პარალელს ადამიანთა ჩაკლულ რწმენასა და მხურვალე ვარსკვლავის სხივმოკლებას შორის, „ფრთხილად და ნაზად“ რომ მოეფინება მონასტრის კედლებს.

სრულიად მცირე პროზაული ცნობა: „ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყვაოდა მას ჟამსა“ - გახდა ანა კალანდაძისთვის შთაგონების წყარო, რათა ლექსი „მოდოდა ნინო მთებით“ დაეწერა. პოეტი ფრაგმენტულად ხატავს ნინო კაბადოკიელის საქართველოში შემობრძანების დიდებულ სურათს, ბევრისმთქმელი ქვეტექსტით კი ამ მოვლენის განუზომელ მადლზე მიგვანიშნებს.

პათეტიკური პათოსითაა დაწერილი „სვით სიხარული ამ თასებიდან“ - ლექსი-დატირება კრწანისის ბრძოლის მონაწილე სამასი არაგველისა: „სად მიდის მთვარე მხარსისხლიანი სამასი ფართი?“ - კითხულობს პოეტი. საბედისწერო მარცხი ასწლეულების მერე უფრო მტკივნეულად აღიქმება. რიტორიკული შეკითხვა: „სად მიდის ეს გზა კრწანისის შემდეგ, სად მიდის მტკვარი?“ - ბევრ საჭირობოროტო პრობლემაზე ჩაგვაფიქრებს და უნებლიე კრძალვით დაგვახრევიანებს თავს კრწანისის ბრძოლაში გმირულად დაღუპულთა წინაშე.

სამაგიეროდ, ლექსში „ასპინძას მიდის მეფე ერეკლე“ ანა კალანდაძე სიამაყით, ხაზგასმული აღფრთოვანებით საუბრობს ქართული ჯარის ძღვევამოსილებაზე. მეფეს სარწმუნ-

ნოებრივ მტერზე, „თათარზე“ მიჰყავს ქართლის ლაშქარი.“
ლექსის რიტმი ბედაურთა ფეხის ხმას ერწყმის: „გადაიარეს
ბებერ ხერთვისთან, საათაბაგოს მტვერი აშალეს...“

II მსოფლიო ომის ისტორიულ მოვლენებს აღწერს ლექსები:
„ვერ წაიღეს, ვერა!“ „ქართველი მეომრის სიმღერა,“ „ოსვენ-
ციმში“ და სხვ: „გაზკამერებთან ვიღაც ფუსფუსებს, ცრემლი
იხრჩობა ძაღლთა ყუფაში...“ „დაიჭრა და მიწას სისხლი დაე-
წვეთა... ბუბუნებდა კავკასიის მიწა...“ „და... გულდამწვარი ვტო-
ვებ ოსვენციმს, სავსეს ძვლებით და ოქროს კბილებით და მგო-
ნია, რომ ჩემს სიცოცხლეში მე არასოდეს დამეძინება!“

1989 წლის 9 აპრილი ქართველი ხალხის ეროვნული თვით-
შეგნების გამოღვიძების ყველაზე შთამბეჭდავი, მაგრამ, ამა-
ვდროულად, ტრაგიკული ფურცელია: საუკუნეების მანძილზე
„მოდმედ“ შერაცხილმა რუსულმა იმპერიამ დაუნდობლად
დასაჯა ქართველი მომიტინგეები, ქვეყნის დამოუკიდებლო-
ბას რომ მოითხოვდნენ. იმ ტრაგიკულ დღეებში ერი და ბერი
გაერთიანდა - ხელოვნების მოღვაწენი უყოყმანოდ დაუდ-
გნენ მხარში „მეამბოხე“ ახალგაზრდობას. ა. კალანდაძემ პო-
ეტური სიტყვა შეაწია მამულიშვილთა ხსოვნას ლექსით „რომ
ფრთებს უფრორე ძლიერად ვშლიდეთ!“: „კვდება სრულიად სა-
ქართველოსთვის, - მამულზე ფიქრით ვინც ახლა კვდება!“ თუ-
მცა, საყოველთაო ტერორის პირობებში, ალბათ, ადვილი არ
იყო საბჭოთა კავშირის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ
გალაშქრება.

ლექსი „სიტყვის გამტეხზე“ აფხაზეთის ომში საზავო ხელშე-
კრულების რამდენჯერმე დარღვევას ეხმიანება. აფხაზეთისა
და თბილისის ბრძოლების გამო ხანდაზმული პოეტი რუსეთის
დაუსრულებელი იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშ-
ქრებს. იგი აკადემიკოს ანდრია სახაროვს ეპასუხება, რომე-
ლმაც 1996 წელს საქართველოს „პატარა იმპერია“ უწოდა:
„ოლონდ... ეს ვკითხოთ ბატონ სახაროვს, იმპერიები... თუ ყმობ-
დნენ ვინმეს?“

ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ ქრისტიანული თემატიკა
ანა კალანდაძის შემოქმედების გარკვეულ ეტაპზე (60-70-იანი
წლების შემდეგ) ძირითადი წარმმართველი ძალა გახდა. სასუ-
ლიერო ლირიკის მეშვეობით მან ქართულ პოეზიაში განსაკუთ-
რებული პოეტური ინტონაცია შემოიტანა, დახვეწა ფრაზები,
რითმა. ლექსებში: „ფიცარი წმინდა ჯვარისა,“ „ვსეხსვიატსკო-
ეში,“ „უხმობს ზენაარს,“ „გაბრწყინებული იყო ტაძარი“ და სხვ.

- ცხოვრებაზე ღრმად ჩაფიქრებული ლირიკული გმირი ჩანს. პოეტი არ უფრთხის ფილოსოფიურ წიაღსვლებს.

ბევრი მკვლევარი ა. კალანდაძის ენობრივ არქაულობას ისტორიზმის გამოვლენის ერთ-ერთ საგულისხმო ფორმად მიიჩნევს. პოეტი ცდილობს, მიზნობრივად გვიწინამძღვროს წარსულში.

მართლმორწმუნე ადამიანის სული და სასოება იგრძნობა ქართული სიწმინდეებისა და ტაძრებისადმი მიძღვნილ ლირიკულ ნიმუშებში: „იანვრის ყვავილები,“ „უფლისციხეში,“ „ოშკის ბძღე ტაძარი“ და სხვ.

შეიძლება, დავასკვნათ, რომ ანა კალანდაძის ლექსების ლირიკული გმირი უშუალო და ბუნებრივია ისტორიულ წიაღსვლებში, რადგან დროისა და სივრცის მიღმა ამოგზაურებს მკითხველს, ღვთაებრივი სიმშვიდითა და ბოროტების დათრგუნვის სურვილით მუდამ ჭირთა თმენისა და სათნოებისაკენ მოუწოდებს, მაგრამ თავად მასაც აწუხებს მარადიული კითხვა: „ნუთუ გავივლი ბენვის ხიდზე, მეუფევე ჩემო, უცოდველობით ძალმოსილი შენს სახლში შევალ“? რადგან „ბევრი წყარო და ბევრი ხევია ბეთანიამდე.“

რომ შევაჯამოთ, ა. კალანდაძის ლირიკაში ისტორია და ტრადიცია ერთმანეთს ერწყმის, ლექსები აღსაწერი მოვლენის შესაბამისი ფერებითაა გაჯერებული: ხან მოზაიკასავით ჭრელია - ალაგ ეროვნული, ალაგ არაქართული ორნამენტით, ხან - მრუმე და ნაცრისფერი, - საბოლოოდ კი კაცობრიობის ისტორიის ერთ მთლიანობას, იერს ქმნის, რის თავზეც განუწყვეტლივ მიმოდინა ღრუბლები, „ზღაპრული ურარტუსა“ და უთვალავი მწვერვალის მხილველნი.

თორნიკე კოილარაშვილი

ARMAE/I-ZI ხეთური ზმნის მნიშვნელობის დაზუსტებისათვის

ჩემი მოხსენება ხეთური ზმნის armae/i-zi მნიშვნელობის დაზუსტებას ეხება, რომლის შესახებაც ზოგადი საუბარი მექონდა როგორც დოქტორანტის სემინარში, ასევე უფრო ფართოდ, KUB 44.4 ხეთური ფირფიტის ტექსტზე დაყრდნობით,

scientia-ს კონფერენციაზე, სადაც, ჩემთვის საინტერესო ზმნის ხეთოლოგთა შორის არსებული გააზრება, *armai/e-zi* „ჩასახვა, დაფხმძიმება“, ეჭვქვეშ მქონდა დაყენებული.

ხოლო ამ ეტაპზე მოცემულ პრობლემას 4 ფირფიტის ტექსტის საფუძველზე ვიაზრებ, რომლებიც მაინცის ხეთოლოგიური საიტის კატალოგში შემდეგი ინდექსებითა და ნომრებით იძებნება:

KBo 8.130 , KBo 12.112 , KBo 21.20 , KUB 44.4 – KBo 13.241 .

ფირფიტები დაზიანებულია, რაც ართულებს მათ წაკითხვას, ინფორმაციის სწორად გააზრებას. ტექსტების ინფორმაციის ნაწილი შედარებებისა და სხვადასხვა მონაცემების შეჯერების საფუძველზე ხეთოლოგების მიერაა აღდგენილი. შედეგად, ყველა მკვლევარს საკუთარი მოსაზრება გააჩნია ხარვეზების მისეულ აღდგენასთან დაკავშირებით, რაც კონკრეტულ შემთხვევებში, საკამათო შეიძლება იყოს. აქედან გამომდინარე, სადავო ხდება ამ აღდგენებზე დამყარებული ცალკეული კონტექსტის თარგმანიც და მისი ინტერპრეტაციაც.

რაც შეეხება ზემოთქმული ფირფიტების აღმოჩენის ადგილს: ერთი შეძენილია (KBo 8.130), სამი ხათუსაშია აღმოჩენილი, მათგან ორი – ერთ ოთახში.

ფირფიტებზე ხეთურ ტექსტებთან ერთად, მაგიური ხასიათის სარიტუალო ქმედებების და შელოცვების უშუალოდ ბაბილონური და ლუვიური ტექსტებიც გვაქვს, ხოლო ხურიტულ ჩანართზე მხოლოდ მითითება მოგვეპოვება. ფირფიტების წინა და უკანა მხარეზე თითო განსხვავებული ტექსტია წარმოდგენილი, ერთი მათგანი კი *armae/i-zi* (ავადმყოფობისათვის) შელოცვის ჩანართს შეიცავს (KBo 8.130).

რაც შეეხება ფირფიტის ტექსტების ავტორის/წარმომავლობის საკითხს, KUB 44.4 ტექსტი პითის მონათხრობის მიხედვითაა ჩანერილი. ხოლო დანარჩენი ფირფიტების დაზიანების გამო, მათი წარმომავლობის (ქალაქი, რეგიონი) ან ავტორის ამოკითხვა ვერ ხერხდება. ანალოგიური პრობლემა გვხვდება KBo 21.20 ფირფიტაში, თუმცა, ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ის რიტუალში მონაწილე MUNUSsuwama-ს მიხედვით, ხოლო KBo 8.130 ფირფიტის ტექსტი კი, LUA.ZU ქურუმის მიხედვით უნდა ყოფილიყო ჩანერილი.

აქვე აღსანიშნავია KBo 22.102 Vs. ფირფიტა, რომელიც ბიბლიოთეკის კატალოგის შესახებ გვაძლევს ინფორმაციას. მოცემული ტექსტი, შესაძლოა, ასევე *armae/i-zi* ზმნას შეიცავდეს,

თუმცა, დაზიანების გამო, ინფორმაციის დაზუსტება შეუძლებელია (§7 8. ma-a-an SAL-za ar-[ma-ah-hi...]/ar-[ma-iz-zi ...] როდესაც ქალი ა.).

რაც შეეხება მოხსენებაში წარმოდგენილ საკითხან დაკავშირებულ ჩემულ პოზიციას: ხეთური ზმნის მახასიათებლებიდან გამომდინარე, უღლების კატეგორიის გათვალისწინებით, დაჯგუფებული მაქვს ტექსტების მონაცემები, რომლებიც მიუღლების armae/i- ძირის ზმნებს შეიცავს და თვალსაჩინოებისათვის შედარებული მაქვს hi- კატეგორიის armahhi- ზმნის ძირის მონაცემებს.

1) mi- უღლებით armae/i-zi (lc2) 'ავად გახდომა'?

1. KBo 8.130 Rs. III §6

7. ki-i SI-PAT ma-a-an SAL-za ar-ma-[iz-zi? ...]

ეს შელოცვა (წარმოითქმება), როდესაც ქალი ავად [გახდება? ...]

8. a-us-zi na-an LUA.ZU ki-is-sa-[an hu-ik-zi]

დაინახავს/შეხედავს და მას LUA.ZU ამგვარად შეულოცავს

2. KBo 12.112Vs. §5

13. [UM-MA Pi-te-i ma-a-an DUMU-an]??? ar-ma-a-iz-zi na-an kis-an hu-u-uk-zi

[ამგვარად ამბობს პითი?, როდესაც ბავშვი]??? ავად გახდება?, მას ამგვარად შეულოცავს:

3. KBo 21.20 Vs. §9

27. [...]DUMU an ar ma ez z[i ...] GAL in na [as ma? ...]

[...] ბავშვი ავად გახდება[ა? ...] დიდს ა[ნ ...]

28. [ki-is-sa/kis] an [...hu]-uk zi an [...]

[ამგვარად [...შე]ულოცავს[...]]

4. KUB XLIV 4 + KBo XIII 241 Rev.

1. [UM-MA] Pit-te-i ma-a-an DUMU-an ar-ma-iz-zi

ამგვარად (წარმოითქვამს) პითი, როდესაც ბავშვი ავად გახდება?:

18. 2-SU hukzi

2-ჯერ შეულოცავს.

2) hi- უღლებით armahh-i 'დაფეხმძიმება, განაყოფიერება'.

1.KBo 17.65 Vs. §1

1. – 2. [UM-MA ma]-a-an-za SAL-za ar-ma-ah-hi E-ri-ya-as-za-kan [...] har-n]u-u-as-za U-UL e-sa-ri.

ამგვარად (ამბობს): როდესაც ქალი დაფეხმძიმდება, სახ-

ლში სამშობიარო სავარძელზე ის (ჯერ) არ დაჯდება.

§17 Rs.

1. [UM-MA ma-a-an-za SAL-za ar]-ma-ah-hi har-nu-u-i-ma-as-za U-UL e-sa-ri. - ამგვარად (ამბობს): როდესაც ქალი დაფეხმძიდება, მაგრამ სამშობიარო სავარძელზე (ჯერ) არ დაჯდება.

KBo 17.10 , I §3

14. nu-za nam-ma GU4HI.A UDUHI.A DUMU.LU.U19.LUMES U-UL და ამის შემდეგ საქონელი, ცხვარი, ადამიანები ვერ

15. ar-ma-ah-ha-an-zi ar-ma-u-wa-an-te-sa ku-i-es nu-za a-pi-ia U-UL ha-as-sa-an-zi

ორსულდებიან, ხოლო ორსულად ვინც (არიან), მაშინ ისინი ვერ შობენ.

მოსხენებაში ასევე განხილული მაქვს *armae/i-zi* ზმნის მიმართება *arman-/ erman- / irman-*, (ავადმყოფობა) არსებით სახელთან. აღნიშნული საკითხი ხეთოლოგთა შორის დღემდე ბუნდოვანია, ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს და ღიადაა დატოვებული.

ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე გამოთქმული მაქვს მოსაზრება, რომ ზმნა *armae/i-zi* , შესაძლებელია, დაკავშირებული იყოს არსებით სახელ *arman-/ erman- / irman-* („ავადმყოფობა“)-თან და ცალკეული კონტექსტები შესაბამისი კუთხით მაქვს წარმოდგენილი.

ასმათ გვაზავა

რევაზ კლდიაშვილი

ბიოლოგიური საფრთხეები კულტურული მემკვიდრეობისათვის (ბაქტერიებით გამოწვეული ზიანი, გამოწვევები და პრევენციის გზები)

წერილობითი მემკვიდრეობის დაცვა წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას საბიბლიოთეკო, საარქივო და სამუზეუმო სფეროებში, განსაკუთრებით ბიოლოგიური საფრთხეების გამო, რომლებიც ხშირად გამომდინარეობს მიკროორგანიზმების — სოკოებისა და ბაქტერიების — არსებობიდან. მიკროორგანიზმები არა მხოლოდ ფიზიკურ დაზიანებას იწვევენ,

არამედ მათი მოქმედებით როგორც წესი იკარგება ისტორიული დოკუმენტების და ხელოვნების ნიმუშების ვიზუალური და ინფორმაციული ღირებულება. ბაქტერიებისა და სოკოების მიერ გამოწვეული დაზიანებები ხშირად შეუქცევადია და მათი შეჩერება ან კონტროლი დიდ სირთულეს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გვაქვს ხელნაწერთან, საარქივო მასალასთან და სხვა უნიკალური დოკუმენტებთან.

ბიოლოგიური საფრთხეები როგორც წესი მუდმივად არსებობდა და დღესაც არსებობს, განსაკუთრებით ისეთ გარემოში, სადაც ინახება კულტურული მემკვიდრეობა და არტეფაქტები. ასეთი გამოწვევების წინაშე არაერთხელ აღმოჩენილა ცნობილი ბიბლიოთეკები, რომლის თვალსაჩინო მაგალითია ფლორენციის დიდი წყალდიდობა (1966 წლის), როდესაც წყალმა გადაფარა ისტორიული ცენტრი და დააზიანა მრავალი ბიბლიოთეკა, მათ შორის ყველაზე მძიმე ვითარება შეიქმნა ფლორენციის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (Biblioteca Nazionale Centrale di Firenze), სადაც ათასობით უნიკალური ხელნაწერი და ბეჭდური გამოცემა წყლით გაიჟღინთა, რამაც ხელი შეუწყო სოკოსა და ბაქტერიების განვითარებას, რადგან ტენიანობის მაღალი დონე ქმნის ხელსაყრელ გარემოს ბაქტერიებისა და სოკოების ზრდისთვის. ამ მოვლენამ მიკროორგანიზმების კოლონიზაცია დააჩქარა, რამაც გამოიწვია მასალის სწრაფი ლპობა და მელნის გაჟღინთვა, რის გამოც მრავალი დოკუმენტი არა თუ გამოუსადეგარი გახდა, არამედ განადგურდა კიდევ. მიუხედავად სწრაფი რეაგირებისა და კონსერვაციული ღონისძიებებისა, აღდგენა ხანგრძლივი და ძვირადღირებული აღმოჩნდა. ამ შემთხვევამ გააღრმავა კვლევები ბიოლოგიური საფრთხეების შესახებ და წარმოაჩინა, რამდენად მნიშვნელოვანია პრევენციული ზომების დროული მიღება.

ამასთან, მრავალი კულტურული მემკვიდრეობის დაწესებულება დღემდე აწყდება მსგავს პრობლემებს. მაგალითად, არქივებში ხშირად ინახება დოკუმენტები, რომლებიც ბაქტერიებით ან სოკოებით დაბინძურებულია იმის გამო, რომ წარსულში არ არსებობდა სათანადო კლიმატური კონტროლი. მიკროორგანიზმები გადადიან ქალაქის ფურცლებზე მტვრით, ჰაერით ან წყლით, რის შედეგადაც ზიანდება არა მხოლოდ ქალაქის ბოჭკოები, არამედ ფერმენტები ანადგურებენ მასალის ზედაპირზე დატანილ მელანსაც, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს, რადგან ბაქტერიების ზემოქმედება არა მხოლოდ ფი-

ზიკურ დაზიანებას იწვევს, არამედ მათი მოქმედებით როგორც წესი იკარგება ისტორიული დოკუმენტების და ხელოვნების ნიმუშების ვიზუალური და ინფორმაციული ღირებულება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ბაქტერიების აქტიურობა დამოკიდებულია გარემო პირობებზე, განსაკუთრებით ტენიანობისა და ტემპერატურის მაჩვენებლებზე. ტენიანობის მაღალი დონე (60%-ზე მეტი) ხელს უწყობს ბაქტერიების ზრდას და აქტიურ ფაზაში გადასვლას. როდესაც ტენიანობა იმატებს, ქალაქისა და ეტრატის ბოჭკოები უფრო მგრძნობიარე ხდება მიკროორგანიზმების შეჭრისადმი. ამასთან, 20-30°C ტემპერატურა, რომელიც ხშირად გვხვდება სამუზეუმო და საარქივო შენობებში, ხელსაყრელია ბაქტერიებისა და სოკოების სპორების აქტიურ ფაზაში გადასვლისათვის და მათი ზრდის პროცესის გააქტიურებისათვის.

გარემო-პირობების გარდა აღსანიშნავია თავად მასალა. ქალაქისა და ეტრატის მასალები წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რადგან მათზეა დაცული უძველესი ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები და ხელოვნების ნიმუშები. ქალაქი ძირითადად ცელულოზის ბოჭკოებისგან შედგება, რაც მას განსაკუთრებულად მგრძნობიარეს ხდის მიკროორგანიზმების, კერძოდ ბაქტერიებისა და სოკოების მიმართ. ცელულოზა წარმოადგენს ორგანულ ნივთიერებას, რომელიც ადვილად იშლება მიკრობების მიერ გამოყოფილი ფერმენტების ზემოქმედებით. ეს ფერმენტები ანადგურებს ბოჭკოებს, რაც დროთა განმავლობაში იწვევს ქალაქის დამცავი სტრუქტურის დასუსტებას და საბოლოოდ მის დეგრადაციას. ხოლო ეტრატი, რომელიც მზადდება ცხოველური ტყავისგან, ასევე შეიცავს ცილებსა და სხვა ორგანულ ნაერთებს, რაც ხელსაყრელ გარემოს ქმნის მიკროორგანიზმებისთვის. როდესაც ტენიანობა მაღალია ან ცუდად ვენტილირებული გარემოა, ეტრატი ხშირად კოლონიზირდება სოკოებითა და ბაქტერიებით, რომლებიც აქვეითებენ მასალის მექანიკურ სიმტკიცეს და იწვევენ მისი ზედაპირის დაზიანებას. ამის შედეგად, ისტორიული დოკუმენტების ვიზუალური მხარე და მათზე არსებული ინფორმაცია შეიძლება მნიშვნელოვნად დაზიანდეს.

ბაქტერიების გავრცელების ფორმები მრავალფეროვანია და ხშირად დაკავშირებულია ჰაერში მყოფ მტვრის ნაწილაკებთან და წყლის წვეთებთან. ბაქტერიები როგორც წესი წარმო-

ადგენენ „მიძინებულ“ მიკროორგანიზმებს სპორების სახით, რომლებიც ხელსაყრელ პირობებში აქტიურდებიან. სპორები მარტივად ვრცელდებიან ჰაერის მეშვეობით და ხშირად თავსდებიან როგორც ორგანულ, ასევე არაორგანულ მასალაზე მტვრის ნაწილაკებით. განსაკუთრებით მავნეა ეს პროცესი ტენიან გარემოში, სადაც მიკროორგანიზმებისთვის იდეალური პირობებია შექმნილი და მათი გამრავლება შეუქცევადად აჩქარებს მასალის დეგრადაციას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაქტერიებს ახასიათებთ ფერმენტული პროცესები, რომლებიც მათ მიერ გამოყოფილი ფერმენტების მეშვეობით ანადგურებენ ქალაქის ცელულოზასა და ეტრატის კოლაგენს. ეს პროცესი იწვევს მასალის ლპობას და აფერხებს დოკუმენტების აღდგენის შესაძლებლობას. ბაქტერიების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობებია *Actinomyces* და *Bacillus*, რომლის ზემოქმედებით ქალაქის ზედაპირზე ხშირად ჩნდება მიკრობული ლაქები, ისინი როგორც წესი ყვითლად ან ყავისფრად არის შეფერილი. ეს ლაქები მიუთითებენ აქტიურ მიკრობულ კოლონიზაციაზე, ხოლო დაზიანებები ხშირად ხდება შეუქცევადი, რადგან პიგმენტები ღრმად აღწევს ცელულოზის ბოჭკოში და რესტავრაციის პროცესი კიდევ უფრო რთული ხდება.

სოკოების და ბაქტერიების კოლონიზაცია განსაკუთრებით საშიშია მაშინ, როცა მიკრობები წარმოადგენენ აგრესიულ სახეობებს. მაგალითად, *Aspergillus*-ის და *Penicillium*-ის გვარის სოკოები აქტიურად აინფიცირებენ ქალაქის მასალას და იწვევენ ფერმენტულ დეგრადაციას, რაც საბოლოოდ ასუსტებს დოკუმენტის სტრუქტურას და ხდის მათ მტვრევად. *Actinomyces*-ის გვარის ბაქტერიები კი უშუალოდ მოქმედებენ ცილოვან ბოჭკოებზე, რასაც დიდი ზიანი მოაქვს ეტრატის მასალებისთვის.

აღნიშნული საფრთხეების არსებობა გვარწმუნებს, რომ შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გარეშე, ქალაქისა და ეტრატის მასალები სწრაფად კარგავენ ფიზიკურ და ვიზუალურ ღირებულებებს, სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია ბიოლოგიური დაზიანებების თავიდან აცილებისთვის სტაბილური გარემოს შენარჩუნება, რაც მოიცავს ტენიანობის და ტემპერატურის კონტროლს. რეკომენდებულია ტენიანობის დონე 40-50%-ზე შენარჩუნდეს, ხოლო ტემპერატურა დახურულ საცავში არ უნდა აღემატებოდეს 18-20°C-ს. მნიშვნელოვანია

აგრეთვე რეგულარული ვენტილაცია და მტვრის მოცილება რაც ამცირებს მიკრობების გავრცელების რისკს.

კიდევ ერთი პრევენციული ღონისძიებაა ინვენტარის რეგულარული შემოწმება და მასალების კარანტინში მოთავსება, თუ არსებობს მიკრობული დაზიანების ნიშნები. სამეცნიერო ლაბორატორიებში ხშირად გამოიყენება ულტრაიისფერი გამოსხივების ან ანტიბიოტიკების მცირე დოზები მიკროორგანიზმების კოლონიზაციის შესამცირებლად. მნიშვნელოვანია ასევე კონსერვაციის პროცესში ბაქტერიციდული საშუალებების გამოყენება, რომლებიც მიზნად ისახავენ მიკრობული აქტივობის შემცირებას, აგრეთვე აუცილებელია ჰაერის ფილტრაცია, მუდმივი მონიტორინგი და სწრაფი რეაგირება რათა მინიმუმამდე შემცირდეს ბაქტერიების გავრცელების საფრთხე.

როგორც ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს ბაქტერიებით გამოწვეული ბიოლოგიური საფრთხეები რეალური და მუდმივი პრობლემაა წერილობითი მემკვიდრეობის დაცვის პროცესში, რასაც ფლორენციის ბიბლიოთეკის შემთხვევაც ადასტურებს. შემთხვევა რომელიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში აღიარებულია როგორც მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რომელმაც აჩვენა პრევენციისა და სარესტავრაციო მეთოდების განვითარების აუცილებლობა. წყალდიდობის შედეგებმა სტიმული მისცა კონსერვაციის თანამედროვე მეთოდების განვითარებას, მათ შორის მიკრობული საფრთხეების პრევენციას, რადგან მიკროორგანიზმების სწრაფი გავრცელება და შეუქცევადი ზემოქმედება ართულებს კონსერვაციის და რესტავრაციის პროცესს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიებების დროული მიღება, სამეცნიერო კვლევების გაფართოება, თანამედროვე მეთოდების დანერგვა და კლიმატური კონტროლი.

დოკუმენტებზე დასმული ლუქების საკონსერვაციო-სარესტავრაციო საკითხების კვლევა

წარმოდენილ მოხსენებაში საუბარი იქნება ისტორიულ დოკუმენტებსა და სააქივო მასალაზე დასმული ლუქების წარმოშობის ისტორიაზე, მათი მნიშვნელობისა და სარესტავრაციო-საკონსერვაციო საკითხების კვლევაზე.

როგორი იყო შელაქის ლუქების წარმოშობისა და განვითარების ისტორია. რა დანიშნულება და მნიშვნელობა ენიჭებოდა თავდაპირველად და რა შეიცვალა დროთა განმავლობაში. რატომ გახდა ექსპონატის ეს დეტალი მნიშვნელოვანი და რატომ დაეთმო ყურადღება მისი რესტავრაცია-კონსერვაციის საკითხებს.

დოკუმენტებზე დასმული შელაქის ლუქები, ექსპონატის ეს თანდართული დეტალი, სრულიად განსხვავებულ საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს მოითხოვს. ლუქი ეკუთვნის ხელნაწერს, და ამავდროულად წარმოადგენს ცალკე აღებულ ექსპონატსაც.

წებისმიერ ექსპონატს ახასიათებს დაბერება -დაძველების პროცესი, ასეა ლუქების შემთხვევაშიც. ამიტომაც, მნიშვნელოვანია ლუქების საკონსერვაციო-სარესტავრაციო მიდგომების შესწავლა, რომელიც გულისხმობს, ლუქებისა და საბეჭდავების შექმნის პერიოდში არსებული მეთოდოლოგიის კვლევას, მისი შემადგენლობის და რაც ყველაზე მთავარი კონსერვაცია-რესტავრაციისას, აუცილებელი მიდგომების შემუშავებას. იგულისხმება ლუქების ზედაპირების დამუშავება და მის გასუფთავება/ანტისეპტირების საკითხები, მათი შემადგენლობისა და დამუშავების თავისებურებები, ბეჭდებისა და ლუქების რელიეფის შესწავლა, დაზიანებული და ნაწილებად დაშლილი ლუქების ფრაგმენტების გამაგრება/კონსოლოდაცია და ნაკლები ადგილების შევსება. გამოსაყენებელი მასალისა და წებოს შერჩევა.

**თედო ჟორდანიას “უბის წიგნაკები” და მასში
დაცული ზოგიერთი გამოუქვეყნებელი მასალის
ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი**

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი თედო ჟორდანია მრავალმხრივ საინტერესო მკვლევარი იყო. მისი ნაშრომების ძირითადი ნაწილი გამოცემული და გამოკვლეულია, თუმცა არსებობს გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელი ნაწილიც.

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია თ. ჟორდანიას პირადი არქივი, სადაც, სხვა მასალებთან ერთად, ინახება მისი “უბის წიგნაკები”. აქ თავმოყრილია ეპიგრაფიკული ძეგლების აღწერილობა, წარწერებისა და საფლავის ქვების ეპიტაფიების ჟორდანიასეული წაკითხვა, ტოპონიმიკის დადგენა და სხვ. “უბის წიგნაკებში” შეტანილია ქრონიკალური ცნობები და შექმნილია ისტორიული პერსონალების შესახებ გარკვეული მონაცემები. აგრეთვე გვხვდება გამოუქვეყნებელი წერილები, სამახსოვრო ჩანაწერები, სიძველეთა აღწერილობები, საისტორიო დოკუმენტების ფრაგმენტები, ხელნაწერთა მინაწერები და კოლოფონები, რომლებიც სიღრმისეულ დაკვირვებას, სხვა წყაროებთან შედარებას და შესწავლას საჭიროებენ.

რამდენიმე მკვლევარი უკვე დაინტერესდა აღნიშნული მასალებით. ჩვენც გავცანით თ. ჟორდანიას “უბის წიგნაკების” აღწერილობას და აქედან, რამდენიმე მათგანი შესასწავლად ავარჩიეთ: N-394 - ისტორიული ხასიათის ჩანაწერები, გენეალოგიები და სხვ. (ავტოგრაფი, ქართულ და რუსულ ენებზე). N-452 - სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები ეკლესიათა და ხელნაწერთა აღწერილობა (მცირე ნაწილი რუსულ ენაზე). N-459 - ძირითად ხელნაწერთა აღწერილობა, ავტოგრაფი (უყდო, დაფურცლული); N-462 - ჭრუჭის მონასტრის აღწერილობა - 1r-9v; ჭრუჭის მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობა - 11r-79v; მღვიმევის მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობა - 81r-93v; კაცხის მონასტრის აღწერილობა - 94v; და სხვ. N-466 - სხვადასხვა ეკლესიათა და ხელნაწერთა აღწერილობა (მცხეთის ეკლესია-მონასტრების - 1r-5v; ანანურის ეკლესიის - 7r-11v; მღეთის ეკლესიის - 13r-v; ლომისის ეკლესიის - 15r-17v; ყანჩავეთის ეკ-

ლესიის ხელნაწერების - 37r-47v; ხოფის ძველი მონასტრის აღწერილობა - 55r-v (ნაწილი რუსულ ენაზე) და სხვ.

ისტორიული თვალსაზრისით, თ. ჟორდანიას ჩანაწერებში ბევრი საინტერესო და გასათვალისწინებელი კვლევა, მეცნიერის ხედვა და ვერსია გამოიკვეთა. მაგალითისთვის მოვიყვანთ N-459 “ნიგნაკში” შეტანილ ერთერთ წარწერას.

“ლურჯი მონასტრის” სამხრეთ კედელში დატანებულ კარის ტიმპანზე მოთავსებულია ცხრასტრიქონიანი, უთარილო, ასომთავრული წარწერა, რომელიც რამდენჯერმეა გამოცემული. ამ წარწერაში მოიხსენიებიან ბასილი ქართლის მთავარეპისკოპოს-ყოფილი და მისი ძმა ერისთავთერისთავი და “ამირთა ამირა” აბულასან იობის ძე, რომლის მფლობელობაში შედიოდა რუსთავიც და “მთეულეთიც”. წარწერაში მოხსენიებულია აბულასანის პირმშო ვაჟი - დავითიც. აბულასანის და ბასილის ძმა ყოფილა აგრეთვე ელია. ტაძარი მთავარეპისკოპოსს საგვარეულო საძვალედ აუგია:

“ვინათგან ჩემებრ ბრალეულთაგან სარწმუნოებით კეთილ-კეთილნი კეთილად ქმნულნი ამისთვის მეცა, შ[ვ]ილი ჭემ-მარტიისა ემბაზისაჲ, გარნა სახელით ოდენ ქრისტიანე, ხოლო საქმით ურჩი და ყოვლად უშიში ღმრთისა ბრძანებათაჲ, უღირსი ბასილი ქართლისა მთავარეპისკოპოს-ყოფილი, ძე კეთილ-ნ[ათესავისი] იობისი, უნდოთა ამათ მცირეთა ნივთთა მიერ გულსმოდგინებით მსასოებელი შენი, ცვებრსა ამას გიმკობ საყდართ-სართულსა სამსხემოსა ამას კედარსა შინა, ყოვლისა სოფლისა მომნადირებელთა სარწმუნოებასა ზედა მართალსა ათორმეტ თავად აღრაცხულსა დასსა მოციქულთასა თანამოსაყდრეო და სწორო ანდრია, ხოლო ვაშენე ნაცვალსაგებელად ჩემთვის და საყუარელისა ძმისა ჩემისა ერისთავთ-ერისთავისა ქართლისა, ამირთა ამირისა რუფსთვისა და შჯდთა მთეულთთა პატრონისა აბულასანისათვს და უპირმშოესისა ძმისა ჩემისა შვილისა დავითისთვს (“ვიდრემდის დაუდგრომელსა“- ვ. ბერიძის გამოც.) ამას და წარმდინარესა სოფელსა შინა... ამენ” (კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ; 1997, გვ. 89-90, ვახტანგ ბერიძე, თბილისის “ლურჯი მონასტერი”, ქართული ხელოვნება, 2, თბ; 1948, გვ. 97).

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, თ. ჟორდანიას პირად არქივში დაცულ “უბის ნიგნაკში”, მოცემულია ამ წარწერის გამოუქვეყნებელი და მცირეოდენ განსხვავებული ჟორდანიასეული ნაკითხვა. ზემოთ

მოყვანილი, ბოლო დროინდელი გამოქვეყნებული წარწერი-საგან განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: თ. ჟორდანიას მიხედვით: "...ბასილი ქართლისა მთავარეპისკოპოზ ყოფილი, ძე კეთილ ნაშობისა იობისი"... "საყდარ-სართულსა სამსხემსა (!) ამას ეკდარსა შ(ინ)ა... ანდრია ხმევით, ხოლო ვაშენებ ნაცვლად საგებლად ჩემთვს და საყვარლისა ძმისა ჩემისა ევსტათე, ქართლისა ამირათა ამირისა რუისთავისა..."

როგორც ჩანს, ჟორდანია ეყრდნობა მ. ბროსეს "რაპორტებს" და ბოლოში აქვს ცალკეული აღდგენილი გრაფემები, რაც სხვა გამოცემებში არ გვხვდება: "ხოლო მდემს[] ი...ი []თმეთ ბდძე[] ი...თ... მეთ ბდძ... თ... []ირათა შვდნ... ვიყვნეთ მშვიდობით დაცვ... მათ შინა" (გვ. 162-163).

თ. ჟორდანიას ბევრი ასეთი წარწერა თუ ხელნაწერი აქვს გადმოწერილი და შესწავლილი, რომლის ხარვეზების შევსება ან, პირიქით, მისი აზრის გათვალისწინება, სამეცნიერო კვლევების სრულყოფილად წარმოებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს:

ცნობილია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული დიდი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი, 1919 წლის აგვისტოში ჯრუჭის მონასტერში ჩავიდა (დაარსდა X ს., ზემო იმერეთი, საჩხერის რაიონი) და საქრისტიანოს ეს უმნიშვნელოვანესი სასულიერო კერა საფუძვლიანად შეისწავლა. აღწერა მონასტრის კუთვნილი ხელნაწერები, ხატები და საეკლესიო ნივთები. დაცვის მიზნით თბილისში, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში გადაიტანა უნიკალური წიგნები და სიგელ-გუჯრები. მას შემდეგ ჯრუჭის მონასტერში ბევრი რამ განადგურდა, დაიკარგა, ან გაიძარცვა. სამწუხაროდ, უკანასკნელად, 1991 წლის ძლიერმა მიწისძვრამ ტაძარი დაანგრია და აქ არსებული ლაპიდარული წარწერები და საფლავის ქვებიც დააზიანა.

ჯრუჭის მონასტრის ისტორიის შესახებ მრავალფეროვანი გამოკვლევები არსებობს, თუმცა ბოლო დროინდელი ნაშრომებიდან გამოირჩევა 2010 წელს გამოცემული წიგნი - ექვთიმე თაყაიშვილი, "ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეები" (გამოსაცემად მოამზადა ზაზა სხირტლაძემ, ნათია გელდიაშვილის მონაწილეობით) და გივი ჩიღვინაძის ისტორიული ნარკვევები - "ჩვენი ჯრუჭის მონასტერი", თბ. 2021.

თ. ჟორდანია N-462 "უბის წიგნაკში" ცალკე აღწერს ჯრუჭის

მონასტრის სიძველეებს, სინმინდეებს, ხელნაწერებს, საფლავის ქვების ეპიტაფიებს და სხვ. მას გადმოწერილი აქვს ეპიტაფიები წერეთლების საგვარეულო სასაფლაოდან. კერძოდ, სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის პირველი ვეზირისა და სახლთუხუცესის, შემდგომში, რუსეთის იმპერიის გენერალ-მაიორის, ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთლისა (1747-1823 წწ.) და მისი ოჯახის წევრთა საფლავის ქვების ეპიტაფიები, ასევე მათი კუთვნილი ან მონასტრისთვის შეწირული საეკლესიო ნივთები, სიძველეები, ხელნაწერები და მათი მინაწერები.

მაგ; ასეთი შინაარსისაა ზურაბ წერეთლის მეუღლის, თამარის ერთერთი შეწირულობის სიგელი ჯრუჭის მონასტრისათვის: “ჩყკა წელსა (1821), ივლისის კ-სა (20), შევსწირე წმ. ესე სახარება დახატული წ(მიდ)ის გ(იორგ)ის მონასტრისათვის, რ(ომე)ლ არს ჯრუჭი, სამარხი ჩ(უე)ნი, მე, დადიანის გ(იორგ)ის ასულმან, ღენერალ-მაიორის და ორდენტა კავალერისა და ძვირფასის აღმასებით განწყობილს ხლმის (sic) მქონის, ზურაბ წერეთლის მეუღლემან, სახელოვანის მეფის სოლომონის და იოსებ კ(ათალიკო)ზის და არჩილ ბატონიშვილის დამა თამარმა და დედამა საქართველოს მეფის გიორგის სძალს... (ამოფხეკილია) და სამეგრელოს დედოფალს მართას, დ(ავი)თ მიტროპოლიტის დედამან და სახელოვანთ ძეთა და ასულთა დედამა და ამასთანავე, შემოგწირე ერთი ვერცხლის კანდელი, რ(ომე)ლსაც დაგინთებ, ოთხი სანთელი და ერთი სასეფისკვრე ვერცხლის ნალბაქი, ერთი ფილონი, კარგი, თეთრის დიბის, ფრანციცული... (სტიხარი, ოლარი, ფარჩის სამხრები და სარტყელი...) შეიწირე დიდო მოწამეო გიორგი“.

“უბის წიგნაკებში“ იკითხება ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტის, შემდგომში - სამეგრელოს, ყყონდიდისა და იმერეთის მიტროპოლიტ დავით წერეთლის (1780-1853 წწ.) კუთვნილი ხელნაწერების მინაწერებიც. ცნობილია ისიც, რომ მიტროპოლიტი დავითი ჯრუჭის მონასტრის დიდი განმაახლებელი და ამალორძინებელი გახდა. იგი იყო ვაჟი ზურაბ წერეთლისა და მისი ბიძა იყო წმ. დოსითეოს ქუთათელი (წერეთელი). დავითი შესანიშნავი განათლების მქონე მაღალი სასულიერო იერარქი და ამასთანავე, გამორჩეული ბიბლიოფილიც ყოფილა.

“ჩყკგ წელსა (1823), თებერვლის კგ-სა (23), დღესა პარასკევსა აღიონზე, მიიცვალა დედა ჩემი თამარ, დადიანის ასული... დავვალ ხელითა ჩემითა ჯრუჭს, მონასტერსა შინა მარჯვენით მხარეს მამისა ჩემისა, მეუღლის თვისისა ზურაბ წერეთელთან

და ძესა მისსა ნიკოლოზისა თანა და წამივიდენ ესენი განსასვენებელსა კეთილსა და სანეტაროსა, მაგრამ მე დავრჩიობლათ და მოვაკლდი მშობლიურსა სიყვარულსა მათსა, თვთ ძუძუთი დედისა ჩემისათა ვარ გაზრდილი, მათი მოცილებული, საწყალი, დავით მიტროპოლიტი“.

სხვა ადგილზე თ. ჟორდანია აღწერს ჯრუჭის მონასტერში განთავსებული ზურაბ წერეთლისა და თამარ დადიანის საფლავის ქვის ეპიტაფიებს. ზურაბ წერეთლის მეუღლის საფლავის ქვაზე მხედრულად აწერია: “წელიწადსა ჩყკგ (1823), თებერვლის კგ (23), ქუეშე ლოდისა ამის, დაფლულ არს კნეინა ღენერალ-მაიორისა ზურაბ წერეთლის, შვილთ მოყვარე და განმაბედნიერებელი დედა თამარ დადიანის...” (სხვას აფარია ხის კანკელი - აღნიშნავს თ. ჟორდანია).

გვერდზე მეორე ქვა იმგვარივე (როგორც მცხეთას ერეკლესი): “წელიწადსა ჩყკგ (1823), იანვრის კც (28) დღესა, ქვეშე ლოდისა ამის, განისვენებს მამულისა ერთგული სარწმუნო ძე, მამა დამანესებელი შვილთა თვსთა ბედნიერებისა ღენერალ-მაიორი და ორდენისა წ(მიდ)ის ანნას პირველისა ხარისხისა კავალერი, მექონი ხრმლისა ბრილიანტთა განმშვენებულისა, თავადი ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელი, რომელიცა აღსრულდა სამეოცდამეათექვსმეტისა წლისა თწისა ცხოვრებისასა და რომელსაცა ლოდი ესე, გულსმოდგინებისაგამა უმსხვერპლა ასულმან მისმან მართა, სამენგრელოისა დედოფალმან... (აფარია კანკელი)“.

როგორც ცნობილია, წარწერაში მოხსენიებული ზურაბის ასული მართა წერეთელი, სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის მეუღლე იყო.

იქვე, მკვლევარს გადმოწერილი აქვს ჯუმათელ მიტროპოლიტ სვიმონ აბაშიძის საფლავის ქვის ეპიტაფიაც, რომელსაც ჯრუჭის დანგრეული მონასტერი განუახლებია (სვიმონ აბაშიძე 1778 წლის 12 აპრილს გარდაცვლილა) და სხვ.

ცნობილია ისიც, რომ სოფ. ჩხარისა და მიმდებარე სოფლების (დღ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი) ეკლესიების სიძველეები და სინძინდეები შესწავლილი აქვს ექ. თაყაიშვილს. ჩხარის ოქონის მაცხოვრის ხატის წარწერა ფანქრით აქვს გადმოწერილი და აღწერილი თ. ჟორდანიასაც. მისი წაკითხვა ასეთია:

ჩხარის ოქონის მაცხოვრის ხატის წარწერა, ზურგზეა ჯვარი ქრისტესი, ძლევა მტერთა. “წმ. ესე პატიოსანი და ცხო-

ველსმყოფელი ხატი მაცხოვრისა, პირველათ დიასამიძის ქალს, დედოფალს თამარს მოეჭედინა და შეემკო და ჩხარს საყდარი აღეშენებინა და იქ დაესვენებინა და ჟამთა გამოცვლილობისა, აგარიანთა ხელითა შემუსვრილიყო და ან, მეფეთ-მეფემან, პატრონმა ალექსანდრე და დედოფალმა, პატრონმა ნესტან-დარეჯან, ახლადვე მოვაჭედინეთ და შევამკევით წასარმათებლათ (sic) მეფობისა ჩვენისა სახსრათ და საოხათ სულის ჩვენისათვის და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლათ დავახატვინეთ ტაძარი ხატისა ამისა ჩხარს და დავასვენეთ“.

წარწერაში მოხსენიებული დედოფალი თამარ დიასამიძე, რომელიც ამ ხატის პირველი მფლობელი ყოფილა, იმერეთის მეფე გიორგი II-ის (1565-1585 წწ.) მეუღლე იყო, ხოლო ოქონის ხატის ხელმეორედ განმაახლებელნი და შემამკობელნი იმერეთის მეფე ალექსანდრე III (1639-1660 წწ.) და მისი თანამეცხედრე დარეჯან დედოფალი (თეიმურაზ I-ის ასული) უნდა იყვნენ.

ჩხარის ოქონის მაცხოვრის აღდგომის ტაძარი განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლია და შემორჩენილი აქვს XVI-XVIII საუკუნეების მოხატულობა. აღნიშნული ოქონის მაცხოვრის ხატიც ამ ტაძრის კუთვნილებას წარმოადგენდა. ცნობილია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობდა ოქონის ხატის სახელობის ტაძრები: შიდა ქართლში, იმერეთში, გურიაში და სხვ. ამდენად, ჩხარის ოქონის მაცხოვრის ხატის ამ წარწერას ისეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ოქონის წმინდა ხატების სხვა წარწერებს.

ამდენად, თ. ჟორდანიას მიერ გადმოწერილი ყველა ლაპიდარული წარწერა თუ ეპიტაფია შეიცავს ექ. თაყაიშვილისაგან თუ სხვა ავტორებისაგან განსხვავებული წაკითხვის ვერსიებს, შესაძლოა ფუნდამენტურს არა, მაგრამ მაინც განსხვავებულს. ამიტომ, მკვლევრის ეს თავისებური ვარაუდები თუ გააზრებები, საისტორიო წყაროების კვლევის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი, საინტერესო და გასათვალისწინებელია.

ხელოვნური ინტელექტის საჭიროებები საუნივერსიტეტო განათლებაში

ხელოვნური ინტელექტი (ინგლ. artificial intelligence, შემოკლებით AI) მიზნად ისახავს ინტელექტუალურ კომპიუტერული პროგრამის შექმნას, რომელსაც ექნება უნარი “მიაღწიოს” ადამიანის ინტელექტის დონეს. ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ხელოვნური ინტელექტი. თანამედროვე მსოფლიოში ხელოვნური ინტელექტის მიმართ ინტერესი სწრაფად იზრდება. ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობა გამოიკვეთა, განათლებაში, გლობალური დღის წესრიგის ფორმირებაში, მსოფლიო ეკონომიკურ მოვლენებში, საზოგადოებრივ განვითარებაში, საჯარო ადმინისტრირებასა და მართვაში. საზოგადოებისათვის, მათი ინტერესებისა თუ საქმიანობის მიუხედავად, ციფრულ სამყაროში ადაპტირება და ამისთვის უნარ-ჩვევების შექმნა-გაუმჯობესება სასიცოცხლოდ აუცილებელი ფაქტორია.

2022 წლის მიწურულს ხელოვნურმა ინტელექტმა თანდათანობით დაიწყო გავრცელება და დიდი პოპულარობა მოიპოვა, რამაც მისი მრავალი მომხარებლის გაჩენაც განაპირობა. დღესდღეობით AI-ის კოდი გვხვდება სანარმო აპლიკაციებში, სამომხმარებლო აპებსა და ჩაშენებულ პროგრამულ უზრუნველყოფაში. თანამედროვე ცხოვრებაში აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის როლი განათლების სისტემაში. საუნივერსიტეტო განათლებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება. სტუდენტებთან თანამშრომლობის თანამედროვე გამოწვევები საჭიროებს არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას გადაწყვეტილებების მიღებისას. ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები მრავალფეროვანია და სხვადასხვა მიზანს ემსახურება. ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული ტიპი მოიცავს:

- ენის დამუშავება (Natural Language Processing, NLP): ეს აპლიკაციები ფოკუსირებულია ადამიანური ენის გაგებასა და გენერირებაზე. მათ შორისაა conversational AI და სმოვანი

ასისტენტები, როგორცაა ChatGPT

- კომპიუტერული ხედვა (Computer Vision): ეს აპლიკაციები აანალიზებენ და აინტერპრეტირებენ ვიზუალურ ინფორმაციას, როგორცაა გამოსახულებები და ვიდეოები. ისინი გამოიყენება სახის ამოცნობაში, ავტონომიურ მანქანებში და სამედიცინო დიაგნოსტიკაში.

- რეკომენდაციის სისტემები (Recommender Systems): ეს სისტემები იყენებენ მომხმარებლის ქცევას და პრეფერენციების შესახებ ინფორმაციას, რათა შესთავაზონ პერსონალიზებული რეკომენდაციები პროდუქტებზე, მომსახურებებსა და კონტენტზე. მათ შორისაა Netflix, Amazon და Spotify.

- ექსპერტული სისტემები (Expert Systems): ეს აპლიკაციები იყენებენ ცოდნის ბაზებს კონკრეტულ სფეროში, რათა მოახდინონ დასკვნების გაკეთება და გადაწყვეტილებების მიღება. ისინი გამოიყენება სამედიცინო დიაგნოსტიკაში, ფინანსურ დაგეგმვასა და იურიდიულ კონსულტაციებში.

როგორც ვხედავთ, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობები იზრდება და საუნივერსიტეტო სწავლებაში მათი გამოყენება მეტად უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო კურსებს. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელობით, განხორციელდა გამოკითხვა აკადემიურ პერსონალთან ხელოვნური ინტელექტის საუნივერსიტეტო სწავლებაში გამოყენებისა და საჭიროების შესახებ. გამოკითხვაში მონაწილეობადა 47 აკადემიური პერსონალი.

კვლევა ეხებოდა ინფორმაციის მოპოვებას შემდეგი საკითხების შესახებ:

- რამდენად ახდენს დადებით გავლენას ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო/შემეცნებით პროცესებზე;

- საჭიროდ მიიჩნევა თუ არა აკადემიური პერსონალი ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას საუნივერსიტეტო პროგრამების გასაუმჯობესებლად;

- მიგაჩნიათ საჭიროდ თუ არა, რომ სტუდენტები და აკად.პერსონალი ფლობდნენ ხელოვნური ინტელექტის პროგრამებს და მათი გამოყენების უნარ-ჩვევებს;

- ფაკულტეტის კურიკულუმებში ისწავლება თუ არა სასწავლო კურსი ხელოვნური ინტელექტზე;

- რომელ პროგრამებს იყენებენ აქტიურად

- რა გაუმჯობესებოდა აკადემიური პერსონალის პრო-

ფესიულ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შედეგად;

- რა გამოწვევების წინაშე დგას აკადემიური პერსონალი ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან მიმართებაში

- ჰქონდათ თუ არა სურვილი აკადემიურ პერსონალს გაეუმჯობესებინა ხელოვნურ ინტელექტის გამოყენების უნარ-ჩვევები;

გამოკითხვიდან გამოვლინდა შემდეგი მიგნებები:

- გამოკითხულთა 70 % ამბობს, რომ ხელოვნური ინტელექტი დადებით გავლენას ახდენს სასწავლო/შემეცნებით პროცესებზე;

- აკადემიური პერსონალის 83 % მიიჩნევს, რომ საჭიროდ მიიჩნევთ თუ არა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას საუნივერსიტეტო პროგრამების გასაუმჯობესებლად;

- გამოკითხულთა მხოლოდ 17 % ამბობს, რომ ფაკულტეტის კურიკულუმებში ისწავლება სასწავლო კურსი ხელოვნურ ინტელექტზე და იყენებენ ChatGPT, Google translate, speech

- 93%-ს მიგაჩნია, რომ სტუდენტები და აკად. პერსონალი უნდა ფლობდნენ ხელოვნური ინტელექტის პროგრამებს და მათი გამოყენების უნარ-ჩვევებს;

- აკადემიური პერსონალი თვლის, რომ ყველაზე მეტად ხელვნიური ინტელექტი მათ ეხმარებათ: რიგი დოკუმენტების შექმნაში, სასწავლო რესურსების, შეფასების რუბრიკების შექმნა-გამყენებაში, დროის დაზოგვაში, განსხვავებული იდეებისა და ხედვის ჩამოყალიბებაში, სასწავლო კურსის ეფექტიანობის გაზრდაში.

- უმცირესობა გამოკითხულთაგან ფოქრობს, რომ მათ საერთოდ არ ჭირდებათ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება თავიანთ სასწავლო კურსებში.

რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისათვის სასწავლო პროცესში, არსებობს რიგი გამოწვევები, რაც შემაფერხებელ ფაქტორად აღქმება: აუცილებელია გამართული ინტერნეტ ქსელები და ტექნოლოგიები, შესაბამისი კომპიუტერული აღჭურვილობა ყველა აუდიტორიაში, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება და ა.შ.

რესპოდენტთა 94 % ამბობს, რომ მათი ცოდნა არასაკმარისია და სურვილი აქვთ გაიუმჯობესონ ხელოვნურ ინტელექტთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იზრდება საუნი-

ვერსიტეტო პროგრამებსა და სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, თუმცა აკადემიური პერსონალის ინიციატივაზე და მზაობაზე მეტწილად არის დამოკიდებული საუნივერსიტეტო სწავლების ეფექტიანობის გაზრდა.”

ვიქტორია ჯუღელი

ინო მავანეიშვილი

საქართველოს ხელნაერთა ეროვნული ცენტრის ლათინურ ნუსხათა კორპუსი

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, საქართველოში გახშირდა მისიონერული მოძრაობები დასავლეთიდან, მომრავლდა კათოლიკე მრევლი, აიგო კათოლიკური ეკლესიები, ხოლო ვინაიდან კათოლიკე მისიონერთა საღვთისმსახურო და სასაუბრო ენა ლათინური იყო, ჩვენს ქვეყანაში აღმოჩნდა ლათინურ ენაზე შესრულებულ ხელნაერთა კორპუსიც.

კორპუსი შედგება 22 ხელნაწერისაგან, რომელთა მასალა უკავშირდება კათოლიკურ სამყაროსა და რწმენას, საძმოებს (კაპუცინელთა, კამალდულთა, კარტეზიანელთა ორდენებს), კათოლიკური სამყაროს შიდა დაპირისპირებას, მთლიანობაში კი ეს არის მასალა, რომელიც კათოლიკეთა სარგებლობისათვის იყო განკუთვნილი. ხელნაწერები მოიცავს ვრცელ ქრონოლოგიურ ჩარჩოს და თარიღდება XI-XX სს-ით, მათგან ხუთი ნუსხა XI, XIV, XVI, XIX და XIX-XX სს-ისაა, ხოლო ყველა დანარჩენი, ანუ 17 ხელნაწერი – XVIII ს-ს მიეკუთვნება. თარიღიანია 7 ხელნაწერი (var-1, 18, 21, 23, 25, 26, 39), 4 ერთეულზე მითითებულია გადამწერიც და გადანერის თარიღიც (var-18, 21, 25, 53), ეტრატზე ნაწერია 4 ნუსხა (var-21, 39, 41, 50), 5 ნუსხა ფრაგმენტულია (var-37, 41, 46.1, 46.2, 50), ხოლო 9 უყდოდ არის მოღწეული (var-16, 36, 37, 38, 39, 41, 46, 50, 53), 8 ხელნაწერზე შეინიშნება მხატვრული გაფორმების ნიმუშები (var-13, 16, 20, 21, 23, 26, 37, 46.1), ორ ნუსხაში ტექსტი ჩარჩოშია ჩასმული (var-36, 39). ლათინურთან ერთად, ნუსხებში წარმოდგენილია მონაკვეთები ქართულ, ბერძნულ, პოლონურ, რუსულ, იტალიურ, ფრანგულ,

ბერძნულ და სომხურ ენებზეც. ყველაზე ხშირია პოლონურ-ლათინური ტექსტები (var-12, 15, 16, 18, 19, 21, 23, 37).

შინაარსის თვალსაზრისით, ლათინური კორპუსის ხელნაწერები 3 ჯგუფად იყოფა:

1) სახელმძღვანელოებს შეიცავს XVIII საუკუნის 10 ნუსხა. ესენია რიტორიკის, პოეტიკისა და ეპისტოლოგრაფიის (var-12, 15, 16, 18, 22, 23, 37, 46.1), და მეტაფიზიკისა და ფილოსოფიის სახელმძღვანელოები (var-9, 13).

2) სასულიერო შინაარსისაა სამი ადრეული (XI, XIV, XVI სს.) და სამი XVIII ს-ის ხელნაწერი, რომლებიც შეიცავენ ეგზეგეტურ, პოლემიკურ და აპოლოგეტურ თხზულებებსა და კატეხიზმობებს.

var-41 (XI ს.) წარმოადგენს გოთური კალიგრაფიით ეტრატზე ნაწერ ფოლიოს, რომელიც საცავ ფურცლად გამოიყენებოდა. იგი შეიცავს თთ.21.23-28 მონაკვეთთა განხილვას რომაელი მწერლის, კასიოდორეს (480-590 წწ.) „ფსალმუნთა განმარტებიდან“ („*proprium non immerito - devota mente refe[ramus]; PL 70, 162D-164B*“). მასში დავითი ჰმადლობს ღმერთს: „მიხსენი ღოამის ხახისაგან... ყველა ტომი თაყვანს აღუვლენს უფალს“.

ერთი ფურცლისგან შესდგება var-50 (XIV ს.), რომელშიც დაცულია ფსალმუნთა მოკლე ფრაგმენტი ლათინურ ენაზე, 80.8-82.13 (*invocasti me - principes eos qui dixerunt*). შესრულებულია შუა საუკუნეების ყველაზე დახვეწილი გოთური კალიგრაფიით.

var-21 (1556) შეიცავს ქადაგებებს ორი ნაშრომიდან: (ა.) იოანე ოქროპირის ქადაგებას „არავის შეუძლია იმის ვნება, ვინც საკუთარ თავს არ ვნებს“ (PG 52, 459-480). ლათინური თარგმანი ეკუთვნის კამალდულთა ორდენის ცნობილ მოღვაწეს, ამბროზიუს ტრავერსარიუსს (1386-1439); (ბ.) გუგო II კარტეზიანელთა წინამძღვრის (1174-1180 წწ.; გარდ. 1188 წელს) “ბერების კიბე” (“*Scala claustralium*”), შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაშრომი, რომელიც ვრცელდებოდა ნეტარი ავგუსტინეს, ზოგჯერ კი მისტიკოს ბერნარ კლერვოელის (1090-1153) სახელით. ჩვენს ხელნაწერში იგი ამ უკანასკნელს მიეწერება. გუგო განმარტავს, როგორ ეხება იაკობის ხილვა (დაბ. 28.12) იმათ, ვინც ჭვრეტად ცხოვრებას ეწევა. ნაშრომი ითვლება მეთოდური ლოცვის პირველ აღწერად დასავლეთის მისტიკურ ტრადიციაში, გუგო კი პირველ ავტორად, ვინც ლოცვა წარმოადგინა კიბედ, რომელსაც მლოცველი მიჰყავს ღმერთთან მისტიკურ ურთიერთობამდე.

var-19 (XVIII ს.) წარმოადგენს ლუთერანელთა წინააღმდეგ

შედგენილ კრებულს, რომელშიც დაცულია თხზულებები სამ თემაზე: მწვალებლობათა (ლუთერის) წინააღმდეგ, წმ.მარია-მის ჩასახვის და წმინდა ნაწილების შესახებ.

var-36 (XVIII ს.) შეიცავს ნაწყვეტს ტრაქტატიდან, რომელშიც განხილულია მაცხოვრის ჰიპოსტასი, ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნებები, ნათლობის, ღვინისა და პურის მნიშვნელობა. ავტორი იმონმებს ნეტარ ავგუსტინეს, იერონიმეს, თომა აქვინელს და უპირისპირდება ერეტიკოს ბოჰემუსს (2v, 3v, 5rv, 7r). ეს შეიძლება იყოს ზისკა ბოჰემუსი, რომელზეც 1411 წელს გაილაშქრა უნგრეთ-ბოჰემიის მეფე სიგიზმუნდ I-მა (1368-1437), ან იოანე როხესანუსი. მონაკოს სამეფო ბიბლიოთეკის ლათინურ ხელნაწერთა კატალოგში დაცულია ტექსტი, რომლის სათაური უახლოვდება ჩვენი ხელნაწერის ტექსტს. მისი ავტორია იოანე კაპისტრანელი (1386-1456), ფრანცისკანელთა საძმოს წევრი, უნგრეთში მწვალებლებსა და თურქებზე ჯვაროსნული ლაშქრობის მქადაგებელი. იოანეს დაწერილი აქვს “ტრაქტატი ქრისტეს მორწმუნეთა შესახებ, რომლებიც ერთსულოვნად დაიძრნენ იოანე როხესანუსის, ბოჰემი მწვალებლის წინააღმდეგ”.

var-25-ში (1755) განმარტებულია ეკლესია, საუკუნო ცხოვრება, მადლი, რწმენა, მწვალებლობები, და შინაარსით უახლოვდება კატეხიზმოს, ხოლო var-26 წარმოადგენს კამალდულთა საძმოს კატეხიზმოს, შედგენილს გილიელმუს განდეგილის მიერ (გარდ. 1701).

3) საბუთები დაცულია 6 ხელნაწერში: var-1, 20, 38.3,5,6,7, 39, 46.2, 53, რომლებიც თარიღდება 1363 წლით და XVIII-XX საუკუნეებით.

var-39 შედგენილია 1363 წელს, პაპ ურბან V-ის (1362-1370) პონტიფიკატის პირველ წელს, გოთური კალიგრაფიით. გარკვეული ხნის შემდეგ საბუთი აღარ იკითხებოდა და კალიგრაფიაში დახელოვნებულმა ანონიმმა სტრიქონებს ზემოთ წაანერა იგივე ტექსტი, თუმცა ზოგი სიტყვა მანაც ვერ ამოიკითხა. ნუსხას ხელს აწერს Guilelmus Bruneti.

შემდეგი სამი ხელნაწერი თარიღდება XVIII (var-20, 46.2) და XIX (38.5,6,7) საუკუნეებით. მათში დაცულია კამალდულთა საძმოს საბუთები. კამალდულთა საძმო 1012/1025 წელს იტალიის ქ.არეცოსთან დააფუძნა ბენედიქტელმა წმ.რომუალდმა. XIII-XIV სს-ში საძმოს შიგნით დაიწყო განდეგილობისა და კოინობიტიზმის მომხრეთა განხეთქილება, და საძმოს ერთიანი

ხელმძღვანელობა აღარ ჰყოლია. 1935 წელს პაპმა პიუს XI-მ კამალდულები გააერთიანა წმ.ბენედიქტეს ერთ, კამალდულთა კონგრეგაციაში, მონტე-კორონის საძმოს გარდა. სწორედ მონტე-კორონის მონასტრის საბუთებს შეიცავენ ეს ხელნაწერები, აქტებს, ბეჭდებს, ხელმოწერებს, დეკრეტებს, ცნობებს, და ა.შ.

var-1 კორპუსის ყველაზე გვიანდელი, XIX-XX სს-ის ნუსხაა. მასში დაცულია ტრაპიზონის კაპუცინელთა კათოლიკური ეკლესიის 1852-1910 წლების ქორწინებათა, გარდაცვალებათა და ნათლობათა დავთარი. იგი იძლევა მნიშვნელოვან ცნობებს ტრაპიზონში მოღვაწე პირებთან დაკავშირებით. რამდენიმე მინიშნება ქართველებს უნდა ეხებოდეს.

var-53 ლათინურ ნუსხათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია XIX ს-ის საქართველოს შესახებ დაცული ცნობების თვალსაზრისით. მის ჩანაწერებს შორის გვხვდება ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის პატრ ხეროვიმას წერილი ქუთაისის კომენდანტის მიმართ, სადაც აღნუსხულია, რამდენი სასულიერო პირი, ოჯახი თუ კათოლიკე ცხოვრობდა იმერეთის პროვინციაში, კერძოდ, ქუთაისში (1839 წ.), მითითებულია, რომ ეკლესიასთან გახსნილი იყო სკოლა, სადაც 10 ბიჭი სწავლობდა. აღნიშნულია, რომ ეპარქიაში იყვნენ ღარიბებიც, რომელთაც ეკლესია ეხმარებოდა, მათი ვინაობისა და ოჯახის წევრთა რაოდენობის მითითებით.

ხელნაწერების დიდი ნაწილი დაზიანებულია, შეინიშნება სინესტის ლაქები, ენტომოლოგიური დაზიანების კვალი, ფურცლები გაცვეთილია და მელანი გადაშლილი. დაზიანებულია ხელნაწერების ყდა, რომელთა ძირითადი ნაწილი შედგენილია მუყაოსა და მეორადი ფურცლების ფენებისაგან, მათ შორის var-12, რომლის ყდაც პოლონურ ენაზე დაწერილი ფურცლებისაგან შედგება. მათ უმრავლესობას შემოცვეთილი ან გატეხილი აქვს ყუა. ხელნაწერებში გადაშლილია მელანი. ეტრატზე დაცული ფრაგმენტები გამოიყენებოდა საცავ ფურცლებად, ისინი ყდიდანაა ამოღებული, რასაც ადასტურებს გადაკეცვის კვალი, წებოს შემორჩენილი ლაქები, გადაშლილი ვერსო ტექსტი და პირვანდელი აკინძვის კვალი პროპორციულად დაშორებული ნახვრეტების სახით.

საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული განვითარება და კულაკებითან ბრძოლის პოლიტიკა

1921 წელს საქართველოს მენშევიკური მთავრობის და-
მხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ,
ქვეყანაში რეპრესიებისა და მასობრივი ტრავმების პროცესი
დაიწყო, რომელსაც საფუძვლად დაედო პოლიტიკური დევნა,
კოლექტივიზაცია და კულტურული სფეროების ცენტრალიზა-
ცია. ამ პროცესებმა, თავის მხრივ, გამოიწვია სოციალური გა-
ნადგურება, კულტურული დისკურსების შეფერხება და პოლი-
ტიკური ხედვის ჩახშობა.

საბჭოთა მმართველობის პირველ ეტაპზე განსაკუთრებული
ყურადღება დაეთმო მენშევიკების, პოლიტიკური ოპოზიციის
და კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის ორ-
განიზებას. ბოლშევიკებმა მოაწყვეს სასამართლო პროცესები
რასაც ქვეყანაში მასობრივი შიში და არასტაბილურობა მოჰ-
ყვა. ამ კონტექსტში სტალინმა, რომელიც საქართველოს რე-
ალობიდან იმპერიული საბჭოთა სისტემის წამყვან ფიგურად
იქცა, შექმნა სტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც ქვეყნის პო-
ლიტიკური კონტროლი შეძლო. სტალინური სისტემის ნაწილის
გახდა ე.წ. „წითელი ინტელიგენცია“, რომელიც სისტემის მხა-
რდამჭერი ინტელექტუალური ელიტის სახით ჩამოყალიბდა.

კოლექტივიზაცია, რომელიც 1930-იან წლებში მოხდა, გა-
ნსაკუთრებით მწვავე იყო საქართველოსათვის, რადგან იგი
გლეხობის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრების წესს არ-
ღვევდა. ადამიანები იძულებით გააძევეს საკუთარი საცხოვრე-
ბელი ადგილებიდან, ჩამოართვეს ქონება და გადაასახლეს
უცხო მიწებზე. ეს პოლიტიკა ამჟღავნებს საბჭოთა იმპერიის
ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მასშტაბს, რომელიც
ცენტრალიზებულ მართვასა და სახელმწიფო კონტროლზე იყო
დამყარებული. კოლექტივიზაციის პროცესმა გამოიწვია მასო-
ბრივი მიგრაციები, რესურსების ნაკლებობა და, საბოლოოდ,
ეკონომიკური მდგომარეობის დამძიმება.

1937-1938 წლებში სტალინის „დიდი ტერორის“ პერიოდში
განსაკუთრებით გამძაფრდა პოლიტიკური რეპრესიები, რაც
ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განადგურებასთან იყო დაკავ-

შირებული. ამ დროს პოლიტიკური ელიტისა და კულტურული სფეროს წარმომადგენელთა დიდი ნაწილი გაქრა, ხოლო ვინც გადარჩა, სიღრმისეულ ტრავმებს განიცდიდა. მასობრივი რეპრესიების პერიოდში საბჭოთა კავშირში იდეოლოგიური კონტროლის პრინციპი გაძლიერდა, რის შედეგადაც ადამიანებს საკუთარი აზრის გამოთქმა შეეზღუდათ. ეს ტრაგიკული პერიოდი მრავალ ოჯახში დღემდე ცოცხლობს როგორც ტრავმული მოგონება, რის გამოც ზეპირი ისტორიების აღდგენა მეტად რთულია, რადგან ბევრმა თაობამ მასზე მხოლოდ მინიშნებებით იცის.

სტალინურ რეჟიმის შედეგები ასევე აისახა საქართველოს კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაზე, მათ შორის – მეხსიერებისა და იდენტობის ფორმირებაზე. ამ პერიოდში ჩამოყალიბებული დიქტომიები, მაგალითად, პატრიოტული წინააღმდეგობა საბჭოთა რეჟიმის მიმართ, კვლავ დღევანდელი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა საზოგადოებამ დაკარგა მყარი საფუძველი და შესაბამისად, ეროვნული იდენტობის საკითხი ამ პერიოდის ტრავმებთან არის დაკავშირებული. საბჭოთა ეპოქის მემკვიდრეობით მიღებული ტრამვა დღემდე აწუხებს საქართველოს საზოგადოებას. ისტორია, რომელსაც ხელი შეუწყობს საბჭოთა პროპაგანდამ და დევნამ, რეპრესირებულთა ოჯახებს შორის ომისა და ტრავმების სამხიარულო მოგონებებად იქცა.

საბჭოთა რეპრესიებმა ღრმა გავლენა მოახდინა არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ კულტურულ და სოციალური ასპექტებში, რაც ნათლად იკვეთება მწერლებისა და შემოქმედებითი ინკლუზიურობის პროპაგანდით. დევნის პროცესი მოიცავდა კულტურული იდენტობის ქცევას საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდის იარაღად, სადაც ახალი “წითელი ინტელიგენცია” იქცა ტერორისა და რეპრესიების ერთგვარ მხარდამჭერ ინსტრუმენტად, რაც გამოიხატებოდა მწერლების, რეჟისორების და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების მხრიდან “მტრის” მკაცრად დასჯის მოთხოვნაში. შედეგად, წერისა და კითხვის გაუმჯობესების და განათლების ფართოდ გავრცელების გზით საბჭოთა კავშირმა სცადა ახალი, პარტიის მიმართ ერთგული საზოგადოება ჩამოეყალიბებინა.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისგან განადგურებული მეხსიერება და ზეპირი მემკვიდრეობა საქართველოში იკარგება, რადგან უამრავი გადარჩე-

ნილი მოწმენი დიდი ხნის გარდაცვლილია. იმავდროულად, შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული, ფრაგმენტული ისტორიები, რომლებიც არ არის საკმარისი ამ ეპოქის სრულყოფილი აღქმისთვის. ეს საკითხები, ერთი მხრივ, დისკურსის, ხოლო, მეორე მხრივ, გარდამავალი სამეცნიერო კვლევის თემად იქცა, რომელიც მიზნად ისახავს ამ რთული პერიოდის ობიექტურად შეფასებას და მეხსიერების ფორმირებას.

შორენა თავაძე

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ეტრატზე შესრულებული გრაგნილი ხელნაწერების არაინვაზიური კვლევები (ვიზუალური, მაკრო- და მიკრო შეფასება)

ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში დაცულ წერილობით ძეგლებს შორისაა ეტრატზე შესრულებული გრაგნილი ხელნაწერები: K-69 (ე-69) ლოცვა დაგებისა (XVI ს. 1 კეფი); K-226 (ე-226) იოანე ოქროპირის ჟამისწირვა (XVI ს. 7 კეფი); K-605 (ქიმ-605), იოანე ოქროპირის ჟამისწირვა (XVI ს., 3 კეფი); ქიმ-606 (K-606), იოანე ოქროპირის ჟამისწირვა (XVI ს. 5 კეფი); K-636 (ქიმ-636), წირვის წესი (XVI ს. 3 კეფი); K-637 (ქიმ-637), წირვის წესი (XVI ს, 2 კეფი); K-657 (ქიმ-657), წმ.ბასილი დიდისა და წმ.იოანე ოქროპირის ჟამისწირვები (XVI ს. 13 კეფი).

გრაგნილი ხელნაწერები თარიღდება XVI საუკუნით. საინტერესო აღმოჩნდა მათი საწერი მასალის კვლევა. კომპლექსური, სტრუქტურულ-კოდიკოლოგიური, დეტალური არქეოგრაფიული აღწერილობითა და ჩატარებული არაინვაზიური კვლევებით შეფასდა მდგომარეობა და დაზიანების ხარისხი. საუკუნეების მანძილზე საგანძურის დაცვა-შენახვის არახელსაყრელმა პირობებმა გამოიწვია მათი არასახარბიელო მდგომარეობა. პერგამენტზე (საწერ მასალაზე) შეცვლილია სტრუქტურა, დეფორმირებული და დაზიანებულია მასზე შესრულებული ტექსტიც, მსგავსი სახის დაზიანებებმა შესაძლებელია გამოიწვიოს შე-

უქცევადი პროცესი.

არაინვაზიური მეთოდით კვლევა მნიშვნელოვანია დაზიანებების შეფასებისთვის, რაც ხელს უწყობს საკონსერვაციო სამუშაოების დაგეგმვას. პერგამენტის მაკროსკოპული და მიკროსკოპული მახასიათებლების კორელაცია ფიზიკურ-ქიმიურ ცვლილებებთან გვიჩვენებს კულტურული მემკვიდრეობის არტეფაქტების დეგრადაციის მდგომარეობას, გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ ხელნაწერის დაზიანების ხარისხი. ჩატარებული კვლევის შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი: ხელნაწერების უმრავლესობა თავნაკლულია, გრაგნილის კეფები გადაბმულია როგორც სხვადასხვა ფერის ძაფით, ისე წებოს გამოყენებით, შეიმჩნევა დაკანონვის მკვეთრად შესრულებული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები, ზოგიერთ კეფზე შეინიშნება ტყავის გაჭიმვისაგან წარმოქმნილი პატარა ბუნებრივი, ოვალური და მრგვალი ფორმის ხვრელები, გრაგნილების ნაწილი დახვეულია ხის ჯოხზე, ნაწილს კი არ ჰქონდა, ან არ შემორჩა. შესწავლილი გრაგნილების ნაწილი შემკულია მინიატიურებით, დიდი ზომის ინიციალებითა და საზედაო ასოებით, გრაგნილების სხვადასხვა კეფის არშიებზე მინაწერებია როგორც თანადროული, ასევე გვიანდელი. გრაგნილ ხელნაწერებზე აღინიშნება სხვადასხვა სახის დაზიანებები. ყველაზე მეტად დასაწყისი და ბოლო კეფია დაზიანებული, კეფები ძირითადად დეფორმირებულია, ეტრათი გამომშრალი. გრაგნილ ხელნაწერებზე არ შეიმჩნევა გვიანდელი რესტავრაციის კვალი. მხოლოდ მოგვიანებით ეტრათის რამდენიმე დაზიანებული, ჩახეული ადგილი გაუმაგრებიათ ძაფით.

არაინვაზიური კვლევებით გამოვლინდა პერგამენტის დეგრადაცია და დეფორმაცია, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე და პერგამენტის დაზიანებების შეფასებით განისაზღვრება პრევენციული კონსერვაციისა და კონსერვაციის მეთოდი, შემუშავდება მათი დაცვის რეკომენდაციები. რეკომენდირებულია საწერი მასალის კვლევა დაიწყოს არაინვაზიური ტექნიკის გამოყენებით.

ვიზუალური ანალიზი ყოველთვის უნდა იყოს პროცესის პირველი ნაბიჯი და ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საკმარისიც კი. ვიზუალურ შეფასებასთან ერთად, პერგამენტის დეგრადაციის მახასიათებლებისა და ანალიზისთვის, ეტრათის სტრუქტურის დეტალურად დასათვალთვინებლად და საწერ მასალაზე აღნიშნული სხვადასხვა სახისა და ხარისხის

დაზიანებული ადგილების შესაფასებლად გამოიყენება ხელის ციფრული მიკროსკოპი (DINO- Dinolite USB Hanheld Digital Microscope).

როგორც ცნობილია, ხელნაწერების ზედაპირის სტრუქტურისა და დაზიანების გამომწვევი მიზეზების შესწავლის მიზნით ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სპექტრული ანალიზი. პერგამენტის დეგრადაციის შესწავლა, კვლევა და გაზომვები განხორციელდა ფურიეს ტრანსფორმაციის ინფრანითელი სპექტროსკოპიით (FT-IR) Bruker TENSOR II სპექტრომეტრის გამოყენებით, რომელიც აღჭურვილია DTGS პიროელექტრული დეტექტორით (დეტერირებული ტრიგლიცინის სულფატი). ინფორმაციის მოსაპოვებლად, ინფრანითელი სპექტროსკოპია არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპექტროსკოპიული ინსტრუმენტი პერგამენტის შესასწავლად. თანამედროვე მეთოდების გამოყენებით საშუალება გვეძლევა განვსაზღვროთ საკვლევი ერთეულის სტრუქტურული თავისებურებები. ეტრატის საკვლევ ნიმუშების სპექტრებში შეიმჩნევა განსხვავებული ცვლილებები/განსხვავებული პიკები. ერთი და იგივე მრუდში თანაფარდობის/პიკების ცვლილებებია და მათი შედარებით მივიღეთ: 1025-ზე დაძრულია და წარმოქმნილია განსხვავებული პიკები, ხოლო 1107-ზე წარმოქმნილია ახალი ქიმიური ბმები, რაც გამოწვეულია სტრუქტურის სხვადასხვა დაზიანებით, უხილავი და ხილული ბზარებით, ეტრატის სიძველით ან მისი ქიმიური დამუშავებით. ჩატარებული არაინვაზიური კვლევის (ვიზუალური, მაკრო- და მიკრო შეფასება) მეთოდების კომბინაციამ საშუალება მოგვცა, ნიმუშებზე შეგვემოწმებინა ლოკალურად, კონკრეტული არეალის დეგრადაცია.

კვლევებით დადასტურდა, რომ ყველა შესწავლილი გრაგნილი დასარბილებელი და სარესტავრაციოა. აუცილებელია გრაგნილი ხელნაწერების კონსერვაცია და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

**გენუის კონფერენცია და საქართველოს საკითხი
ფრანგულენოვან პერიოდულ გამოცემებში
(გაზეთების „LE FIGARO“ და L’HUMANITÉ -ის მიხედვით)**

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ანექსირებულ იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ, იგი ჯერ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გაანეწვრიანეს, ხოლო შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეიყვანეს.

საბჭოთა ჯარების შემოსვლის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო და საზღვარგარეთიდან ებრძოლა საბჭოთა აგრესიის დაძლევისა და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

ერთ-ერთ ასეთ მცდელობას წარმოადგენს საქართველოს საკითხის დასმა გენუის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე, სადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, პარიზიდან, არაოფიციალური დელეგაცია გაგზავნა. რომელშიც შედიოდნენ აკ. ჩხენკელი, ირ. წერეთელი, ს. მდივანი, გ. ვეშაპელი და ზ. ავალიშვილი.

გენუის კონფერენციაზე საქართველოს საკითხის გაანალიზებას ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენადმე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, იგი შეისწავლეს როგორც საბჭოთა პერიოდში, როდესაც შეფასებები ბუნებრივია ცალმხრივი და ტენდენციური იყო, ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც მკვლევრებს შესაძლებლობა მიეცათ ცენტურის გარეშე ეკვლიათ ეს საკითხი.

ჩვენს ნაშრომში შესწავლილია თუ როგორ ასახვას ჰპოვებდა საქართველოს საკითხი ფრანგულენოვან პრესაში, საკითხის შესასწავლად ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა ორი გაზეთი „Le Figaro“ და „L’Humanité“ როგორც შესაბამისად მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკური ორიენტაციის გამოცემები. ბუნებრივია, ერთი ნაშრომის პირობებში საკითხის ამომწურავი შესწავლა თითქმის შეუძლებელია, ჩვენ საკითხის დასმით და ზოგიერთი საინტერესო დაკვირვებითა თუ მოსაზრებით შემოვი-

ფარგლებით.

ორიოდე სიტყვით საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ თავად ჩვენს მიერ შერჩეული პერიოდული გამოცემების დაარსების ისტორიას და მათ პოლიტიკურ ხედვას.

გაზეთი „Le Figaro” არის ყოველდღიური გაზეთი, დაარსდა 1826 წელს, თავიდან გამოდიოდა, როგორც ყოველკვირეული გამოცემა, 1866 წელს გადაკეთდა ყოველდღიურ გაზეთად. გამობათავს მემარჯვენე პოლიტიკური ძალების ინტერესებს.

გაზეთი L’Humanité დაარსდა 1904 წელს, 1904 წელს ფრანგი სოციალისტების ლიდერის ჟან ჟორესის მიერ 1920-1994 წლებში იყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ოფიციალური გამოცემა, რის შემდეგ რჩება მემარცხენე გამოცემად.

ჩვენ საკვლევ პერიოდში გამოცემთა არჩევის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ თითოეული მათგანი ცდილობდა საქართველოს საკითხი თავისი ხედვის შესაბამისად გაეშუქებინა.

ჩვენს მიერ შერჩეული კვლევითი ფოკუსი ქართულ ისტორიოგრაფიაში სიახლეს წარმოადგენს და რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი ხსენებული საკითხი ამ მიმართულებით საგანგებო მეცნიერული კვლევის ობიექტი ჯერჯერობით არ ყოფილა. აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ როდესაც ფრანგულენოვანი გაზეთ L’Humanité“-ს ფურცლებზე დაბეჭდილ პუბლიკაციებს განვიხილავთ პარალელურად ნაშრომში ჩვენ თვალს გავადევნებთ თუ როგორ სტატიებს ვხვდებით ქართულ საბჭოთა გამოცემებში. ამ თვალსაზრისით ჩვენს მიერ შერჩეულია ქართული საბჭოთა პერიოდისკის ფლაგმანი გაზეთი „კომუნისტი“. აღნიშნულ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ კომუნისტური ხელისუფლება გაზეთ L’Humanité“-ს ძალიან აქტიურად იყენებდა თავისი პოლიტიკური ხედვების საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებისათვის.

დასასრულს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი ფრანგული გამოცემის შესწავლა ჩვენს მიერ არჩეული კვლევითი მიმართულებით გააფართოვებს ჩვენს ცოდნას დასავლური სივრცის შესახებ, რა იცოდნენ საქართველოს საკითხზე გენუის კონფერენციაზე, როგორი იყო დასავლური ხედვები და მისი გამომწვევი მიზეზები.

მომავლის ანთროპოლოგია და ანთროპოლოგიის მომავალი საქართველოში

ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო აქტუალური ხდება საკითხი რა იქნება შემდეგ. ის თუ როგორ შეცვლის ტექნოლოგიები და ციფრული სამყარო ადამიანის როლს საზოგადოებაში, რამდენად გასაგები და პროგნოზირებადი იქნება მომავალი.

მოსხენებაში საუბარი იქნება იმ კონცეპტებზე და ანალიტიკურ კატეგორიებზე, რომლებითაც ანთროპოლოგები ცდილობენ ხელშესახები გახადონ საკვლევი რეალობა. ასეთები “დარწმუნებულობა”, “დაურწმუნებლობა”, “იმედი”, “მოლოდინი” “ნდობა”, “უნდობლობა” და ა.შ. ეს არის მომავლისაკენ მიმართული ქვრეტა. მომავლის განსაზღვრა და მომავლის პროგნოზირება არ ყოფილა უცხო ტრადიციული ანთროპოლოგიური კვლევების ფარგლებში. ამის მაგალითად გამოდგება მკითხავები, ქადაგები თუ სხვადასხვა კულტმსახურების მონაწილეები.

ანთროპოლოგები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ციფრული სამყაროს კვლევას და ტექნოლოგიების გამოყენებას კვლევის პროცესში. დიდი ხანია უკვე დამკვიდრდა ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ციფრული ანთროპოლოგია, კიბერ ანთროპოლოგია. მათი შესწავლის საგანია თუ როგორ მოიხმარეს ეს თუ ის საზოგადოება მზარდ ტექნოლოგიებს და როგორ ახდენს ციფრული სამყაროს მოდელირებას. მათი ინტერესის საგანი თუ როგორ ირგებს და ითავისებს ციფრული სამყაროს ესა თუ ის საზოგადოება.

მოსხენებაში საუბარი იქნება დიგიტალური ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის შესახებ, რომლის გააქტიურება ქართულ სინამდვილეში არსებითად პანდემიას დაუკავშირდა. მსოფლიოს აკადემიურ წრეებში დიგიტალური ანთროპოლოგია/ეთნოგრაფიაზე საუბარი კოვიდპანდემიამდე ბევრად ადრე დაიწყო. ამ დარგის გამოყოფა ანთროპოლოგიის ფარგლებში, ზოგადად ტექნოლოგიებისა და სოციალური მედიის/ქსელების ფართო ათვისებასა და მასობრივ მოხმარებას დაუკავშირდა

მსოფლიო მასშტაბით.

ტერმინი დიგიტალური ანთროპოლოგიის გამოყენების საჭიროება, ერთი მხრივ არსებულ რეალობაზე რეფლექსიის ლოგიკურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მეორე მხრივ მისი განვითარების ტენდენციის მაჩვენებელია.

მოხსენებაში დეტალურად განვიხილავ კოვიდპანდემიის პირობებში რა ტენდენციები გამოიკვეთა ეთნოგრაფიული კვლევების წარმოების თვალსაზრისი, როგორ გაუმკლავდა ქართული სამეცნიერო საზოგადოება პანდემიის პირობებში დაწესებულ შეზღუდვებს. კონკრეტულად კი შევეხები მხოლოდ ეთნოლოგია ანთროპოლოგიის დარგს. საინტერესოა, ადაპტაციის რა გზები და მექანიზმები გამოიძებნა სავსე კვლევების დასაგეგმად თუ გასაგრძელებლად. ბუნებრივია მსჯელობა შეეხება შექმნილი ვითარების კვლევასა და მსჯელობას თუ რა როლი უნდა შეესრულებინა ვირტუალურ სივრცეს ამ პროცესში. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება კონკრეტული მაგალითები, როგორც საქართველოდან, ისე უცხოური გამოცდილებიდან, რომლებიც პანდემიის პირობებში ეთნოგრაფიული კვლევების წარმოების ახალ შესაძლებლობებს უკავშირდება და აქცენტი მომავლის მიმართ დამოკიდებულებას ეთმობა. შესაბამისად მსჯელობა წარიმართება ასე, რამდენად მოხერხდა დიგიტალური ანთროპოლოგიის პრინციპების გააქტიურება, როგორც მეთოდოლოგიური კუთხით, ისე საზოგადოებაზე ტექნოლოგიების გავლენების კვლევის თვალსაზრისით.

მოხსენებაში დასკვნის სახით შეჯამებული იქნება დიგიტალური ანთროპოლოგია/ ეთნოგრაფიის ხედვის პერსპექტივების გაანალიზება იმ გამოწვევებთან მიმართებაში, რომლებიც ახალი რეალობის კვლევას და მის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს უკავშირდება. როგორ უკავშირდება ციფრული სამყაროს კვლევა ადამიანთა საზოგადოებაში მომავლის გაგებას. ასევე წარმოდგენილი იქნება მსჯელობა საქართველოში დიგიტალური ანთროპოლოგიის განვითარების შესაძლებლობებზე

**ეპიტაფიური მემორიალები როგორც
ეთნოგრაფიულ-კალეოგრაფიული კულტურის
რეკონსტრუქცია (ფარეიდნელ ქართველთა
საფლავების მიხედვით)**

მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ირანში გადასახლებული ქართველებისაგან ფერეიდანში შეიქმნა „გურჯი ნაჰიე“ ანუ „ქართველთა უბანი“, რომელთაც დღემდე შეინარჩუნეს ენა და იდე-ნტობა.

დღემდე არა ერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა „ქართველთა უბნის“ მკვიდრი ჩვენებ-ურების ენის და ყოფით-კულტურული ცხოვრების კვლევას, თუმცა, საფლავის კულტურა ცალკე კვლევის საგანი არ გამხდარა.

სწორედ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ჩვენი მოსაზრებები გამოგვაქვს სამსჯე-ლოდ. კერძოდ, ეპიტაფიის სახეები და კალიგრაფია.

საფლავის ქვად ძირითადად გამოყენებულია შავი ფერის ქვა . გვხვდება როგორც ჰორი-ზონტალური, ისე ვერტიკალურად აღმართული ქვები, ეს უკანასკნელი უმეტესად ფიგურულია.

ორნამენტებად ძირითადად გვხვდება ყვავილები.

სურათები გვხვდება ძირითადად მამაკაცთა საფლავებზე, ქალთა საფლავებზე შედარებით იშვიათია. საფლავის მოწყობის აღნიშნული წესი განსხვავებულია ჩვენი თანამემამულე მუსულმანი და თურქეთელი ქართველებისაგან, სადაც სურათები თითქმის არ გვხვდება.

წარწერების უმეტესობა შესრულებულია ქართულ-სპარსულად.

ასობების ფერი - თეთრი, ყვითელი, რუხი, მომწვანო.

გვხვდება როგორც ლექსის ტიპის ისე, თხრობითი ეპიტაფიები, ლოცვის ფრაზები და დალოცვის ფორმები, ეს უკანასკნელი საქართველოში თითქმის იშვიათია. ჩვენთან, გამოთქმა - „ღმერთმა ნათელში ამყოფოს“ გამოიყენება ძირითადად

ზეპირ მეტყველებაში მიცვალებული ხსენებისას ან სადღეგრძელოში... აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ ეპიტაფიები უმეტესად მიძღვნილ ტიპისაა და არ გვხვდება საქართველოში გავრცელებული პირველი პირის ფორმები (აქ დავიმარხე, და-ვტოვე მწუხარე ოჯახი...).

ჩვენი ყურადღება მიიქცია ასევე ეპიტაფიის განსხვავებული ფორმამ, კერძოდ, საფლავის ქვებზე ხშირია წარწერა „შენი საფლავი ჩემი გულია“.

რაც შეეხება საფლავის წარწერათა ენობრივ მხარეს, როგორც საქართველოში ასევე ფერეიდნელ ქართველთა საფლავებზე ძალზე ხშირია დიალექტური ტიპის ფორმები, პუნქტუაცია იშვიათად გამოიყენება, გვხვდება კორექტურაც, დარღვეულია სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესიც.

უნდა აღინიშნოს, რომ საფლავის წარწერები მაღალი ტექნოლოგიითაა შესრულებული. წარწერათა კალიგრაფია სხვადასხვაგვარია, ზოგან ასოები თანაბარი ორხაზოვანია, ზოგან ოთხხაზოვანი, უმეტესობა ულამაზესი მოხაზულობისაა, თუმცა გვხვდება ხელწერის ტიპის არათანაბარი ასოებიც.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ საუკუნეების წინ საქართველოს მონყვეტილმა ნაწილმა თავის გულში, როგორც ღადარში, შეინახა ქართული კულტურული იდენტობის ცეცხლი და დღემდე ჩვენამდე სათუთად მოიტანა, რაც ალბათ ყველაზე უკეთ ეპიტაფიის ეროვნული ხასიათითა და ქართული ანბანითაა გამოხატული.

ვიორგი ჩუბინიძე

იოანე 1:1-2-ის ქართული თარგმანის ორი ვერსია (იოანე კებრინისა და მთანშიდელუბის მიხედვით)

ცნობილია, რომ ქართველი თეოლოგი და ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი აკრიტიკებდა ბიბლიის წიგნთა თარგმანის მთანშიდელუბისეულ რედაქციას. არასწორი თარგმანის საილუსტრაციოდ მას თავისი ნაშრომის („პროკლე დიადოხოსის ღმრთისმეტყველების საფუძვლების განმარტება“) ე.წ. „ბოლოსიტყვაობაში“, ერთ-ერთ ნიმუშად მოჰყავს იოანე 1:1-ის

ტექსტი. პეტრიწის აზრით, ეს მუხლი მთანმიდელებთან არასწორადაა გადმოქართულებული და იქვე გვთავაზობს თარგმანის საკუთარ ვერსიას. იოანე 1:1-ის თარგმანის ამ ვერსიას იზიარებს ყველა ის მკვლევარი, რომელიც დღემდე შეჰხებია ამ საკითხს პეტრიწის ტექსტების კვლევისას. სავარაუდოდ, ამ ფაქტის გავლენით, ბოლო წლებში დაბეჭდილ ახალი აღთქმის ზოგიერთ რედაქციაში იოანეს სახარების დასაწყისის მთანმიდელებისეული ვერსია რედაქტირებულია და მის ნაცვლად წარმოდგენილია თარგმანი, რომელიც იზიარებს პეტრიწის პოზიციას. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, საუბარია ერთი ბერძნული ტერმინის „ἀρχή“ („არხე“) ორ ქართულ შესატყვისზე: „პირველი“ და „დასაბამი“.

ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში არსებობს იოანეს 1:1-2-ში „ἀρχή“-ს თარგმანის ორი ძირითადი ვერსია:

I.

პირველითგან იყო სიტყუად, და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუად იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა.

II.

დასაბამსა შინა იყო სიტყუად და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუად იგი. ესე იყო დასაბამსა შინა ღმრთისა თანა.

პირველი ვერსია ათონელებამდელ პერიოდში უფრო მეტად იყო გავრცელებული და ექვთიმე და გიორგი მთანმიდელებიც მას ამკვიდრებენ. მეორე ვერსიას თანდათან ანიჭებენ უპირატესობას ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი - ამ ორ ავტორთანაც ორივე ვერსია გვხვდება. იოანე პეტრიწი კი ცალსახად ემხრობა მეორე ვერსიას და უარყოფს პირველს. სიტყვა „დასაბამს“ მიმართავენ გელათურ თარგმანებშიც.

ჩვენი კვლევის შედეგად დგინდება, რომ მთანმიდელები ამ ტერმინის გამოყენებისას არ ეყრდნობიან „ტრადიციის ძალას“, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს; არამედ ისინი გააზრებულად ითვალისწინებენ შესაბამისი მუხლის ეგზეგეტიკას, კერძოდ იოანეს ამ მუხლების განმარტების ანტიოქიური სკოლის ვერსიას (ოქროპირი).

გარდა ნეოპლატონური ფილოსოფიისა, პეტრიწის ვერსიის საფუძველი, ჩვენი აზრით, ასევე უნდა იყოს იოანეს სახარების პირველი მუხლების განმარტება ალექსანდრიული სკოლის, კერძოდ კი კირილე ალექსანდრიელის მიერ.

ამ ორი თეოლოგიური სკოლის ორი წარმომადგენლის განმარტებების შედარების საფუძველზე ვცდილობთ, დავადგინოთ და გავაანალიზოთ „აქაჲ“-ს შესაძლო მნიშვნელობები იოანეს სახარების პირველი მუხლების კონტექსტში. ჩვენი დაკვირვებით, „აქაჲ“-ს მნიშვნელობა იოანეს 1:1-2-ის კონტექსტში სხვადასხვანაირად ესმის ჯერ კიდევ ამ ორ ქრისტიან ეგზეგეტს მთანმიდელებამდე და პეტრინამდე ბევრად ადრე. ეს განმარტებები და მათი განსხვავება, სავარაუდოდ, ზედმინევნით იცოდნენ მთანმიდელებამაც და შეგნებულად აირჩიეს თარგმნისას ისეთი ქართული სიტყვა, რომელიც გამოხატავდა იოანე 1:1-2-ის ოქროპირისეულ განმარტებას. სწორედ ოქროპირისეული განმარტება უნდა ყოფილიყო მათთვის საღმრთისმეტყველო საფუძველი თარგმნის პროცესში ტერმინების შერჩევისას.

ამასთან, მიმოვიხილავთ „აქაჲ“-სა და მისი ქართული შესატყვისების ლექსიკოლოგიურ მონაცემებს და ვაჩვენებთ, რომ საღმრთისმეტყველო არგუმენტის გარდა მთანმიდელებს სიტყვა „პირველის“ გამოყენებისას ჰქონდათ ასევე ლინგვისტური (ლექსიკოლოგიური) საფუძველი ორივე ენაში (ბერძნულსა და ქართულში). ყოველივე ამის გათვალისწინებით ვვარაუდობთ, თუ რა მიზეზით შეიძლებოდა აერჩიათ მათ „აქაჲ“-ს თარგმნისას სიტყვა „პირველი“, რომელიც პეტრინამ დაინუნა.

პეტრინისთვის პასუხის გაცემის შესაძლებლობა მთანმიდელებს, ბუნებრივია, არ ჰქონდათ. არც ცალკე მსჯელობის საგნად გვხვდება სადმე მათ ანდერძებში, თუ რის საფუძველზე აირჩიეს „აქაჲ“-ს ერთი ქართული შესატყვისი და დაინუნეს მეორე. ჩვენს მოხსენებაში ვცდილობთ რეკონსტრუქციას მთანმიდელთა იმ არგუმენტაციისა, რომლითაც, ჩვენი აზრით, ისინი უპასუხებდნენ პეტრინის კრიტიკას.

ჩვენი მიზანია, ამ საკითხზე კვლევა შემდგომშიც გაგრძელდეს და გაღრმავდეს. ამისთვის კი საჭიროა, კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ პრობლემის აქტუალობა, დავაფიქსიროთ უკვე დამკვიდრებული და გავრცელებული მეცნიერული აზრისაგან განსხვავებული პოზიცია და გამოვიწვიოთ მკვლევართა ინტერესი.

საკვანძო სიტყვები: იოანე 1:1-2, „აქაჲ“ , „პირველითგან“, „დასაბამი“, იოანე პეტრინი, გიორგი მთანმიდელი, ექვთიმე მთანმიდელი, იოანე ოქროპირი, კირილე ალექსანდრიელი.

**ესპანელ ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და
ფემინისტური მოძრაობა XX საუკუნის 50-70 - იან
წლებში.**

“ბიჭი შეხედავს სამყაროს, გოგონა შეხედავს სახლს.” ამ ფრაზაში ჩანს თუ როგორ შეაჯამა ფრანკოს დიქტატურამ რა როლი უნდა შეესრულებინათ ქალებსა და კაცებს ესპანურ საზოგადოებაში.

გენდერის პრობლემატიკის კვლევა ბოლო ათწლეულების მანძილზე განსაკუთრებით აქტუალური გახდა სამეცნიერო წრეებში. ბევრი ქვეყნის ისტორია დაინტერესდა ამგვარი საკითხების კვლევით, რაც მისასაღმებელია.

აღნიშნული საკონფერენციო თემა კი განიხილავს გენერალი ფრანცისკო ფრანკოს რეჟიმის შემდგომი პერიოდის ქალთა უფლებრივ მდგომარეობას უშუალოდ არსებული რეჟიმის მეორე ნახევარში.

ფრანკოს მმართველობისას ქალთა როლი ესპანურ საზოგადოებაში მკაცრად იყო შეზღუდული, განსაკუთრებით პოლიტიკაში, სამუშაო სფეროში და ოჯახში. სამოქალაქო ცხოვრებაში სრული უპირატესობით სარგებლობდნენ მამაკაცები, მაგრამ ასევე აღსანიშნავია თუ როგორ ნელ-ნელა იცვლებოდა ყველაფერი 1950-იანი წლების დასაწყისიდან, რაც 1960-იანი და 1970-იანი წლების განმავლობაში კიდევ უფრო ფართოვდება.

ფრანკოს რეჟიმის დროს ქალების ძირითადი როლი იყო მხოლოდ დედობა და ცოლობა, ასევე კარგი კათოლიკეობა, მათი როლი გამოკვეთილი იყო მხოლოდ ოჯახში, ხოლო საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური სფეროები მათთვის პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო. ეს ტრადიციული სქესობრივი როლები გამყარებული იყო სხვადასხვა კანონით. შექმნილი იყო სპეციალური სახელმძღვანელოები, რომლებიც ქალებს ასწავლიდნენ, როგორ უნდა ყოფილიყვნენ “საუკეთესო ცოლები”, რაც მათ მოვალეობებს საზღვრავდა, მაგალითად — მოემზადებინათ გემრიელი საჭმელი, მოეწყოთ სახლი და მიეხედათ ყოველდღიური საქმეებისთვის.

თუმცა, უკვე 1950-იანი წლებიდან დაიწყო ქალთა უფლებე-

ბის და მათი სამუშაო, პოლიტიკურ და სოციალური როლის გაძლიერების პროცესი.

პერიოდულად დაიწყო ქალთა დაშვება მხოლოდ ისეთ სამუშაოებში, რომლებიც არ იყო მათი “სხეულისათვის საშიში”, მძიმე და რთული, რაც გამოიწვევდა სხეულის დაზიანებას და შეუშლიდა რეპროდუქციულ ფუნქციებს საფრთხეს. მიუხედავად იმისა, რომ ქალებს ნელ-ნელა შეეძლოთ დასაქმება, მათი შრომა ძირითადად არასასურველ და ტრადიციული შრომის ბაზრის გარეთ განხორციელებულ სამუშაოებს ითვალისწინებდა. ამ პერიოდში დასაქმებული ქალების უმრავლესობა განიცდიდა ზენოლას, რადგან მათ არ ჰქონდათ დასვენების დრო, ანაზღაურება არ იყო რეგულირებული და ხშირად უმეტესობა არ იყო დაცული სამართლებრივი გარანტიებით.

ასევე, უნდა ითქვას, რომ პოლიტიკაში ქალთა აქტიურობა ამ პერიოდში მინიმალური იყო. 40 წლის განმავლობაში ფრანკოს დიქტატურის პირობებში, მხოლოდ 13 ქალი მუშაობდა ესპანეთის კორტესებში. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა ძირითადი როლი მაინც ოჯახის გარშემო რჩებოდა, აქაც კი არ იყო მათი უფლებები დაცული, რადგან ქორწინების დროს ქმარი იყო ოჯახის “ხელმძღვანელი”, არ ჰქონდათ არანაირი გარანტიები არასასურველი ქორწინებიდან თავის დასაღწევად.

თუმცა, 1961 წელს ქალების პოლიტიკური, პროფესიული და შრომითი უფლებების შესახებ ახალი კანონი ამოქმედდა, რომელიც ქალებს უფრო მეტ შესაძლებლობებს აძლევდა, თუმცა, მათ დასაქმებას კვლავ სჭიროებოდა ქმრის ნებართვა.

მიუხედავად ამისა, 1960-იან წლებში დაიწყო პროგრესის ნიშნები, რომლებიც დაკავშირებული იყო ინდუსტრიალიზაციასთან და ქვეყნის დიდი ქალაქებისკენ მოსახლეობის გადინებასთან. ამ პროცესებმა ქალებს გზა გაუხსნა დასაქმების არეალი გაეფართოვებინათ.

1975 წლის შემდეგ, როცა ფრანკო გარდაიცვალა, ესპანეთში დაიწყო დემოკრატიული რეფორმები, რომლებმაც ქალების პოლიტიკური და სოციალური უფლებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. მაგალითად, 1975 წელს მიღებული კონსტიტუციით ქალებს მიეცათ სრული პოლიტიკური უფლებები და შეეძლოთ მონაწილეობა აეღოთ არჩევნებში.

ასევე, 1975 წელი იყო გარდამტეხი, რადგან გაერომ ეს წელი ქალთა საერთაშორისო წლად გამოაცხადა. ეს მოვლენა დიდი მხარდაჭერა აღმოჩნდა ფემინისტური მოძრაობისთვის, რამაც

ხელი შეუწყო ქალების უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის იდეების უფრო ფართო გავრცელებას.

თუმცა, მიუხედავად კანონმდებლობის ცვლილებისა და მიუხედავად იმისა, რომ ქალებმა მიიღეს მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური უფლებები, რამაც გააძლიერა მათი საზოგადოებრივი როლი, ესპანური საზოგადოების კულტურაში გენდერული თანასწორობის მიღწევა მაინც ნელ-ნელა მოხდა. ქალები კვლავ განიცდიდნენ სექსუალურ და სოციალურ დისკრიმინაციას, რაც ცხადად გვიჩვენებს, რომ კანონმდებლობის ცვლილება არ იყო საკმარისი სრული ცვლილებისათვის. მიუხედავად ამისა, 1970-იანი წლებიდან ფემინისტური მოძრაობა ძლიერდებოდა და უკვე 1978 წლის კონსტიტუციამ მიანიჭა ქალებს სრული პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ ეს ცვლილებები ნელი ტემპით მიმდინარეობდა და სოციუმს დიდი დრო დასჭირდა იმისთვის, რომ რეალურად აღიარებოდა ქალთა უფლებები და მათი მნიშვნელობა.

ქეთევან სირაქე

ქართული ენის ფენომენი

ილიას თქმით, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული ენაა.“ ენა გამოხატავს ერის სულიერ მდგომარეობას. „ენა წმინდა რამაა, მაგას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოს“. ერის სულისკვეთება, მისი ცნობიერება აისახება ენაზე და პირიქით, ენაც ახდენს, თავის მხრივ, გავლენას ერზე. „ენა სულია ერისა“, - ეს გერმანელი მოაზროვნის, ვილჰელმ ჰუმბოლტის, ცნობილი დებულებაა. ენა ერის არსს გამოხატავს. ქართლის ცხოვრებაში „ერნი და ენანი“ ერთი მთლიანობაა. ასევეა წმინდა წერილშიც: ეს ორი რამ ერთიანობაშია გააზრებული. იოანეს გამოცხადებაში (14.6) ვხედავთ ცასა და ქვეყანას შორის მფრინავ ანგელოზს, რომელსაც უპყრია მარადიული სახარება ამქვეყნიერების მკვიდრთათვის, რათა ახაროს ყველა ერსა და ენას.

ბიბლიური შესაქმის თანახმად, თავდაპირველად „იყო ყო-

ველი ქუეყანა - ბაგე ერთ და ჴმა ერთ ყოველთა.“ (შესაქმ. 11:1), რაც გულისხმობს იმას, რომ მთელ კაცობრიობას ერთი ენა ჰქონდა. ეს ნიშნავს, რომ ყველა ადამიანი ლაპარაკობდა ერთი და იმავე სიტყვებით და ერთი და იმავე ენით. და სწორედ ეს არის ნათქვამი მეტყველებაზე: „და იყო მთელი ქუეყანა ერთი პირი“. ამის შესახებ საუბრობს იოანე ოქროპირი შესაქმეთა განმარტებებში. თუ მარტინ ჰაიდეგერის თეორიას მოვიხმობთ, რომელიც ამბობს, რომ სხვადასხვა ენაზე მეტყველება იშნავს სხვადასხვა ცნობიერებას, წარღვნისშემდგომ ადამიანთა მიერ სამყაროს აღქმა იყო თავდაპირველად ერთი. ერთი ენა ნიშნავს ერთ ცნობიერებას, ერთობას აზროვნებისა. „და იყო, ძრვასა მათსა აღმოსავლით გამო ჰოვეს ველი ქუეყანასა სენარისასა და დაემკვდრნენ მუნ.“ (შესაქმ. 11:6) ეს არის ქალაქი ბაბილონი. ბაბილონის გოდოლის მშენებლობაში ჩანს, თუ როგორ ვერ ეგუება ადამიანი თავის საზღვრებში ყოფნას, როგორ უნდა მეტი და მეტი. ეს სწრაფვა ანადგურებს ადამიანებს. ისინი ოცნებობენ იმაზე, რაც მათზე მაღალია. იგივე დაემართა ამ ხალხს. იგივეა დღესაც; როდესაც ამპარტავნება იპყრობს ერს, მისი წევრები ერთ ენაზე აღარ საუბრობენ, ირღვევა იმგვარი ერთობა, რასაც ერთ ენაზე საუბარი ჰქვია. ასეთ ერთობას ნატრულობს ილია: მოვესწრებით ჩემს სამშობლოში : „ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?“

ეფრემ ასური წერს: რაში სჭირდებათ სამოთხეში აღმავალი გოდოლი, როდესაც მათ ჰქონდათ აღთქმა, რომ აღარ იქნებოდა წარღვნა? ამბობენ, რომ არ გავიფანტოთ დედამიწაზე, არადა ვინ უნდა გაფანტოს ისინი, როცა მათ გარდა არავინ იყო? მაგრამ მათ მიერ ნათქვამიდან: „და ვყოთ თავთა თვსთად სახელი პირველ განთესვისა ჩუენისა პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა.“ ირკვევა, რომ ამპარტავნებამ აღძრა ისინი, აეშენებინათ ქალაქი და გოდოლი, ხოლო მათი მშენებლობა შეჩერდა მათ შორის წარმოქმნილი განხეთქილების გამო. ანუ ენათა განყოფა არის შედეგი ამპარტავნებისა და ცოდვისა. ენათა აღრევა გულისხმობს ადამიანთა საერთო ცნობიერების მორღვევას. ისინი სხვადასხვა ფოკუსით ხედავენ უკვე სამყაროს და მაშ, რატომ გვიკვირს დღეს, თუ ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვა კუთხით ვაფასებთ.

როგორც მოგვეხსენება, ბიბლიური შესაქმეთა ამბავი თანხვედრაშია ენეთმეცნიერთა თეორიასთან ენების საერთო წინაპრის შესახებ. ასევე ძალზე საგულისხმოა სულთმოფე-

ნობა და მოციქულთა მიერ სხვადასხვა ენაზე ამეტყველების ეპიზოდი. საგულისხმოა, რომ მომსწრეთა შორის არ ჩანან ქართველები, არამედ ჩანან „პართნი და უჟიკნი და ელამიტელნი და მკვდრნი შუა მდინარისანი ჰურიასტანისანი და კაბადუკიადსანი, ჰონტოფსანი და ასიადსანი,“ აქ ძალაუნებურად გვახსენდება წმინდა ნინო კაბადოკიელი. ბაბილონის გოდოლის მშენებლობა განყოფს ერებს, ხოლო მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე ქადაგებს ერთობას და ერთ საწყისთან მიახლებას. ხოლო ყველაზე დიდი ერთობა ამქვეყნად არის ერთობა ქრისტეში. პავლე მოციქული წერს: „არა არს ჰურიება, არცა წარმართება; არა არს მონება, არც აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუს მიერ“ (გალ. 3:28).

ახლა კი საკუთრივ ქართულ ენაზე: გაქრისტიანება - ეს იყო უდიდესი გადატრიალება ქართული ენის ისტორიაში. „ახალმან ნინომ მოაქცია“ ენაო, წერს იოანე ზოსიმე ენის სადიდებელში: „ქებაი და დიდება ქართულისა ენისაი“. რატომ უწოდა ავტორმა ნინოს „ახალი“ და რას ნიშნავს ენის მოქცევა? „ახალი აღთქმა“ ახალ სარწმუნოებას - ქრისტიანობას ქადაგებს. წმინდა, ხოლო ნინო ახალი სარწმუნოების ქადაგებით თავად იქცევა სიახლის შემომტან სახედ: მისი წყალობით დაეფუძნა სვეტიცხოველი (ნათლის სვეტი - სიმბოლო ღვთაებრივი სულისა), აიგო ახალი აღთქმის ტაძარი - სვეტიცხოველი, აღიმართა ჯვრები, მოინათლა ერი და გაქრისტიანდა ენა. ენის გაქრისტიანება ნიშნავს „ახალ“ რჯულზე მოქცევას: იმას, რომ ითარგმნა ბიბლიური წიგნები, სახარება, ფსალმუნები და ბოლოს: ღვთისმსახურება დანესდა ქართულ ენაზე. ამრიგად, ერის გაქრისტიანება ენის გაქრისტიანებასაც გულისხმობს. ქართულ ენას დაეკისრა სრულიად ახალი რამ: სიღრმისეულად გამოეხატა ქრისტიანული სამყარო. ენას უნდა წარმოეჩინა ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც მანამდე მას არ გამოემჟღავნებინა. ეს იყო უდიდესი გარდატეხა, როგორც არასდროს არ მომხდარა ქართული ენის ისტორიაში, არც მანამდე და არც შემდგომ. (რ. სირაძე) ეს იყო ქართული ენის უდიდესი გამოცდა: მას თავის თავში უნდა დაეთია უდიდესი რამ, ეტვირთა ახალი რწმენა და ახალი სიბრძნე. ამით გახდა ქართული ენა სრული და ეს სისრულე შესძინა ახალი რჯულის გათავისებამ.

ზემოთ უკვე ვახსენეთ მარტინ ჰაიდეგერი, რომელიც წერდა, ენა შემოქმედებააო. ყოველი ენა თავისებურად გამოხა-

ტავს სინამდვილეს. სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები სხვადასხვაგვარად ხედავენ სამყაროსო, ხოლო ამ მოვლენაში უნდა დავინახოთ უდიდესი რამ: ენა მოქცევით იბრუნებს განყოფამდე მატარებელ სულიერ ძალმოსილებას.

და, აი, გადის ქრისტიანობის დამკვიდრებიდან რამდენიმე ასწლეული და გიორგი მერჩულე, ავტორი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ იტყვის: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითაი ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ ანუ საქართველო არის იქ, სადაც ქართულ-ენაზე მიმდინარეობს წირვა-ლოცვა. გრიგოლ ხანძთელის ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ეროვნული თვითმყოფადობის სამი დასაყრდენი: მამული - ქართლი, ენა - ქართული და სარწმუნოება - ჟამის წირვა, რომელთაც ილია ქავჭავაძე მოგვიანებით სამ ღვთაებრივ საუნჯეს უწოდებს.

ვილჰელმ ჰუმბოლტის თქმით, ენა არის ენერგიაო. რამდენადაც იყენებს ერი ენობრივ პოტენციალს, იმდენად იმუხტება იგი ამ ენერგიის წყალობით. მაგრამ რა მატებს ძალას ამ ენერგიას? სხვადასხვა ეპოქაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ენას ამდიდრებენ უდიდესი განმანათლებელი, მთარგმნელები თუ მწერლები, რომლებიც მას სძენენ ახალ ძალას. ვაჟა-ფშაველა წერდა („ენა“): ასეთებად ჩვენთვის მხოლოდ შოთა რუსთაველი და დივით გურამიშვილიც კი კმარაო. ქართული ენის ენერგია, მისი პოტენციალი ჩანს ამ მწერალთა შემოქმედებაში... ქართველი ერისათვის „ვეფხისტყაოსანი“ არის მისი ცნობიერების საფუძველი. ნაწარმოები შეგვაგრძნობინებს როგორც მწერლის სულიერ სიდიადეს (ვაჟა-ფშაველას სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „ენა სახეა მწერლისა... მისი სული“), ასევე ქართული ენის ძალმოსილებას. „ვეფხისტყაოსანი“ სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა ქართული ყოფიერებისათვის.

თუმცა „სადაა არის ეხლა ქართული ენა?“ - ილიას ეს კითხვა აქტუალურია დღესაც („ზოგიერთი რამ“). რატომ დაკარგა ენამ თავისი ძალა, ის ენერგია, ის სისავსე, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ? ენა დაგვიმუნჯდა და დაგვიკოჭლადაო, დასძენს მწერალი, რადგან: „მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო კი გონებითი ცხოვრებაა“ და ქართველებმა კი დავკარგეთ ეს გონებითი ცხოვრება, რადგან „განვთვითეულდით“, დავივინყეთ ერთობა და ერთობის დაკარგვამ გამოგვაცალა ენერგია. ხოლო ერის სულიერი მდგომარეობა აისახება ენაზე.

„დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოს-

ვლისა მესიისა სანამებელად. რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა, “ - აქ ენა, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უმდა ნიშნავდეს ერთიან ქართულ სულს, განწმენდილს, პირველსაწყის მდგომარეობასთან მიახლებულს, მკვდრეთით აღმდგარს, მსგავსად ლაზარესი და მიანიშნებს ქართველი ერის ეროვნულ მისიაზე.

ია ხაჭაპურიძე

ჟან რასინის “ფედრას” ვერსიფიკაციული ანალიზის ზოგიერთი საკითხისათვის

XVII საუკუნის ფრანგული კლასიციზმი წარმოადგენს ლიტერატურული აზროვნების უმნიშვნელოვანეს ეტაპს, სადაც პოეტური ფორმის სრულყოფილება, ვერსიფიკაცია, როგორც პოეტური ტექსტის ორგანიზების სისტემა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

კლასიციზმის ეპოქაში. ფრანგული კლასიციზტური დრამატურგია, კერძოდ კი ტრაგედიის ჟანრი, ეფუძნება მკაცრად რეგლამენტირებულ პოეტურ პრინციპებს.

ჟან რასინის “ფედრა” (1677) არის ამ ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში, წარმოადგენს ფრანგული კლასიციზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს, რომელიც გამოირჩევა არა მხოლოდ თავისი დრამატული სიღრმით, არამედ განსაკუთრებული ვერსიფიკაციული თავისებურებებით. რომელშიც ვერსიფიკაციული ოსტატობა უმაღლეს დონეზეა წარმოდგენილი.

რასინის “ფედრას” ვერსიფიკაციული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნაწარმოებში:

1. მკაცრადაა დაცული კლასიციზტური პოეტიკის ყველა ძირითადი პრინციპი
2. ვერსიფიკაციული ელემენტები ემსახურება დრამატული ეფექტის გაძლიერებას
3. ფორმალური სრულყოფილება ჰარმონიულადაა შე-

რწყმული შინაარსობრივ მხარესთან

4. პოეტური ტექნიკა წარმოადგენს კლასიციზმის პოეტიკის სრულყოფილ ნიმუშს

5. ტრაგედიის სტროფული წყობა წარმოაჩენს მონოლოგებისა და დიალოგების განსხვავებულ ვერსიფიკაციულ ორგანიზებას. მონოლოგებში გამოვლენილია სტროფული თავისუფლება, ხოლო დიალოგებში დაცულია სიმეტრიული სტრუქტურა,

კვლევა ადასტურებს, რომ რასინის “ფედრაში” ვერსიფიკაციული ელემენტები წარმოადგენს არა მხოლოდ ფორმალურ საშუალებებს, არამედ მნიშვნელოვან მხატვრულ ფუნქციას ასრულებს დრამატული ეფექტის გაძლიერებისა და პერსონაჟთა ხასიათების, ემოციური მდგომარეობის გამოკვეთის თვალსაზრისით.

“ფედრას” ვერსიფიკაციული სისტემა წარმოადგენს კლასიციზტური პოეტიკის სრულყოფილ ნიმუშს, სადაც ფორმა და შინაარსი ჰარმონიულ მთლიანობას ქმნის.

მაია ბარამიძე

ზოგიერთი ლექსიკური არქაიზმი სამხრულ დიალექტებში

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქოროხის აუზი არის ერთიანი კულტურული სივრცე. ამ არეალის ქართულს ვწოდებთ სამხრულ მეტყველებას. ქოროხის აუზის ქართულის დიფერენციაციის შედეგია სამხრული დიალექტები: აჭარული, შავშური, კლარჯული, ტაოური. სამეცნიერო ლიტერატურაში არის სხვაგვარი კლასიფიკაციაც.

ტერმინი - სამხრული კილოები//დიალექტები უფრო მოხერხებულია და რეალობის ამსახველიც. სპეციალურ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ თურქეთის საქართველოს მკვიდრთა მეტყველება არის ერთიანი და მას მეცნიერთა ერთი ნაწილი იმერხეულ დიალექტს უწოდებს (მარი; გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე; მარტიროსოვი), მეორე - იმერხეულთან ერთად კლარჯულს (თოფურია; ჯორბენაძე).

ამჟამად აჭარულის გარდა სხვა სამხრული დიალექტები ძი-

რითადად თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებშია. საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებშია კლარჯეთის სამი სოფელი: მირვეთი, ქვემო მარადიდი, კირნათი და ისტორიული შავშეთის ნაწილი - მაჭახლის ხეობის ქვემო ნელი.

მართალია, ბევრგან ქართული დავიწყებულია, მაგრამ იქ, სადაც ჯერ კიდევ ახსოვთ და ლაპარაკობენ ქართულად, მათ მეტყველებაში ბევრ ისეთ გრამატიკულ მოვლენას თუ ლექსიკურ ერთეულს გადავანწყდებით, დღევანდელ სალიტერატურო ქართულსა და მის სხვა დიალექტებში რომ აღარ გვხვდება, სამხრულმა კი შემოგვინახა.

ამჯერად განვიხილავთ სამხრულ დიალექტებში დადასტურებულ ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულს, რომლებიც არქაიზმებად შეიძლება ჩაითვალოს.

● შენება, შცნება ძველ ქართულში გარდა აშენება, აგებისა' ნიშნავდა კეთებას, მისი სინონიმია ქმნა'. ტაოურში აშენება, აშენებული' სწორედ გაკეთების, გაკეთებულის' მნიშვნელობით დასტურდება: კეცები იყო წინწინ მიწიდან აშენებული, თიხადან (ქუაბაგი).

● უფროსის' მნიშვნელობით ტაოურში არის თავადი': დედმა გაყო იშტე, სახლის თავადმა (სადგიყანა).

ძველ სალიტერატურო ქართულში თავადის' ერთ-ერთი მნიშვნელობაა სწორედ „თავი“, მეთაური: „იგი არს თავადი (თავი) ყოვლისა მთავრობისაჲ“ კოლ. 2,10. ძველ ქართულში სინონიმებია: თავადი, თავი, მთავრობა' მთავარი'.

● მიტოვებულის, მიტოვების, დატოვების' შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება რიცხვში მონაცვლე გდება//ყრა ზმნა: გაგდება, დაგდება//გაყრა, დაყრა.

მხოლობითის ფუძეს მიტოვების, დატოვების' შინაარსი აქვს ძველ ქართულშიც. ძველი ქართული ტექსტების პარალელურ რედაქციებში ერთმანეთს ენაცვლება დაგდება, განგდება, დატევება'...

ამ კაცმა სახლი გააგდო და სხვაგან წევდა (ელიასხევი); ერგან იქნებიან დადეები გოგოს უკან, სამი ღამე გათამდება, წავლენ და გააგდებენ იმას (ცუცეკარი); დაბლა ჩონი ქოხია, ჩემმხლა, დავაგდეთ (ჭედლიანკარი).

აქ ბევრი ყანა დაყრილია, დაყარეს, წევდეს... დაყრილია, ხინძანი ვის უნდა... ქალები ახლა დაყრილია; იმის მერე გავყარენით აქევრობა, სხუანი აძოვებენ (ელიასხევი).

● სხმა' პირდაპირი ობიექტური პირის რიცხვის მიხედვით მონაცვლე ფუძეა ყვანა' ზმნისა. ადამიანის მიმართ ის დღეს თითქმის აღარ იხმარება. ტაოურს დაუცავს არქაული ვითარება: არაბა მიხყავს, მაასხამს (გოდლეკარი); გურჯები მუასხი და! (იეთი); ვინ დაგასხათ (=მოგიყვანათ) აქა? (ფიშნარხევი).

● შეშა//შიშა არქაული მნიშვნელობით (ხე') ფართოდ არის გავრცელებული თურქეთის კლარჯულში, საერთოდ სამხრულ კილოებში, გარდა აჭარულისა. არ გვხვდება იგი კირნათ-მარადიდის მეტყველებაში.

მოპოვებული მასალის მიხედვით იკვთება ტენდენცია – „შეშა“ გამოიყენონ ძველი, არქაული მნიშვნელობის გადმოსაცემად:

შეშით არი თქვენი სახლები? (ჩაქველთა); უნინ შეში(ს) გობში ვხელდით (ბაზგირეთი); დავხრესავთ იმა შეში(ს) გობში(ჩაქველთა); ეს შეშის გაკეთებულია, თეფშ ვეტყვით (შავშეთი); ხე იგულისხმება შემდეგ წინადადებაშიც: შეშასავით დადიან ფალაზები (ზიოსი).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ხე სიტყვის მნიშვნელობით თავდაპირველად იხმარებოდა შეშა, რომლის გამოყენება შემდეგში თანდათან დავიწროებულა“. მივსცენით წმიდასა მას მონასტერსა, რომელნი არიან ესე. . . და ჯუარი სხუად შეშისაჲ. . . სხუად ხატი ერთი დიდი შეშისაჲ და სხუად ხატები შეშისაჲ (ტიპ.34ა79,11); ეგზომ ჯობდა იგი სახლი, რომელ პირველი ვითა ბედითი შეშისა ყოფილიყო(ამირ.86).

● ძველი ქართულია ამოსავალი სიტყვისთვის გაგამთელებს: ილაჯია, ავათ გახდები, სვამ, გაგამთელებს (მანატბა). მთელი' მომდინარეობს სიტყვისაგან მრთელი', რომელიც ძველ ქართულში ნიშნავდა ჯანმრთელს, შესაბამისად: განმრთელება - განკურნებას: ვევედრე ღმერთსა განმრთელებისათვის თქუენისათვის (მამ. ცხ.116,21).

● ქორი: მევღალე, ქორში ვიყავ, თივა შევყარე, ზამთარში ძროხას მივართმევ (ხევნრული); ამა ქორ ვეტყვით ჩვენ, თივას ვინახავთ (იფხრეული); ქორებ ავავსებთ თივით (ბაზგირეთი); ქორი ადა, მერეგსაც ვეტყვით... საბძელსაც (ჩაქველთა).

ქორი ძველი ქართული სიტყვაა, მისი მნიშვნელობაა „ზედა სახლი, ზედა სართული“. თვით შავშელთა განმარტებით ჩანს, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა განსხვავდება მისი ძველი ქართულის მნიშვნელობისაგან. „ქორის“ მნიშვნელობას შავშეთში (იმერხევეში) და მის გავრცელებულობას საქართველოში

განიხილავს რ. გუჯეჯიანი.

სამხრულ დიალექტებს სხვაც არაერთი ლექსიკური თუ გრამატიკული არქაიზმი შემოუნახავს და მათი შემდგომი კვლევა ბევრ საინტერესო მასალას წარმოაჩენს.

ლუიზა ხაჭაპურიძე

რამაზ ხაჭაპურიძე

პურის კულინარიული ტრანსფორმაცია გასტრონომიულ კულტურაში (საქართველოსა და მსოფლიოს მაგალითები)

პური მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არა მხოლოდ საკვები პროდუქტია, არამედ კულტურული სიმბოლო, რომელიც ისტორიულად ასახავს ხალხთა ეკონომიკურ მდგომარეობასა და სოციალურ კავშირებს.

პურისგან დამზადებული კერძების მრავალფეროვნება გვთავაზობს საერთო კულტურულ მოტივს, რაც გვაფიქრებს სხვადასხვა ხალხის მიერ მის მრავალჯერად გამოყენებაზე, რაც, ხშირად, ეკონომიურ და ეკონომიკურ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული.

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-შედრებით მეთოდსა და ეთნოგრაფიულ მასალებს, ლექსიკოგრაფიულ წყაროებსა და კულინარიულ პრაქტიკებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პურის მეორადი გამოყენების ტრადიციებს სხვადასხვა კულინარიულ კონტექსტში.

პურის კულინარიული ტრანსფორმაციის ტიპოლოგია

1. სითხეში დამბალი პური : ყოლო, ბოღლიწო, პურ-საჭამა(ნ)დი, პურ-ჩაყრილი, გორდილა
2. თერმულად დამუშავებული პური: თათარბერაკი, მა-ნდარი, ყიყლიყო/ ტაფამწვარი/ შანთრაქი , პურის ხარჩო
3. კულტურულ-რიტუალური კონტექსტი: განსაკუთრებით საყურადღებოა ბოღლიწოს რიტუალური დანიშნულება, ათეი-

ზმის მმართველობის დროს მოსახლეობა მას ზიარების საპირწონედ იყენებდა მომაკვდავი ადამიანისთვის.

პურისგან დამზადებული კერძები სხვა კულტურებში ბრიტანული პურის სოუსი (Bread Sauce), იტალიური რიბოლიტა (Ribollita), ფრანგული კრუტონები (Croutons), ამერიკული სტრატა (Strata)...

მსოფლიოს მრავალ კულტურაში პურისგან დამზადებული კერძები წარმოადგენენ კულინარიული ტრადიციების, ეკონომიურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს. პურის მეორადად გამოყენებით დამზადებული კერძები აჩვენებს, რომ მიუხედავად გეოგრაფიული და კულტურული განსხვავებებისა, ხალხებს საერთო მიზანი აქვთ: სასიცოცხლო რესურსების მაქსიმალურად გამოყენება.

გიორგი ბარნაბიშვილი

“მითოსური ორეულების“ კიდევ ერთი ასალი ნიშუმი (ოღისევისისა და კოლიფამოსის მითოსური სიუჟეტის ასახვა კავკასიური თქმულებებში)

თანამედროვე სამყაროში მითოსის შესწავლას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მითოგრაფოსები და ფოლკლორისტები მითის მრავალგვარ განმარტებას გვთავაზობენ, თუმცა ყველა ამ განმარტებას საფუძვლად უდევს მირჩა ელიადეს საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მითი არის ქეშმარიტი ისტორია იმისა, რაც ხდებოდა ადრეულ ხანაში და რაც მუდმივად განმეორებადია. (მირჩა ელიადე - მითები, სიზმრები და მისტერიები, 2018 წელი) ამდენად, მითი არის ერთ-ერთი საშუალება ადამიანის მიერ რეალობის გააზრებისა. ამ დასკვნის გაკეთების საშუალება მკვლევრებს მას შემდეგ მიეცათ, რაც აღმოჩნდა მითოლოგიურ სახეთა მსგავსების მრავალი ფაქტი მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორსა და ლიტერატურულ ტრადიციაში. ქართულ ფოლკლორისტიკაში განსაკუთრებული მსჯელობის საგანია ორი უმნიშვნელოვა-

ნესი მითოლოგიური პარალელი (პრომეთე-ამირანი; არტემისი-დალი). ჩემი მოხსენების მიზანია წარმოვადგინო კიდევ ერთი მითოლოგიური მსგავსების ნიმუში, რომელიც გარკვეულწილად შეემატება არგუმენტებს იმის თაობაზე, თუ რატომ ემსგავსებიან ერთმანეთს სხვადასხვა ხალხთა მითები.

დიდი ბერძენი ავტორის, ჰომეროსის, ქმნილებები როგორც ცნობილია ევროპული ლიტერატურის პირველ ძეგლებს წარმოადგენენ. სწორედ „ილიადასა“ და „ოდისეაშია“ უხვად გაბნეული ის ისტორიული, მითოლოგიური თუ ზღაპრული სიუჟეტები, რომლებიც ელინური მსოფლალქმის განუყრელ ნაწილებად გვევლინებიან. ამ სიუჟეტებს დაეძებნება პარალელები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა თუ წერილობით შემონახულ ლეგენდებში. მათ შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო ოდისეას ერთ-ერთმა მთავარმა სიუჟეტმა, რომელთანაც დაკავშირებულია ოდისევსის ათწლიანი ხეტიალი ოკეანოსის ტალღებში. ეს არის ოდისევსისა და ცალთვალა კიკლოპ პოლიფემოსის შეხვედრა, ბერძენი გმირის მიერ კიკლოპის დაბრმავება და ამის გამო, ზღვის მეუფის მრისხანება. სწორედ პოსეიდონი, პოლიფემოსის მამა, არ აძლევს ოდისევს შინ დაბრუნების საშუალებას მთელი ათი წლის განმავლობაში. ამ ერთი შეხედვით უბრალო ამბავზეა აგებული მთელი ეპოსი, რომელიც დღემდე სამოგზაურო ჟანრის უბრწყინვალეს ნიმუშადაა აღიარებული.

ამ სიუჟეტით დავინტერესდი მას შემდეგ, რაც წავიკითხე 1900 წელს, გაზეთ ივერიის N75- ში ი. ფარცხავას მიერ გამოქვეყნებული უსათაურო სტატია, რომელსაც რედაქციამ სახელად „შენიშვნა“ შეურჩია. სტატია განთავსებულია გაზეთის მეორე და მესამე გვერდებზე სტატიაში ავტორი აკრიტიკებს ცნობილი მეცნიერის, ნიკო მარის მოსაზრებას, რომელიც მკვლევარს მის ნაშრომში *“Возникновение и расцвет древне-грузинской свѣтской литературы”* აქვს დაფიქსირებული. ი. ფარცხავას მოჰყავს კიდევ მარის გამოკვლევის ამონარიდის მისეული თარგმანი, რომელშიც მეცნიერი ავითარებს მოსაზრებას, რომ ქართველებს ბერძნული ლიტერატურის ძეგლების შუასაუკუნეობრივი თარგმანები არ უნდა ჰქონოდათ. ამის საპასუხოდ სტატიის ავტორი ამბობს, რომ „ [ნიკო მარის] ეს დასკვნა რამდენად სამართლიანია, არ ვიცი, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ოდისეის შესახებ ქართულათ ვრცელი ზღაპარი არსებობს.“ ავტორს ამ მოსაზრების გასამყარებლად მოჰყავს იმ

ზღაპრის სათაური და მცირე შინაარსი, რომელიც თავად ბავშვობაში აქვს მოსმენილი ვინმე ბესარიონ ჯანელიძისგან. კერძოდ, ზღაპარში მოთხრობილია ცალთვალა „ძალთაპირის“ შესახებ, რომელიც ძალიან ჰგავს თავისი შინაარსით ჰომეროსის „ოდისეაში“, კერძოდ, მე-9 სიმღერაში განვითარებულ თხრობას, სადაც წარმოდგენილია ოდისევსისა და კიკლოპ პოლიფემოსის ამბავი. რომ დავუბრუნდე სტატიის ავტორს, იგი ამბობს, რომ ბესარიონ ჯანელიძე, რომელმაც „ძალთაპირის“ ამბავი უამბო მას, დედ-მამასთან ერთად იყო გადმოსახლებული ქუთაისის ჩრდილოეთით მდებარე სოფლიდან, „კინჩხიდგან“ (თანმ. კინჩხა). მისი თქმით, ამ კაცმა წერა-კითხვაც კი მის ოჯახში ისწავლა და „ერთი ღერი“ რუსულიც კი არ იცოდა. დამატებითი ინფორმაცია ავტორს იმ მოსაზრების გასამყარებლად მოჰყავს, რომ შეუძლებელი იქნებოდა ამგვარი განათლების მქონე, როგორც ის უწოდებს „ტლუ გლეხს“ წაეკითხა ჰომეროსის „ოდისეა“. ი. ფანცხავა სტატიის დასასრულს იმ განცვიფრებასაც იხსენებს, რომელიც მან გიმნაზიაში „ოდისეას“ წაკითხვის შემდეგ მიიღო. სწორედ მაშინ გაახსენდა ზღაპრის გმირი, სახელად „ძალთაპირი“. იგი მკითხველს სთხოვს, რომ თუკი ეს ზღაპარი უფრო ვრცლად აქვს გაგებული, იქნებ გამოაქვეყნოს.

ამ სტატიის გაცნობის შემდეგ დავინყე ძიება ქართული ზღაპრისა, რომელშიც დაფიქსირებული იქნებოდა ოდისევსისა და პოლიფემოსის მითის ანალოგიური სიუჟეტი. აღმოჩინდა რამდენიმე თქმულება, კერძოდ: რაჭაში, სოფელ ნიკორწმინდაში, ელენე პეტრიაშვილი-გეგეშიძის მიერ მოყოლილი ზღაპარი „ძალთა პირი“, ასევე 1949 წელს ელენე ვირსალაძის მიერ ცხინვალის რაიონის სოფ. ქემერტის მცხოვრები კატო ხიდაშელის მიერ მოყოლილი ზღაპარი სახელად „დაბრმავებული დევისა“. გარდა ამისა, ქართული ზღაპარი სახელად „მეცხვარე ბრმა დევი და ფიქრის შეგირდი“, რომელიც მართალია, სრული სიუჟეტით განსხვავებულია ბერძნული მითისგან, მაგრამ მასში აშკარად იგრძნობა აღნიშნულის გავლენა. გარდა ქართული სინამდვილისა, ჰომეროსისეული სიუჟეტი გვხვდება სომხურ ზღაპრებში, კერძოდ, „სომეხი დევი“. სამხრეთ კავკასიის გარდა ამგვარი სიუჟეტები გვხვდება ჩრდილოკავკასიურ მოსახლეთა ნართებში, მაგალითად: ოსურში, „თქმულება ურუზმაგსა და ცალთვალა დევზე“, ასევე ინგუშურში, „კოჭლი მგზავრის საოცარი თავგადასავალი“ და ა.შ.

მოსხენების მიზანია წარმოვადგინო მოძიებული თქმულებები ცალთვალა გოლიათზე და შინაარსობრივ-სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე დავადგინო მათ შორის ასებული მსგავსება. ეს საშუალებას მოგვცემს სხვა ბერძნულ-კავკასიურ ე.წ. „მითოსურ ორეულებს“ შევმატოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ორეული „პოლიფემოსი - ცალთვალა დევი (ძალღთაპირი, დევი, ვამპალი და ა.შ.)“ , რომელიც თანამედროვე ქართული ფოლკლორისტიკისათვის უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება. ასევე საინტერესო იქნება იმის გამორკვევა, აღნიშნული სიუჟეტი საქართველოსა და ზოგადად კავკასიის რეგიონში ძველი ბერძნული ლიტერატურული გენიის თარგმანის გზით უნდა შემოსულიყო და გავრცელებულიყო თუ კავკასიის რეგიონის ხალხთა ტრადიციულ ნარატივში თვითმყოფადად უნდა ჩამოყალიბებულიყო.

ნარი ჩხაბარიძე

ღვთისმსახურების ქართულ სახელდებაში აღბეჭდილი მნიშვნელოვანი ასპექტები.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, საეკლესიო ღვთისმსახურება ქრისტიანობის ისტორიის უმთავრესი განმსაზღვრელი, მისტერიალური შემოქმედებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ჟამისწირვა, იგივე საღვთო ლიტურგია (ბერძ. Λειτουργία – საერთო სახალხო, საზოგადო საქმე. Λαός ერი, ხალხი, ἔργον – საქმე). საღვთისმსახურო პრაქტიკაში, ყველა ერი თავისი ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით გამოირჩევა ამა თუ იმ ეთნიკურ-ანთროპოლოგიური მახასიათებლებიდან გამომდინარე. ჩვენს კვლევაში, საგანგებოდ არის გამოთქმული თვალსაზრისი, ქართულ ეთნიკურ არეალში განვითარებული საღვთისმეტყველო-საეკლესიო კომპოზიტიური ტერმინების - „ჟამის-წირვისა“ და „მერმისის“ სემიოზისის ანალიზით ცალ-ცალკე და, ასევე მათი ერთობლივი კავშირის გააზრებითაც. აღიარებული განმარტებით, ქართ. ტერმინი „ჟამისწირვა“ განიხილება ოდენ დრო-ჟამითი ასპექტით – ვითარცა განსაზღვრულ დროს („ჟამის“, შდრ.: „ჟამნი“) საკითხავი

ლოცვების აღვლენა ("წირვა"). თუმცა, მსგავსად ბერძნული სა-
ეკლესიო ტერმინისა - ევქარისტია (მნიშვნელობით - „მადლი-
ერებისა და ლოცვის შეწირვა“), მისი ტერმინოლოგიურ-შინა-
არსობრივი გააზრებით ჟამისწირვა, უწინარესად ღვთისადმი
დროის შეწირვაზე უნდა მიგვითითებდეს. ეს არის - დრო, რო-
მელიც ღვთივობობებული ფასდაუდებელი საჩუქარია, და რომ-
ლის სათანადოდ ან უმართებულოდ გამოყენების გამო ისევე
მოგვეკითხება, როგორც ღვთისგან მიღებულ ტალანტთა და
მნათა მფლობელთ მოეკითხათ უფალი იესო ქრისტეს იგავებში
„ტალანტები“ (მათე 25: 14-30) და „ათი მნა“ (ლუკა 19: 12-27).

ამდენად, საღვთო ლიტურგიის ქართული სახელდება, რო-
გორც დროის შეწირვის ენობრივი მანიშნებელი, ღვთისმსახუ-
რების ერთ-ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციური აზრის
ლინგვისტური გამოხატულებაა. ადამიანს, გარდა ცოდნისა
და გამოცდილებისა ახასიათებს რწმენა, რომელიც სულიერი
მისწრაფებაა ინტუიციურად შეიმეცნოს ის, რასაც აზროვნება
ვერ სწვდება და ამ ღრმად შინაგანი, ცნობიერებისა და ქვეც-
ნობიერების ზღვარზე არსებული სწრაფვის გაცხადებას ენით
ახდენს.

სიტყვის მნიშვნელობის პირველადობის ბიბლიურ შეხედუ-
ლებაზე მსჯელობას აღარ განვაგრცობთ, წარმოვადგენთ მხო-
ლოდ მისი გავლენის შესახებ ადამიანური ენების აგებულების
სხვადასხვაობისა და კაცობრიობის გონითს განვითარებაზე,
ზოგადი ენათმეცნიერებისა და ენის ფილოსოფიის ფუძემდე-
ბელი გერმანელი ენათმეცნიერის, ვილჰელმ ჰუმბოლდტის
კონცეფციას, რომლის ძირითადი დებულებებია: ა) ენა არის
მსოფლხედვა;

ბ) ენა არის ერის სულის უშუალო გამოხატულება;

გ) ყოველი ახალი ენის დაუფლება ახალი მსოფლხედვის
შეძენაა.

ვფიქრობთ, ქართულმა ენამაც ერთ-ერთი ამგვარი ახალი
მსოფლხედველობა დაგვანახა ქართულ ტრადიციაში დამ-
კვიდრებული საღვთისმეტყველო ტერმინით - „ჟამისწირვა“.
იგი უძველესი ქართული ტერმინია, რომელიც იმ ცნობილი ფი-
უსეი (φύσει) თეორიის მეცნიერული პრინციპის მიხედვითაა
შექმნილი, სათავეს სოკრატესა და პლატონის ფილოსოფიაში
რომ იღებს. ამ პრინციპის თანახმად, ის თავისი ბუნების ზუსტ
შესატყვისობას შეესაბამება, ანუ „ჟამისწირვა“ მიგვანიშნებს
ჟამის, იმავ დროის შეწირვის შესახებ.

ტერმინ ჟამისწირვის ისტორიულობა გვაუწყებს მისი შექმნის ისტორიას, როგორც დროსთან დაკავშირებული რამ ნიშანი, რომლის წარმოშობა აფიქსირებს მარადისობისკენ მომზირალი ერის ცნობიერებას საღვთო ლიტურგიასთან მიმართებით. ამ ერმა ადამიანის ამქვეყნიურ მთლიან ცხოვრებას უწოდა „წუთისოფელი“. აღსანიშნავია, რომ, ზოგიერთ სიტყვაში „ჟამის“ სემანტიკურ მნიშვნელობად, ხშირად მოიაზრება სრულიად ისტორიული ცხოვრება. ამის დასტურია სიტყვა „ჟამთა-აღმწერელი“; რაც ისტორიული ამბების აღმწერ მემატიაწეს ნიშნავს (ქეგლ.V: 374). ასევე, მსგავსი სიტყვაა – ჟამიანობა. იგი შავი ჭირის ეპიდემიას აღნიშნავს (იქვე).

ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ საღვთო ლიტურგიის ჟამისწირვად დასახელებაც, ისეთი ყოვლისმომცველობითი განზომილების თვალსაზრისით ყოფილიყო მიჩნეული, როგორც ყოველივე ამქვეყნიურის, იმავე ისტორიული სრული დროის ღვთისადმი მიძღვნაშენიშნავა. ჟამისწირვის ტექსტებში იხსენიება სიტყვები: „შენნი – შენთაგან, შენდა შემწირველნი ყოველთა და ყოვლისათვის“, ანუ ამით ნათქვამია, რომ ადამიანი ყველაფერს ამქვეყნიურს უნდა სწირავდეს უფალს (შდრ. „შენდა შემწირველნი ყოველთა“), შესაბამისად სწირავს დროს, რომელიც თავისთავად არის ყოველივე ამქვეყნიურის მომცველი.

ჩვენს წინაპართა მიერ, ღვთივბოძებულ დროსთან მიმართებით, ასევე გონივრული დამოკიდებულების დასტურია, ხალხური სიმღერის სახელდება – „მრავალჟამიერი“. სახეზეა საოცრად ბრძნული, ფილოსოფიური ხედვა დროის მიმართ გამოხატული. მსგავს ბრძნულ ტრადიციას აგრძელებს აგრეთვე ქართველი ფილოსოფისის – მერაბ მამარდაშვილის ცნობილი განმარტება სიცოცხლის შესახებ – „სიცოცხლე არის ძალისხმევა დროში“.

ვფიქრობთ, „ჟამისწირვის“ სახელმძებელმაც სწორედ ასევე იცოდა დროის ფასი და ღვთივსულიერად ცდილობდა ყველაზე ძვირფასი მიეძღვნა ღმერთისთვის, ანუ დრო, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრებისთვის ჰქონდა მოზომილი, ლიტურგიული ღვთისმსახურებისას შეენიშნა უფლისთვის, მისდამი მადლერებისა და ქების შეწირვასთან ერთად. ყველაზე ძვირფასისა და საუკეთესოს შეწირვა ხომ თავიდანვე იყო დაწესებული მსხვერპლშენიშნვისას. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ჩვენს ქრისტიან წინაპრებს დროსთან მიმართებით განსაკუთ-

რებულად კრძალვითი და საზრიანი დამოკიდებულება ჰქონდა, ამიტომაც ასე გონივრულად შეათავსა ერთ ტერმინში ლიტურგიისა და დროის პერსპექტივა.

ვინაიდან, ქრისტიანობამ მთელი სამყარო გაიაზრა და გამოხატა სიტყვით, ამ თვალსაზრისითაა შესაცნობი ღმრთის სიტყვის (ლოგოსის) განკაცების საიდუმლოც. ამიტომაცაა, რომ, როგორც ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი) წერს - ქრისტიანობა თავად ამ სამყაროს სიტყვის მეშვეობით ხსნის. ასევე სიტყვის ძალითაა წარმოჩენილი ჩვენი კვლევით, ქართ. ტერმინ „ჟამისწირვის“ მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი ფუნქციურ-შინაარსობრივი ასპექტი, კერძოდ: კომპოზიტიური „ჟამისწირვის“ ორი შემადგენილი სიტყვა-კომპონენტით საგანგებოდ აღიბეჭდება საღმრთო ლიტურგიის კოსმოგონიურ-ესქატოლოგიურობის ის ფუნქცია, რომელიც უდიდეს ღვთისმეტყველთა არაერთი სარწმუნო მსჯელობა-მტკიცებულებით დასტურდება ქრისტიანული ისტორიის დასაწყისიდან დღემდე.

თეოლოგების ნააზრევში აქცენტი ყოველთვის გამახვილებულია ფიზიკური დროიდან იმ ტრანსცენდენტულ, მეტაფიზიკურ დროში გადასვლაზე, რაც საღვთო ლიტურგიას ხელენიფება. იგი ფიზიკური დროის განწმენდით, ახერხებს განწმინდოს მთელი სამყარო. როგორც ღვთისმეტყველება ამტკიცებს, საღვთო ლიტურგიის კოსმოგონიურობისა და ესქატოლოგიურობის წყალობით, მთელი სამყაროს ფერისცვალებას უნდა ველოდოთ. ამასთან დაკავშირებით, მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი პ. ევდოკიმოვი გვაუწყებს, „ყოველი დროის მონაკვეთს და, საზოგადოდ, ისტორიასაც წმინდა შინაარსს ანიჭებს საეკლესიო კალენდარი და მსახურებათა ციკლი. ადამიანს კი ევალება მოიხელოთოს მათი განზომილება და განავრცოს მათივე ტრანსცენდენტულობა პირად დროსა და სიტყვებზე“.

ამასთანავე, ცნობილია, რომ წმინდა გრიგოლ ნოსელი დროს შესაქმეს უწოდებს. როგორც თეოლოგები შესაქმის შესახებ წმ. მამების ნააზრევებით მსჯელობენ, შესაქმისეული მეშვიდე „დღე“ ამჟამადაც გრძელდება, ხოლო მკვდართა აღდგომის შემდეგ კი დადგება მარადიული მერვე დღე, ანუ მომავალი საუკუნო სიცოცხლე. „მერვე დღე“, იმავე მერმისის მნიშვნელობით არის ქართულ ენაში მოხსენიებული. ვფიქრობთ, ამ სიტყვით მინიშნება მოგვცა ჩვენმა კეთილმეტყველმა ქართუ-

ლმა ენამ ჟამისწირვასთან მიმართებითაც. თითქოსდა გვითხრა, რომ უფლისადმი ამქვეყნიური ჟამის შეწირვით ვუკავშირდებით მერმისს, ანუ მერვე დღეს, როგორც მარადისობას.

ადამიანი, რამდენადაც შესწირავს დროს ღმერთს, იმდენადვე მიეახლება მას; იწურება საწუთისოფლო დრო და, გადადის რა უჟამობაში (უდროობაში), იგი უერთდება ღვთაებრივ მარადისობას. ეს უკანასკნელი კი („მარადისობა“), როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველმა სიტყვათშემოქმედმა გამოხატა მშვენიერი ტერმინით – მერმისი. წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლეც, ამ ორი ქართული ტერმინის – ჟამისწირვისა და მერმისის – ჟამისწირვისეულ ურთიერთმიმართების წარმოჩენის ცდაა, სახელდობრ:

რამდენადაც ტერმინი ჟამისწირვა ნაშრომში განიმარტება, ვითარცა ღვთისადმი დროის შეწირვა, „მერმისით“ კი სიმბოლურად გამოიხატება, ერთი მხრივ, ამქვეყნიური დროის, ანუ „შვიდი დღის“ („შვიდეულის“) ამოწურვა და, მეორე მხრივ, „მერვე დღე“, ანუ მარადისობა, – ამდენადვე აისახება ამ ორი ტერმინის ერთობლივი სემიოტიკით ევქარისტის კოსმოგონიურ-ესქატოლოგიური შინაარსი, ანუ მისი ერთერთი მთავარფუნქციური გააზრება.

ტერმინ ჟამისწირვის, როგორც ღვთისადმი ამქვეყნიური, ფიზიკური დროის შეწირვის შინაარსიდან გამომდინარე ცხადი ხდება, ჟამის/დროის შეწირვის მეოხებით, „მერვე დღესთან“, მარადისობასთან, ანუ „მერმისთან“ მიახლება, რაც მართლმადიდებლური სარწმუნოების განმსაზღვრელი მთავარი სიმბოლოა – „მრწამსის“ მე12 მუხლის აღსრულებაა. მორწმუნე ადამიანი, სწორედ მრწამსის მიხედვით მოელის ცხოვრებასა – „მერმისა მის საუკუნისასა“. ამდენად, ნაშრომში ასახული კვლევებით დასტურდება, რომ, დღეს, ქართული საეკლესიო სიმბოლიკა და ტერმინთა სემიოტიკა მიგვითითებს დროის მართებულად გამოყენებაზე.

ამრიგად, საღვთისმეტყველო ტერმინი – ჟამისწირვა, უკვე ტერმინ - მერმისთან კავშირში, გვაჩვენებს, რომ ჩვენი წინაპრების მიერ ქართულ ენაზე შექმნილ ამ ორ საღვთისმეტყველო ტერმინს შეუძლია სრული სისავსით გადმოსცეს ლიტურგიული ღვთისმსახურების, როგორც კოსმოგონიურ-ესქატოლოგიური მოვლენის ფუნქციური დანიშნულების შინაარსი. ამდენად, სახეზე გვაქვს საეკლესიო ღვთისმსახურების მაღალკულტურული ისტორიული განვითარების შედეგი, რომლითაც მსოფლიოს

წინაშე ორიგინალურად შეგვიძლია წარვსდგეთ, როგორც დროის გააზრების მეტად გონივრულრეალისტური ფილოსოფიით ლიტურგიულ ღვთისმსახურებაში.

ლაპა დონაძე

დღესასწაულის და სამსხვერპლო რიტუალის ურთიერთმიმართება ძველ საქართველოში

საკონფერენციო პრეზენტაციაში განვიხილევით ორი უმთავრესი ადამიანური ფენომენის დღესასწაულისა და მსხვერპლშენიშვნის ურთიერთმიმართების საკითხს ქართული სინამდვილის მაგალითზე. ისევე როგორც მსოფლიოს სხვა არქაულ საზოგადოებებში, ძველ საქართველოშიც მსხვერპლშენიშვნა დღესასწაულის განუყოფელი ნაწილი იყო, და პირუკუ. ამ ორი მოვლენის არსობრივ კავშირზე ქართულ და უცხოურ წყაროებში შემონახული უამრავი ცნობის გარდა, ამ ტერმინების სემანტიკური ნათესაობაც მეტყველებს.

პირველი დღესასწაულების საფუძველი მაინც კოსმოგონიურ წარმოდგენებშია საძიებელი. მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის მითებში ჩვენ ვხედავთ, რომ სამყარო იქმნება მსხვერპლშენიშვნის აქტით. ეს არ არის მხოლოდ არქაული ადამიანის ნაივური წარმოდგენა, თუ გადავხედავთ მოდერნული საზოგადოებებისა თუ სახელმწიფოების წარმოშობას, მათ საფუძველში, სწორედ მსხვერპლის, მოწამის კონცეპტი დევს. როგორ იყო წარმოდგენები ამ საკითხზე ძველ ქართულ კოსმოგონიაში, ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით, თუმცა არქაული საქართველოს ყოფიერების სახლიდან შემოგვრჩა ტერმინები „სარიგო“ - საკლავის, ანუ მსხვერპლის და „მესარიგოე“- შემწირველის აღმნიშვნელი სიტყვა. ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ქართულ წარმართულ პანთეონში უზუნაეს ღვთაებას ერქვა მორიგე ღმერთი, ანუ ის დემიურგი, რომელიც რიგს, ანუ წესს აძლევს სამყაროს „სარიგოს“ ანუ საკლავის მეშვეობით. როგორც აღვნიშნეთ, ადამიანები რიტუალში იმეორებენ იმას (imitatio dei), რაც მოხდა თავდაპირველად (In illo tempore), აქედან გამომდინარე, აუცილებელია დღესასწაულზე საკლავის, როგორც ონტოლოგიური სტატუსის მქონე მსხვერ-

პლის დაკვლა. ამ შემთხვევაში „მესარიგოე“ არის მორიგე ღმერთის იმიტატორი, ხოლო „სარიგო“ პირვანდელი მსხვერპლის განმეორება.

არქაულ საზოგადოებებში ვხედავთ, რომ დღესასწაულის, როგორც, ერთი შეხედვით, ირაციონალური ინსტრუმენტის მიზანი ძირითადად რაციონალურია - მიღწეულ იქნას სოციალური თანხმობა და კულტურული წესრიგი საზოგადოებასა თუ თემში. ამ პროცესის კულმინაციას კი სწორედ მსხვერპლშენირვითი აქტი წარმოადგენდა, რის საილუსტრაციოდაც არაერთ მაგალითს მოვიხმობთ ქართული სინამდვილის მაგალითზე.

საინტერესოა, რომ მრავალს სამსხვერპლო რიტუალში, მანამ სანამ დადგება კულმინაციური მომენტი უშუალოდ მსხვერპლის შენირვის, შესაძლებელი ხდება ყოველგვარი თავისუფლება

ქცევებში, ირღვევა სოციალური თუ იერარქიული, ასაკობრივი თუ გენდერული როლები. ქართულ ზოგიერთ დღესასწაულზე ვხედავთ, რომ სალოცავში ქალები

კაცების წინ მიდიან, მოხუცები და ბავშვები ერთად თამაშობენ... „ოჯახური და

სოციალური წესრიგი დროებით გაუქმებულია ან გადაბრუნებულია. ბავშვები არ

ემორჩილებიან მშობლებს, მსახურები-ბატონებს, ვასალები სენიორებს“ - წერს რ.

ჟირარი. (ჟირარი; 2010: 159). იერარქიულობის დროებით გაუქმება დღესასწაულში

კულტურული წესრიგის კვლავ აღდგენას ემსახურება, თუმცა მისი პირვანდელი

ფორმა, როგორც აღვნიშნეთ, კოსმოგონიური საფუძვლებიდან მოდის. არქაული

ადამიანისთვის სამყარო შეიქმნა ქაოსიდან და, შესაბამისად, ქაოსში ჩაძირვით

(ქართულ სინამდვილეში უზომო თრობისგან გამონწეული ანორმატული

ქცევებით, ღრეობით, ჩხუბით, შეხლა-შემოხლით), უნდა მოხდეს ახალი, წმინდა

სამყაროს დაბადება...

აქ მთავარი მომენტი არის საზოგადოების ყველა წევრის

ჩართულობა, რათა რიტუალს ჰქონდეს დაგეგმილი რეზულტატი. ამ პარტიციპაციის უარყოფის და “ცენტრიდანობის” გამო ისჯება საკუთარ თესლტომთაგან VI საუკუნის

წმინდანი ევსტათი მცხეთელი. ის წარმოშობით სპარსია და რამდენიმე

პრობელიტის მსგავსად ძიების შემდეგ იღებს ქრისტიანობას, ცოლიც ქრისტიანი

მოჰყავს, დაუფარავად აღასრულებს რჯულს და მყარდება მასში. ევსტათი მშვიდად

ცხოვრობს მანამ, სანამ არ დგება მაზდეანთა ტოზიკი, როდესაც ხდება მისი

„მხილება“, რადგან სწორედ დღესასწაული არის ის ჟამი და ის ტრანსპარენტული

სივრცე, სადაც უნდა მოხდეს სოციუმის ყველა წევრის „ლუსტრაცია“.

სპარსელებმა „მიავლინეს ნეტარისა ევსტათისა და ჰრქუეს: „მოვედ და გუერთე

შუებასა ამას ჩუენსა. (იქვე; 30).“ ევსტათიმ „განიცინა“ და ბნელი უწოდა იმას

(„თქუენი ტოზიკიცა ბნელ არს“) რაც მაზდეანთათვის ყველაზე საკრალური და

ნათელი მოვლენაა, ანუ ტოზიკის, დღესასწაულის ჟამს. მარზპანთან დაბეზლების შემდეგ ხდება ევსტათის დასჯა, რაც შეგვიძლია განვიხილოთ ერთგვარი

სადღესასწაულო, სამსხვერპლო რიტუალის ნაწილი. საინტერესოა, თავად

მსხვერპლის პოზიციაც. დაბეზლების შემდეგ ის „მცირედ შებრკოლდა“ და

განრიდებაზე დაფიქრდა, მაგრამ მოწამეობის გზას ადგება მას შემდეგ, როდესაც

იხსენებს უფლის სიტყვებს: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო მეცა

იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა, და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა,

უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა“ (იქვე; 31). ანუ

ნებითი მსხვერპლისთვის, მოწამეობისთვის, იმპლიციტური აღიარება არ არის

საკმარისი, საჭიროა რაც საჯაროდ დღესასწაულზე გა-

ცხადდა, საჯაროდვე

მოხდეს მისი აღიარება. ევსტათი უარს არ ამბობს დღესა-სწაულზე, არამედ ახლა

უკვე „ქრისტეს ტოზიკსა ტოზიკობს“... ამ თვალსაზრისით, ევსტათის სიკვდილით დასჯა ერთგვარი მსხვერპლშენიერვითი აქტია, რასაც სწორედ სპარსულ თემში ერთსულოვნების მიღ-ნევა უნდა მოჰყვეს.

ამჟამად, რომ ძველ დროში ქართველი ადამიანი, ისევე რო-გორც, მსოფლიოს ყველა არქაული საზოგადოების წარმომადგენელი „Homo feriens“-თან ერთად, იყო „Homo necans“-ი. აქ მრავალ ფაქტორთან ერთად დიდ

როლს თამაშობდა ძველი ადამიანის კოსმოგონიური წა-რმოდგენები, თუმცა

არანაკლებ განმსაზღვრელი იყო ანთროპოლოგიური თუ სოციალური

საფუძვლები. ეს ფენომენი იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ

ქრისტიანული თუ მოდერნული აზროვნების გაბატონე-ბისდა მიუხედავად

ცოხველთა მსხვერპლშენიერვის სახით დღემდე შემორჩა საქართველოს მთიანეთის

ზოგიერთი კუთხის მაგალითზე.

წარმართული ღვთაებებისგან განსხვავებით ბიბლიური ღმერთი არ არის დემიურგი, რომელიც მსხვერპლშენიერვით ქმნის, რიგს ძლევს სამყაროს. ეს პრინციპული საკითხია, რადგან ამით მსხვერპლშენიერვას ეცლება ონტოლოგიური სა-ფუძველი. თუმცა, ეს არ არის საკმარისი გარემოება, რადგან ჩვენ ვხედავთ, რომ ძველი აღთქმის პერიოდში არა მხოლოდ ცხოველური მსხვერპლშენიერვა აღესრულება რეგულარულად, არამედ ზოგიერთ მეცნიერის აზრით - ადამიანურიც კი. იმ დონეზე, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ადამიანური და ცხოველური მსხვერპლშენიერვის დასრულებას სჭირდებოდა სოტეორო-ლოგიური საფუძვლის გამოცლაც, რაც ერთადერთი და გამო-მსყიდველი მსხვერპლის მოსვლით უნდა მომხდარიყო, რაც ისტორიულად აღსრულდა კიდეც გოლგოთის მისტერიით. რადგანაც ადამიანისთვის იმდენად ბუნებრივი მახასიათებელია აგრესია, ხოლო მისგან გათავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმი კი მსხვერპლშენიერვა, გამოვთქვით მო-საზრება, რომ რეგულარული თუ სპონტანური ადამიანური

მსხვერპლშენირვის დასრულებისთვის მაინც აუცილებელი იყო ოფიციალურ დონეზე მაინც ქრისტიანული ონტოლოგიის და სოტერიოლოგიის გამარჯვება.

ლია წერათელი

ანტონ I-ის “სამი სტილი” და ღვთისმეტყველება

ანტონ I-მა “სამი სტილი” -ს შესახებ მსჯელობა ჩართო “ყრმათათვის” შექმნილ გრამატიკის სახელმძღვანელოში, რომელიც მხითარ სებასტიელის ნაშრომის მიხედვით სრულქმნა.

“სამი სტილი”-ს ანალიზი შეუძლებელია ღვთისმეტყველების გარეშე, რადგან ანტონ I თხზულებებს საღვთისმეტყველო შინაარსის სიღრმის მიხედვით განასხვავებს. პირველი სტილი მარტივი ღვთისმეტყველების ნიმუშია და ადვილად გასაგები, - ნიმუშად ბიბლიურ თხრობას მოიხმობს. მეორე სტილი უფრო სიღრმისეული საზრისით გამოირჩევა. მესამე სტილი კი გულისხმობს დიდ ღვთისმეტყველთა თხზულებებს, რომლებსაც თავად ასახელებს და ნიმუშად მოიხმობს მათ თხზულებებს. ეს ავტორები არიან ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, მაქსიმე აღმსარებელი, იოანე დამასკელი, დიონისე არეოპაგელი, იოანე პეტრიწი და სხვა.

განვიხილავთ თითოეულ ავტორსა და მათ თხზულებებს, რომელსაც ანტონ I მოიხმობს თვალსაჩინოა, რომ “სამი სტილი” დიდ ღვთისმეტყველთა ნააზრევის სიღრმეს გულისხმობს კათალიკოსი საუბრონს, რომ ყველას არ ძალუძს მისი წვდომა, აუცილებელია მარტივიდან ნელ-ნელა ღრმა საღვთისმეტყველო შინაარსის შესამცნებლად ყრმათა მომზადება.

**„ოთარაანთ ქვრივი“ და ილია ჭავჭავაძის
ზნეობრივი იდეალი**

„ოთარაანთ ქვრივი“ „განდეგილთან“ ერთად ილიას იმ თხზულებათა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც გამოქვეყნებისთანავე განსაკუთრებული რეზონანსი მოჰყვა ლიტერატურულ კრიტიკაში. სადღეისოდ ნაწარმოების შესახებ მდიდარი სამეცნიერო-კრიტიკული ლიტერატურა არსებობს, რომელიც უმეტესწილად მოთხრობის საკვანძო პრობლემის - ხიდჩატეხილობის ანალიზს ეძღვნება. ასეთი მიდგომის დროს ჩნდება საფრთხე, თვალთახედვის მიღმა დარჩეს მოთხრობის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი აქცენტები, რადგანაც ილია ძირითად პრობლემასთან მიმართებით წამოჭრის სხვა, დამოუკიდებელი ღირებულების მქონე თემებსაც.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის, საზოგადოდ, დამახასიათებელია მორალისტური მიდგომა, რაც ადრეულ მოთხრობებში უმეტესწილად ეროვნული მანკიერებების მხილების ფორმით იჩენს თავს. დათიკოს, ლუარსაბის, დარეჯანის და სხვა პერონაჟთა მაგალითზე მწერალი მკაფიოდ წარმოაჩენს, თუ როგორი არ უნდა იყოს ადამიანი. „ოთარაანთ ქვრივში“ ილია უკვე პოზიტიურ მიდგომას მოიმარჯვებს და ლიტერატურულ ფორმას აძლევს თავის ზნეობრივ იდეალს. ამ მოთხრობის მიხედვით უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ როგორი უნდა იყოს ილიას წარმოდგენით ადამიანი, მოქალაქე, ქართველი.

საგულისხმოა, რომ მწერალმა თავისი იდეალი გლახობაში იპოვა. საერთოდ, ილიას არ სჩვეოდა ერთი სოციალური წრის ინტერესების მეორის ინტერესებზე მაღლა დაყენება. მთელი სიცოცხლის განმავლობაში მწერლის იდეალი იყო ერთიანი ეროვნული მიზნის ირგვლივ კონსოლიდირებული საზოგადოება. ვერ ვიტყვით, რომ თავის თხზულებებში ილია გლახობის იდეალიზაციას მიმართავს. მან კარგად იცის, რომ ხანდახან „გლახი უწმინდურია თავისი ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავისი გულითაც“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მწერალი მაინც ამ სოციალურ ფენაში ხედავს იმ სასიცოცხლო, ზნეობრივ ენერგიას, რომელიც საძირკვლად უნდა დაედოს მომავლის შენებას.

„ოთარაანთ ქვრივში“ მინიშნებულია იმ უპირატესობაზე, რაც გლახობას მოეპოვება ინტელიგენციასთან მიმართებით. ესაა მინასთან, ბუნებასთან სიახლოვე. ცივილიზაციისაგან ერთგვარი დისტანცირება განაპირობებს გლახის სულიერ სისალეს, პიროვნულ მთლიანობას. „ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი - შექმნილნი, ჩვენ - დაბლანდულები ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის... ისინი ჩაკირულნი არიან... ჩვენ დონდლონი, დუნენი“ - ამბობს არჩილი. იგი აცნობიერებს, რომ შეიძლება გლახი ზოგჯერ გაუტანელიცაა, უსამართლოც, ხარბიც, „მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქ სდულს ძარღვებში მთარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიც“. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ილია ბრწყინვალედ ხვდება - სწორედ გლახობაშია მოჭარბებული სიცოცხლის ჯანსაღი ინსტინქტი.

მიუხედავად იმისა, რომ „ოთარაანთ ქვრივში“ გატარებულია არისტოკრატიის თეორიული ცოდნისა და გლახობის ცხოვრებისეული გამოცდილების გამთლიანების იდეა („უნიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა, და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“), მოთხრობაში მსუბუქად მაინც მინიშნებულია ინტელიგენციის სულიერი დეკადანსის დასაწყისზე, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ ილია მიხეილ ჯავახიშვილის წინამორბედად გვევლინება. ამ მხრივ საინტერესო პერსონაჟია არჩილი, რომელიც, მთლიანობაში, ცხადია, დადებითი გმირია და მას თეიმურაზ ხევისთავის არქეტიპად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ მისი სახით ქართულ ლიტერატურაში უკვე ჩნდება ისეთი ინტელიგენტი, რომლის თეორიული განათლება პრაქტიკულ ცოდნას დაშორებია.

მოთხრობაში ილიას ზნეობრივი იდეალი ვლინდება დედა-შვილის - ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახით. უპირველეს ყოვლისა, ეს პერსონაჟები მწერლისათვის სანიმუშონი არიან შრომისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში უპირატესად სწორედ გლახს ჰქონდა გამომუშავებული შრომის კულტურა და დაფასებული მისი მნიშვნელობა. ოთარაანთ ქვრივი არღვევს იმ სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც, ქალის საქმიანობა მხოლოდ ვინრო საოჯახო საზრუნავით უნდა იყოს შემოფარგლული. ილია გვიჩვენებს, რომ შრომა, როდესაც ის არაა იძულებითი და შეესაბამება ადამიანის ბიოლოგიურ მოთხოვნილებას, პიროვნების სულიერად განმწმედელი, გამაკეთილშობილებე-

ლია. ოთარაანთ ქვრივის მაგალითზე ვხედავთ, რომ ჯანსაღი შრომა არამხოლოდ ეკონომიკური მომძლავრების საფუძველია, არამედ მართობის დაძლევის საშუალებაც.

XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსებს სხვა ეროვნულ სატკივართა გვერდით აღელვებდათ პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვანი ერთი საკითხი - ქართველი კაცის უდარდელი დამოკიდებულება მატერიალური დოვლათისადმი. საუკუნეებით განმტკიცებული ქართული რაინდული ეთიკის აგდებული მიმართება მომხვეჭელობის, ვაჭრობისადმი მეცხრამეტე საუკუნეში თანდათანობით საკუთარი ქონებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში გადაიზარდა. ქართველი არისტოკრატიის დიდმა ნაწილმა ვერ აულო ალლო ახალ სოციალურ სინამდვილეს, ახლად დამკვიდრებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეს ფაქტი ილიამდე გიორგი ერისთავის კომიკური დახასიათების საგნად იქცა. „ფული იშოვა ქართველმა - თითქო ეკალი შეირქო ფეხში, ამოიძრობს და გადააგდებს“ - კომედია „ძუნის“ მთავარი პერსონაჟის ეს სიტყვები ქართველთა უყაირათობის გამომხატველ ფრთიან ფრაზად იქცა. ეროვნული ხასიათის ეს მანკიერება მუდამ იყო ილიას ერთ-ერთი საფიქრალი. გარემომცველი სინამდვილე უბიძგებდა მწერალს, მხატვრულად წარმოესახა ფულთან ურთიერთობის მისთვის სანიმუშო წესი, რაც პრაქტიკულად „ოთარაანთ ქვრივში“ განახორციელა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ნაწარმოების ის მონაკვეთი, რომელშიც ავტორი ქვრივის ხუთ ქისაზე მოგვითხრობს. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი დაჯილდოებულია იმ ძვირფასი თვისებით, რომელსაც ილია ძლიერ ისაკლისებდა ეროვნულ ხასიათში. ესაა თადარიგიანობა. ქვრივის მაგალითით მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანის ჯანსაღი, ქრისტიანული დამოკიდებულება ფულისადმი.

ქართულ ხასიათზე მსჯელობისას გამოჩენილი მოაზროვნე დიმიტრი უზნაძე წერდა: „ქართველს აკლია დაჟინებითი მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებისაკენ, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე ვერ სპობს... პატარა საქმეების ისეთივე სერიოზულობით კეთება, როგორც დიდი საქმეებისა... ძლიერი ნება - აი რა აკლია ქართველობას“. ეროვნული ხასიათის ეს ნაკლი ცხადად საგრძნობი იყო ილიასთვისაც. ამიტომაც ოთარაანთ ქვრივის მაგალითზე მწერალმა გვიჩვენა გაუტეხელობის, მძლავრი ნებისყოფის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში. ილია არ ცდებოდა, როცა ამ თვისებას

მომეტებულად ქართველი გლეხის ხასიათში ხედავდა. საუკუნეების განმავლობაში გლეხი არისტოკრატიასთან მიმართებით არათანაბარი უფლებებით სარგებლობდა. რუსული ადმინისტრაციული მმართველობის პირობებში განსაკუთრებით დამძიმდა მისი უღელი. გლეხს დიდი ძალა და მხნეობა უნდა გამოეჩინა, რომ დაეცვა საკუთარი ღირსება და საკუთრება. ასეთ ვითარებაში მასში ბუნებრივად გამოიწრთო მებრძოლი ხასიათი. კონფორმისტი, მორჩილი, დინების მიმყოლი ადამიანის საწინააღმდეგოდ ილია გვიხატავს გაუტეხელი, რკინის ნებისყოფის მქონე ქვრივის სახეს, რომელიც, თუ საქმე მოითხოვდა, „გუბერნატორამდე თავის ფეხით ივლიდა“. მისი პრინციპი: „ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილებრალოდ არავის დავეჩავვრინები“ - ძვირფასი და სანიმუშოა ილიასათვის.

ქვრივის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა პირდაპირობა. ცნობილია, რომ ეს იყო ილია ჭავჭავაძის ხასიათის ერთი ძირითადი ნიშანიც. პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობებში პირდაპირობას ილია გამორჩეულ ადამიანურ ღირსებად მიიჩნევდა. მწერლისათვის პრინციპულად მიუღებელი იყო კაცთმოთნეობა, პირფერობა, რასაც იგი „ყიზილბაშობას“ ეძახდა. ოთარაანთ ქვრივის აზრთაც, „ტკბილი სიტყვა“ იგი სინამდვილეში „...თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი“.

ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახით ილია ამკვიდრებს საზოგადოების აქტიური წევრის იდეალს, რომელიც საკუთარ თავს სოციალისტ ორგანულ ნაწილად აღიქვამს. ოთარააშვილებისათვის უცხოა გულგრილობა, რაც ილიას ეროვნულ და ზოგადად ადამიანურ უბედურებად ესახებოდა. „ოთარაანთ ქვრივის“ დაწერამდე რამდენიმე წლით ადრე მწერალმა გამოაქვეყნა „სარჩობელაზე“, მოთხრობა, რომელშიც ადამიანთა გულგრილობის ტრაგიკული შედეგები აღწერა. აქ ნათლადაა წარმოჩენილი, თუ როგორ აყალიბებს საზოგადოება თავისი გულგრილობით დამნაშავეს და შემდეგ როგორ გულგრილადვე უცქერს მის სიკვდილით დასჯას. ნაწარმოების მიხედვით, სწორედ გულგრილობაა ის თვისება, რომელიც განაპირობებს ინდივიდისა და საზოგადოების გაუცხოებას. თავისი ზნეობრივი იდეალი ილიამ ამ საკითხში წარმოაჩინა გიორგის სახით, რომლის ხასიათის ძირითადი თვისებაც ამ სიტყვებითაა გამოხატული: „თავისი იყო, თუ სხვისა, - თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა“. გიორგი კი თავის ზნეობრივ ვალდებულებად მიიჩნევს, არ დახუჭოს თვალი უსამართლობასა და ურიგობაზე, მიუხედავად

იმისა, ეხება თუ არა იგი პირადად მას, რადგან, მისი რწმენით, „უნამუსო კაცისაგან ქვეყანაა დაღუული“.

ასეთია ილია ჭავჭავაძის მიერ მოწოდებული ზნეობრივი იდეალი შინაგანად ასკეტი, თავდაჭერილი, ერთგული, პირდაპირი, მშრომელი და გაუტეხელი ადამიანისა. ისიც უნდა ითქვას, რომ ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახით უნაკლო, ზღაპრულ პერსონაჟებს როდი გვიხატავს ავტორი. ილიას, როგორც რეალისტს, ცხადია, ცოცხალი ადამიანები აინტერესებს და არა აბსტრაქტული სქემები. ამ მხატვრულ სახეთა დამატერებლობას ის ფაქტორიც განსაზღვრავს, რომ მათ ხასიათში გარკვეული ნაკლის დანახვაც შეიძლება. ერთი რამ კი უდავოა – ილია ჭავჭავაძემ ოთარაანთ ქვრივის სახით მოახერხა შეექმნა ეროვნული სინამდვილიდან ამოზრდილი, არქექტიპული და გამძლე პერსონაჟი, რომელიც ქართველი მკითხველისათვის არასოდეს დაკარგავს ზნეობრივი ორიენტირის ფუნქციას.

ქეთევანი მამასახლისი

სამონასტრო წეს-განგება და ძველი ქართული საკლესიო მწერლობა

ბერმონაზვნული ცხოვრების წესმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა ეკლესიის ისტორიაში. ის სხვადასხვა ფორმით დამკვიდრდა როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში. ქრისტიანთა დევნის პერიოდში წარმოშობილმა თემებმა თანდათანობით სამონასტრო ინსტიტუტების სახე მიიღო, რომელთა ცხოვრების წესი ჩამოყალიბდა ცალკეული წეს-განგებების სახით.

სამონასტრო წეს-განგებების წინასახეები იკვეთება ანტონი დიდის, ამონა ნიტრიელის, მაკარი ეგვიპტელისა თუ სხვა პირველი მეუდაბნოე მამების პირად წერილებში, რომლებიც აღმოცენებულია ყოფით ნიადაგზე და, ძირითადად, მიმართულია მათი სულიერი შვილების მიმართ. აღნიშნულმა რჩევა-დარიგებებმა ჩამოყალიბებული სახე მიიღო პახომი დიდის, ბასილი კესარიელის, საბა განწმედილის, თეოდორე სტუდიელისა თუ სხვათა მიერ შემუშავებულ წესდებებსა თუ ანდერძებში.

აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში შემუშავებული სამონასტრო ცხოვრების წესი ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში ვრცელდებოდა ზეპირი თუ წერილობითი სახით. აღნიშნული წესდებანი ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობაში დამკვიდრდა როგორც სრული, ასევე ფრაგმენტული სახით. მათ გასაცნობად საინტერესო ცნობებია დაცული როგორც ორიგინალური ქართული თუ ნათარგმნი აგიოგრაფიული მწერლობის ნიმუშებში, ისე ანდერძ-მინაწერებში, სვინაქსარებში თუ სხვ.

ქართულ ენაზე ღვთისმსახურების არსებობის შესახებ უადრესი წერილობითი მოწმობა დაცულია წმინდა საბა განწმედილის ანდერძში. აღნიშნულ მოწმობაზე დაყრდნობით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ დროისთვის ქართულ ენაზე უკვე იყო თარგმნილი უმთავრესი საღვთისმსახურო წიგნები: სახარება ოთხთავი, სამოციქულო და ჟამნი. საბა განწმედილის ანდერძიდან გამომდინარე, ქართველებს იმ დროს არა მარტო წმინდა წერილი ჰქონდათ მშობლიურ ენაზე თარგმნილი, არამედ, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ სხვა საღვთისმსახურო წიგნებსაც და ლოცვის თანმიმდევრობასაც.

სამონასტრო წეს-განგების უძველესმა ნიმუშმა, პახომი დიდის ტიპიკონმა, ფრაგმენტული სახით მოაღწია პალატი ჰელენოპოლიელის „ლავსაიკონში“. აღნიშნული ძეგლის ეფრემ მცირის თარგმანის საფუძველზე ქართულ სინამდვილეში წარმოიშვა „ლავსაიკონის“ კვინობიტური რედაქცია, რომელშიც გამოკრებილი სახით თავი მოიყარა ცალკეულმა საკითხავებმა.

ბასილი კაბადოკიელის „ასკეტიკონი“ კი ქართულ ენაზე ოთხი რედაქციის სახით ჩამოყალიბდა, მისი სახელწოდება „სამოღვაწეო წიგნის“ სახელით დამკვიდრდა აღნიშნულ თარგმანებში, რომელშიც კარგად გამოიკვეთა მისი უმთავრესი დანიშნულება.

ახალი სამონასტრო წესის, სტუდიელთა მონასტრის წესდების, ძირითადი პრინციპები შეგვიძლია დავინახოთ თეოდორე სტუდიელის „სწავლანის“ გიორგი ათონელის თარგმანში. აღნიშნული პრინციპები შეგვიძლიათ შევადაროთ თეოდორე სტუდიელის ანდერძთან, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს სტუდიელთა მონასტრის ტიპიკონს.

ჩვენ მიერ მოხმობილ წყაროებზე დაყრდნობით, იკვეთება, თუ როდის ენაცვლება საქართველოს ეკლესია-მონასტრებში პალესტინის ლიტურგიკულ პრაქტიკას კონსტანტინეპოლის

დიდი ეკლესიის ტიპიკონი, ან - პირიქით.

სამონასტრო ცხოვრების ფრაგმენტები იკვეთება ისეთ ორი-გინალურ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებშიც, როგორცაა: მოქცევაჲ ქართლისაჲ თუ იაკობ ხუცესის „წმინდა შუშანიკის წმება“. აღნიშნულ თხზულებათაგან პირველში წმინდა ნინოს გარშემო შემოკრებილი ქალწულები ჩვენს ქვეყანაში პირველ-ქრისტიანული თემის არსებობაზე მიგვანიშნებს. „შუშანიკის წამებაში“ კი ასკეტურ მოსაგრეობას უკვე ჩამოყალიბებული სახე აქვს. ამასთან, აღნიშნულ თხზულებაში მოხსენიებული საღვთისმსახურო წიგნები და ციტატები ამ წიგნებიდან (მაგალითად, პავლე მოციქულის ეპისტოლიდან) გვაფიქრებინებს, რომ ღვთისმსახურება ქართულ ენაზე წარმოშობის თარიღი არაუგვიანეს მე-5 საუკუნეში უნდა გადავიტანოთ.

ქართულ ენაზე ღვთისმსახურების არსებობის შესახებ მოწმობს მეშვიდე საუკუნეში დაწერილი ეპისტოლეები, რომლის ავტორები ქართველი და სომეხი მწყემსმთავრები, კირიონ ქართლის კათალიკოსი და ნერსე სომეხთა ეპისკოპოსი, არიან. აღნიშნული ეპისტოლეების უწყებით, ამ დროს საქართველოს ეკლესიაში იყო 35 ეპარქია, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აღესრულებოდა.

გიორგი მერჩულის სიტყვებით კი უკვე მერვე-მეცხრე საუკუნეებში მთელ ჩვენს ქვეყანაში „ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ძველი ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ნიმუშებში, როგორცაა: გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, გიორგი ათონელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ და გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, მართალია, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი სამონასტრო წეს-განგება, მაგრამ შეგვიძლია გამოვკვეთოთ ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორცაა: მონასტერში მიღების წესი, წინამძღვრად გამორჩევა, მონასტრის წევრთა მოვალეობანი, ღვთისმსახურებაზე დასწრებისა და მოქცევის ნორმები, სულიერი განსწავლა, მონასტრის საკუთრება, ფიზიკური შრომა, შესამოსელი, ტრაპეზი, ყრმათა დამონაფება, სასჯელები, მიცვალებულებზე ზრუნვა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ხანცთელის მიერ შემოღებული წეს-განგება ითვალისწინებს როგორც იერუსალიმურ, ისე კონსტანტინოპოლურ გამოცდილებას. აღნიშნულ ძეგლში ჩართული მსჯელობა გიორგინმიდობის მარხვის დაცვასთან

დაკავშირებით გრიგოლ ხანცთელის მიერ შემოღებული ტიპიკონის იერუსალიმურ ტრადიციასთან სიახლოვეზე მიაჩნებნენ. ათონელთა ცხოვრებაში შემორჩენილი ასკეტური მოსაგრეობის ფრაგმენტების საფუძველი კი კონსტანტინოპოლური იმავე აია სოფიას ტიპიკონია.

აღნიშნული საკითხები ასევე დაიძებნება ასურელ მამათა ცხოვრებებში, ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ და სხვ.

ასურელ მამების ცხოვრებებში იკვეთება ასკეტური მოღვაწეობის სამივე ფორმა, ანაქორეტიზმი, კვინოპიტიზმი და ლავრული მოსაგრეობა, რომელიც არის ერთგვარი სინთეზი მარტომყოფობისა და ზოგადცხოვრებულთა. ამასთან, ასურელი მამები, კერძოდ, ანტონ მარტმყოფელი ამკვიდრებს მესვეტეობას ქართულ სინამდვილეში, რაც თავისებური გაგრძელებაა სვიმეონ მესვეტის მოღვაწეობისა. მათი შესამოსელიც ანტიოქიურ ტრადიციაზე მიგვანიშნებს.

შესაბამისი მასალის მოხმობით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ პახომი დიდის, ბასილი კაბადუკიელის, საბა განწმედილისა თუ თეოდორე სტუდიელის სამოღვაწეო წესებთან, რომლებმაც ასევე, ფრაგმენტულად თუ სრული სახით მოაღწიეს ძველი ქართული ნათარგმნი სასულიერო მწერლობის ნიმუშები და ვაჩვენოთ სამონასტრო ცხოვრების განვითარების გზა ქართულ სინამდვილეში.

თინათინი კოძუაშვილი

ქორწინების როლი ქალის თვითდაგვიდრების პროცესში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი და მე-20 საუკუნის დასაწყისი მრავალი ასპექტით მნიშვნელოვანი პერიოდია ქართულ სამოქალაქო და სალიტერატურო ცხოვრებაში. მწერლობაში შემოსული ევროპული ორიენტირების შედეგად ქართველმა შემოქმედებმა ნაწარმოებებში შემოიტანეს ე.წ. „თამამი“ საკითხები. ეპოქის მწერალთა შემოქმედებაში ფართოდ დაიწყო გენდერული ასპექტების განხილვა, ქალთა უუფლებობასა თუ

თვითდამკვიდრების პრობლემებზე საუბარი, ნაწარმოებებში გაჩნდა მანამდე ტაბუდადებული თუ ფართო მასებისთვის „მიუღებელი“ თემები- მათ შორის ანგარებით, უსიყვარულოდ თუ საზოგადოებაში თავის დამკვიდრებისთვის დაქორწინების საკითხი. ნაშრომში, „ქორწინების როლი ქალის თვითდამკვიდრების პროცესში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში“, აღნიშნული ასპექტი მიმოხილული იქნება ზოგადად, ხოლო კონკრეტული მაგალითებით განხილული იქნება შიო არაგვისპირელის მოთხრობის „მელოს დღიურის“ მიხედვით.

თაბარ გოგოლაძე

1918 წლის თბილისი ტ. ტაბიძის ერთ პოემაში

1.1918 წელი ურთულესი მოვლენებით ხასიათდება საქართველოში: ჯერ ამიერკავკასიის სეიმის (მაისამდე) შემადგენლობაში ყოფნა, 26 მაისს კი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ (ჯერ „დე ფაქტოდ“, შემდეგ „დე იურედ“) გამოცხადება. ხანგრძლივმა პირველმა მსოფლიო ომმა, ინტერვენტების თარეშმა ზეგავლენა იქონია ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა საწარმოების, სარკინიგზო მიმოსვლის შეფერხებაზე, რამაც განსაკუთრებით, მოსახლეობის ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა გაამწვავა. საქართველოს საკუთარი პური არ ყოფნიდა, შემოტანა კი შეიზღუდა რუსეთში დატრიალებული მოვლენების გამო.

2. პოლიტიკური მოვლენების დასასრულს დაიბადა ტიცვიან ტაბიძის ორი პოემა: „ალეხანდრო დე კასტილია“ და „ფრონტებზე“, რომლებიც კომენტარის მიხედვით, ხშირად ერთი სათაურით - „თვრამეტი წელი“- იბეჭდებოდა.

გურამ გვერდნითელის რედაქტორობით, 1985 წელს გამოცემლობა „მერანის“ მიერ მომზადებულ ტიცვიან ტაბიძის თხზულებათა ერთტომეულის შესავალში ისევ კომენტარია (სავარაუდოდ, ტ.ტაბიძისა), რომლის თანახმადაც, „ალეხანდრო დე კასტილია“ დამოუკიდებელი პოემაა, განსხვავებული „ფრონტებისაგან“, რამდენადაც „ფრონტებში“ ასახული მოვლენები მეტნაკლებად წინ უსწრებს მას და ეხება არა უშუალოდ თბი-

ლისს, არამედ მთელ საქართველოს. ამიტომაც, ვცადეთ სწორედ 1918 წლის თბილისის სურათი ამ პოემის მიხედვით შეგვესწავლა.

3. ეს ყოველივე კი საოცარი სიცხადითაა ასახული „ცისფერყანწელი“ პოეტის ტიციან ტაბიძის (1895-1937) პოემაში „თვრამეტი წელი“ საიდანაც ჩვენი შესწავლის ობიექტად იქცა „ალეხანდრო დე კასტილია“. პოემა, როგორც თვითონ ავტორი მიანიშნებს, დაიწერა გორელი ტელეგრაფისტის ალექსანდრე ტატიშვილის საქართველოდან წასვლიდან ათი წლის შემდეგ, 1928 წელს, რომელშიც საოცარი სიცხადით, მეტად უცნაური სალექსო ფორმით, გადმოსცემს უცხოეთიდან (არგენტინაში) 16 წლის შემდეგ დაბრუნებული ერთი ქართველი კაცის სწრაფვას უშველოს თანამოდძეებს, დააპუროს ისინი, ხსნის თბილისში დუქანს „ბუენოს-აირეს“ და გაბეზრებით ითხოვს მთავრობისაგან გაგზავნონ კასტილიაში პურის ჩამოსატანად. თუმცა მისი თხოვნა უპასუხოდ რჩება და გზავნიან ელჩს სკანდინავიაში. პოემაში განსაკუთრებული სიმწვავით წარმოჩინდა თბილისის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მდგომარეობა: (გვარდელებისა, ვაჭრებ-სპეკულანტებისა, „ბეზპირობორნიკების“ და კულტურის წარმომადგენლების (საბანეევას ხმებით მღერის მცივანა ქარი) ყოფასა და ასევე საქართველოში ჩამობრძანებულ გერმანელების, ინგლისელების განზოგადებულ სახეებს. გამძაფრებული ირონიით აქვე გამოხატულია ევროპაში კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის დახვრეტა, ნახსენებია ალიოშა ჯაფარიძე, სტეფანე შაუმიანი, ზუბალაშვილის თავშესაფარში ფარულად მყოფი მიხა ცხაკაია და სხვ. პოეტის ირონია ჰკენწლავს არამართო დასახმარებლად შემოსულ უცხოელთა ჯარებს, არამედ „მათ მთავრობებსაც, რომელთაც აღიარეს საქართველო „დე ფაქტოდ“ და „დე იურედ“.

4. ტიციან ტაბიძე აქ მეტად შეუფარავია, პირდაპირი, ზოგჯერ უხეშიც, რაც საკმაოდ შეესატყვისება ზემოთ დასახელებული პერიოდის სინამდვილეს. როგორც ტიციან ტაბიძე პოემის შესავალში აკეთებს მოკლე წინასიტყვაობას, რომლის მიხედვითაც, ალექსანდრო დე კასტილია სინამდვილეში ყველასათვის ცნობილი გორელი ტელეგრაფისტი ალექსანდრე ტატიშვილია, რომელმაც დიდი დრო გაატარა საზღვარგარეთ, მაგრამ ქეშმარიტად საქართველოს სიყვარულით გულანთებული ბრუნდება რა თბილისში, ცდილობს დახმარება გაუწიოს მოსახლეობას მაინც. ტიციან ტაბიძის ლექსის სტრიქონებში

აღწერილი საკმაოდ შეესატყვისება ზემოთ დასახელებული პერიოდის სინამდვილეს, განსხვავებით ადრინდელი სიმბოლისტური რომანტიკული განწყობილებისა, იგი ისეთი დრამატიზმით ფეთქავს, რომ იგრძნობა ერთდროულად პოეტის - მოქალაქის - განწყობილება: ზიზღი მოვლენებისადმი, საზარელი გულისტკივილი და, ამავდროულად, თანაგრძნობას ერთი გულკეთილი ქართველის, ალექსანდრე ტატიშვილის მიმართაც, რომელზეც თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა ტიცინს, დაენერა პოემა.

5. ზემოთ დასახელებული პოემის განხილვას, რატომღაც ერიდებოდნენ ხშირად ლიტერატურათმცოდნეები საბჭოურ პერიოდში, რადგანაც რამდენადაც იგი წარმოადგენდა არა „სპილოს ძვლის კოშკში“ თავშეფარებული პოეტის, არამედ ბრძოლის წყურვილით ანთებული ადამიანის მისწრაფებას - „გადაუაროს“ ყველანაირ მტერს - იქნება ის შინაური თუ გარეული, რომლებიც ესევიან მის საყვარელ ქვეყანას, შიმშილითა და სიცივით ცდილობენ თბილისის მოქალაქეთა დაუძლურებას. დახმარების ნაცვლად, უცხო ქვეყნები გზავნიან იქ ჯარისკაცებს, რომლებიც უფრო ამძაფრებენ მოსახლეობის გაჭირვებულ მდგომარეობას. სწორედ ამ განსხვავებულ სიტუაციაზე ვცადეთ გაგვემახვილებინა ყურადღება ტიციან ტაბიძის პოემაშიც.

6. მოხსენების მიზანია გაშუქდეს, როგორ ეხმაურებოდა პოეტი (ჩვენ შემთხვევაში ტიციან ტაბიძე) ეპოქას, საყვარელ თბილისს 1918 წელს. მიუხედავად მასში აღწერილი ტრაგიკული მოვლენებისა, გამოირჩევა საოცარი მუსიკალობით, განსხვავებული სტილით და ირონიისა და სატირის გამოყენებით, რითაც იგი მიმართავს არა მარტო უარყოფით პერსონაჟებს, არამედ ზოგჯერ დადებითსაც. უპირველეს ყოვლისა, პოემაში იგრძნობა დიდი სიყვარული საკუთარი ხალხისადმი და თანაგრძნობა.

1832 წლის შეთქმულების სათავეებთან - დიმიტრი ბატონიშვილი

1832 წლის შეთქმულება, რომელსაც მისი მასშტაბის გამო შეთქმულებრივ მოძრაობასაც უწოდებენ მკვლევარნი (დ. შველიძე), მე-19 საუკუნის პირველი ნახევარის საქართველოს ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი და დრამატული ფურცელია. ის გაგრძელებაა იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა, რომელიც ქართველმა ხალხმა აჯანყებათა წყების სახით წარმართა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მიერ 1801 წლის მანიფესტის ძალით ქართლ-კახეთის სამეფოსა და ტახტის გაუქმებისა და მისი შემდგომი საბედისწერო მოვლენების საპასუხოდ და რომლის უმთავრესი მიზანი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

შეთქმულება, როგორც ცნობილია, ჩაისახა 1826-1827 წლებში რუსეთში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა წრეში და მისი თავკაცები იყვნენ მეფე ერეკლე II-ის (1720-1798) შვილიშვილები დიმიტრი იულონის ძე (1803-1845) და ოქროპირ გიორგის ძე (1795-1857) ბატონიშვილები. მათ შემოიკრიბეს იმჟამად რუსეთში სასწავლებლად ჩასული ქართველი ახალგაზრდა არისტოკრატები და მოწინავე ადამიანები და პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ცდილობდნენ მის ორგანიზებას. სამწუხაროდ, შეთქმულება აჯანყებაში ვერ გადაიზარდა - იგი გასცა მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ იასე ფალავანდიშვილმა (1803-1857), რასაც შეთქმულთა დაპატიმრება და დასჯა მოჰყვა.

ქართველ მეცნიერთა (მ. ბერძნიშვილი, გ. გოზალიშვილი, ა. სურგულაძე, დ. შველიძე, თ. ჯოლოგუა...) 1832 წლის შეთქმულებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კვლევებში, ბუნებრივია, გარკვეულ ადგილს იკავებს მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელისა და ინიციატორის დიმიტრი ბატონიშვილის პერსონა. შეთქმულებაში მისი დამსახურებისა და როლის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, იგი მეტ ყურადღებას იმსახურებს.

დიმიტრი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) დაიბადა 1803 წლის 11 აპრილს თავადაც ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობის აღ-

დგენისათვის მებრძოლი იულონ ბატონიშვილისა (1760-1816) და სალომე ამილახვრის (1766-1827) ოჯახში. 1805 წელს იგი მშობლებსა და უფროს და-ძმასთან - ლუარსაბ (1789-1850) და თამარ ბატონიშვილებთან (1791-1857) (შემდგომში შეთქმულების ასევე აქტიურ მონაწილესთან, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში ქვეყნის დროებით მმართველადც მოიაზრებოდა) ერთად რუსეთში გადაასახლეს, სადაც ის მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრობდა. 1821 წლიდან მუშაობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიაში, მაგრამ, მისივე თქმით, უკიდურესად სუსტი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იძულებული გახდა სამსახური მალევე მიეტოვებინა.

დიმიტრი ბატონიშვილის სალონში ჩაისახა შეთქმულების იდეა. იგი მიიჩნევა მეთაურად მისი პეტერბურგული წრისა, რომლის წევრები იყვნენ იმჟამად იქ მყოფი ქართველი პატრიოტები ელიზბარ (1810-1872), დიმიტრი (1811-1854) და გიორგი ერისთავები (1812-1891), დიმიტრი (1808-1892) და ვახტანგ (1812-1890) ორბელიანები, ივანე (1798-1860), ლუარსაბ (1805-1865) და ალექსანდრე (1803-1833) ჩოლოყაშვილები, სოლომონ რაზმაძე (1797-1860), იარალი (იერემია) შანშიაშვილი (1772-?) და სხვ. დიმიტრი ბატონიშვილი მათ შორის დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. შეთქმულების საგამოძიებო კომისიის მასალებში დაცულია 1831-1832 წლებით დათარიღებული მისი უაღრესად მნიშვნელოვანი წერილები დის თამარისადმი, რომელიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდა და რომელთა ტექსტებიც შეიცავს დამიჯრულ ადგილებს.

თბილისში დაპატიმრებულ შეთქმულების მონაწილეთა ჩვენებების საფუძველზე გამოიკვეთა და გამჟღავნდა დიმიტრი ბატონიშვილის, როგორც მათი იდეური ხელმძღვანელის როლი. იგი დაჰკითხა პეტერბურგში დაფუძნებულმა საიდუმლო საგამომძიებლო კომისიამ, რომლის დროსაც მან კატეგორიულად უარყო ყოველგვარი ბრალდება და მისი რაიმე მონაწილეობა შეთქმულების მომზადებაში - განაცხადა, რომ პეტერბურგელ თანამემამულეებთან მას მხოლოდ ნათესაური ურთიერთობები და შეხვედრები აკავშირებდა და რომ არასოდეს არავისთვის არ ჩაუგონებია საქართველოს დამოუკიდებლობისა და რუსული მმართველობისაგან გათავისუფლების იდეა. მანვე უარყო თავისი ერთგვარი ნოუ-ჰაუ - ქაღალდის სპეციალური ტრაფარეტის (ე. წ. „ჩარჩოს“) ავტორობა, რომელიც გადასცა შეთქმულებს მათ თბილისურ და პეტერბურგულ/

მოსკოვურ წრეებს შორის საიდუმლო მიმოწერისათვის და ასეთი მიმოწერის არსებობა.

დიმიტრი ბატონიშვილი „დამნაშავეთა“ პირველ კატეგორიას („შეთქმულების მთავარი დამწყებნი“) მიაკუთვნეს, ჩამოართვეს ბატონიშვილის („ცარევიჩი“) ტიტული და სამი წლით სმოლენსკში გადაასახდეს. მოგვიანებით იგი რუსეთის სამოქალაქო სამსახურში შევიდა და კოლეგიის რეგისტრატორის ჩინი მიიღო. 1833 წელს რუსეთის მთავრობამ „თავად გრუზინსკის“ ტიტული დაუმტკიცა. მასაც, ისევე როგორც რუსეთში გადასახლებულ სხვა ბატონიშვილებს, ეძლეოდა სახელმწიფო პენსია.

თანამედროვეთა მოგონებით დიმიტრი ბატონიშვილი იყო მეტად ნიჭიერი და განათლებული ადამიანი, კარგად ერკვეოდა პოლიტიკასა და ფილოსოფიაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში. შეთქმულნი მას ვოლტერს უწოდებდნენ და ახალ მთავრობაში მინისტრის თანამდებობაზეც ვარაუდობდნენ. სამწუხაროდ, ქართული ენა მან მეტად ცუდად იცოდა და საქართველოშიც აღარასოდეს დაბრუნებულა.

დიმიტრი ბატონიშვილს ოჯახი არ შეუქმნია და უშუალო შთამომავალი არ დარჩენია. იგი 1845 წლის 14 იანვარს 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია სანკტ-პეტერბურგში, ალექსანდრ ნეველის ლავრის ფეოდორის ეკლესიაში.

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მოხსენებაში შევცდებით უფრო ვრცლად ვისაუბროთ დიმიტრი ბატონიშვილზე და რელიეფურად წარმოვაჩინოთ მისი პორტრეტი, რათა ხელი შევეწყოთ მისი, როგორც ერთი გამორჩეული და ღირსეული ქართველის სახელისა და ღვანლის პოპულარიზაციას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. წარმოდგენილი კვლევა ხელს შეუწყობს ზოგადად 1832 წლის შეთქმულების პერიპეტიების შესწავლასაც.

**დასავლური მუსიკა და მუსიკოსები საბჭოთა
პერიოდის ოფიციალური პერიოდული გამოცემების
ფურცლებზე**

ბეჭდური პრესა ახალი და განსაკუთრებით კი უახლესი ისტორიის შესწავლისთვის მნიშვნელოვანი წყაროა. ჩვენი საკვლევი პერიოდის შემთხვევაში (1960-1980-იანი წლები) პერიოდულ გამოცემებს დიდი როლი ენიჭება საზოგადოებისა და ოფიციალური დამოკიდებულების დინამიკის გამოსავლენად. საბჭოთა პერიოდში პრესას დიდი პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა, ვინაიდან ზოგადად პრესა და თავად ჟურნალისტების საქმიანობა ემსახურებოდა სახელმწიფო ინტერესებს და იყო სკკპ პოლიტიკის ერთგვარი რუპორი. მაგალითად, გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ და მისი ჟურნალისტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას და პირველ რიგში კი, ახალგაზრდების კულტურას. ჩვენ მიერ დასახელებული გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად შექდებოდა გაზეთის მკითხველთა მუსიკალური მიდრეკილებები და ახალი მიმდინარეობები საზღვარგარეთულ მუსიკალურ კულტურაში. ამას გარდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჟურნალ „როვესნიკს“, რომელიც გახდა მნიშვნელოვანი და ამავედროულად, ინფორმაციის ოფიციალურად სანქცირებული წყარო როგორც პოპ მუსიკის ახალგაზრდა მომხმარებლებისთვის, ასევე კომკავშირის ადგილობრივი იდეოლოგიებისთვის. ხშირად, სხვადასხვა საცეკვაო მოედანზე მუსიკის შერჩევაში კურატორები სწორედ „როვესნიკით“ ხელმძღვანელობდნენ, თუ „როვესნიკში“ კონკრეტულ შემსრულებელზე ინფორმაცია იყო დაბეჭდილი, ესე იგი მისი დაკვრა შესაძლებელი იყო. ამ ჟურნალმა, 70-80-იან წლებში ფაქტობრივად სრულად დაფარა როკ-მუსიკის მთელი ისტორია. ჟურნალის ფურცლებზე შეხვდებოდით დასავლური მუსიკის ყველა ფიგურას. 1960-იანი წლების ბოლოს მუსიკა წარმოდგენილი იყო მასალებით ჯიმ მორისონის „დორისი“ შესახებ, მრავლად იყო სტატიები „ბითლზების“, „როლინგ სტოუნსის“ და „ჰუ“-ს შესახებ. სხვა არტისტები - როგორცაა ელტონ ჯონი, დევიდ

ბოუი, „ლედ ზეპელინი“, „ქუინი“, სლეიდი“, „რეინბოუ“, „იურაი ჰიპი“, „ემერსონ, ლეიქ ენდ პალმერი“, „პინკ ფლოიდი“, „იქს პისტოლსი“ და „ქლეში“ - აგრეთვე პოპულარული საგნები იყო სტატიებისთვის 1970-იანი წლების მუსიკის ისტორიისათვის, ფარავდა რა ჰევი მეტალის, ფსიქოდელიის, პროგრესივ და პანკ-როკისა და „ახალი ტალღის“ განსხვავებულ სტილებს.

საინტერესოა, რომ ფაქტობრივად 1963 წელს დაარსებული ბითლზის შესახებ 1964 წელს უკვე ქვეყნდება ინფორმაციები საბჭოთა ოფიციალურ პრესაში. ზოგადად, საბჭოთა პრესაში „ბიტლომანიის“ ფენომენს, უნდა ითქვას, განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა. მაგალითად, გაზეთმა „იზვესტიამ“, 1964 წელს ვრცელი საგაზეთო პუბლიკაცია მიუძღვნა აშშ-ში მიმდინარე ბიტლომანიის პროცესს, ჟურნალი „კროკოდილი“ კი ვრცლად მოუთხრობდა მკითხველს ამერიკული ტურნეს მსვლელობას.

„ბითლზის“ შემდეგ უმთავრესი განხილვის საგანი „როლინგ სტოუნსი“ იყო. მაგალითად, ჟურნალ „როვესნიკში“, „როლინგები“ წარმოდგენილი იყო როგორც ანტი-ესტაბლიშმენტური როკ-ბენდი და აქებდნენ მათ სიმღერებს, როგორც „გულწრფელ პროტესტს კაპიტალისტური ექსპლუატაციის“ წინააღმდეგ. პუბლიკაციის ავტორის მიხედვით, მათი სიმღერა “(I Can’t Get No) Satisfaction” იყო „შფოთვისა და იმედგაცრუების ემოციურად ძლიერი გამოხატულება თანამედროვე ბურჟუაზიული დასავლური სამყაროს მიმართ.“ ზოგადად, „როლინგ სტოუნსი“ გამონაკლისი არაა და „ის მუსიკოსები, რომლებიც მონაწილეობდნენ მუშათა კლასის მოძრაობაში, კომუნისტური პარტიების საქმიანობაში ან დასავლეთის ქვეყნებში ომის საწინააღმდეგო, ანტიიმპერიალისტურ ქმედებებში, „როვესნიკის“ სტატიების გმირები გახდნენ.“

სხვადასხვა ახალგაზრდულ გაზეთში იშვიათად, თუმცა მაინც, ჩნდებოდა ნათარგმნი სტატიები, უმთავრესად, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების გაზეთებიდან (თუმცა იყო გამონაკლისებიც, როდესაც სტატიები გდრ-დან, ამერიკიდან და ბრიტანეთიდან იყო).

ცხადია, საბჭოთა პრესა არ იყო მოკლებული დასავლური მუსიკისა და მუსიკოსების კრიტიკას. პრესაში დასავლური მუსიკის წინააღმდეგ ბრძოლა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა. ხაზი ესმებოდა ამგვარი მუსიკის მოსმენის ფიზიოლოგიურად საზიანო შედეგებს. მაგალითად, გაზეთ „კომსომოლსკაია

პრავდას“ 1968 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია (რომელიც ეყრდნობოდა გფრ-ში გამომავალ ჟურნალ „შტერნის“ სტატიას), რომ ადამიანისთვის საზიანო ხმის სიხშირე 65 ფონია, ხოლო ბიტ-მუსიკის დროს გამოყოფილი ხმა აღემატება 120 ფონს: „სასმენი აპარატის დაზიანების გარდა, შესაძლებელია გულის მოქმედებისა და სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ნერვოზულობა, უძილობა, ზოგადი გაღიზიანებულობა. საქმე ისაა, რომ ზიანის მომტანია არა მხოლოდ ბიტ-მუსიკის მაღალი ხმა, არამედ, პირველ რიგში, მისი მონოტონური რიტმი.“

გარკვეული მიმართულება ეთმობოდა გარეგნულ ნაწილზე აპელირებას, ეს განსაკუთრებით ჰიპების შემთხვევაში და ამ მხრივ ფლაგმანის როლს სატირული ჟურნალი „ნიანგი“ ასრულებდა. კრიტიკა ადგილობრივ მედასავლეთეებსაც შეხვდათ, მაგალითად, სტილიაგებს, რომელთაც კარიკატურებზე გრძელი კისრებით გამოხატავდნენ, რაც იმის გამომხატავი იყო, რომ მათ აინტერესებდათ ყველაფერი ის, რაც „რკინის ფარდის“ მიღმა იყო. გარდა ამისა ხაზი ესმებოდა გრძელ თმებსა და ფერად ტანსაცმელს. როგორც ტატიანა ნევსკაია თავის სადისერტაციო ნაშრომში წერს, ახალგაზრდა გრძელთმიანი და ფერადსამოსიანი ახალგაზრდის გარეგნობა გარშემომყოფებში იწვევდა შიშსა და შეცბუნებას.

ამგვარად, წინამდებარე კვლევაში ჩვენ წარმოვადგენთ აღნიშნულ პერიოდში დასავლური მუსიკოსებისა და მუსიკის მიმართ საბჭოთა პრესაში არსებულ დამოკიდებულებას. გამოყოფთ ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებს, მივცემთ შეფასებებს და შევეცდებით ავხსნათ განსხვავებულ პერიოდში დასავლური კულტურისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებების მიზეზები.

გამოთვლითი პლატფორმა ჰერკულანუმის პაპირუსის წერილების გაშიფრისათვის

1800-ზე მეტი კარბონიზებული პაპირის კოლექცია, რომელიც აღმოჩენილია ჰერკულანუმში რომაულ *“Villa dei Papiri”* არის უნიკალური კლასიკური ბიბლიოთეკა, რომელიც გადარჩა ანტიკური ხანიდან. ეს ბრწყინვალე კოლექცია დაიწვა 79 წელს ვეზუვიუსის ამოფრქვევის დროს. პაპირუსის წერილები შეიცავს ბერძენი ფილოსოფოსების ტრაქტატების შთამბეჭდავ რაოდენობას, მათ შორის ეპიკურელი ფილოსოფოსის ფილოდემოსის ნაშრომებს.

ცოტა ხნის წინ დაიწყო მათი საიდუმლოების გახსნა რენტგენის კონტრასტული ტომოგრაფიის საშუალებით. ჰერკულანუმის პაპირუსების გამოკვლევის ერთ-ერთი რთული ამოცანაა მათი ვირტუალური განლაგება, მათი უაღრესად რთული სტრუქტურისა და სამგანზომილებიანი მოწყობის გამო.

განვიხილავთ გამოთვლით პლატფორმას ვირტუალური განლაგების პროცედურისთვის და ვაჩვენებთ მისი გამოყენების ეფექტურობას ჰერკულანუმის პაპირუსის ფრაგმენტებზე. ეს ნაშრომი გზას უხსნის ტექსტის უფრო დიდი ნაწილების შემდგომ ინტერპრეტაციას, რომელიც დამალულია კარბონიზებული ჰერკულანუმის პაპირუსში.

დღეისათვის ჰერკულანუმის პაპირუსში დამალული ტექსტების დიდი ნაწილი გაშიფრულია, გაძლიერებული რენტგენის კონტრასტული ტომოგრაფიის გამოყენებით და რიცხვითი ალგორითმების საშუალებით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ვაჩვენოთ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა ბერძნული ტექსტების პაპირუსის გრაგნილებში.

აღწერილ ტექნოლოგიებს გააჩნია უპრეცედენტო სივრცითი გარჩევადობა და კონტრასტი, და გამოყენება ამ ძვირფასი ისტორიული ხელნაწერების დაზიანების გარეშე.

ტექსტის ნაწილები სხვადასხვა ტექნოლოგიებით ამჟამად გაშიფრულია და ეპიკურელი ფილოსოფოსის ფილოდემოსის „ხმა“ კვლავ დაბრუნდა 2000 წლის შემდეგ ჰერკულანუმის პაპირუსებიდან.

ნაოსში მოწყობილი ბემების ძიება ადრექრისტიანულ ქართულ ტაძრებში

ჩვენ მიერ ნაქალაქარ ნეკრესში არქეოლოგიურად აღმოჩენილ IV-V საუკუნეების ორ ქრისტიანულ ტაძარში - ჭაბუკაურისა და დოლოჭოპის გრანდიოზული ზომის ბაზილიკებში, ქართული ეკლესიებისათვის დღემდე უჩვეულო სტრუქტურული ელემენტები დადასტურდა. კერძოდ, მათ ცენტრალურ ნაგებში, აღმოსავლეთიდან მე-3 და მე-4 წყვილ სვეტებს შორის, ანუ ზუსტად ნაოსების ცენტრში მოწყობილია ე. წ. ქვა-ყუთის ტიპის ოსუარიუმები. ერთ შემთხვევაში (ჭაბუკაურში), ქვის ლუსკუმაში რამდენიმე მიცვალებულის ძვლოვანი ნეშტი იყო ჩაბრძანებული მონაზვნური, მეორადი დაკრძალვის წესით. მეორეგან, დოლოჭოპის ბაზილიკაში კი განსაკუთრებული პატივით - ქვის სასთუმალზე დასვენებული თავით და მალა შემართული მაკურთხებელი მარჯვენით, ჩასვენებული იყო ერთი ინდივიდი, დიდი ალბათობით მალალი იერარქიის სასულიერო პირი (იქნებ, ამ ტაძრის მაშენებელი ეპისკოპოსიც). ორივე ამ სამარხის ირგვლივ დადასტურდა დაკრძალვის დროსვე მოწყობილი უჩვეულო ნაგებობათა საძირკვლების ნაშთები, რომელთა იატაკის ზედა ნაწილები, თვით ამ ლუსკუმათაგან განსხვავებით, მოგვიანებით მოუშლიათ. ამგვარად, ორივე ტაძრში სავარაუდოა ნაოსების ცენტრში რამდენადმე მაინც შემალღებული პლატფორმისებრი კონსტრუქციების არსებობა, საძირკველქვეშ ჩატანებული წმინდა ნაწილებით.

აქ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ, რომ რომაულ და ადრეულ ბიზანტიურ სამყაროს უძველეს ქრისტიანულ ბაზილიკებში, განსაკუთრებით მრავლად კი ჩრდილოეთ და დასავლეთ სირიაში, ეკლესიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიტურგიკული კომპონენტი იყო ნაოსის ცენტრში ჩადგმული ბემა, ანუ, შემალღებული, ქვის ან ხის პლატფორმა, რომლიდანაც ღვთისმსახურებისას გარკვეულ ლოცვებს კითხულობდნენ სასულიერო პირები. იქაურ ნაეკლესიარებში გვხვდება როგორც წრიული, ისე ნახევარწრიული და მართკუთხა გეგმის ბემების ნაშთები - მათი უმრავლესობა, მოგვიანებით, ლიტურგიის კანონიკის ცვლილების გამო მოუშლიათ. თუმცა, ზოგიერთზე ბალდახი-

ნისა და საკურთხევლისკენ მიმართული სამეუფეო ტახტების ნაშთებიცაა შემონახული. მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ თუკი ზოგადად ქრისტიანული ტაძარი სიმბოლურად სამყაროს მოდელს განასახიერებს, მის ცენტრში მდგარი ბემა გაიგივებული იყო როგორც იერუსალიმთან, ისე გოლგოთასთანაც და, შესაძლოა, ქრისტეს საფლავთანაც. როგორც ჩანს, ბემის სწორედ ამგვარი სიმბოლიკა განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ არქეოლოგიურად შესწავლილ ამ ტიპის სირიულ ძეგლებში, მრავალგან გამოვლინდა მათ ქვეშ მოწყობილი წმინდანთა სანაწილეები თუ სამარხები. ადრეული სირიული ეკლესიების ზოგიერთი ცნობილი მკვლევარი იმასაც კი ამტკიცებს, რომ მცირე ზომის ბემიანი ტაძრების დიდი ნაწილი, სულაც მარტირიუმებიანო, თუმცა მეცნიერების უმრავლესობის აზრით, დიდი ზომის ბემიან სამრევლო ტაძრებს მხოლოდ წმინდანთა მავზოლეუმების ფუნქცია არ გააჩნდათ. დიდი ალბათობით, ამ ტიპის ბემების პლატფორმების ქვეშ მოწყობილ აკლდამებში წმინდანთა ნაწილების დაბრძანება ან სამარხების მოწყობა (საკურთხევლების ქვედა კრიპტების პარალელურად), საკმაოდ გავრცელებული ჩვეულება ყოფილა სირიის მეზობელ რეგიონებშიც.

სწორედ ამ მოვლენის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ჭაბუკაურის და დოლოოჭოპის ტაძრების ნაოსის ცენტრში აღმოჩენილი ქვის ოსუარიუმები, აქ სირიული ანალოგიებისამებრ აღმართული ბემების ქვეშ ყოფილიყო მოწყობილი ქრისტეს სიმბოლური სამარხების ნაშთებია. ჩვენი აზრით, ეს გარემოება კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი არგუმენტია იმ ჰიპოთეზის სასარგებლოდ, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოში ქრისტიანული სარწმუნოება და ლიტურგიის სტილი, თავდაპირველად ანტიოქიის მღვდელმთავართა კურთხევით უნდა დამკვიდრებულიყო.

ნაქალაქარ ნეკრესის უძველეს ქრისტიანულ ტაძრებში ამ ელემენტების დადასტურებამ გაგვიჩინა ეჭვი იმის თაობაზე, მსგავსი კონსტრუქციები საქართველოს სხვა ადრექრისტიანულ ეკლესიაშიც ხომ არ იყო ბოლო დრომდე შემონახული. უპირველეს ყოვლისა მეხსიერებაში აღვიდგინეთ კახეთის რეგიონში ჩვენ მიერ არქეოლოგიურად გამოკვლეული ამ ეპოქის ნაეკლესიარები და მართლაც, ერთგან მსგავსი ელემენტის დანამდვილებით არსებობა, ვგონებ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ეს გახლავთ არეშის ნაქალაქარის ტყის უბნის ტერიტორიაზე

მდებარე სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესია, რომლის პირველი ქრონოლოგიური პლასტის აგების თარიღად აკადემიკოსი ლ. ჭილაშვილი არქეოლოგიური მასალით IV ს-ს მიიჩნევდა. ეკლესიის დარბაზის ცენტრში, საკურთხევლის საპირისპიროდ დგას სტრატეგრაფიულად ეკლესიის თანადროული, თითქმის კვადრატული გეგმის (1.0 X 1.1 მ), 1.1 მ სიმაღლის ქვითკირის ნიში, რომელის ზედაპირი ოდნავ დაზიანებულია, თუმცა მისი თავდაპირვე სიმაღლეც დაახ. ასეთივე უნდა ყოფილიყო. აღმოსავლეთ სიბრტყეზე დატანებული აქვს ფართო ნიში (0.4 X 0.36 მ, სიღრმე 0.56 მ). ამ ნიშს ლ. ჭილაშვილი, დღემდე აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული წარმართული სალოცავი ნიშების ასოციაციით, წინარე წარმართულ სამლოცველოდ მიიჩნევდა, რომელზედაც დააშენეს ეკლესია და მან გარკვეული ახალი ფუნქცია შეიძინა. ჩვენ წარმართული ნიშისა და ქრისტიანული ეკლესიის ასეთი სიმბიოზი არარეალურად გვეჩვენება. სამაგიეროდ, ეკლესიაში მისი მდებარეობით და ზედაპირის ფართობით ეს კონსტრუქცია თავისუფლად შეიძლება აღვიქვათ როგორც ბემას ერთგვარი ვარიაცია - მასზე თავისუფლად დაიდგმებოდა ხის სამეუფეო ტახტი. პლატფორმაზე ასასვლელი საფეხურიც ასევე ხისგან იქნებოდა დამზადებული.

ამასთან, არ უნდა გამოირიცხოს, რომ სალიტურგიო სივრცის ამგვარი ელემენტი, ნაქალაქარ არეშის ტერიტორიაზე ჩვენ მიერ გათხრილ, იმავდროულ სხვა ეკლესიებშიც შეიძლება მდგარიყო, მაგრამ სხვა სტრუქტურისა - უფრო ხისგან დამზადებულები (როგორც ეს სირიაში და სხვა ადრექრისტიანულ ქვეყნებშიცაა დადასტურებული), ამიტომაც მრავალსაუკუნოვან მიწის ფენაში უკვალოდ დაიშალა. ცხადია, ამ ვერსიის არსებობა სულ მცირე იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ადრექრისტიანული ეკლესიების ცენტრალური დარბაზის არქეოლოგიური კვლევისას, კონსტრუქციების შესაძლო სულ მცირე ნაშთების ფიქსაციისას მეტი დაკვირვებულობა უნდა გამოვიჩინოთ.

თუმცა, ბოლომდე დარწმუნებულნი არც იმაში უნდა ვიყოთ, რომ საქართველოს ზეზეულად შემორჩენილ ადრექრისტიანულ ეკლესიებში ამ დანიშნულების კომპონენტთა ნაშთები სრულიად აღარ არის შემორჩენილი. მართალია მრავალსაუკუნოვანმა ინტერვალმა ლიტურგიის სტილის ცვლილების შემდეგ, შესაძლებელმა რეკონსტრუქციამ ნოსის ცენტრალურ

ნავში მლოცველების რაოდენობის გაზრდის მიზნით ეს კვალი ალბათ მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ ერთეული შემთხვევების მოძიება შესაძლოა კიდევ მოხერხდეს.

მაგალითად, შესაძლოა სწორედ ამგვარი კონსტრუქციის ნაშთთან გვაქვს საქმე მცხეთის ჯვრის ტაძრის ცენტრში მდგომი კვარცხლბეკის სახით. ეს გახლავთ დაახ. 3.2 მ დიამეტრის წრეხაზში ჩანერილი რვაკუთხედის გეგმის, 1.6 მ სიმაღლის ქვითკირის კონსტრუქცია, რომელიც ზუსტად ისეთი ქვიშაქვის ნათალი ფილებითაა ნაგები, რითაც თვით ტაძარი. კვარცხლბეკის ზედაპირი ამჟამად მეტ-ნაკლებად მოსწორებულია, თუმცა ეტყობა, რომ თავდაპირველი დამაგვირგვინებელი კონფიგურაცია ნაშლილია. უეჭველია, რომ ამ ზედაპირზე ასასვლელად დასავლეთიდან ასეთივე ნათალი ქვის საფეხურები ყოფილა მოწყობილი (კიბის 2 საფეხური დაზიანებული სახით დღემდეა შემორჩენილი).

ქართულ ისტორიოგრაფიაში, წერილობით წყაროებსა და ზეპირ საეკლესიო ტრადიციებზე დაყრდნობით ერთსულოვნადაა მიღებული აზრი, რომ ეს ნაგებობა ქართლის ქრისტიანობის ხანაში მეფე მირიანის მიერ აღმართული ხის ჯვრის კვარცხლბეკს წარმოადგენს, რომელიც რელიქვიის სახითაა დატოვებული მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის ინტერიერში. ეს მოსაზრება თითქოს ლოგიკურია, მიუხედავად იმისა, რომ მასზე აღმართული ჯვარი - ორიგინალის ნაშთი ან განახლებული იმიტაცია, ისტორიული ხასიათის მოგზაურობა-აღწერისა თუ კვლევისა მოხილვად წარსულში არსად ფიქსირდება. შეიძლებოდა იმის შესახებ მსჯელობაც, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ გარემოზე ისედაც გაბატონებულ მთაზე ხის, უთუოდ ფრიად დიდი ჯვრის აღსამართად ამდენად მაღალი, ნათალი ქვით მოპირკეთებული კვარცხლბეკის მოწყობა (ეს მთა ხომ ისედაც ერთგვარ გრანდიოზულ პედესტალს წარმოადგენდა მცხეთის ირგვლივ დიდ ტერიტორიებიდან ჯვრის გამოსახულების მოსახილველად). ერთი რამ კი უდავოა - თუკი ეს კონსტრუქცია შემდგომი კვლევით ტაძრის თანადროული აღმოჩნდება და მის ქვეშ ოსუარიუმიც დადასტურდება, სავსებით შესაძლებელია ისიც VI საუკუნეში ბიზანტიური სამყაროს აღმოსავლეთ პროვინციების ქრისტიანულ ტაძრებში ესოდენ ფრიად გავრცელებული ლიტურგიული ელემენტად - ბემად მიგვეჩნია.

ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

მოხსენების ძირითად განსახილველ თემას წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეპოქაში გამოცემული ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოები. ნაშრომში დეტალურადაა განხილული მოკლე ქრონოლოგიურ პერიოდში გამოცემული ყველა ის სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც ძველი ისტორიის საკითხებს ეხებოდა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძველი მსოფლიოს ისტორიის სწავლებისას ორი სხვადასხვა ავტორის, დიმიტრი უზნაძისა და ალექსანდრე წერეთლის, ავტორობით გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოები გამოიყენებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ პერიოდში ინტერესი პირველი რესპუბლიკის საგანმანათლებლო სისტემისადმი ერთი ორადაა გაზრდილი, თუმცა შეინიშნება ერთი სამწუხარო ტენდენცია. ის ავტორები, რომლებიც ამ საკითხით ინტერესდებიან, ან ნაკლებად ეხებიან ან საერთოდ გვერდს უვლიან სახელმძღვანელოების საკითხს, რაც გაუმართლებელია. სახელმძღვანელოების შესწავლის გარეშე საუბარი პირველი რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკაზე სრულიადაც ვერ შექმნის სრულ სურათს აღნიშნული საკითხის სრულყოფილად შესასწავლად.

წარმოდგენილი მოხსენება ერთგვარად ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს და მასში გაერთიანებულია პედაგოგიკისა და ისტორიოგრაფიის აქტუალური საკითხები. სახელმძღვანელოთა კვლევა თანამედროვე ისტორიოგრაფიის აქტუალურ თემას წარმოადგენს, რადგანაც სახელმძღვანელო განსაკუთრებული ტიპის ისტორიული წყაროცაა და მასში კარგად ჩანს, როგორც ისტორიოგრაფიული ტენდენციები, ასევე ისტორიული და კულტურული ფონი.

კვლევის პროცესში მთავარ საისტორიო წყაროს წარმოადგენდა სახელმძღვანელოები, შესაბამისად, ნაშრომი დაეფუძნა ისტორიოგრაფიული კვლევა-ძიებისათვის დამახასიათებელ კვლევის მეთოდებს, ასევე ისტორიული შემეცნების მეთოდს. კულტურული და ისტორიული ფონის წარმოსაჩენად

მივმართეთ ჰერმენევტიკულ ანალიზსა და დისკურსის ანალიზს. მართებული დასკვნების მისაღებად მნიშვნელოვანი იყო შედარებითი კვლევის მეთოდი, რომლის საშუალებითაც გამოვლინდა თავად თანადროულ ეპოქაში გამოცემულ სახელმძღვანელოებსა და სხვადასხვა ეპოქაში გამოცემულ სახელმძღვანელოებს შორის არსებული ისტორიოგრაფიული და მეთოდოლოგიური განსხვავებები.

მოხსენების ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია შემდეგ საკითხთან: როგორ მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიის რღვევის შემდეგ ახალგაზრდა რესპუბლიკაში „ეროვნული სკოლის“ მშენებლობის პარალელურად მსოფლიოს ისტორიის და კერძოდ, ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოთა შექმნა, რომელიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს დაიწყო. ძირითად პრობლემასთან შესაბამისობაშია ფორმულირებული საკვლევი შეკითხვები: რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ქართულ ენაზე ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოების გამოცემას? რა მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით იქმნებოდა ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოები? რა მოთხოვნებს უყენებდა სახელმწიფო სახელმძღვანელოთა ავტორებს და რამდენად ავტონომიურად ქმნიდნენ ისინი სახელმძღვანელოებს? რა ძირითადი ისტორიოგრაფიული განსხვავებანი არსებობდა სახელმძღვანელოებს შორის?

ქართულენოვანი სახელმძღვანელოების და მათ შორის ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოების გამოცემას და მის ფართოდ დანერგვას სამმა ისტორიულმა მოვლენამ შეუწყო ხელი: 1. 1914 წლის 1 ივნისს გამოიცა კანონი, რომლითაც რუსეთის იმპერიაში შემავალ ერებს მშბლიურ ენაზე სწავლების უფლება მიენიჭათ; 2. მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა ამ საქმის მასშტაბების გასაფართოვებლად იყო 1918 წლის 26 იანვარს პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსება; 3. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული სკოლის მშენებლობის პროცესი კიდევ უფრო აქტიურად დაიწყო და ცხადია, ამ პროცესში თავისი განუზომელი როლი მსოფლიოს ისტორიის ქართულენოვანმა სახელმძღვანელოებმაც შეასრულეს.

დიმიტრი უზნაძემ თავისი პირველი სახელმძღვანელო, სახელწოდებით, „ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა“ ჯერ კიდევ 1916 წელს, ქუთაისში გამოსცა, როდესაც

საქართველო ისევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. საწყის ეტაპზე პირველყოფილი კულტურის ისტორია და ძველი აღმოსავლეთის ისტორია ერთად ისწავლებოდა, ამიტომაც დიმიტრი უზნაძესაც ძველი მსოფლიოს ისტორიის კურსი სამ ნაწილად ჰქონდა დაყოფილი. პირველი ნაწილი მოიცავდა პირველყოფილ კულტურასა და ძველ აღმოსავლეთს, მეორე ნაწილი-ძველ საბერძნეთს, ხოლო მესამე ნაწილი-ძველ რომს. 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ სასწავლო გეგმასა და პროგრამებში ცვლილებები შეიტანა, კერძოდ, პირველყოფილი კულტურის ისტორია ცალკე უნდა ესწავლებინათ. ამის შემდეგ დიმიტრი უზნაძემ ძველი მსოფლიოს ისტორიის სამნაწილიანი კურსი ორ სახელმძღვანელოში მოათავსა. ძველი აღმოსავლეთის ისტორია გაერთიანდა ძველი საბერძნეთის ისტორიასთან, ხოლო რომის ისტორია ისევ ცალკე დარჩა. რაც შეეხება ალექსანდრე წერეთელს მან დიმიტრი უზნაძისგან განსხვავებით, ძველი მსოფლიოს ისტორია ერთ წიგნად გამოსცა და უწოდა მას „ძველ საუკუნეთა ისტორია“. პირველად სასკოლო სახელმძღვანელო 1918 წელს ქუთაისში გამოიცა, ხოლო 1919 და 1920 წლებში უკვე თბილისშიც დაიბეჭდა.

უზნაძისა და წერეთლის სახელმძღვანელოები ორი სრულიად განსხვავებული მიდგომითაა შედგენილი. დიმიტრი უზნაძის ავტორობით გამოსულ სახელმძღვანელოებში აქცენტირებულია კულტურის, ხელოვნების, რელიგიის ისტორია, ხოლო ალექსანდრე წერეთლის სახელმძღვანელოში უფრო მეტად სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებზეა აქცენტები დასმული. ცხადია, აღნიშნული განსხვავება ავტორთა მსოფლმხედველობრივი პოზიციითა განპირობებული.

უნდა ითქვას, რომ სამინისტრომ ორივე მათგანი დაამტკიცა სახელმძღვანელოდ. აქ აშკარად ჩანს განათლების სამინისტროს პოზიცია, როცა მათ თავად მასწავლებლებს მისცეს უფლება აერჩიათ რომელი სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ მოსწავლეებს. საინტერესო ინფორმაციას იძლევა განათლების სამინისტროსთან არსებული სახელმძღვანელოთა სარეცენზიო კომისიის რეცენზიები. სახელმძღვანელოს ანონიმი რეცენზენტი რეკომენდაციას გასცემს, რომ ალექსანდრე წერეთლის შემჭიდროებული სასწავლო კურსი დაწყებით კლასებში გამოიყენონ, ხოლო უზნაძის შედარებით უფრო ვრცელი სახელმძღვანელო მაღალ კლასებში.

დიმიტრი უზნაძისა და ალექსანდრე წერეთლის სახელმძღვანელოებმა დიდი როლი შეასრულეს ძველი მსოფლიოს ისტორიაში ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა ერთი გარემოება: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში არის უამრავი პატარა ბარათი, სადაც ამოწერილია ტერმინები, სწორედ, ალექსანდრე წერეთლისა და დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოებიდან. ივანე ჯავახიშვილი სპეციალურად აკვირდებოდა და ინიშნავდა სახელმძღვანელოებში გამოყენებულ ტერმინებს, რომელთა დიდი ნაწილი ქართულმა ისტორიოგრაფიამაც გაიზიარა.

მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა სახელმძღვანელოების გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც დიმიტრი უზნაძეს და არც ალექსანდრე წერეთელს სახელმძღვანელოებზე მუშაობა დასრულებულად არ მიაჩნდათ. მიმდინარეობდა მათი სრულყოფა და დახვეწა. აღნიშნულ საქმეში ავტორები უპირველესად მასწავლებლებს სთხოვდნენ დახმარებას. მიდგომა იყო სავსებით სწორი და რეალისტური და პირდაპირ ეხმიანებოდა ეროვნული სკოლის ინტერესებს, თუმცა 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, ეროვნული სკოლის შენების პროცესი ხანგრძლივად შეჩერდა და დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედი სახელმძღვანელოებიც სკოლების სასწავლო პროგრამებიდან ამოიღეს.

გვანცა ფოცხიშვილი

ნუსა კაკიაშვილი

ნანა კუპრაშვილი

**კედლის მხატვრობის და დეკორატიული
ელემენტების ავთანდურ კონთაქსტში შენარჩუნების
გამონვავები და რეკომენდაციები**

მოცემული ნაშრომის მიზანია, კედლის მხატვრობასა და დეკორატიულ ელემენტებზე საზგასმით, სხვადასხვა ტიპის დასახლების ურბანული განვითარებისა და ადაპტაციის წრი-

ლში, კულტურული მემკვიდრეობის როლის აღწერა. ნაშრომის ავტორების ამოცანაა, ბუნებრივი თუ ანთროპოგენული მიზეზებით, ორიგინალ კონტექსტს მოშორებული ან/და განადგურების პირას მყოფი კედლის მხატვრობის და დეკორატიული ელემენტების შენარჩუნებაზე, მათი სათანადოდ კონსერვაციის და შემდგომი მოვლა-პატრონობის შესაძლებლობებზე ყურადღების გამახვილება.

კულტურული მემკვიდრეობის ნებისმიერი ნიმუშის სიცოცხლის გახანგრძლივებისა და კონსერვაციისთვის, პირველ, აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს, მისი შესწავლა და დოკუმენტირება, მის ირგვლივ არსებული გარემოს და დამაზიანებელი ფაქტორების შეფასება და დაზიანების პროცესის მონიტორინგი. შესწავლა ხორციელდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, განიხილება ავთენტური, კონტექსტს მოშორებული, ობიექტების იმავე ან უკიდურეს შემთხვევაში სხვა, მაგალითად სამუზეუმო გარემოში, ადაპტაცია, რათა მოხდეს როგორც ნიმუშის, ასევე მისი ისტორიული ღირებულების შენარჩუნება და ხელმისაწვდომი იყოს ფართო საზოგადოებისთვის. დღეს, თანამედროვე ტექნოლოგიები, საკითხისადმი მულტიდისციპლინარული მიდგომა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის მომუშავე სპეციალისტების გამოცდილება, გვეხმარება, განვსაზღვროთ ძეგლ-ობიექტების ფიზიკური მდგომარეობა, შევისწავლოთ მათ ირგვლივ არსებული გარემო პირობები და განვსაზღვროთ სარეაბილიტაციო თუ სარესტავრაციო სამუშაოების რისკები. ამ პროცესში, იმისთვის, რომ შემუშავდეს ჩარევის სწორი მეთოდოლოგია, ძეგლის ისტორიის, ავთენტურობის, მხატვრული და ტექნოლოგიური ღირებულებების შესანარჩუნებლად, აუცილებელია არაინვაზიური და, საჭიროების შემთხვევაში, ინვაზიური მეთოდების გამოყენებით, ძეგლის ისტორიული და ტექნიკური კვლევა.

კედლის მხატვრობასთან მიმართებაში, ერთ-ერთ აქტუალურ სარესტავრაციო ჩარევად განიხილება კედლის მხატვრობის საფუძვლის ორიგინალი ფენიდან ჩამოხსნა. მხატვრობის დაცვა-გადარჩენის მიზნით, ჩამოხსნის მეთოდი, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში მე-XX საუკუნეში ხშირად გამოიყენებოდა, თუმცა ჩამოხსნის შემთხვევები XXI-ე საუკუნეშიც გვხვდება. კედლის მხატვრობისა და დეკორატიული ელემენტების ავთენტური კონტექსტიდან მოშორება სა-

დაოა, როგორც საკონსერვაციო-სარესტავრაციო პრინციპების და პროფესიული ეთიკის, ისე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლ-ობიექტების მხატვრულ-ისტორიული ღირებულებიდან გამომდინარე. ვინაიდან კედლიდან მოხსნილი მხატვრობა აღარ არის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლ-ობიექტი, არ წარმოადგენს არქიტექტურული ძეგლის განუყოფელ ნაწილს, არამედ ის იძენს განსხვავებულ ფორმას და დანიშნულებას. საბედნიეროდ, კედლის მხატვრობის ჩამოხსნის პრაქტიკა, როგორც მხატვრობის გადარჩენის მეთოდი, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, დღეს უკვე იშვიათად გამოიყენება. თუმცა, თუკი რესტავრაცია-კონსერვაციის ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ არცთუ ისე შორეულ წარსულში ამგვარი მიდგომა სრულიად სტანდარტულ, მისაღებ და ხშირად გამოყენებად პრაქტიკას წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოხსნილ კედლის მხატვრობასთან დაკავშირებულ უცხოურ თუ ადგილობრივ ლიტერატურაში, ყურადღება მეტად გამახვილებულია ჩამოხსნის პროცესზე, მეთოდოლოგიასა და ამ პროცესში გამოყენებულ მასალებზე. ხოლო მხატვრობის ტრანსპორტირებაზე, მის გრძელვადიან კონსერვაციასა თუ საგამოფენო სივრცეში პრეზენტაციაზე ნაკლები იწერება.

ისეთმა უახლესმა მოვლენებმა, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, შეიარაღებული კონფლიქტები და ა.შ. კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ იშვიათ, და ცალსახად უკიდურეს შემთხვევებში, მხატვრობის ჩამოხსნა შესაძლოა გამართლებული იყოს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი შემთხვევებისთვის მზად ვიყოთ, გამოვიყენოთ არსებული ცოდნა-გამოცდილება, რომელიც უპასუხებს კონკრეტული ძეგლის საჭიროებებს, საკონსერვაციო მიდგომა კი იქნება მაქსიმალურად ეფექტური.

მოხსენება მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, (პროექტი: FR-22-2778, „ჩამოცვენილი ან/და ჩამოხსნილი კედლის მხატვრობის ნიმუშების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა და დაცვის მეთოდოლოგიის განსაზღვრა“) და მისი შედგენის მეთოდოლოგია ეფუძნება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ნაშრომის ავტორების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების ანალიზს და ამ საკითხთან მიმართებაში საუკეთესო მაგალითების განხილვას. მოხსენების

მიზანია, თეორიული მსჯელობის საფუძველზე, წარმოადგინოს თანმიმდევრული და არგუმენტირებული რეკომენდაციები, საერო და საკულტო ნაგებობების რეაბილიტაციის და რესტავრაციის პროცესში, კედლის მხატვრობის და დეკორატიული ელემენტების შენარჩუნების და უკეთ წარმოჩენისთვის.

მარინა ცინცაბაძე

კულტურული მემკვიდრეობის დარგები როგორც თაქნოლოგიური მიღწევების ნიმუში

საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში არსებობს უძველესი ცივილიზაციებთან მიმართებით ტექნოლოგიების შექმნის სხვადასხვა თეორიები, რომელშიც არ არის განხილული კავკასიის და კონკრეტულად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტექნოლოგიების მიღწევების არსებობა. ტექნოლოგიური სიახლეების თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ზემო პალეოლითის, ქსოვილის წარმოების ტექნოლოგიის არსებობის ორი ნიმუში (ბონდის, ძუძუნას მღვიმეები). საქართველოს ტერიტორიაზე ტექნოლოგიური სიახლეების განსაკუთრებული გამოვლენა დადასტურდა ნეოლითსა და ადრეულ ბრინჯაოს პერიოდში, როდესაც იქმნება კულტურული მემკვიდრეობის დარგების შექმნის უნიკალური კანონზომიერება, განსაკუთრებულად გამოვლენილი მეღვინეობასა და მეტალურგიის დარგებში. მეტალურგიაში ფლოტაციის მიზნით მთის მდინარეებზე წყლის სიჩქარის გამოყენება მათ შორის წყლის რეგულირებისათვის აჭარის რეგიონში ქვის გობების ამოჭრა, როგორც დასტური ადრეულ ბრინჯაოს ხანაში მეტალურგიაში ინდუსტრუალიზაციის პირველადი ნიმუშის არსებობის შედეგი .

გამონათქვამისათვის: „იღუბალი „გულის კაცი“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის 2021 წლის საშობაო ეპისტოლეში ვკითხულობთ: „როგორც ეკლესიის მამები გვაფრთხილებენ: არ უნდა დაგვაბრმავოს არაფერმა, მითუმეტეს ჩვენმა ამქვეყნიურმა წარმატებამ, – ჩვენი გონების, ნების, შემოქმედების უნარმა. ყური უნდა მივაპყროთ ჩვენს იღუბალ „გულის კაცს“ (სინდისს) (1 პეტრე, 3,4), გავეცნოთ წმინდა წერილს, მამათა სწავლებას და საკუთარ სულში მოვიძიოთ ის, რაც ღვთისაა, რომელიც არის ჩვენი რეალური „მე“... (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2021).

კათოლიკოს-პატრიარქის წერილში დამონშებულია სიტყვები პეტრე მოციქულის ეპისტოლედან: „იყავნ არა გარეშითა მით განთხზვითა თმათაფთა და შესხმითა ოქროფსაფთა... არამედ დაფარული იგი გულისა კაცი, უხრწნელითა მით მშჯდისა მის და მყუდროფსა სულისა წესითა, რომელ არს წინაშე ღმრთისა ფრად პატიოსან“... (1 პეტრე, 3,4).

როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, პეტრე მოციქულის „დაფარული გულის კაცი“ იგივეა, რაც პავლე მოციქულის „შინაგანი კაცი“, რომელიც ხშირად გვხვდება წმიდა მამათა სწავლებებში. წმიდა ამბროსი მედიოლანელი აღნიშნავს, რომ პეტრე მოციქულამდე არავის უსარგებლია ასეთი გამონათქვამით – „დაფარული გულის კაცი“... ნეტარი ავგუსტინე „დაფარული გულის კაცის“ შესაბამისად იყენებს გამოთქმას – „შინაგანი კაცი“, რომელიც პავლეს ეპისტოლეებში დასტურდება (მაგ.: „რამეთუ თანა-მნებაფს მე შჯულსა ღმრთისასა შინაგანითა მით კაცითა“... (რომაელთა 7,22); „დალაცათუ გარეშე ესე კაცი ჩუენი განიხრწნების, არამედ შინაგანი განახლდების დღითი დღედ“... (2 კორინთელთა 4,16).

ვფიქრობთ, დღევანდელ ქართულში დამკვიდრებული გამოთქმები: გულისხმა, გულისსიტყვა, გულისტქმა, გულისპასუხი, გულის კარნახით... და ა. შ. ელიფსური შესიტყვებებია, რომელშიც დაიკარგა [და იგულისხმება] „შინაგანი კაცი“ ანუ „გულის კაცი“ (ძვ. „შინაგანი მე“, სინდისი“). სავარაუდოდ, იქნებოდა [უნდა ყოფილიყო]: „შინაგანი კაცის ანუ დაფარული

(იდუმალი) გულის კაცის ხმა“; „შინაგანი კაცის ანუ დაფარული (იდუმალი) გულის კაცის პასუხი“; „შინაგანი კაცის ანუ დაფარული (იდუმალი) გულის კაცის კარნახით“ და ა. შ.; ასევე ელიფსური შესიტყვებაა „შინაგანი კაცი“, რომელშიც დაკარგულია „გული“...

ე.ი. გამონათქვამი „იდუმალი გულის კაცი“ იგივე „დაფარული [შინაგანი] კაცი გულისა“ ძვ. შინაგანი „მე“, „სინდისი“, „გონი“, „ბუნებითი სჯული“ ქართულში ორი ელიფსური შესიტყვებით შემორჩა: „შინაგანი კაცი“ (რომელიც ბიბლიური ტერმინია და, როგორც ცნობილია, ბერძნულის კალკია) და გახალხურებული გულისხმა..

ეს ბიბლიური ცოდნა-სწავლება შემორჩენილია ქართულ აზროვნებაში და ასახულია მწერლობაშიც... ამის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია ვაჟა-ფშაველას ლექსი „სინდისი“.

დავით მერაპვილაძე

რევან გულაშვილის მოგონებები და ბერგმანის ბატალიონი

მეორე მსოფლიო ომში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში 700 ათასზე მეტმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. ქართველი მეომრების ნაწილი იბრძოდა გერმანიის სარდლობის დაქვემდებარებაში ჩამოყალიბებულ ქართულ სამხედრო შენაერთებშიც.

სტატიაში წარმოდგენილია კავკასიური წარმოშობის ყოფილ საბჭოთა ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან შექმნილ ბატალიონ „ბერგმანის“ შემადგენლობაში არსებული ერთ-ერთი ქართული ასეულის ლეიტენანტის, რევან გულაშვილის მოგონებების განხილვა. ჩანაწერები შეეხება „ბერგმანის“ შექმნას, მომზადებას, საბრძოლო მოქმედებებსა და ავტორისეულ მოსაზრებებს მეორე მსოფლიო ომსა და „ბერგმანთან“ დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, მის პირად განცდებსა და ომის შემდეგ პატიმრობაში გატარებულ მძიმე წლებს გადასახლებასა და საბჭოთა ციხეში.

შარშან შემოდგომით საერთო ნაცნობის საშუალებით და-

მიკავშირდა ვერმახტის დაქვემდებარებაში არსებული სამხედრო შენაერთის, „ბერგმანის“ რიგებში მებრძოლი უმცროსი ოფიცრის, რევაზ გულაშვილის შვილიშვილი გვანცა ჯორჯიაშვილი. მას სურდა, რომ დავხმარებოდი მისი პაპის მოგონებების გამოქვეყნებაში და ამ მიზნით გადმომცა ხელნაწერი რვეული. რვეული შეიცავს მსოფლიო ომის მონაწილე და მრავალ განსაცდელგადატანილი მეომრის ლამაზი, გარკვეული ხელნერით შესრულებულ 77-გვერდიან ტექსტს. ტექსტი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით ყოველი ფურცლის მხოლოდ ცალ გვერდზე. ხელნაწერი სათაურის გარეშეა. ავტორს ხელნაწერი დაყოფილი აქვს ასევე უსათაურო თავებად. თავები გამოყოფილია რომაული ციფრებით.

საწყისი ტექსტის პირველ გვერდნახევარში, რომელიც წინათქმის შთაბეჭდილებას ტოვებს, რ. გულაშვილი ხსნის იმ მიზეზებს, რამაც გადაწყვიტინა საკუთარი მოგონებების ფურცლებზე გადატანა. აქვე რ. გულაშვილს აღნიშნავს, რომ მისი დაწერა გადაწყვეტია ხანგრძლივი „იძულებითი დუმილის შემდეგ,“ „როცა ჩვენმა სამშობლომ თავისუფლება მოიპოვა“ ანუ 1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ხანაში. მაშასადამე, როგორც ირკვევა, იგი უნდა შედგენილიყო 1992-1997 წლებში (1997 წელს ავტორი გარდაიცვალა). ეს გარემოება უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ გულაშვილის თხრობა მეტწილად განზოგადებულია. მისივე სიტყვებით, ამდენი დროის გასვლის შემდეგ „დეტალურად ყველაფრის გახსენება შეუძლებელია“. თუმცა მისივე მონოდებული „ძირითადი მომენტებიც“ საინტერესო ისტორიული წყაროა მოცემული თემით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

დღემდე არსებობს „ბერგმანის“ ორი ქართველი მებრძოლის, გივი გაბლიანისა და მიხეილ ქავთარაძის გამოქვეყნებული მემუარები. რევაზ გულაშვილის მოგონებები მნიშვნელოვანწილად ავსებს „ბერგმანის“ სამხედრო შენაერთის საბრძოლო ისტორიას და კიდევ ერთი ქართველი მებრძოლის კვალდაკვალ გვაძლევს მისადმი თვალის გადევნების საშუალებას.

რევაზ გულაშვილი დაიბადა 1923 წელს სოფელ მუხრანში. 1940 წელს დაამთავრა ინფანტერიის სასწავლებელი რუსეთის ქალაქ ეისკში. 1941 წლის ივლისიდან ლეიტენანტის წოდებით მსახურობდა 25-ე დივიზიაში ოცმეთაურად. აგვისტოში ჩავარდა ტყვედ და მოათავსეს პოლტავის ტყვეთა ბანაკში. ოქტომ-

ბერში ვლადიმერვოლინსკის ტყვეთა ბანაკში ქართველი ემიგრანტების შეთავაზებით მრავალ სხვა ქართველ სამხედრო ტყვესთან ერთად განწვრიანდა განსაკუთრებულ სამხედრო შენაერთ „ბერგმანში“ (მეთაური თეოდორ ობერლენდერი).

ბატალიონი „ბერგმანი“ თავიდან სამხედრო წვრთნას გადიოდა ქ. სტრანსის მახლობლად მდებარე სამხედრო დასახლებაში (ქვემო სილეზია). 1942 წლის მარტიდან რ. გულაშვილი ბატალიონ „ბერგმანთან“ ერთად ბავარიის ალპებში მდებარე სამხედრო დასახლება ლუტენზეეში მსახურობდა როგორც 1-ლი ქართული ასეულის ოცმეთაურის თანაშემწე.

ავვისტოს მეორე ნახევარში ბატალიონი „ბერგმანი“ გადაისროლეს კავკასიის ფრონტზე. რ. გულაშვილის ასეული მონაწილეობას იღებდა პიატიგორსკისა და ნალჩიკის ალებაში და მალგობეკის სტრატეგიული სიმაღლის დაკავებაში. 1942 წლის 30 დეკემბერს გულაშვილის ქართული ასეული გერმანულ ჯართან ერთად კავკასიიდან უკან იხევს ყირიმის მიმართულებით. 1943 წლის მარტიდან კი „ბერგმანის“ მეომრებმა მიიღეს დავალება, ყირიმის სანაპირო დაეცვათ მოსალოდნელი დესანტისაგან. 1944 წლის აპრილში ისინი გემით გადაიყვანეს რუმინეთში. ქართველი მებრძოლები ჯერ ათენის გარნიზონში ჩარიცხეს და დაავალეს ქალაქის პატრულირება, შემდეგ მათ ევალეობდათ გზებისა და ხიდების დაცვა იუგოსლავიის სხვადასხვა ადგილებში. ამ დროს რ. გულაშვილსა და მის თანამებრძოლებს უწევდათ დაპირისპირება ტიტოს მეთაურობით იუგოსლავიაში მოქმედ კომუნისტ პატრიზანებთან.

1945 წლის აპრილში საბჭოთა ტყვეობისაგან თავის დასაღწევად რ. გულაშვილი თავის თანამებრძოლებთან ერთად ცდილობდა იტალიაში გადასვლას. თუმცა 18 მაისს ბალკანეთში განთავსებული გერმანული ჯარების სარდლობის ბრძანებით „ბერგმანის“ მებრძოლები იძულებული გახდნენ, იარაღი დაეყარათ.

მოხსენებაში არ ვეხებით რ. გულაშვილის ტყვეობაში, გადასახლებაში და ციხეში გატარებულ წლებს. ამჯერად შემოვიფარგლეთ მოგონებების ავტორის სამხედრო თავგადასავლისა და „ბერგმანის“ ისტორიის მიმოხილვით. ცხადია, ამ დროს ვიყენებთ ამ საკითხის ირგვლივ არსებულ რამდენიმე სხვა ისტორიულ წყაროსაც.

**რელიგიური იდენტობის თავისებურებები
სამცხე-ჯავახეთის სომხურ თემში: კოსტასაძეთა
საქართველოს რელიგიური ტრანსფორმაციის
კონტექსტში**

მრავალწლიანი თანაცხოვრების გამოცდილების მიუხედავად, ქართული დომინანტური კულტურისთვის ჯავახეთის სომხური თემის პრობლემები, კულტურა და ყოველდღიურობა „უცხოდ“ რჩება. „ცენტრისთვის“ კი ჯავახეთი პერიფერიაა, რომლისადმი ინტერესი მოახლოებული არჩევნებისა თუ მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების პერიოდში ჩნდება. ხოლო თუ რას ნიშნავს მრავალფეროვან გარემოში ცხოვრება, თანაცხოვრების და კონფლიქტის პრაქტიკებით, ნაკლებად არის შესწავლილი. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების კულტურასა და რელიგიაში მიმდინარე პროცესების შესახებ სამეცნიერო ნაშრომები იშვიათად იქმნება. ამასთან არამართლმადიდებლური რელიგიები, დომინანტურ რელიგიურ დისკურსში, „სხვადა“ და მიუღებლად არის მიჩნეული. ეს უკანასკნელი საკითხიც, სომხური თემის კონტექსტში, მეცნიერულად, ნაკლებად შესწავლილია.

სამეცნიერო ნაშრომების სიმცირის, არმენოფობიისა და გაუცხოების ტენდენციის ფონზე, მნიშვნელოვანია ახალი პერსპექტივის შესწავლა, რისთვისაც მოცემული კვლევითი ნაშრომი ცდილობს დაადგინოს თუ რა თავისებურებებით ხასიათდება რელიგია ჯავახეთში და რა მნიშვნელობას აქვს რელიგიას ინდივიდებისთვის. ნაშრომის მიზანია, საზღვრისპირა, ჯავახეთის რეგიონში კომპაქტურად მცხოვრები, სომხური თემის რელიგიური თავისებურებების შესწავლა. ნაშრომი 2 სოფლის მაგალითზე, ორი ქვეყნის რელიგიური ტრანსფორმაციების პერიოდში, საზღვარზე მყოფი, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის, რელიგიურ და კულტურულ მახასიათებლებს მიმოიხილავს. ამასთან ერთად, აანალიზებს რელიგიის როლს იდენტობის და ნაციონალური ნარატივების კონსტრუირებაში.

ჯავახეთის სომხური თემის რელიგიის შესასწავლად შეირჩა ტრიანგულაცია. კერძოდ, თვისებრივი კვლევის 3 მეთოდი: ეთნოგრაფიული კვლევა, ვიზუალური კვლევა და ბიოგრაფიუ-

ლ-ნარატიული ინტერვიუ.

კვლევის შედეგად, გამოვლინდა ჯავახეთის სომხური თემის იდენტობის მრავალმხრივ განზომილება. დადგინდა, რომ „სომხური სამოციქულო ეკლესია“ მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, სასაზღვრო გამოცდილების ფორმირებისთვის. კერძოდ, სომხური სამოციქულო ეკლესია სომხეთთან კავშირის/სიახლოვის განცდის გაძლიერების პოლიტიკას ატარებს. რელიგია იდენტობის იმ მარკერად გვევლინება, რომელიც მოქალაქის „სომხურ“ წარმოშობას უსვამს ხაზს. თუმცა, სომხური თემის წარმომადგენლების ყოველდღიური რელიგიურობის შესწავლისას, გამოვლინდა, რომ ისინი სამშობლოდ საქართველოს აღიქვამენ.

გარდა ამისა, კვლევა მიმოიხილავს რელიგიათაშორისი ურთიერთობების დინამიკას საზღვრის კონტექსტში, შეისწავლის თუ როგორ ურთიერთობენ ჯავახეთის სომხები სხვა რელიგიურ ჯგუფებთან, მაგალითად ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებთან. მოცემული ნაშრომი პოსტსაბჭოთა სასაზღვრო რეგიონებში რელიგიური იდენტობის ფორმირების, კულტურული ურთიერთგაცვლის და თანაარსებობის საკითხების სიღრმისეულ შესწავლას ხელს უწყობს.

სალომე კაკანაძე

თაკლა განარელია

უღმერთობის პროპაგანდა ქართულ საბჭოთა კრეისაში (1932-1936წ.წ.)

სოციალიზმი და მისი პროპაგანდა 70 წლის განმავლობაში მთავარი მოვლენა იყო მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში. მან დიდი ხნით შეაფერხა სახელმწიფოთა სწორი განვითარების პროცესი. ამ სტაგნაციაში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრებოდა ადამიანების მენტალური სტრუქტურირება, რომელზეც ბოლშევიკები ინდუსტრიული განვითარების პარალელურად, გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად ზრუნავდნენ. ასეთ ფონზე გაცილებით ადვილი იყო ახალი ადამიანის აღზრდა, რომელიც სრულიად განძარცული უნდა ყოფილიყო იმ რელიგიური „და-

მოკიდებულებებისგან“, რომელიც მათი რწმენით ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება იყო „კომოსოვეტიკუსის“ ფორმირებისას. ნაშრომის მიზანია საბჭოთა წარსულის ამ ნარატივის გააზრება ქართული პრესის, კერძოდ, ჟურნალ „მებრძოლი უღმერთოს“ მიხედვით, რომელიც მოგვიანებით გაზეთად ჩამოყალიბდა და დიდი როლი შეასრულა ანტირელიგიურ პროპაგანდაში. აღნიშნული პერიოდიკა საფუძვლიან, შთამბეჭდავ მასალას შეიცავს ამ პროპაგანდის მძიმე ზეგავლენის საილუსტრაციოდ და ზოგადად ეპოქის დასახასიათებლად. მოკვლევული მასალის ქრონოლოგიური ნუსხა მოიცავს 1932-1936 წლებს, რომელიც საბჭოთა ეპოქაში ყველაზე მძიმე იდეოლოგიური ზეწოლის წლებია და სხვა ეპოქალურ რეფლექსიებთან ერთად ამთლიანებს ისტორიის ამ მონაკვეთს. კვლევის შედეგად წარმოჩნდა და კიდევ ერთხელ დადასტურდა საბჭოთა პროპაგანდის ძირითადი ასპექტები, ის მეთოდები, რომელიც მასების მენტალური ცვლილებებისთვის აქტიურად გამოიყენებოდა.

ნათო სონულაშვილი

განათლება საქართველოში საბჭოთა პერიოდში (XX საუკუნის 80-იანი წლები)

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ახალი ეტაპი დაიწყო, რასაც შედეგად მოჰყვა ცვლილებები ყველა მიმართულებით, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე. სხვადასხვა მიმართულებების გარდაქმნებთან ერთად, ცვლილებები შეეხო საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას, რომლის გამოყენებასაც ცდილობდა საბჭოთა რუსეთი საკუთარი ინტერესების განხორციელებისთვის. აღნიშნული პროცესის პარალელურად ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტის ნაწილი ეროვნული იდეების აქტუალიზებას იწყებს, რაც თვალსაჩინო ხდება XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული.

აღნიშნული პერიოდიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ახალი აღმავლობა განიცადა, რაც გამო-

მდინარეობდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებით. ქართულ ეროვნულ ძალებს იმედი გაუჩნდათ, რომ საბჭოთა რუსეთის ომში დამარცხების შემთხვევაში შეძლებდნენ საქართველოს განთავისუფლებას. სწორედ ამიტომ საზღვარგარეთ მყოფი ქართული ემიგრაცია ყოველმხრივ ცდილობდა კავშირი დაემყარებინა სხვადასხვა დასავლურ სახელმწიფოსთან, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მათი დახმარებით აღედგინათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: იდეოლოგიური და შეიარაღებული გზით. რა განაპირობებდა ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიურ ხასიათს? სხვადასხვა სოციალური ფენების ცნობიერების ამაღლება, გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა სისტემას საკმაოდ მძლავრი პოლიტიკური მექანიზმი გააჩნდა და საზოგადოებაში საკუთარი იდეების დამკვიდრებას, რეალიზებას ცდილობდა.

რა ფაქტორებმა განაპირობა XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული ეროვნული მოძრაობის აღმავლობა?

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება მხოლოდ საქართველოსთვის არ ყოფილა დამახასიათებელი. აღნიშნულ მოვლენას ხელი შეუწყო მსოფლიოში და კერძოდ, დასავლეთში მიმდინარე ფაქტორებმა. საბჭოთა სისტემა მეტნაკლებად იძულებულია დაემორჩილოს საზღვრებს გარეთ მიმდინარე მოვლენებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, XX საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი იწყება, რასაც ხელი შეუწყო საერთაშორისო ვითარებამ. მართალია, ეროვნულად მოაზროვნე ქართული პოლიტიკური და კულტურული ძალები საბჭოთა რეჟიმის დამყარების დღიდან ახორციელებდნენ სხვადასხვა გეგმებს, თუმცა რეალური შედეგი ამას არ მოჰყოლია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერებული დასავლეთ აქტიური ნაბიჯების გადადგმას იწყებს საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. ემიგრაციაში მყოფი ქართველები ამ ვითარების გამოყენებას შეეცადნენ. ამას ემატება ის ფაქტი, რომ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოში განსაკუთრებით გააქტიურდა ახალგაზრდობა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდობას ეროვნულად მოაზროვნე ძალები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამიტომ

მათი ასეთი გააქტიურება დასახული მიზნების განხორციელებისკენ იყო მიმართული. II მსოფლიო ომის გამოხატულება იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აღმავლობა. ომის და შემდგომ წლებში ეკლესია მაქსიმალურად აქტიურდება, რამაც დადებითი გავლენა იქონია ეროვნულ მოძრაობაზე. საქართველოს ისტორიის ყველაზე რთულ პერიოდებში, როგორც ცნობილია მართლმადიდებელი ეკლესია გამაერთიანებელ როლს თამაშობდა და საუკუნეების მანძილზე სწორედ ის ახერხებდა ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებას. ქართულ სინამდვილეში საბჭოთა სისტემის პირობებში ეკლესია შეზღუდული აღმოჩნდა. ამ მხრივ მეტნაკლებად გააქტიურდა II მსოფლიო ომის და შემდგომ პერიოდში. ამას ემატებოდა აგრეთვე ზემოთ განხილული მოვლენები, რამაც საბოლოო ჯამში საბჭოთა რეჟიმი აიძულა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო.

XX საუკუნის 80-იანი წლები უფრო მეტი აქტიურობით გამოირჩევა ეროვნული იდეის აღორძინებით, რომლის გამოხატულება იყო საგანმანათლებლო პროცესის ახალ ეტაპზე გადასვლა, როდესაც ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტის ნაწილი მიზანმიმართულად ცდილობდა არსებული რეალობის საქართველოს ინტერესებისთვის გამოყენებას. აღნიშნულ პერიოდში გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები საგანმანათლებლო სისტემის ეროვნული მიმართულებით განვითარებისთვის. ეს პროცესი მიმდინარეობდა საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიური პოლიტიკის პარალელურად, თუმცა ისიც ნათელი იყო, რომ პროცესი დასასრულისკენ მიდიოდა და ქართულ საზოგადოებას მეტი საშუალება ჰქონდა არა მხოლოდ საგანმანათლებლო სისტემის ეროვნული კუთხით განვითარებისთვის, არამედ ეს ეხებოდა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს და მიმართულებას.

საგანმანათლებლო სფერო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჯერ მეფის რუსეთის და შემდეგ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური ნაბიჯების პარალელურად ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი მასქიმალურად ცდილობდა არსებული რეალობის ქვეყნის ინტერესებისთვის გამოყენებას. ეს პროცესი თვალსაჩინოა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში და როგორც საარქივო დოკუმენტები მოწმობს, განსაკუთრებით XX საუკუნის 80-იან წლებში.

ვარსკვლავთა საუბარი როცა ანტიკური სახელები დუმან (ერთი მაგალითი)

ამა თუ იმ ერის მწერლობაში ანტიკური თემატიკის კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, ისეთ პასაჟებს ეძებენ, სადაც ძველბერძნულ-რომაული მითოლოგიის პერსონაჟები, იმდროინდელი პიროვნებები თუ ადგილებია ნახსენები. ასეთ შემთხვევაში კავშირი, უშუალო თუ არაპირდაპირი, ახალ და ანტიკურ ტექსტებს შორის უდავოა და დაკვირვებას ითხოვს, რა დატვირთვას იძენს მწერლის მიერ ანტიკური თემატიკის გამოყენება, რეცეფცია. გაცილებით საინტერესოა და რთულიც იმ მსგავსებათა გამოვლენა, რომლებიც ოდენ გარკვეულ მხატვრულ სახეში, სიუჟეტის დეტალში ან თუნდ ერთ ეპითეტში საცნაურდება კლასიკური მწერლობის ნიმუშებთან. ასეთ შემთხვევაში კავშირი ახალ და ანტიკურ ტექსტებს შორის შეიძლება სულაც არ არსებობდეს და მსგავსება შემთხვევითი იყოს. დამთხვევის გამოვლენისას მეთოდოლოგიურად შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ გვიანდელი ავტორი ანტიკურობიდან იღებდეს რაიმეს. მსგავსება ორ მხატვრულ სახეს შორის მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო შთამბეჭდავია თითოეული მათგანი. მისი წარმოჩენის შემდეგ უფრო ღრმა დატვირთვითა და ახლებური კუთხით ვკითხულობთ არა მხოლოდ ახალ ნაწარმოებს, არამედ თვით ძველსაც, ანტიკურს. ამ კუთხით საინტერესოა გალაკტიონის „მამული“, რომელიც 1915 წლითაა დათარიღებული. პოეტმა იგი სავარაუდოდ მშობლიურ სოფელ ჭყვიშში ყოფნისას დაწერა:

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე, რაა მამული!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.

გაშალა ველი ნელმა ნიავმა
და მელანდება მე მის წიაღში:
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.

აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება.
ისევ ამწვანდა მდელო და კორდი...
დავდივარ, ვწუხვარ და მენანება.

ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლით სამშობლოს სიყვარულს გრძნობს პოეტი და მამულის სიყვარულის განცდას ვენახში მოფუსფუსე მოხუცი მამის სახე ავსებს. გალაკტიონს მამა დაბადებამდე ორი თვით ადრე გარდაეცვალა, ამიტომ ახლა წარმოსახვით ხედავს მას და თითოეული ლერწი და ყლორტიც მამაზე ოცნებითაა სავსე მის ვენახში.

არსებობს შეხედულება, რომ პოეტის მიერ დახატული მოხუცი მამის სახეში იგულისხმება ილია, აკაკი და მამა ღმერთი. სწორია კი ეს შეხედულება თუ ვენახში მოფუსფუსე მოხუცი მამის სახე, რომელსაც მწერალი სამშობლოს განცდასთან აკავშირებს, სინამდვილეში რაიმე სხვა მხატვრულ სახეს ესაუბრება, თანაც ანტიკურს?

„მოხუცი მამის“ სახეში მამა ღმერთის, ილიას თუ აკაკის მოაზრება ხელოვნურია. ჩვენ ამ შეხედულებას მეთოდოლოგიურად გაუმართლებლად მივიჩნევთ. რატომ? ასეთივე წარმატებით შეიძლება „მოხუც მამაში“ სულხან-საბას და სხვათა მოაზრებაც, მაგრამ ეს ნაძალადევი ინტერპრეტაცია იქნება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ, როდესაც ტექსტში ვინმე დასახელებული არ არის, მაგრამ ვამბობთ, რომ კონკრეტულ მხატვრულ სახეში იგი იგულისხმება, მაშინ უნდა არსებობდეს სხვა, ადრეული ტექსტი, სადაც ანალოგიური მხატვრული სახე დანამდვილებით ამ ვილაცას გულისხმობს. ამასთან, მხატვრული სახე ორივე შესაძარებელი ტექსტიდან უნდა ავიღოთ სრულად და კონტექსტის გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ მხატვრული სახიდან მხოლოდ სასურველ დეტალებს ვითვალისწინებთ. შესაბამისად, „მამულიდან“, როგორც ერთი შესაძარებელი ტექსტიდან, უნდა ავიღოთ არა უბრალოდ მოხუცის ან მოხუცი მამის, არამედ ვენახში მომუშავე, ვენახში სასხლავით ხელში მოსიარულე მოხუცი მამის სახე, რომელსაც შვილი ხედავს და სამშობლოსთან აკავშირებს. ამის შემდეგ უნდა დასახელდეს მეორე

ტექსტი, რომელშიც ძის მიერ დანახული მამა ღმერთი, ილია ან აკაკი წარმოდგენილია ვენახში მომუშავე მოხუც მამად და მისი სახე დაკავშირებულია სამშობლოსთან. ასეთი ტექსტი არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეორე შესაძარებელი ერთეული არ გვაქვს, მას მხოლოდ წარმოსახვით ვქმნით და მოცემულ მომენტში ჩვენთვის ხელსაყრელ დატვირთვას თავად ვანიჭებთ, მივანერთ.

მეთოდოლოგიურად გამართლებულად არ მიგვაჩნია ასევე შთაგონების წყაროს ძებნა სიტყვებისთვის „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე“. რატომ? პირველი მიზეზი არის ის, რომ ამ შემთხვევაშიც შესაძარებელი ერთეულები უნდა ავიღოთ სრულად, კონტექსტის გათვალისწინებით და სასურველი დეტალების ჩაუმატებლად: მეტერლინკის „ლურჯ ფრინველში“, რომელსაც გალაკტიონის შთაგონების წყაროდ ასახელებენ, ერთ-ერთ, არავითარი მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონე ბედნიერებას, რომელიც ერთ სიტყვასაც კი არ ამბობს პიესაში, ჰქვია არა „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა სირბილის ნეტარება“, როგორც უთითებენ, არამედ „ცვარში ფეხშიშველა სირბილის ბედნიერება“ / „le Bonheur-de-courir-nu-pieds-dans-la-rosée“ და ის დახასიათებულია როგორც „ყველაზე ცქვიტი“ / „le plus agile“. მეტერლინკი ბალახს არ ახსენებს; გალაკტიონის ლექსში სიცქვიტე და სირბილი არ იგულისხმება. რაც შეეხება არტურ რემბოს „შეგრძნებას“ („Sensation“), რომელიც ასევე დასახელებულია გალაკტიონის შთაგონების წყაროდ მხოლოდ პირველი სტროფის დამოწმებით, ქვემოთ მოგვყავს ამ ორსტროფიანი ლექსის პროზაული თარგმანი დედანთან ერთად:

Par les soirs bleus d'été, j'irai dans les sentiers,
Picoté par les blés, fouler l'herbe menue:
Rêveur, j'en sentirai la fraîcheur à mes pieds.
Je laisserai le vent baigner ma tête nue.

Je ne parlerai pas, je ne penserai rien:
Mais l'amour infini me montera dans l'âme,
Et j'irai loin, bien loin, comme un bohémien,
Par la Nature, - heureux comme avec une femme.

„ზაფხულის ლურჯ სადამოებში თხელი ბალახის გასათელად ბილიკებს გავუყვები ხორბლის მარცვლებით ტერფდაჩხვლეთილი; მეოცნებე, მის სიგრილეს ვიგრძნობ ფეხებთან. ქარს დავაბანინებ შიშველ თავს. არაფერს ვიტყვი, არც არაფერზე ვიფიქრებ, მხოლოდ უსაზღვრო სიყვარული ამივსებს სულს და ბოშასავით წავალ შორს ბუნებაში, ძალიან შორს – ისეთივე ბედნიერი, როგორც ქალთან“.

ლექსში ცვარი ნახსენები არ არის და არც იგულისხმება. უსამშობლო, მოხეტიალე ბოშასავით შორს ბილიკებზე ბალახის სათელად წასვლას გალაკტიონისეულ მხატვრულ სახესთან საერთო არაფერი აქვს. რემბოს „შეგრძნება“ სულისკვეთებით ეხმიანება მისსავე „ჩემს ბოშურ ცხოვრებას“ („Ma bohème“) და გაქცევის, ხეტიალის სიხარულს შეიცავს. გალაკტიონის ლექსი კი ერთგვარი სევდითაა გამსჭვალული. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ გალაკტიონმა არსი მოაცალა რემბოს ლექსს და მხოლოდ სიტყვა „ბალახიდან“ (გნებავთ „ბალახის თელვიდან“) მიიღო შთაგონება? ჩვენ გვგონია, რომ ჭყვიშში ხანდახან ცვრიან ბალახზე გაივლიდა ხოლმე პოეტი და ბიძგიც ნამდვილი, პირადი განცდიდან მიიღო.

მეორე მიზეზი არის ის, რომ შესადარებლად აღებული მხატვრული სახე უნდა იყოს თავისთავადობით გამორჩეული, იშვიათი, სპეციფიური, სახასიათო. ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლა არ არის იშვიათი რამ. სოფელში არაერთ ახალგაზრდას გაუვლია დილით ნამიან ბალახზე ფეხშიშველს. ეს დაახლოებით იგივე იქნება „მგზავრის წერილების“ მთვლემარე მეეტლე რომელიმე უცხოელი მწერლის მიერ ნახსენებ მთვლემარე მეეტლესთან დავაკავშიროთ (მაგალითად, ჯუზეპე უნგარეტის ლექსი „მონყენილობა“ / „Noia“). ყველა ქვეყანაში, სადაც ეტლი წლების მანძილზე ტრანსპორტი იყო, მწერლებსაც უნახავთ მთვლემარე მეეტლეები. მეეტლის მხოლოდ თვლენა არ არის იშვიათი და განსაკუთრებული რამ. გავიხსენოთ „მამულის“ დაწერამდე ერთი წლით ადრე ოლია ოკუჯავასადმი მიწერილი გალაკტიონის ქვემოთ სიტყვები და დავინახავთ, რომ, ახალგაზრდა გალაკტიონს, სავარაუდოდ, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველს გაუვლია და რომ ეს არ არის იშვიათი რამ, რისი წყაროც შეიძლება სხვა მწერლის ნაწარმოები იყოს:

„მე არასდროს, მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, იმდენი ჩუმი და მყუდრო ბედნიერება არ გამომიცდია, რამდე-

ნიც ეხლა, სოფელში ყოფნის დროს. წარმოიდგინე სოფელი, ქალაქის დრტვინვასა და მოუხეშავ ცხოვრებას დაშორებული, შორი, თვალუწვდენელი მინდვრები. იქით კიდევ მუდმივი მწვანით შემოსილი მთები. ახლა მინდვრებზე სულ სიმინდია დათესილი. ალაგ-ალაგ გაუვალი ტყეებია, მათ სიგრილეში დასვენებას და ოცნებობას არა სჯობს რა. ჩვენი სახლის მახლობლად, სულ ორმოც საჟენზე, მდინარე რიონი ჩამოდის. მე და ტიტე დღეში სამჯერ ვბანაობთ ხოლმე შიგ: დილას, შუადღისას და საღამოს. ვკითხულობთ ერთად წიგნებს, რაც კი გავგაჩნია. შეღამებისას გავალთ რიონს გაღმა ყანებში, დავსხდებით რიონის პირზე ვერხვის ძირში, გვაქვს თან დოქით ღვინო, თან ვსვამთ და თან ვსაუბრობთ, ვიგონებთ ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესავებს...

მთვარე ამ დროს მაღლა სივრცეზეა ასული; ნიავი ქრის, რიონის ზვირთების ბუტბუტი არღვევს მყუდროებას. შემდეგ მივსეირნობთ ნავით. ვერ წარმოიდგენ, რა საუცხოვო რამაა ნავით სეირნობა მთვარიან ღამეს. ტიტემ ანკესები იყიდა თევზების დასაჭერად, მე კიდევ ანკესები ვიშოვე. დავდივართ და ვიჭერთ თევზებს“.

იშვიათი და თავისთავადობით გამორჩეული არის ნამიან ბალახზე ფეხშიშველა გავლის სამშობლოსთან დაკავშირება. აი, მსგავსი განცდა სხვა მწერალთანაც თუ მოიძებნება, ეს უკვე ნიშანდობლივი იქნება. მიგვაჩნია, რომ გალაკტიონის აღნიშნული ლექსის დაკავშირება ანტიკური თხზულების ერთ ნიშანდობლივ პასაჟთან უნდა მოხდეს.

გიორგი გოგუა

ალექსანდრე ამილახვარის პოლიტიკურ-ფილოსოფიური შეხედულებები

ახალი დროის ქართული ფილოსოფიის ეპოქალურ თავისებურებებზე მსჯელობისას, ამ პერიოდში მოღვაწე არაერთი გამოჩენილი მოაზროვნის ბიოგრაფიის, მათ მიერ თარგმნილი და შექმნილი ტექსტების საფუძვლიანი ანალიზი, მნიშვნე-

ლოვანი და საყურადღებო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ქართული; თეოლოგიური, პოლიტიკური, ფილოსოფიური და სამართლებრივი აზროვნების სპეციფიკის განსასაზღვრად. ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების გვიანი პერიოდი კი ფრანგული განმანათლებლობის ფილოსოფიის გარკვეულ რეფლექციას წარმოადგენდს, რადგან მასში პოლიტიკურ - სამართლებრივი აზროვნების თანხვედრა გამოიკვეთა იმავე განმანათლებლურ იდეებთან მიმართებაში.

ალექსანდრე ამილახვარი თავადური წარმომავლობის, თუმცა ტრაგიკული ისტორიისა და სვე-ბედის მქონე ქართველი მოაზროვნეა. მისი ბიოგრაფიების გაცნობისას, აღსანიშნავია რომ მოაზროვნე რუსეთში მოღვაწეობის პერიოდში საფუძვლიანად გაეცნო ფრანგი განმანათლებლების ნააზრევს, მათ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს. გამომდინარე აქედან, მიმოვიხილავთ იმ ეთიკურ კრიტერიუმებს, რომლებიც ალექსანდრე ამილახვარის მიერ აღნიშნულ ტრაქტატშია ჩამოყალიბებული, როგორც პრინციპი სამართლიანი ხელისუფლებისა და მმართველობის დამკვიდრების მიზნისათვის, რითაც ავტორი იდეურად უნათესავდება თითქმის თანადროულ და მალევე ფართოდ გავრცელებულ განმანათლებლურ იდეებს და მის ერთ-ერთ საკვანძო წარმომადგენელს; შარლ ლუი მონტესკიეს. ხოლო იაგორ ჭილაშვილის ხსენებულ, ერთობ მცირე მოცულობის, თუმცა ჩვენი კვლევისთვის უაღრესად საინტერესო ტექსტზე დაყრდნობით კი განხილულ იქნება ავტორის ფილოსოფიური შეხედულებები ადამიანის; სამოქალაქო, პოლიტიკური და სამართლებრივი უფლებების შესახებ.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ განმანათლებლურ იდეებს ნაზიარები ალექსანდრე ამილახვარის მეშვეობით, ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში ჩნდება პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ახალი ტენდენცია და იზრდება ამ პრობლემატიკით დაინტერესება.

ალექსანდრე ამილახვარი და მისი პოლიტიკური ტრაქტატი - „ბრძენი აღმოსავლეთისა, ანუ სახელმწიფო მმართველობის მოწყობის მისი განზრახვა“

ალექსანდრე ამილახვარის (1750 -1802) პოლიტიკურ ტრაქტატს „ბრძენი აღმოსავლეთისა“ ქართული საზოგადოება პირველად გაზეთ „მოამბის“ 1902 წლის ნომერის ფურცლებიდან გაეცნო. ორიგინალურ ტექსტს თან ერთვის ექვთიმე თაყა-

იშვილის შესავალი წერილი და შეფასება აღნიშნული ტრაქტატის განმანათლებლურ იდეებთან კავშირის შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ, გერონტი ქიქოძე მიანიშნებს ამილახვარის იდეურ კავშირს ფრანგ განმანათლებლებთან, უფრო ზუსტად კი შარლ ლუი მონტესკიესა და მის ფუნდამენტურ ნაშრომთან – „კანონთა გონი“. ქიქოძის შეფასებით, ამილახვარის შემოქმედება განათლებული აბსოლუტიზმის დამცველად გვევლინება.

საკუთრივ ტრაქტატში, რომელიც 1779 ან 1780 წელს დაინერა და რომელიც ავტორმა იმერეთის მეფე სოლომონ I-ს (1735-1784) მიუძღვნა, თანმიმდევრულადაა გადმოცემული მმართველისა და მთელი საზოგადოების (მათი წოდებისა და მდგომარეობის მიხედვით) მოქმედების ერთგვარი ეთიკური კრიტერიუმები, პასუხისმგებლობის ფარლები და ანგარიშვალდებულება ერისა და სახელმწიფოს წინაშე. ათი თავისგან შემდგარი ტრაქტატის პირველ თავს ავტორი სუვერენის /მეფის იდეალური სახე-ხატის აღწერით იწყებს. საკუთარი მოვალეობის შეგნებისა და შეგრძნების მქონე მეფე, რომელიც გამოირჩევა; სიბრძნით, გონიერებით, ქველმოქმედებითა და მოწყალებით, იჩენს სამართლიანობას და ღირსეულად ეპყრობა ქვეშევრდომებს, ზრუნავს სახელწიფოს სიმტკიცეზე, ხალხთა კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე - ამლიხავართან საუკეთესო პოლიტიკურ მმართველს განასახიერებს.

„ჰოი როგორი ბედნიერი და სანატრელია მეფე, რომელიც თავის ვალდებულებებს გრძნობს და სამეფო გვირგვინის სიმძიმეს ღირსეულად იტვირთავს“.

აუცულებელია, რომ მეფემ განიცადოს საკუთარი უღელის, საკუთარი მოვალეობის სიმძიმე. მეფე, რომელიც ამ სიმძიმეს ათვითცნობიერებს და ღირსეულად ემსახურება ხალხს - ღირსია ხელწიფებისა. ამილახვართან, ასეთი ღირსებებით შემკული მეფის ანტიპოდია მონარქი, რომელიც მემკვიდრეობით მოძებულ გვირგვინს, მაშასადამე - ძალაუფლებას, პირადი სიამოვნებისა და კეთილდღეობის მიზნით იყენებს.

ზოგადად, ტრაქტატში წარმოდგენილი მსჯელობა, ალექსანდრე ამილახვარის პოლიტიკური კრედოს შესახებაც გვანვდის ინფორმაციას. კერძოდ, კლასიკური მონარქიული სისტემისაგან განსხვავებით, სადაც ძალაუფლება და სოციალური სტატუსი მემკვიდრეობითობის პრინციპს ემყარება, ამილახვარი პიროვნული ღირსებისა და დამსახურების უპირატესო-

ბის ხაზგასმას ახდენს. „სისხლი და გვარიშვილობა“ ცხადია არ კარგავს მნიშვნელობას და იგი საფუძველია მისი დროის სოციალური იერარქიისა, თუმცაღა ამილახვარისთვის არ აღემატება პერსონალურ ღვაწლს და ქვეყნისადმი ერთგული მსახურებით მოპოვებულ პატივსა და დიდებას. ამ აზრით, ამლიხავარი ირიბად ხელისუფლის (მონარქის) მემკვიდრეობითობის პრინციპის სისწორესაც აყენებს ეჭვქვეშ, რადგან იმ შემთხვევაში თუ მეფე უღირსი მსახური აღმოჩნდება თავისი ხალხისა, ამ უკანასკნელს მორალური საფუძველი ეძლევა აპყაროს ყოველგვარი პატივი ხელისუფალს - „ერს შეუძლია (ეს პატივი) უბოძოს ვინმეს სიკეთისთვის და ჩამოართვას კიდევ ბოროტებისთვის“, დასძენს ამილახვარი და ამით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძალაუფლების ცენტრი შემოჰყავს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში - ერის ანუ მთელი საზოგადოების (განურჩევლად მათი სოციალური ფენის) სახით. ამილახვარის მიხედვით აბსოლუტური მონარქია, რომელიც დესპოტიზმთან და ტირანიასთან გვაახლოებს, უნდა ჩანაცვლდეს კონსტიტუციური მონარქიით. მის სრულ გაუქმებას და/ან რესპუბლიკით ჩანაცვლებას ავტორი არ განიხილავს, რადგან მისთვის მეფის ინსტიტუტი არ წარმოადგენს თავისთავად პრობლემას. პირიქით, ამილახვარი პატივს სცემს მეფეთა ხელისუფლებას, მათ დამსახურებას ერისა და ისტორიის წინაშე, მათ სიქველესა და სამართლიანობას. თუმცა მისთვის, უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო ხელისუფლება ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველი უნდა იყოს, ამდენად მას (ხალხს) უნდა გააჩნდეს კიდევ ბერკეტი გადამწყვეტი გავლენა იქონიოს ხელისუფლის არჩევისა და ცვლილების პროცესზე. ამილახვარი ასევე ყოფს ხელისუფლების შტოებს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებად, სადაც კანონშემოქმედებით საქმიანობა და ზოგადად კანონისმიერი მმართველობა აღმატებულია მმართველობის განმახორციელებელ ყველა ინსტიტუტზე. მიუხედავად იმისა, რომ ამილახვარი არ გვთავაზობს რაიმე კონკრეტულ მექანიზმს ხალხის მიერ ძალაუფლების განხორციელებისთვის და მისი ეს მოსაზრებებიც უფრო ეთიკურ-ფილოსოფიური განსჯის ნაყოფს წარმოადგენენ - იგი თავისი შემოქმედებით საქართველოში პოლიტიკური აზროვნების ახლებურ წესს ამკვიდრებს, იმ წესს, რომელსაც დასავლეთ ევროპა უკვე გაცნო ფრანგი განმანათლებლების ფილოსოფიური შემოქმედებიდან და სადაც უარყოფილია სა-

მეფო ხელისუფლების ღვთიური წარმომავლობის იდეა.

ალექსანდრე ამილახვარის მიერ ტრაქტატში გამოთქმული აზრები, რომელიც ირიბად აბოსლუტური მონარქიის კონსტიტუციურით ჩანაცვლების უპირატესობაზე მიგვანიშნებს, იდეურად ენათესავება შარლ ლუი მონტესკიეს „კანონთა გონში“ გამოთქმულ აზრს მონარქიული მმართველობის შესახებ მონტესკიე, მმართველობის ფორმათა შორის კონსტიტუციურ მონარქიას ანიჭებდა უპირატესობას. მისთვის, აღნიშნული მმართველობის ძირითადი საყრდენი; სამშობლოს/მამულის სიყვარული და მისთვის თავგანწირული მოქმედებაა. მონარქია დეგრადაციის გზას ადგას და ტირანიად იქცევა მაშინ როდესაც ხელისუფლის მიერ მიღებულ იქნება ერთპიროვნული გადაწყვეტილებები და გატარებული იქნება არა საჯარო და სახელმწიფო, არამედ პირადი ინტერესები. მმართველის თვითნებური მოქმედებები და კანონების უგულებელყოფა, მონტესკიესთან ხელისუფლების გაუკუღმართების და ტირანიად ქცევის წინაპირობადაა მიჩნეული. მსგავსი შინაარსის აზრია გატარებული ამილახვარის პოლიტიკურ ტრაქტატში „ბრძენი აღმოსავლეთისა“, სადაც სამართლიანი და კანონზე დაფუძნებული მონარქიული მმართველობა ქვეყნის წინსვლისა და განვითარების წინაპირობადაა მიჩნეული.

მალხაზი მურუსიძე

ალავერდის საეპისკოპოსოს ისტორიიდან (არქიპისკოპოს ზებედეუს ბიოგრაფიული დეტალების დაზუსტების საკითხისათვის)

ზებედე ალავერდელი XVII საუკუნის I ნახევრის საქართველოს ეკლესიის გამორჩეული მღვდელმთავარი გახლდათ. მისი პიროვნების და სულისკვეთების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვანჭდის კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. (არქანჯელო ლამბერტი 2020: 139). ასევე ზებედე მღვდელმონაზონის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით მის მიერ შეძენილ ხელნაწერში, რომელიც დღეს ალავერდის ოთხთავის სახელით არის ცნობილი. ამ ხელნაწერის ანდერძ-მინაწერიდან, რომელიც თავად ზებედეს მიერ არის

შესრულებული ვგებულობთ, რომ ის მღვდელმონაზონის სასულიერო ხარისხში იმყოფებოდა და დადიანების „საფლავის“ წინამძღვარი იყო. კონსტანტინე გრიგოლიას, რომელმაც ზებედე მღვდელმონაზონის ანდერძი შეისწავლა და გამოსცა, მიაჩნდა, რომ ის წარმოშობით ქართლიდან უნდა ყოფილიყო (გრიგოლია 1953: 52). ამ შემთხვევაში მკვლევარის ამოსავალს თავად მღვდელ-მონაზონის ანდერძი წარმოადგენდა, სადაც ზებედე საკმაოდ ემოციურად გადმოგვცემს მის დროს აღმოსავლეთ საქართველოზე თავს დამტყდარ უბედურებას. კონსტანტინე გრიგოლიამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ზებედე წინამძღვარი თავის ანდერძში ჯერ ქართლის ტრაგედიაზე საუბრობს და ამის შემდეგ ახსენებს კახეთის თავზე დატრიალებულ უბედურებას. ეს მაშინ, როდესაც კახეთის სამეფოს ნგრევის შედეგები გაცილებით მძიმე იყო ვიდრე ქართლის. პატივცემული მკვლევარის აზრით ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ზებედე წარმოშობით ქართლიდან უნდა ყოფილიყო: „ეტყობა ქართლი მის გულთან უფრო ახლო იყო; ქართლის უბედურება მის გრძნობებზე უფრო ძლიერად და პირველ რიგში მოქმედებდა. შესაძლებელია, აქ ზებედეს კუთხური პატრიოტიზმი ჩქეფდეს, მაგრამ ამით მისი სადაურობაც საკმარისად ირკვევა“ (გრიგოლია 1953: 52). ცხადია არ არის გამორიცხული, რომ ზებედე მართლაც ქართლელი ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ ზემომოყვანილი არგუმენტაციით ამის მტკიცება ჩვენ არასაკმარისად მიგვაჩნია. ის რომ თავის ანდერძში ზებედე მღვდელმონაზონი ჯერ ქართლის ტრაგედიაზე საუბრობს და შემდეგ ახსენებს კახეთს, ადვილი შესაძლებელია არა მისი ქართლური წარმომავლობით, არამედ ქართლის სამეფოს დედოფალ თამართან და მის ოჯახთან სიახლოვით აიხსნას. საქმე ის არის, რომ ქართლის მეფის გიორგი X-ის მეუღლე და ლუარსაბ II-ის დედა, დედოფალი თამარი წარმოშობით სამეგრელოს სამთავრო ოჯახიდან იყო. ის გიორგი ლიპარტიანის ასული გახლდათ. გიორგი კი სამეგრელოს მთავრის მანუჩარ დადიანის ძმა და ლევან II დადიანის ბიძა იყო. შაჰ აბას I-ის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დარბევის შემდეგ დედოფალი თამარი თავის მშობლიურ კუთხეში-სამეგრელოში დაბრუნდა (პარიჟის ქრონიკა 1903: 39). ზებედეს ანდერძიდან კარგად ჩანს, რომ ის დედოფალ თამართან დაახლოებული პირი იყო. ცხადია სამეგრელოში დაბრუნებულ თამარ დედოფალს და მის გარემოცვას განსაკუთრებით მტკივნეული რეაქცია სწორედ ქართლის

სამეფოს ამბებზე ექნებოდათ და მათ გვერდით მყოფი ზებედეც, რომელიც 1609 წელს ჩანს დაბადებული და ამ ტრაგედიის დროს მცირეწლოვანი იყო, მათგან ხშირად მოისმენდა ამ ამბებს. ასე რომ ამ გარემოებით უფრო უნდა იყოს გამოწვეული მის ანდერძში პირველად ქართლის სამეფოში განვითარებულ მოვლენებზე საუბარი, ვიდრე მისი იქაური წარმომავლობით.

1636 წელს თეიმურაზ პირველმა ზებედე ალავერდელ ეპისკოპოსად დაადგინა.

არქიეპისკოპოსი ზებედე თეიმურაზ პირველის მიერ დიდოეთზე განხორციელებული ლაშქრობის დროს დაიღუპა. ამის შესახებ პირდაპირ ცნობას ვხვდებით რუსი ელჩების მიშეცკისა და კლუჩარევის ნაშრომში. აუდიენციის დროს თეიმურაზ მეფეს მათთვის უთქვამს: „как я ходил сам в горы на Диды, и в те поры нас горские люди побили, убили у меня архиепископа Зеведея Лавердовского монастыря да епископов Захарья Рузбеля...И на Зеведеево де место ныне у меня в Лавердовском монастыре учинен архиепископ Алавердей. И ты де то государево Жалование, что прислано к Зеведею, отошли к нему“ (Полиевктов 1928: 132). აღნიშნული ცნობისათვის დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება არ იყო მიქცეული. მაგალითად ალავერდის საეპისკოპოსოს ისტორიის მკვლევარ ეკა კაჭარავას მიაჩნია რომ ზებედე მიშეცკისა და კლუჩარევის ელჩობის დროს ცოცხალია: „1642 წლის აგვისტო-ოქტომბერში კახეთის სამეფოში რუსეთის ახალი ელჩობა იმყოფება. 14 სექტემბერს ჭვართამაღლებას ალავერდის წმ. გიორგის ტაძარში ზებედე ალავერდელი ასრულებს წყალკურთხევის ცერემონიალს. ტაძარში თეიმურაზ მეფესთან ერთად რუსი ელჩებიც იმყოფებიან. ამდენად, რუსული წყაროებით 1642 წლისათვის ამბა ალავერდელია ზებედე (კაჭარავა 2010: 143-144). პატივცემული მკვლევარი ამ შემთხვევაში ეყრდნობა მარი ბროსეს ცნობილი ნაშრომის: „Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1677 г“ შესავალ ნაწილში გამოქვეყნებულ ფ. პლოენის მიმოხილვას, სადაც აღნიშნულია, რომ 1642 წლის 14 სექტემბერს რუსი ელჩები მიშეცკი და კლუჩარევი ალავერდის მონასტერში დაესწრნენ წყლისკურთხევის ცერემონიალს, რომელიც ზებედე ალავერდელმა შეასრულა (Броссе 1861: LI). მაგრამ თუ ჩვენ რუსი ელჩების აღწერილობის შესაბამის მონაკვეთს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ რომ იქ არსად ზებედე ალავერდელი ნახსენები არ არის (Полиевктов

1928: 140-142). უფრო მეტიც, 1642 წლის 8 სექტემბრის მსახურების აღწერის დროს რუს ელჩებს გარკვევით აქვთ ნათქვამი, რომ: „Обедно служили архиепископ Алавердей Лавердовского монастыря да еросалимской митрополит Захарей да епископ Захарей Самопельской“ (Полиевктов 1928: 136).

დიდოეთის ლაშქრობის დროს ალავერდელი და რუსთველი ეპისკოპოსების დაღუპვის შესახებ ცნობა არჩილ ბაგრატიონსაც მოეპოვება (არჩილი 1989: 478).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით თეიმურაზ პირველის დიდოეთზე ლაშქრობა 1640 წელს მომხდარა. ამ თარიღის სიზუსტეს ეჭვქვეშ აყენებს ზოგიერთი ისტორიული წყაროს მონაცემები. როგორც ცნობილია თეიმურაზს დიდოეთზე ლაშქრობის დროს სხვა წარჩინებულ საერო თუ სასულიერო პირებთან ერთად დაელუპა მდივანი ნათანაელი. ამის შესახებ პირდაპირი ჩვენება მოცემულია როგორც რუსი ელჩების აღწერაში, ასევე არჩილის პოემაშიც. მიშეცკისა და კლუჩარევის ნაშრომში დიდოეთში დაღუპულ საერო პირებს შორის მდივანი ნათანაელიცაა დასახელებული: „Да азнауров померло: Рамазан бей, крайчей Иван, Муробек, Манука, дьяк Нафанаило“ (Полиевктов 1928: 132). ნათანაელის დაღუპვის შესახებ ცნობა არჩილსაც მოეპოვება (არჩილი 1989: 478). მეორეს მხრივ ჩვენამდე მოაღწია 1641 წლის 5 მაისით დათარიღებულმა თეიმურაზ პირველის წყალობის წიგნმა მდივან ნათანაელისადმი, რომლის მიხედვითაც მეფე მას მიწა-წყალს უბოძებს (ქართველიშვილი და სხვები 2019: 310). ამ მონაცემების მიხედვით თეიმურაზ პირველის დიდოეთზე ლაშქრობა 1641 წლის 5 მაისიდან 1642 წლის აგვისტომდე (როდესაც მიშეცკი კახეთში მოვიდა) პერიოდში უნდა მომხდარიყო. ამრიგად მთავარეპისკოპოს ზებედეუს გარდაცვალების თარიღი 1641 წლის 5 მაისიდან 1642 წლის აგვისტომდე პერიოდში არის საძიებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩილი 1989: არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული მწერლობა, ტ. 6, თბილისი, 1989.
2. ლამბერტი 2020: არკანჯელო ლამბერტი, წმინდა კოლხეთი, იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცქიტიშვილმა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ, თბილისი 2020.

3. გრიგოლია 1953: კონსტანტინე გრიგოლია, ზებედე მღვდელმონაზონი და მისი ანდერძი, კრებ: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-ბ, თბილისი 1953.
4. კაჭარავა 2010: ე. კაჭარავა, ალავერდელ მღვდელმთავართა ქრონოლოგია (XVII საუკუნე), ანალები, 2010, №6
5. პარიჟის ქრონიკა 1903: პარიჟის ქრონიკა, ტფილისი, 1903.
6. ქართველიშვილი და სხვები 2019: ქართველიშვილი თეა (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), ბაინდურაშვილი ხათუნა, გელაშვილი ირაკლი, გოგოლაძე თამაზ, შაორშაძე მაია, ჯოჯუა თემო, დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, (წყაროების პუბლიკაცია და გამოკვლევა), I, თბილისი 2019.
7. Полиевктов 1928: Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию (1640-1643) гг, Тифлис 1928.
8. Броссе 1861: Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1677 г., СПб 1861.”
სტატიას თანაავტორი არ ჰყავს

ოთარ ნიკოლეიშვილი

საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში

საქართველოს გასაბჭოების პირველივე დღეებიდანვე, საოკუპაციო ხელისუფლებამ აქტიურად გააჩაღა ანტირელიგიური პროპაგანდა და საქმიანობა. როგორც ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტებით დგინდება, 1921 წლის 25 თებერვლიდან 1923 წლის 29 ივნისამდე, მარტო ქუთაისის მაზრაში 226 ეკლესია-მონასტერი დაიხურა.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა მსგავსმა ანტისარწმუნოებრივმა პოლიტიკამ ძალზე დიდი მღელვარება და უკმაყოფილება გამოიწვია ქვეყნის მოსახლეობაში, რის გამოც საქართველოს იმჟამინდელი მმართველი წრეები იძულებულნი გახდნენ მცირე ხნით გარკვეულ დათმობებზე წა-

სულიყვნენ. კერძოდ, 1923 წლის ბოლოსა და 1924 წლის პირველ ნახევარში საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ფართოდ მიმდინარეობს ე. წ. „მართლმადიდებელ-რელიგიურ საზოგადოებათა“ ჩამოყალიბების პროცესი. ქუთაისის მაზრაში არ დაჩქინილა თითქმის არც ერთი სოფელი, სადაც მსგავსი ტიპის ორგანიზაცია არ დაარსებულა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არსებული ყველა მსგავსი ორგანიზაცია ერთნაირ პირობებში იმყოფებოდა როგორც უფლება-მოვალეობრივად, ასევე სახელმწიფოებრივი ზედამხედველობის მხრივ. ხსენებული მართლმადიდებლურ-რელიგიური საზოგადოებების არსებობის სამართლებრივი საფუძვლები კონკრეტულად იყო განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ხელისუფლების ცალკეულ უწყებათა მიერ მიღებულ შემდეგ დოკუმენტებში: საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტი „ისეთ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცების, რეგისტრაციისა და ზედამხედველობის წესის შესახებ, რომელნიც მოგების გამორჩენას არ მისდევენ“, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 17 ივლისის დეკრეტი „სხვადასხვა კავშირთა და შენაერთთა ყრილობების და სრულიად საქართველოს მასშტაბით თათბირების მოწვევის შესახებ“, იუსტიციის სახალხო კომისრის იაკობ ვარძიელისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ისიდორე ტალახაძის მიერ 1923 წლის სექტემბერში დამტკიცებული „ინსტრუქცია რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა ამ საზოგადოებათა ყრილობების მოწვევისათვის ნებართვის გაცემის წესის შესახებ“, ასევე წესდებისა (დამტკიცებულია 1921 წლის 2 სექტემბერს) და ხელშეკრულების (დამტკიცებულია 1921 წლის 21 სექტემბერს) შესაბამისი ფორმები.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტი გახდა სტანდარტული საფუძველი იმ წესდებებისა, რომლებიც მთავრობის ორგანიზებით შექმნილ „მართლმადიდებელ-რელიგიურ საზოგადოებასა“ და მის მსგავს სხვა ორგანიზაციებს ჰქონდათ მიღებული. მაგალითად, დეკრეტის III და VI მუხლებში პირდაპირ იყო მითითებული, რომ „საზოგადოების“ წესდების დამტკიცებასა და რეგისტრაციაში მის გატარება-არგატარებას უშუალოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი განსაზღვრავდა. კომი-

სარიატისავე კომპეტენციაში შედიოდა ორგანიზაციის გაუქმების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაც (IX მუხლი). სახელმწიფო ასევე ოფიციალურად აკანონებდა ხსენებული ორგანიზაციის მიერ გამოცემულ პერიოდულ ორგანოებზე საცენზურო კონტროლის დაწესებას (VIII მუხლი).

მსგავსად 7 ივლისის დეკრეტისა, დემოკრატიული პრინციპებით არც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 17 ივლისის დოკუმენტი გამოირჩეოდა, რომელიც ნებისმიერ „საზოგადოებას“ და ორგანიზაციას, გარდა კომუნისტური პარტიისა და სხვა უმნიშვნელო გამონაკლისებისა, ავალდებულებდა ნებისმიერი ყრილობისა თუ თათბირის გამართვის შესახებ წინდაწინ ეცნობებინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის და მხოლოდ მისი ნებართვის მიღების შემთხვევაში გაემართათ იგი.

„მართლმადიდებელ-რელიგიურ საზოგადოებებს“ იურიდიული პირის სტატუსი არ გააჩნდათ და მათ მხოლოდ კერძო სახის გარიგებათა დადება შეეძლოთ. აღნიშნულ საზოგადოებებს ასევე არ ჰქონდათ თავიანთი საკუთრება და ისინი მხოლოდ სახელმწიფოსგან ხელშეკრულებით გადაცემულ ქონებას განკარგავდნენ. „საზოგადოების“ დახურვის შემთხვევაში კი აღნიშნული ქონება მთლიანად უნდა დაბრუნებოდა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს.

მართალია, ქონებრივ საკითხებში „საზოგადოებებს“ არსებითად ფასეული უფლებები ნაკლებად გააჩნდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მოვალეობათა მხრივ ისინი ძალზე დატვირთულნი იყვნენ. მაგალითად, სახელმწიფოსგან ხელშეკრულებით მიღებული ქონების მოვლაზე პასუხისმგებლობის აღების გარდა, საზოგადოების წევრები ვალდებულნი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი ყოველგვარი გამოვლინება აღეკვეთათ, ხოლო მაშინ, როდესაც ტაძარში წირვა-ლოცვა არ იქნებოდა, ისინი ვალდებულნი იყვნენ, შემონმების მიზნით იქ შეუფერხებლად შეეშვათ აღმასრულებელი კომიტეტის წევრები.

მოკლედ, ასეთია ის ვითარება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ XX საუკუნის 20-იან წლებში გატარებული რელიგიური პოლიტიკის შედეგად იქნა შექმნილი საქართველოში, კერძოდ კი ქუთაისის მაზრაში. სამწუხაროდ, ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული მასალების მიხედვით, ზუსტი დრო, თუ როდის შეწყვიტეს „მართლმადიდებელ-რელიგიურმა

საზოგადოებებმა“ ფუნქციონირება, არ დასტურდება. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მსგავსი ორგანიზაციების იმ ეპოქაში არსებობა, როცა ხელისუფლებას აქტიური ანტირელიგიური ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული, მაინც უნდა ჩაითვალოს დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენად.

DAVIT GONDAURI

ARTIFICIAL INTELLIGENCE AND INEQUALITY: THE ROLE OF THE GINI COEFFICIENT AND PERELMAN'S MODEL IN EVALUATING ECONOMIC TRENDS

This study delves into the profound impact of artificial intelligence (AI) and automation on economic inequality, analyzing how these technologies influence the distribution of income through the Gini coefficient. With a particular focus on Georgia's economic landscape, the research applies Ricci flow and Perelman's models to 16 key economic parameters, allowing for a comprehensive analysis of how technological advancements reshape income distribution dynamics.

The sensitivity analysis conducted in this study reveals that growth in AI and technological innovation is strongly correlated with a reduction in economic inequality. As AI and automation replace or enhance labor across industries, their effects on unemployment, productivity, and income distribution are measured using advanced mathematical models. These models demonstrate that investments in research and development (R&D), alongside AI integration, lead to significant improvements in economic stability.

Ricci flow, initially developed for geometric analysis, is employed here to model how economic inequality evolves over time in response to various factors such as technological progress, social protection programs, and workforce changes. This mathematical framework helps predict the future trends of income inequality as AI continues to be adopted across different sectors of the economy. The inclusion of Perelman's entropy formula, originally used to solve the Poincaré conjecture, adds an additional layer of complexity to

the analysis, allowing the study to capture the multi-dimensional effects of AI on inequality.

The regression models presented in this paper highlight that increased R&D investments, particularly in AI, have a direct and positive impact on economic growth. The correlation between AI-induced innovation and reductions in inequality is confirmed through high R² values and statistically significant z-scores, further validating the robustness of the models.

This research contributes to the growing literature on AI's role in reshaping economic inequality, offering insights into how policymakers can leverage technological advancements to create more equitable economies. The study concludes with recommendations on how governments and institutions can harness the potential of AI to reduce inequality, emphasizing the importance of inclusive technological development that balances growth with fairness.

დავით კახლაშვილი

ისტორიული/არქივული დოკუმენტების დაცვის როლი სახელმწიფოს პოლიტიკურ უსაფრთხოებაში

სახელმწიფოს ისტორიული უსაფრთხოება ოპერატიული ვითარების მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს და იგი ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი შემადგენელია. შესაბამისად სახელმწიფოს ისტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფი სეგმენტები წარმოადგენენ დაინტერესებული სახელმწიფოების სამიზნე ობიექტებს. სახელმწიფოები კი სამიზნე ქვეყნების ინტერესების დასაზიანებლად აქტიურად იყენებენ სადაზვერვო სამსახურებს.

ნებისმიერი სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურის უპირველეს მოვალეობას სამიზნე ქვეყნების ისტორიული, შესაბამისად პოლიტიკური უსაფრთხოების სეგმენტის მონყვლადობის გამოვლენა და შელწევადობის უზრუნველყოფაა.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სამიზნე სახელმწიფოში ისტორიული დოკუმენტების შესწავლის, მოპარვის, განადგურების და ანალიზის შედეგად შესაძლებელია:

- სახელმწიფოს და ხელისუფლების, ინდივიდუალური

პირის კომპრომეტაცია, და დისკრედიტაცია;

- ტერიტორიული მთლიანობის რღვევის მაინსპირირებელი პროპაგანდის წარმოება;

- ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიის დათმობის მაინსპირირებელი დიპლომატიური აქტივობების ინტენსიური წარმოება;

- ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიის დათმობის მაინსპირირებელი სადაზვერვო აქტივობების ინტენსიური წარმოება.

ზემოაღნიშნული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად სადაზვერვო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს სამეცნიერო-ტექნიკური და პოლიტიკური დაზვერვა წარმოადგენს. შესაბამისად, შესწავლის, მოპარვის, განადგურების ოპერაციულ ციკლში ყოველთვის არსებობს დაინტერესებული ქვეყნის სადაზვერვო საქმიანობისათვის გამოსაყენებელი ძალების ჩართვის შესაძლებლობა, რაც არა მარტო ოპერატიული სამსახურებისათვის, არამედ მომხდარი დანაშაულის შემთხვევაში საგამოძიებო უწყებებისათვის გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი გარემოებაცაა.

დაინტერესებული სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის აქტივობებით შესაძლებელი ხდება სამიზნე სახელმწიფოში შესწავლილ იქნას:

- ისტორიული ხასიათის დოკუმენტები (მათ შორის საისტორიო არქივებში);

- სახელმწიფო დანებებულებებში არსებული საარქივო დოკუმენტები და სხვ.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დასკვნითი სადაზვერვო ინფორმაციის მიღების მეთოდები თავის თავში გულისხმობს ანალიტიკური საქმიანობის მეთოდების სისტემას, რომლის მნიშვნელოვან შემადგენელს კვლევის ისტორიული მეთოდი წარმოადგენს.

საისტორიო/არქივული დოკუმენტები უმნიშვნელოვანესია როგორც კუთვნილების სახელმწიფოს, ისე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისათვის, რადგან მათი ანალიზით შესაძლებელია ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, პირების შესახებ მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური პორტრეტების შექმნა, ასევე კონკრეტული ისტორიული პერიოდის შესახებ აგენტურულ-ოპერატიული ვითარების ისეთი ელემენტების შესახებ, როგორცაა:

- სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური სიტუაცია;
- ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება;
- სახელმწიფოს სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი;
- სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო რეჟიმი;
- ქვეყნის დაზვერვის დაინტერესების სფეროები და ობიექტები;
- სახელმწიფოს მოსახლეობის რელიგიური და ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებები;

შესაბამისად, უცხო სახელმწიფოებს ეძლევათ შესაძლებლობა ზემოჩამოთვლილი ელემენტების შესწავლის საფუძველზე მიიღონ მნიშვნელოვანი ინფორმაციები აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობის მეთოდების (რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას სახელმწიფოს და მისი ხელისუფლების კომპრომეტაციისათვის), აგენტურული აპარატის ყოფილი წევრების შესახებ (რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას აგენტის ახლო ნათესავის დემორალიზაციისა და გადაბირებისათვის) და სხვ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შეიქმნას სტანდარტი კონკრეტული ინფორმაციების, მათ შორის სამუდამოდ დასაიდუმლოების და მხოლოდ შიდა, საიდუმლო კვლევებისათვის მათი გამოყენებისათვის სპეციალური ჯგუფების შექმნისა და გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფისათვის სარეკომენდაციო ანალიტიკური ხასიათის დოკუმენტის შექმნის შესახებ. შესაბამისად, სამეცნიერო ნაშრომში მნიშვნელოვანი იქნება გამოიკვეთოს სპეციალური ჯგუფის კომპლექტაციის შესაბამისი მოდელი.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ისტორიული ჩანაწერების/დოკუმენტების ქურდობის ბევრი ფაქტი საზოგადოებისა და ხელისუფლებებისათვის შეუმჩნეველი, მათ შორის სამართლებრივი რეაგირების გარეშე რჩება, შესაბამისად მნიშვნელოვანია აღნიშნული იდენტიფიცირებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოს გააჩნდეს სათანადო რეაგირების და აღკვეთის სტრატეგია. საკითხი აქტუალურია იმ კუთხითაც, რომ ისტორიული დოკუმენტების მოპარვის ორგანიზებულ სქემაში მონაწილეობენ საარქივო სამსახურის თანამშრომლები. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ისტორიული დოკუმენტების შენახვის:

- ობიექტების ძლიერი და მოწყვლადი ადგილების გამოვლენა;

- ობიექტების უსაფრთხოების ზომების დადგენა-სისტემატური გაუმჯობესება;

- ობიექტებზე ძარცვის თავიდან აცილების უზრუნველმყოფი ზომების დადგენა, მისი მოხდენის შემთხვევაში მოქმედების გეგმის არსებობა;

- ობიექტებზე არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით შიდა სტანდარტების დადგენა, შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხისა და აღწერილობის პროცედურების, უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ინსტრუქციების შედგენა.

შესაბამისად, სამეცნიერო ნაშრომის ფარგლებში მოხდება ზემოჩამოთვლილი მიმართულებით შემოთავაზებული მოდელების წარმოდგენა, რაც სახელმწიფოს ისტორიული და შესაბამისად პოლიტიკური უსაფრთხოებაზე მომუშავე ჯგუფისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა.

ისტორიული/არქივული დოკუმენტების მიზანმიმართული განადგურებისათვის ხელსაყრელი პირობაა მათი შენახვის ადგილებზე ელექტრო, სახანძრო, ქიმიური უსაფრთხოების მოთხოვნების დაუცველობა, ამ ადგილების სტიქიური უბედურების შემთხვევაში არამდგრადობა. პრაქტიკული მაგალითების ანალიზი მოგვცემს შესაძლებლობას შეიქმნას საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასებისათვის მნიშვნელოვანი კლასიფიკატორი, რომელიც სახელმწიფოს ისტორიული, შესაბამისად პოლიტიკური უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი სამსახურებისათვის წარმატებული ქმედებისათვის ხელსაყრელი პირობა იქნება.

თავარი ანთია

დიღემის დაქლავის გზები პიერ კორნელის ტრაგედია „ჰორაციუსის“ მიხედვით

პიერ კორნელის დრამატურგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ მისი ტრაგედიის გმირები ხშირად აღმოჩნდებიან არჩევანის, ანუ დიღემის წინაშე.

პ. კორნელის ტრაგედიაში „ჰორაციუსი“, „ცინა“ დიღემა უმთავრესად პირადი გრძნობებისა და სახელმწიფო ინტე-

რესების დაპირისპირების შედეგად წარმოიშვება.

„ჰორაციუსში“ პ. კორნელი ასახავს თავისი დროის მორალურ პრინციპებს: ყოველგვარი პირადი გრძნობის დათმობას სახელმწიფოს კეთილდღეობის სასარგებლოდ, სამოქალაქო ვალდებულების აღმატებულობას ინდივიდის პირად გრძნობებზე. შესაბამისად, კორნელისეული დილემის საფუძველია მორალური იმპერატივი, რასაც „რომაული ტრაგედიის გმირები ასე ვთქვათ, სავსებით უპირობოდ ემორჩილებიან.

პ. კორნელის „ჰორაციუსში“ მორალურ კონფლიქტს ქმნის სიყვარულისა და პირადი ღირსების, სიყვარულისა და სახელმწიფოსადმი ერთგულების, პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის ურთიერდაპირისპირება. თვითონ ჰორაციუსი კარტეზიანული გმირია, გონიერი და დიდსულოვანი. ჰორაციუსისათვის მორალური იმპერატივი განისაზღვრება პირადი და სახელმწიფოს ღირსების უზენაესობის აღიარებითა და დაცვით. იმავე მორალურ პრინციპებს იზიარებენ მოხუცი ჰორაციუსი და კურიაციუსი. ჰორაციუსი, მოხუცი ჰორაციუსი და კურიაციუსი აზროვნებენ, საუბრობენ და მოქმედებენ სამოქალაქო ღირსებისა და მორალის სახელით. მორალისა და ღირსების სახელით გმირულად იბრძვიან ჰორაციუსიც და კურიაციუსიც.

„ჰორაციუსში“ პიერ კორნელი დილემის დაძლევის ორგვარ გზას გვთავაზობს:

1. დილემის გადაჭრას ბრძოლის გზით. ამ შემთხვევაში, გმირი საკუთარი ღირსებისა და პატივის დაცვის სახელით მონააღმდეგეს (თუნდაც ეს უკანასკნელი მისი ოჯახის ახლობელი იყოს) შეუბრალებლად კლავს.

2. დილემის „უმტკივნეულო“ გადაჭრის ნაცად ხერხს-პრობლემის მესამე ძალის ჩარევის გზით გადაჭრა. მესამე ძალა ამ შემთხვევაში არის უზენაესი

მსაჯული -მეფე.

„ჰორაციუსში“ პიერ კორნელმა გვიჩვენა სახელმწიფო და პირად ინტერესებს შორის არსებული კონფლიქტის გადაწყვეტის ორმაგი შესაძლებლობა, რაც მკვეთრად გამოიხატება „ჰორაციუსის“ მოქმედ პირთა მსჯელობებსა თუ ქმედებებში. ჰორაციუსი, კურიაციუსი, (მიუხედავად მისი უდიდესი ჰუმანიზმისა), მოხუცი ჰორაციუსი და საბინა სამშობლოსადმი მსახურების უმაღლესი იდეის განუხრელი დამცველები არიან. მხოლოდ ერთადერთი მოქმედი პირი, ჰორაციუსის და - კამილა ეწინააღმდეგება ახლობელთა სისხლისღვრას ქვეყნის დაცვის

სახელით და დაუფარავ პროტესტს გამოთქვამს. განსხვავებით ჰორაციუსისაგან, რომლისთვისაც სახელმწიფო ინტერესები ყოველგვარ პირადულს აღემატება, კამილა უპირატესობას პირად გრძნობებს ანიჭებს.

ჩვენ ცალცალკე განვიხილავთ თითოეული მოქმედი პირის დამოკიდებულებას „ჰორაციუსში“ მოცემული დილემისადმი, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ და ვაჩვენოთ პირად და სახელმწიფო ინტერესებს შორის არსებული კონფლიქტი და ამ კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი დილემის ორგვარი გადაწყვეტის კორნელისეული შესაძლებლობა.

„ჰორაციუსის“ მთავარი გმირები, ჰორაციუსი და კურიაციუსი წარმოგვიდგებიან ჭეშმარიტად გიგანტური ნებისყოფისა და ფოლადის გულის მქონე პიროვნებებად. ისინი შეუპოვრად იცავენ სახელმწიფო პრინციპებსა და ვალდებულებებს. სახელმწიფო ღირსებისა და კეთილდღეობის დაცვა, მათი პირადი ღირსების დაცვას ნიშნავს, რადგან კლასიციზმის ეპოქაში გამორჩეულ პიროვნებათა ბედი სახელმწიფოს ბედ-იღბალთანაა დაკავშირებული და პირიქით, ძლიერი სახელმწიფო შედგება საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ბედნიერებისთვის მებრძოლ, უშიშარ, გამორჩეულ, მამაცი გულისა და დიადი სულის მქონე პიროვნებათაგან, რომლებიც ხელს უწყობენ ჰარმონიული, ერთიანი ძლიერი, უმაღლესი კულტურის მქონე, განვითარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

„ჰორაციუსში“ დილემის წინაშე აღმოჩნდებიან არა მხოლოდ მამაკაცი, არამედ ქალი პერსონაჟებიც.

დილემის წინაშე მდგარი ქალი პერსონაჟებიდან ჰორაციუსს მხოლოდ საკუთარი და-კამილა უწევს სასტიკ წინააღმდეგობას და ძმის მიერ თავისი მიჯნურის, კურიაციუსის მკვლელობას არა მხოლოდ სიტყვებით, არმედ საქციელითაც გმობს (უარს ამბობს ხელზე ეამბოროს და გამარჯვება მოულოცოს ჰორაციუსს), რაც საკმაოდ გაბედული განაცხადი იყო კორნელისაგან აბსოლუტიზმის ეპოქაში მაშინ, როცა კლასიციზმის წარმომადგენლები ერთიან, ძლიერ, ჰარმონიულ სახელმწიფოს ასხამდნენ ხოტბას, რომელშიც საზოგადოების წარმომადგენლები აბსოლუტურ მონარქს ემორჩილებოდნენ და აბსოლუტიზმის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლას ფიქრშიც კი არ გაივლებდნენ.

რაც უეცხება დილემის წინაშე მდგარ ჰორაციუსის ცოლს, საბინას, მიუხედავად იმისა, რომ მის სულში მძაფრი ბრძოლა

მიმდინარეობს, მას არც ძმები ემეტება დასალუპად, არც მშობლიური ალბა- დასამარცხებლად და მითუმეტეს არ სურს მისი ქმარი ბრძოლაში დაიღუპოს. ქალისთვის უმთავრესი მაინც საკუთარი ქმრისადმი მხარდაჭერაა, რომელთანაც ვალდებულებით არის მიაჯაჭვული.

პ. კორნელის დუალიზმი კორნელისეული დილემის ორგვარი ამოხსნის შესაძლებლობას ქმნის: I- ბრძოლა, რომელშიც მოწინააღმდეგეთაგან რომელიმე აუცილებლად უნდა დაიღუპოს, II-ორ დაპირისპირებულ ქალაქს შორის დაზავების შესაძლებლობა, რომელიც ტრაგედიის მოქმედ პირთა ბედს სხვაგვარად წარმართავდა. თუმცა დილემის წინაშე მდგარი „ჰორაციუსის“ დიადი სულის მქონე გმირები, პირად გრძობებთან შედარებით უმაღლეს პრინციპად სახელმწიფოსთვის სასარგებლო ინტერესებს აღიარებენ, შესაბამისად სამშობლოს სამსახურს ირჩევენ და მზად არიან „რომაული ღირსების“ („la vertu romain“) სახელით განირონ არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ ოჯახის წევრები და უახლოესი მეგობრებიც კი.

ამგვარად, დილემის გადაჭრის უმთავრესი გზა „ჰორაციუსში“ შესაძლებელი ხდება არა ორი მოწინააღმდეგის დაზავებით, არამედ მათი ორთაბრძოლის გზით.

ნოდარ ჩხაიძე

რევოლუციონერობიდან სცენამდე: რეჟისორ სანდრო ახმეტელის ანარქისტული წარსული (1905- 1907 წ.წ)

რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა თეატრის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა. როგორც მკვლევარი ნათელა არველაძე წერს: დღეს არავინ დავობს სანდრო ახმეტელის სათეატრო მოდელის უნიკალობაზე, მისი ფასდაუდებელი მოღვაწეობის მასშტაბსა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის მისი ხელოვნების მნიშვნელობაზე. ცოტა მკვლევარი როდი შეეხო და იკვლევს ამ მასშტაბური რეჟისორის ცხოვრებას, დაიწერა რამდენიმე მნიშვნელოვანი მონოგრაფია და არაერთი სტატია.

სანდრო ახმეტელი ახალგაზრდობიდან პოლიტიკურ პროცესებში იყო ჩართული: იქნებოდა ეს 1905-1907 წლების რევოლუცია, 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრება თუ 1920--იან წლებში მიმდინარე ანტისაბჭოთა მოძრაობა საქართველოში.

ახმეტელი ანტისაბჭოთა მოძრაობაში მონაწილეობისთვის დაპატიმრებული იყო, თუმცა სასჯელს გადაურჩა. ამის შემდეგ იგი პოლიტიკას ჩამოშორდა და მხოლოდ თეატრს მიუძღვნა თავი. მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის პრინციპულ პოზიციას იკავებდა, არ ემორჩილებოდა ოფიციალს და ხშირად პროტესტსაც თამამად გამოხატავდა, ამის გამო იგი 1937 წელს დახვრიტეს.

სანდრო ახმეტელის რეაბილიტაციას წლები დასჭირდა, ხოლო მოგვიანებით, როგორც ზემოთ ვთქვით, მისი პოლიტიკური და თეატრალური მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაინერა და ითქვა.

ჩვენ ამჯერად სანდრო ახმეტელის ახალგაზრდობის დროინდელი პოლიტიკური მოღვაწეობა გვაინტერესებს. კერძოდ, ვეხებით 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში მის საქმიანობას. ამ საკითხს რამდენიმე მკვლევარი შეეხო, თუმცა სიღრმისეულად გამოკვლეული არაა.

როგორც საარქივო მასალებიდან აღმოჩნდა სანდრო ახმეტელი ახალგაზრდობაში ანარქისტული იდეებით იყო გატაცებული და ერთ-ერთ ჯგუფსაც კი ხელმძღვანელობდა. ნაშრომში ვნახავთ ვინ იყვნენ მისი თანამოაზრეები, რას მოიცავდა მისი ანარქისტულ ჯგუფში ყოფნა, რამდენ ხანს გაგრძელდა და რატომ გადაწყვიტა შემდგომში ანარქისტობისთვის თავი დაანებებინა.

ქეთევან ქუთათელაძე

„ქურმუხის“ სახელწოდებისთვის

„ქურმუხის“ სახელწოდების შესახებ ხანგრძლივი კვლევის შედეგად გარკვეული მოსაზრებები გამოიკვეთა, რომლებიც დაგვეხმარება „ქურმუხის“ ეტიმოლოგიური კვლევისთვის, მისი მიზანია დამტკიცდეს, რომ ქურმუხი თავის სახელწოდე-

ბითა და მის გარშემო არსებული ყველა კულტურული მონაპოვრით, სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ქართულ სამყაროსთან, როგორც გამოვლინება ერთი დიდი კულტურისა და საერთო კოლექტიური მეხსიერებისა. ამიტომ ქურმუხის ფესვები უფრო ძველია, ვიდრე იქ წმ. გიორგის ეკლესია დაარსდებოდა. ერთ-ერთ მოხსენებაში „ძიებანი ქურმუხის ეტიმოლოგიისთვის“ განვიხილეთ სხვადასხვა ვერსია სახელწოდების ახსნასთან დაკავშირებით, რომელთაგან ზოგი მეცნიერულია და ზოგიც არამეცნიერული.

როგორც ცნობილია, „ქურმუხი“ უდიურ ენაზე ახსნა ევგ. ჯეირანაშვილმა, როგორც „ქურ“ (თხრილი, ორმო, უფსკრული) და „მუხ“ მრავლობითობის სუფიქსი, რომლის საფუძველზეც „ქურმუხი“ გამოდის, როგორც „ქუაბნი“. უდიურ „ქურ“-ს სემანტიკურად სავსებით შეესაბამება ქართული ენის დიალექტებში შემორჩენილი „ქურ“ ძირით ლექსიკა, რომელიც ასევე უკავშირდება ამოღრმავებულს. თვით ინგილოურ დიალექტზე კი გამოქვაბული არის „ქეილ“, სემანტიკურად იგი ქვასთან უნდა იყოს დაკავშირებული (შდრ. ქართველური „ქვა/ქუა/ქუა(ლ)/ქუან“). ქართულ წყაროებში შემორჩენილია და საქართველოს მრავალ მხარეში ვხვდებით „ქუაბ/ქვაბ“ სეგმენტით ნაწარმოებ ტოპონიმებს, გვაქვს კლდეში ნაკვეთი „ქვაბები“. ფშავ-ხევსურულ და თუშურ კილოზე გამოქვაბულს, მღვიმეს, კლდის გამოქვაბულს „ეხი“ ჰქვია (შდრ. ნოვათუშურად „ჰეხ“ - გამოქვაბული).

ქართულ წყაროებში ქვასთან დაკავშირებული სახელწოდებებისა და ტოპონიმების კვლევის დროს ბევრი საინტერესო მასალა აღმოჩნდა, რაც დაგვეხმარება სახელწოდება „ქურმუხის“ ეტიმოლოგიური კვლევისთვის. ამ მხრივ, ყურადღებას იმსახურებს, მკვლევართა მიერ მოხსენიებული, ქურმუხთან დაკავშირებული საკრალური ლოდი. სულხან-საბა ორბელიანის განმარებით, „ლოდი არს ქვა დიდი“. ლოდოვანი/ლოდოანი, მისი მრავლობითი ფორმაა. არსებობს სახელწოდება „ლოდი მსტუარი“, ანუ „ლოდი სალოცარი“ (სალოცავი). ლოდთან დაკავშირებით, მრავალი სახელწოდება და ტოპონიმი ფიქსირდება. ქართულ და ქართველურ ენებში საოცარი სიმდიდრეა ქვის აღნიშვნელ სახელწოდებებთან დაკავშირებით. ამ მხრივ, სვანურ ლექსიკაში ძალზედ საინტერესოა „ქურმუხუ“(ბზ)/„მუქოხ“ (ლშხ), რაც რიყის ქვას ნიშნავს. ქვის აღნიშნული ეს სახელწოდება სვანურში ძალიან მნიშვნელოვანია, რაც საშუალებ

ბას გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მისი საშუალებით აიხსნება სახელწოდება ქურმუხის ეტიმოლოგია, რომელიც მართლაც გამოირჩევა თავის კლდოვანი, დიდი ქვებითა და გამოქვაბულებით დამახასიათებელი ლანდშაპით. გადმოცემის თანახმად, სანამ საყდარი აშენდებოდა, ქვა/ლოდი ასრულებდა სალოცავის, საყდრის ფუნქციას - „ქუა იყავ საყდარივ“. ზ. ედილი მოიხსენიებს უზარმაზარ ლოდს, რომელსაც ქურმუხში მისული ყველა მლოცველი თაყვანს სცემდა. ეს მოგძოლოდი იმდენად დიდი იყო, რომ მასზე ძველი პატარა ეკლესია ყოფილა აშენებული, რომელიც დანგრეულია. აქვე ასახელებენ მღვიმე/გამოქვაბულს, სადაც ხალხური გადმოცემის თანახმად, იმყოფებოდა „მზეთუნახავი“ და „ოქროს მამალი“, ასევე ინახებოდა საკრალური ნივთები. ქურმუხის აღმწერთა მიერ მისკენ მიმავალი ბილიკის ქვემო ფერდობზე მითითებულია ასევე, უზარმაზარი ლოდები, დიდრონი კონცხები, რომელთა შესახებ ხალხური გადმოცემა არსებობს. ზემოაღნიშნულ უზარმაზარ ლოდზე შექმნილი სალოცავი, რომელიც ღვთაების თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენდა წინარე ქრისტიანულ ეპოქაში, რელიგიური სინკრეტიზმის შედეგად წმ. გიორგის კულტს შეერწყა. დღევანდელი ტაძარი გვიან პერიოდშია აშენებული დანგრეული ეკლესიის ნაცვლად.

კონკრეტულად რიყის ქვის აღნიშნული სახელწოდება სემანტიკურად სავსებით შეიძლება სხვადასხვა დროსა და სივრცეში ქვის ნებისმიერი სახეობის სახელწოდებად შემორჩენილიყო, მათ შორის კლდისა და ლოდის. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს სიტყვა საერთო ქართველური წარმოშობისაა, რომელიც ქართველური ენებიდან მხოლოდ სვანურმა შემოგვინახა, ისტორიულ ჰერეთში კი ტოპონიმმა. „ქურმუხუს“, როგორც ქვის აღნიშნულ სახელწოდებას, სემანტიკურად ერთგვარად შეიძლება შეესატყვისებოდეს გორმეხი - მესხურად „უსწორ-მასწორო უკუთხო ქვა“, რომელიც მაშინვე გვახსენებს - „გორახ/გოროხი/გორმახი“. იგი ქიზიყურ, გურულ, აჭარულ, რაჭულ, მთიულურ ლექსიკაში, მიწის გამხმარ ბელტებს ეწოდება, რომლებიც ქვასავით ყრია. სულხან-საბა ორბელიანი „გოროხს“ განმარტავს, როგორც „მიწა გასატყორცი ქვასავით“. ქვის სიმაგრეიდან გამომდინარე, დიალექტებში შემოგვრჩა (ქართლური, მთიულური) „გოხი/გოხა“-ს სემანტიკა, როგორც მყარი, მაგარი გაუტეხელი მიწის მნიშვნელობით. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, გოხი არის გორაკზე მიმოფანტული კლდოვანი

ქვები, „ქვითკირის მსგავსნი“. თუშურ და ფშავურ დიალექტებზე იგი არის დიდი ქვა. მისი მრავლობითი ფორმაა გოხნარი, რომელიც წყაროშიც გვხვდება და ტოპონიმებშიც „გოხნარის“, „გოხიანის“, „გოხების“ ფორმით. სემანტიკურად ყურადღებას იქცევს ასევე, „რეხი/რეხები“, რომელიც რაჭულ დიალექტზე მთის კლდოვან კალთებს ნიშნავს. ეს სიტყვა მართლაც, რომ ქართველურია ამტკიცებს ზემო სამეგრელოს ტოპონიმიაში სახელწოდება „როხონი“, რომელიც „ლოდებიან ადგილს“ ნიშნავს. როხი არის „ლოდი, მსხვილი ქვა - კლდე“. სემანტიკურად, ასევე საინტერესოა „ქარაფი“, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, როგორც - „დიდი კლდე“. „ქარაფ“ ფშავ-ხევსურულ დიალექტზე არის „დიდი ლოდი, ციცაბო კლდე, უსწორ-მასწორო ზედაპირის მაგარი კლდე“ (ზდრ. „ქარაპი“ თუშურ დიალექტზე - „ციცაბო, მაღალი და გაუვალი კლდეები“).

თუ აღნიშნული მოსაზრება სწორია, ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ ქურმუხის საერთო ქართველური წარმოშობის სახელწოდება უძველესია და იგი სწორედ იმ სალოცავ ლოდს ან კლდეს უკავშირდება, რომელზეც შემდეგ ძველი საყდარი აშენდა. ამ შემთხვევაში კონკრეტული ქვის სახეობის გარდა, სავსებით შესაძლებელია ამ სახელწოდებით ქვიანი ან კლდოვანი ადგილის სახელწოდებაც გვეგულისხმა. საინტერესოა ისიც, რომ ადგილის სახელწოდებიდან მივიღეთ ასევე მდინარის სახელწოდება - ქურმუხის წყალი. ეს ფაქტი კი ადასტურებს, რომ ჰერეთის ეს მხარე ყოველვის წარმოადგენდა საერთო ქართველურ ენაზე მოლაპარაკე ტომთა უძველესი განსახლების არეალს. თუ გავითვალისწინებთ ქურმუხის ხეობის სტრატეგიულობას, საინგილოს, როგორც ისტორიული საქართველოს სისხლხორცეული ნაწილის მნიშვნელობას, იგი აქარწყლებს იმ არამეცნიერულ მსჯელობებს, რომელსაც ქურმუხის სახელწოდებასთან დაკავშირებით გამოთქვამენ.

როგორც ცნობილია, ძირითად შემთხვევაში ქვების დიდი ნაწილი, კლდე, ლოდი ასოცირდება მონაცრისფრო/რუხ ფერთან. ამ მხრივ, საყურადღებოა, ასევე სვანური სიტყვა „ქურუხ[უ]/მუქ[უ]რუხ“, ხოქრუხუა, რუხი, რომლის ზანურის სავარაუდო შესატყვისად მ. ჩუხუას „ქიხორი“ მიაჩნია (ქუხორ-ი _ ქეხორ-ი _ ქიხორ-ი), იგი ოკრიბულ და ლეჩხუმურ დიალექტში შემორჩა და ნაცრისფერს ნიშნავს. მეგრულ ლექსიკაში რუხ ფერს უკავშირდება „კლდის ფერი“ - „კირდე-შ-ფერ-ი“, სქიბუ-შ-ფერ-ი _ „ნისქვილის ქვისფერი“, „დოლაბისფერი“, ქვიშა-შ-ფერ-ი|ქვი-

შორ-ი _ «ქვიშის ფერი», ქუა-შ-ფერ-ი _ «ქვისფერი». „ქურუხანი“ დაფიქსირდა ხევის ტოპონიმიაში, კერძოდ, თერგის ხეობაში, ფხელშესა და გორისციხის ტოპონიმიდან მნიშვნელოვანია სათიბისა და საძოვრის სახელწოდება „ქურუხანი“.

ინგილოურ დიალექტზე კი ქურუხ-ი პირქუშის აღმნიშვნელია. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც „ქურუხა“ („ქურუსა“) წარბეჭმუხვნილს ნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მითოლოგიურ სამყაროში ფერი ღვთაების იდენტიფიცირების და სამყაროს აღქმის საშუალებაა, იგი ამყარებს ჩვენს ვარაუდს, რომ ერთმანეთს დავეკავშიროთ ქვის სიმტკიცე (ქურმუხუ-რიყის ქვა) - რუხი/ნაცრისფერი (ქურუხ) - მოქუფრული/პირქუში (ქურუხი) - პირქუში/მჭედლობის ღვთაება/პირქუშის წმ. გიორგი - „ქურმუხის წმ. გიორგი“.

ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომლის თანახმად, სახელწოდება „ქურმუხი“ ინგილოურ „ქურუხს“ დავუკავშირეთ, „ქურმუხის წმ. გიორგი“ კი წინარე ქრისტიანული ხანის პირქუშის ღვთაებას, რომელიც ქრისტიანულ ეპოქაში წმ. გიორგისთან გაიგივდა. მას მოიხსენიებენ, როგორც „პირქუშის წმიდა გიორგის“. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ცნობილია „ახადის პირქუში“ და „ჭიჩოს პირცეცხლი“ (ფშავი), რომელიც ერთი და იგივე ღვთაების სახელწოდებებია, მისი კიდევ ერთი სახელწოდება „ქურუხის“ ფორმით კი შესაძლოა ინგილოურმა დიალექტმა შემოგვინახა. პირქუში ბოროტი ძალების წინააღმდეგ მებრძოლი მჭედლობის ღვთაებაა. მას მოიხსენიებდნენ „სეფე სანთელზე“, ნაყოფიერებას, დოვლათს, ბარაქასა და წყალობას სთხოვდნენ წმ. გიორგის, მათ შორის ქურმუხის უძლიერესი სალოცავის, მსგავსად.

ამრიგად, სახელწოდება ქურმუხი ქართველური წარმოშობის სიტყვა „ქურმუხუ“-დან“ მომდინარეობს და იგი მხოლოდ სვანურში შემორჩა. სემანტიკურად მას შეიძლება უკავშირდებოდეს რუხი, მონაცრისფრო ფერის აღმნიშვნელი „ქურუხ[უ]/მუქ[უ]რუხ/ქიხორ“, რომლითაც ასოცირდება ძირითადად ქვის ფერი. პირქუშის მნიშვნელობით ინგილოურ დიალექტში შემორჩენილი სახელწოდება „ქურუხის“ დედააზრიც უნდა ყოფილიყო შეუვალი, მტკიცე, მაგარი, გაუტეხელი. ხალხის ცნობიერებით, მისი თაყვანისმცემი სოციუმისთვის იგი ყოველთვის იყო მებრძოლი ბოროტი ძალების, საშიშროების, ძალადობის წინააღმდეგ, რისგან გამომდინარე ეს კოლექტივი ღვთაებას მფარველობით ფუნქციას ანიჭებს, რომელიც რელიგიური სი-

ნკრეტიზმის შედეგად წმ. გიორგისთან გაიგივდა. ის საშიშროება და მძიმე პოლიტიკური ხვედრი, რაც ამ მხარემ გადაიტანა, სავსებით ბუნებრივია, რომ ხალხს მტრის წინაარმდეგ მებრძოლ მფარველად ქურმუხის წმ. გიორგის სალოცავი გაეხადა, როგორც ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო.

ხატუნა ბაინდურაშვილი

*კვლევა ხოხციყდემა საქაჩთველოს შოთა ხუსთაველის
ეპოვნილი სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით
(SRNSFG) (YS-23-697)*

თბილისში გადანერილი სპარსული კოდექსების: P-260-ისა და P-611-ის კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი კვლევა

XVI საუკუნიდან მოყოლებული აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდა გამომდინარე, თბილისი პერმანენტულად განიცდიდა ირანულ გავლენას, რამაც თავისი კვალი დაატყო ქართული საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. თბილისი კავკასიაში ირანული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ამ მხრივ საინტრესოა XIX საუკუნის დასაწყისი, რადგან თბილისში ხდებოდა სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების სპარსული ხელნაწერების გადანუსხვა, რომელთა კომპლექსურ კვლევას დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი კვლევის მიზანია: კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სპარსულ ხელნაწერთა ლოკალური კოლექციის, კერძოდ, კი თბილისში გადანერილი ისტორიული შინაარსის კოდექსების – P-260-ისა და P-611-ის კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი კვლევა; ასევე წარმოვადგენთ მირზა მეჰდი ხან ასტარაბადის მიერ საქართველოსა და ქართველების შესახებ ცნობების ქართულ თარგმანს.

1. ხელნაწერი P – 260 არის მირზა მეჰდი ხან ასტარაბადის „ნადერის ისტორია“ (نادره تاريخ). ხელნაწერი მოიცავს 221 ფურცელს. ტექსტი გადანერილია ნასთალიკის სამწერლობო ხე-

ლით ჰიჯრის 1243 (=1828 წ.) რაჯაბის თვის 28 რიცხვში აბდ-ალ-ლაჰ ალ-ხორასანის მიერ ქალაქ თბილისში. ხელნაწერის ტექსტი სრულია; იგი დაწერილია შავი მეღვინით; სათაურები კი შესრულებულია ნასხის კალიგრაფიით წითელი მეღვინით; აქვს კუსტოსი; ხელნაწერს არ აქვს უნვანი, თუმცა მისთვის ადგილი დატოვებულია. ხელნაწერს აქვს სამი სახის, სხვადასხვა ზომის ექვსი ბეჭედი. და არაერთი მინაწერი.

ხელნაწერი P-260 შედგება შესავლისა და 107 თავისგან. წყარომცოდენობითი თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო და ღირებულია:

პირველი თავი: از جمله اشویی که در عهد سلطنت / خاقان مغفور بر / همزن هنگامه ملک ایران شد. شراول / طغیا میرویس گلچہ و مقدمہ قنداہر - იმ მღელვარებათა შესახებ, რომლებიც ცხონებული ხაყანის მეფობის დროს დაიწყო. პირველი აჯანყების მოთავე და მღელვარების მომწყობი ყანდაარის მთავარი მირვეის ყოლჩე იყო. (3r-3v.); ამ თავში საუბარია სეფიანთა ირანში მოღვაწე ქართლის მეფის გიორგი XI-ისა (სპარსულ წყაროებში – გორგინ ხანი) (1676-1688 წწ; 1703-1709 წწ.) და მასთან მყოფი ქართველების შესახებ; გადმოცემულია ყანდაჰარის მმართველ გიორგი XI-სა და მირვეისს შორის არსებული დაპირისპირების მიზეზები და შედეგი.

სამოცდამეათე თავი: در بیان تخسیر قلعات گنجہ و تغلیس و ایروان / و وقایع ان اوان اخیریت شان - თხრობა განჯის, თბილისისა და ერევანის ციხეების დაპყრობისა და იქ მიმდინარე მოვლენების დასასრულის შესახებ (127v-129v) - საუბარია, კავკასიაში ნადერ შაჰის სამხედრო კამპანიაზე და აქ მიმდინარე მოვლენებზე.

სამოცდა მეთერთმეტე თავი: در بیان حرکت موکب همیون از قارص - بجان تغلیس و دربند / و انتضام مہام گرجستان و تنبیہ اشراہ داغستان - თხრობა უზენაესი (უავგუსტოესი) ლაშქრის თბილისზე და დარუბანდზე სალაშქროდ წავლისა და საქართველოში და დაღესტანში მნიშვნელოვანი წესრიგის დამყარების შესახებ (129v-133r) - საუბარია აღმოსავლეთ საქართველოში და დაღესტანში ირანელთა ლაშქრობაზე და ამ დროს მიმდინარე მოვლენებზე.

სამოცდამეთორმეტე თავი: در بیان ورود موکب مسعود بمغان و طرح بنای / سلطانت در آن موضع مبمت نشان - თხრობა მულანში ბედნიერად მისვლისა და (ნადერის) მმართველობის დასაწყისის შესახებ (133r-135v) - გადმოცემულია მულანში, ყურულთაის დროს მომხდარი მოვლენები; ავტორი აღწერს ირანის ტახტზე

ნადერის ასვლის წინა პირობებს, ირანული საზოგადოების დამოკიდებულებას იმპერიის ახალი მმართველის მიმართ და დეტალურად მოაქვს იმ ულტიმატუმის პირობები, რომლის მიღების შემთხვევაში თაჰმასბ ყული ხანი ირანის ტახტის დაკავებას დათანხმდებოდა.

2. ხელნაწერი P – 611 არის ასევე მირზა მეჰდი ხან ასტარაბადის „ნადერის ისტორია“ (خبرنامه نادری). ხელნაწერი 226 ფურცელს შეიცავს. გადაწერილია ლამაზი, გარკვეული ნასთალიკით; ხელნაწერს აქვს ყავისფერტყავგადაკრული მუყაოს ყდა. ტექსტი დაწერილია შავი მეღნით, ხოლო სათაურები – წითლით; ხელნაწერს აქვს კუსტოსი¹ და მინაწერები.

ხელნაწერი P – 611-ის გადაწერის დრო და ადგილი მითითებულია 221 r-ზე, სადაც ვკითხულობთ, რომ წიგნი ჰიჯრის 1237 (=1821 წ.) წელს მოჰარამის თვეში ქ. თბილისში გადაიწერა; კოდექსი მდიდარია მინწერებით. წიგნის 222r-ზე ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის ტახტზე ასვლის თარიღია აღნიშნული: 1798 წლის იანვარი; გადამწერი იქვე აღნიშნავს, რომ მუსლიმური წელთაღრიცხვით 1213 წელი იყო.

მინაწერები არ არის ერთი სტილის: მათმა შესწავლამ აჩვენა, რომ მათი ძირითადი ნაწილი სარედაქციო სამუშაოებს წარმოადგენს, მაგალითად ტექსტში გამორჩენილი სიტყვა აღნიშვნით არის აშიაზე გატანილი და ა.შ. ხელნაწერს აქვს ორი ერთნაირი მცირე ზომის, ოთხკუთხედი ფორმის სპარსული ბეჭედი.

ხელნაწერი P – 611 შედგება შესავალის, 95 თავისა და ბოლოში დართული მცირე ზომის „წერილისაგან.“ აქაც ყურადღება გავამახვილეთ იმ თავებზე, რომელებიც საქართველოსა და კავკასიის ისტორიას და ასევე მულანის ყურულთაის ეთმობა. ეს ხელნაწერი თავისი არქიტექტონიკითა და ტექსტით, რა თქმა უნდა მიყვება P – 260-ს, თუმცა, მათ შორის არის გარკვეული სახის ტექსტოლოგიური განსხვავებებიც.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება მირზა მეჰდი ხან ასტარაბადის „ნადერის ისტორიის“ P – 260-ისა და P – 611 ნუსხების ჩვენთვის საინტერესო თავების ქართული თარგმანი; მათში მოტანილი ინფორმაცია შედარებული და შეჯერებული იქნება აღნიშნული პერიოდის ამსახველ ქართული, სპარსული და ევროპული წყაროების მონაცემებთან.

¹ აღმოსავლური პაგინაცია.

**1064-1073 წწ. ზაქარიას სააღმშენებლო წარწერა
გომხარის წმიდა გიორგის ეკლესიიდან ლიპარიტ
IV ერისთავთ ერისთავისა და მისი შვილების – რაბ
ერისთავთ ერისთავისა და იოვანეს მოხსენიებით
(წარწერის ტექსტის დაზუსტება; ისტორიულ-
წყაროთმცოდნეობითი ანალიზი)**

წინამდებარე მოხსენებაში განვიხილავთ ქვემო ქართლში მდებარე (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) გომხარის წმიდა გიორგის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერას XI საუკუნის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის – ლიპარიტ IV ბაღვაშისა და მისი შვილების, ერისთავთ ერისთავ რატისა და იოვანეს მოხსენიებით, რომელიც ქართულ სამეცნიერო წრეებში (ექ. თაყაიშვილი, ირ. ციციშვილი ა. ბაქრაძე, ქ. ქუთათელაძე, ნ. შოშიაშვილი) არაერთგზის არის შესწავლილი. ჩვენამდე მეცნიერები ჩვენთვის საინტერესო წარწერას სხვადასხვა ქრონოლოგიური მონაკვეთებით ათარიღებდნენ. მეცნიერთა ერთი ნაწილი (ექ. თაყაიშვილი, ირ. ციციშვილი) წარწერას ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით – XI ს.; XI საუკუნის II ნახევარი) ათარიღებს, ხოლო მეორე ნაწილი (ქ. ქუთათელაძე) მის ქრონოლოგიას 1047-1057/1058-1047/1048-1057/1058 წლებით განსაზღვრავს, მესამე ნაწილი (მ. ბახტაძე, მ. სურგულაძე) კი წარწერის ქრონოლოგიურ ჩარჩოს 1048-1051; 1048-1049 წლებში ათავსებს.

ჩვენ მიერ წარწერის ტექსტის დაზუსტებამ საშუალება მოგვცა ჩვენთვის საინტერესო ეპიგრაფიკული ძეგლი ახლებურად გაგვეაზრებინა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გომხარის წარწერის ნაკითხვასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი მოსაზრება არსებობს. თუმცა წარწერის ძირითადი შინაარსი ასეთია: ეკლესიის მშენებლობა დაიწყო ერისთავთ ერისთავ ლიპარიტის დროს და დასრულდა მისი შვილების – ერისთავთ ერისთავ რატისა და იოვანეს დროს, მაშინ როდესაც ქართლის საკათალიკოსო ტახტს ფლობდა გიორგი.

ჩვენი ნაკითხვა სხვაობს ჩვენი წინამორბედი მეცნიერთა ნაკითხვებისაგან. უფრო კონკრეტულად, დავაზუსტეთ ტაძრის ქტიტორის ვინაობა. ის გახლავთ იმდროისათვის კიდეც ერთი უცნობი ისტორიული ზაქარია, რომელსაც წმიდა გიორგის ეკლე-

სია აუგია სულდიდებული ლიპარიტის ზეობის დროს და დაუსრულებია მათი ვაჟების – თრიალეთის ერისთავთ ერისთავ რატისა და ივანეს დროს. ჩვენ ვითვალისწინებთ ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას: წარწერის შესრულების დროს ლიპარიტ IV ბაღვაში სულდიდებულად არის მოხსენიებული ანუ მარტივად, რომ ვთქვათ გარდაცვლილია. როგორც ცნობილია, ლიპარიტი კონსტანტინეპოლში 1064 წელს გარდაიცვალა. აქედან გამომდინარე, წარწერის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1064 წელს ვიღებთ. წარწერის ზედა ზღვრის დასადგენად ყურადღებას ვამახვილებთ „მატიანე ქართლისაჲს“ თხზულებაზე, სადაც 1073 წლისათვის თრიალეთის ერისთავ ერისთავად ლიპარიტის რიგით მეორე ვაჟი – ივანე II ბაღვაში ჩანს. აქედან გამომდინარე, წარწერის ქრონოლოგიას, ჩვენი წინამორბედი მეცნიერებისაგან განსხვავებით, XI ს., XI ს. II ნახევარი, 1047-1057/1058 წწ. ან 1047/1048-1057/1058 წწ., 1048-1051 წწ., 1048-1049 წწ. ნაცვლად, 1064-1073 წლებით განვსაზღვრავთ. გარდა ამისა, დოკუმენტურად ვადასტურებთ, რომ ლიპარიტ IV ბაღვაში შემდეგ თრიალეთის ერისთავთ ერისთავი გახდა არც ივანე II ბაღვაში და არც მირიან თრახუნისძე, როგორც ამას ჩვენამდე ფიქრობდნენ ქართველი ისტორიკოსები, არამედ ლიპარიტის უფროსი ვაჟი – რატი ბაღვაში. 1064-1073 წლების გოხნარის წმიდა გიორგის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერისა და „ატიანე ქარქთლისაჲ“ თხზულების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ჩვენ რატი II ბაღვაშის თრიალეთის ერისთავთ ერისთავობას 1048-1051 და 1048-1049 წლების ნაცვლად, 1059-1073 წლებით ვათარილებთ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვასილ კოპალიანიდან მოყოლებული დღემდე რამდენიმე მეცნიერის (ნ. ბერძენიშვილი, დ. ბერძენიშვილი) გამოკვლებით, ბაღვაშთა ფეოდალური სახლის ძირითად სამფლობელო ტერმინად დამკვიდრებულია „კლდეკარის საერისთავო“ და, შესაბამისად, მის მფლობელებად მოიაზრებიან კლდეკარის ერისთავები. 1064-1073 წლების გოხნარის წმიდა გიორგის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერის დაზუსტების შედეგად, სადაც რატი II ბაღვაში თრიალეთის ერისთავთ ერისთავად არის მოხსენიებული, შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ აღნიშნული ძლიერი არისტოკრატიული სახლის წარმომადგენლები იყვნენ არა ერთი კონკრეტული ციხე-სიმაგრის - კლდეკარის ერისთავთ ერისთავები, არამედ გაცილებით ვრცელი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის, თრიალეთის ერისთავთ ერისთავები.

ახალი ეპიგრაფიკული მასალები მაშავერას ხეობიდან

წინამდებარე მოხსენებაში წარმოგიდგენთ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსებული პროექტის „დმანისის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების ცნობარ-კატალოგი“ ფარგლებში მოპოვებულ ახალ ეპიგრაფიკულ მასალებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. პირველ რიგში, თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ მაშავერას ხეობის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე თეკენების შუა საუკუნეების ქართულ ეკლესიაში გამოვლენილ XII საუკუნის კანკელის ფრაგმენტებზე და მის ანტიბლემენტზე შესრულებულ თავ-ნაკლულ წარწერაზე. ჩვენი დაკვირვებით, თეკენების კანკელის ფრაგმენტები დიდ მსგავსებას ამჟღავნებს სათხის ცნობილ კანკელთან. ჩვენი დაკვირვებით, ეს კანკელიც ამ სახელოვნებო სკოლის კიდევ ერთ უცნობ ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს. გარდა ამისა, განმედიტი სამუშაოების დროს ბოსლების სამების ეკლესიის სააღმშენებლო წარწერის ფრაგმენტი გამოვლინდა, რომლის ასოების მოხაზულობა დიდ მსგავსებას ამჟღავნებს დმანისის არქეოლოგიურ ბაზაზე დამ-94 წარწერასთან. დმანისის არქეოლოგიურ ბაზაზე გამოვლინდა ასევე კიდევ ერთი უცნობი XI-XII საუკუნეების ასომთავრული წარწერა, რომელმაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ფრაგმენტული სახით მოაღწია. მიუხედავად ამისა, შემორჩენილი ტექსტიდან შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ეს წარწერა განთავსებული იყო მაშავერას ხეობის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის ექსტერიერზე. დმანისის სიონის კარიბჭის სამხრეთ ფასადზე შემორჩენილია კიდევ ერთი უცნობი მხედრული წარწერა, საიდანაც ვიგებთ, რომ XVII საუკუნის ცნობილ ისტორიულ პირს – ყაფლან ბარათაშვილსა და მის ვაჟებს: პაპუნას, ვახტანგ (ორბელ), ასლან, თამაზსა და გიორგის XVII საუკუნის 50-60-იან წლებში დმანისის სიონის კარიბჭე შეუკეთებიათ.

ჭალის ბრძოლა (1785 წლის 17 აპრილი)

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას და ქართლ-კახეთში ორი რუსული ბატალიონის შემოყვანამ, როგორც ცნობილია, უკიდურესად გაამწვავა ირაკლი II-ის ურთიერთობა უკლებლივ ყველა მეზობელთან, ისევე როგორც ქვეშევრდომთა ნაწილთან. სულიმან ახალციხის ფაშას უშუალო ნაქეზებით მკვეთრად იმატა ქართლ-კახეთზე ლეკების თავდასხმების სიხშირემ და მასშტაბმა. ისტორიოგრაფიაში უმეტესი ყურადღება ეთმობოდა 1785 წლის სექტემბერში ომარ-ხანის შემოსევას; თუმცა, საყურადღებოა ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო კონფრონტაცია მეზობლებთან იმავე წლის გაზაფხულზედაც.

წინამდებარე ნაშრომის **მიზანია**, *სამხედრო თვალსაზრისით* შვეისწავლათ ბრძოლა, რომელიც მოხდა 1785 წლის 17 აპრილს (ძველი სტილით) ლეკ-ოსმალებსა და რუს-ქართველთა ლაშქარს შორის, სოფელ ჭალასთან, მტკვრის პირას.

მეთოდოლოგიური მიდგომის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემორჩენილი პირველწყაროების შეჯერება, მათი შედარებითი და კრიტიკული ანალიზი.

საკვლევ მასალას წარმოადგენს პირველწყაროების მიერ შემონახული ცნობები (ბრძოლის სავარაუდო ადგილის არქეოლოგიური კვლევა სამომავლო საქმედ რჩება). ჩვენს განკარგულებაშია ქართული და რუსული წარატიული, მემუარული, და დოკუმენტური წყაროები. სარგის კაკაბაძე ახსენებს თურქულ წყაროსაც, მაგრამ სიკვდილისშემდგომ პუბლიკაციაში ის დასახელებული არ არის (კაკაბაძე 1991, 38), და მას ვერ მივაგენით (არსებობს?).

ქართული პირველწყაროები საკმაოდ მრავალგვარია: ესენია ბატონიშვილთა წარატიული ისტორიული თხზულებები; იესე ბარათაშვილის მემუარები (*ცხოვრება-ანეკდოტი*) და ეპისტოლური მემკვიდრეობაც – ირაკლი II-ისა და გარსევან ჭავჭავაძის წერილები პოტიომკინის სახელზე.

იესე ბარათაშვილის ლაკონიური ცნობის თანახმად, „17 აპრილს, დიდ ხუთშაბათს, ლეკისა და თათრის ჯარი მოუჭდა საქაშეთს, აიკლეს, რუსეთის ჯარს გაემარჯვა, მრავალი დაჭოცეს

და დააყრევინეს.“ (ბარათაშვილი 1950, 102).

ირაკლი II-ის წერილების (ცინცაძე 1960, 234-236; *Из истории* 2014, 408-409) ადრესატია გრიგოლ პოტიომკინი; წერილები 21 და 26 აპრილითაა დათარიღებული; მეფე ორივეში შუამდგომლობს, რომ ბურნაშევი და სენნენბერგი დააჯილდოვონ (სენნენბერგს ჩინი მოუმატონ); მოწინააღმდეგის (ლევ-თათართა), რომელმაც ქართლში 3 სოფელი ააოხრა და 600 ტყვე იშოვა, რაოდენობად უთითებს 2,000-ს; სენნენბერგი 200 აგვერით და 1 ქართული ზარბაზნით დადევნებულა; 4-საათიან ბრძოლაში 1,500 მტერი ისე მოიკლა და დამხრჩვალა, რომ გამარჯვებულებს დანაკარგი საერთოდ არ ჰქონიათ. იგივეს ვკითხულობთ გარსევან ჭავჭავაძის 26 ივნისით დათარიღებულ წერილშიც (გრიგოლ პოტიომკინისადმი); სიახლეა, რომ მოიხსენიება „კნიაზი“ იოანე დიასამიძე, გორის ციხის პოლკოვნიკი (ცინცაძე 1960, 241-243). გარსევან ჭავჭავაძეს ინფორმაცია, უეჭველია, თავისი მონარქისგან ექნებოდა მიღებული.

დავით ბატონიშვილი ბრძოლას ეხება თავის ორივე, რუსულ ენაზე შესრულებულ ისტორიულ თხზულებაში, – სამხედრო კონფრონტაციას ლაკონიურად გადმოგვცემს: განმარტავს ზოგად სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციას; აღნიშნავს, რომ ახალციხიდან წამოსულებმა ჯერ საქაშეთი აიკლეს; მიუთითებს მხარეთა ძალებს და ბრძოლის გამოსავალს (Багратиони 1971, 165-166; Багратиони 1893, 53). თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა ბრძოლის შესახებ შედარებით უფრო დეტალურია, განსაკუთრებით ის ვერსია, რომელიც უფრო ვრცელმა ხელნაწერმა შემოგვინახა (ბაგრატიონი 1983, 59; *მასალები საქაიხთვედოს ისტორიისათვის*, 1905, 30-31): მიუთითებს შემოსეულთა რაოდენობას; ახსენებს საქაშეთის აღებას („დღესა დიდსა ხუთშაბათსა ვნების კვირიაკისასა“) და დიასამიძის სახლულთა დატყვევებას; ცალსახად უთითებს ბრძოლაში ქართველთა მონაწილეობაზე; ადასტურებს რომ ბრძოლა ხიშტების გამოყენებამდეც კი მისულა; მიუთითებს ბრძოლის გამოსავალს და მტრის დანაკარგს.

ხუსუდი ოფიციალური საბუთებიდან გვაქვს ბრძოლაში მონაწილე რუსული რაზმის მეთაურის, სეკუნდ-მაიორ სენნენბერგის 18 აპრილის ოფიციალური პატაკი ბრძოლის შესახებ, აყვანილ ტყვეთა დაკითხვის ოქმი, და ბურნაშევის 24 აპრილის პატაკი გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინის სახელზე (*Из истории* 2014, 399-400, 402-405). განსაკუთრებით ინფორმატიული და სა-

გულისხმობს პირველი ორი საბუთია.

ბურნაშვიცი სენნენბერგის პატაკს (და ტყვეების დაკითხვის ოქმს?) ყყრდნობა; ბატონიშვილები, ისევე როგორც გარსევანი ჭავჭავაძე, – ირაკლი II-ს, რომელმაც ინფორმაცია, საფიქრებელია, ასევე სენნენბერგისგან მიიღო (ამილახვრისგანაც?). პირველწყაროების „გენეალოგიური“ ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველა დაიყვანება სეკუნდ-მაიორ სენნენბერგის პატაკამდე და, შესაძლოა, აყვანილი ტყვეების დაკითხვის ოქმამდე; მხოლოდ იესე ბარათაშვილის მოწმობა (ისიც უკიდურესად ლაკონიური და ციფრების გარეშე) შეიძლება ჩაითვალოს ალტერნატიულ დამოუკიდებელ პირველწყაროდ. წყაროების ასეთი სიმწირე მეტად ართულებს მათ კრიტიკულ ანალიზს. ტყვეების დაკითხვის ოქმი კიდევ შეიძლება მეტ-ნაკლებად ობიექტურ წყაროდ მივიჩნიოთ; მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სენნენბერგის, გამარჯვებული მხარის მხედართმთავრის, ანუ, გამარჯვების გაზვიადებით დაინტერესებული პირის პატაკზე. მისი კრიტიკული ანალიზის შედეგებს ქვემოთ წარმოვადგენთ.

XIX საუკუნის რუსული სამხედრო ისტორიოგრაფია ერთობ მიკერძოებულია და პირველწყაროებს არაკრიტიკულად უდგება; ბრძოლას დეტალურად არც იხილავს; მოყვანილი ციფრები არარეალურია: ბუტკოვის მიხედვით, მოკლეს 1,377 (აქედან 465 ლეკი, დანარჩენები „თურქები“); დუბროვინთან შემოსეული ლაშქარი 4,000 მეომარს მოითვლის; დუბროვინთან და პოტოსთან „ბრძოლის ველზე“ ეცემა 1,300 მტერი) (Бутков 1869, 162; Дубровин 1886, 81-82; Потто 1899, 203; Потто 2007, 200).

XX-XXI საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში ბრძოლას, ჩვეულებრივ, გაკვრით მოიხსენიებენ (მაგ. მიქიაშვილი 2008, 40). მამია დუმბაძე და ნიკოლოზ ქორთუა ირაკლი II-ისა და გარსევანი ჭავჭავაძის წერილებით ხელმძღვანელობენ (დუმბაძე 1973, 701-702; Кортва 1989, 246-247, прим. 15-16); მიხეილ სამსონაძე ბურნაშვიცისა და თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობებით (სამსონაძე 1988, 279-280); ვახტანგ გურული მისდევს რუსულ ისტორიოგრაფიას (გურული 2016, 93; გურული 2018, 120). ბრძოლას შედარებით ვრცლად ეხება იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი; მისი მსჯელობა ძირითადად მიმართულია იმის დასამტკიცებლად, რომ, პირიქით, ბრძოლაში ქართველებმაც მიიღეს მონაწილეობა, რისი უარყოფაც რუსული პროპაგანდის ნაწილია (ალიმბარაშვილი 2011, 132-135). შოთა ბადრიძისა და ლია კაკაბაძის მიერ გამოსაცემად მომზადებულ, სარგის კაკაბაძის *კიწანისის*

ომში ამ ბრძოლას საგანგებო თავი ეთმობა (კაკაბაძე 1989, 36, 38-39); თუმცა, ავტორის გარდაცვალების შემდეგ, მისი „შავი“ საარქივო ცალის“ საფუძველზე გამოცემულ ტექსტში რამდენიმე შეუსაბამობაა; საზოგადოდ, ჩანს, ერთმანეთში არეულია ორი სხვადასხვა ბრძოლის, ან, სულაც რეალური ბრძოლის ამბავი და სთამბოლამდე მიღწეული რეალურ საფუძველს მოკლებული ჭორები; – იხ. ასევე თამაზ ლაცაბიძის სტატია (ლაცაბიძე 1982), და შეად. ნიკო ბერძენიშვილის მიერ მიკვლევულ მასალას, რომელიც პირველად 1949 წელს დაიბეჭდა, და, ამრიგად, სარგის კაკაბაძისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა (ბერძენიშვილი 1967, 176-179).

მხარეთა გეგმა და ბრძოლის წინარე მოქმედებები

ლევ-ოსმალთა გეგმაში აშკარად არ შედიოდა რუსებთან (ან, თუნდაც, ქართველებთან) ბრძოლა. ჩვენი აზრით, ეს იყო ჩვეულებრივი მარბიელი, თუმცა კი მასშტაბური ლაშქრობა, რომლის მიზანიც ნადავლის (მათ შორის, სულიერი) მოპოვება იყო. შემოსეულთა რაოდენობა (1,500 ან მეტი), საფიქრებელია, არა ღია ბრძოლაში გამარჯვებას, არამედ მეტი ნადავლის აღებისა და ნადავლიანად უსაფრთხოდ დაბრუნების გარანტიას წარმოადგენდა.

ტყვეთა დაკითხვის ოქმით კარგად დგინდება ამ ლაშქრის შედგენის მექანიზმი: ახალციხეში ლეკები სულიმან ფაშას დაპატიუებით ჩავიდნენ, ჯამაგირის იმედით; მაგრამ ჯამაგირის მაგიერ ქართლში გალაშქრება შესთავაზა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ლეკი ამით უკმაყოფილო იყო; ერჩივნათ იმერეთში ელაშქრათ. ფაშას ბრძანებით, გალაშქრების წინ, 3 დღის განმავლობაში მინარეთებიდან მოხალისეებს ინვევდნენ, ურწმუნოთა საძარცვად წამოსულიყვნენ (*Из истории* 2014, 402-403).

ასევე ტყვეთა დაკითხვის ოქმით დგინდება ლევ-ოსმალთა ლაშქრობის მარშრუტი და ქრონოლოგია: 13 აპრილს გამოვიდნენ ახალციხიდან; ღამე აწყურში გაატარეს; 14-ში ხეობაში იყვნენ; 15-ში – უკვე ბორჯომში, სადაც ქვეითები დატოვეს, ცხენოსნებმა კი 4 სოფელს შეუტყეს და გაძარცვეს; 17-ში შეუერთდნენ ქვეითებს; მაგრამ მტკვარზე გადასვლისას რუსები დახვდნენ (*Из истории* 2014, 402).

სენნებერგის თანახმად კი, 16 აპრილს მტერმა შეუტია ქართულ პიკეტს ახალციხის გზაზე (თუ კონკრეტულად სად, არ უთითებს). რუსები გამოვიდნენ სურამიდან, მაგრამ პიკეტამდე ორი ვერსის მანძილზე დაულამდათ და გაჩერდნენ. 17-ში

დილით იმ პიკეტთან 300-მდე ქვეითი მოწინააღმდეგე ნახეს, რომელთა განსადევნად სენნენბერგმა 80 ღვეერი გააგზავნა, რომელთაც სროლით მტერი განდევნეს კიდევაც. უკანა გზაზე იმ პიკეტიდან 3 ვერსში რუსებმა დაინახეს მტრის კავალერიის კვალი („сакма“) და კინალამ გაჰყვნენ, მაგრამ მალევე მიიღეს ცნობა დიდი რაზმის ნადავლითა და ტყვეებით უკან დაბრუნების შესახებ (*Из истории* 2014, 399).

რუსული რაზმისა და ქართველების გეგმა რეაქტიული იყო – შემოსევის მოგერიება; ტყვეთა განთავისუფლება და ნადავლის წართმევა; მტრის, შეძლებისდაგვარად, განადგურება.

ბრძოლის აღვილი-ლოკალიზაცია

ბრძოლა, მაიორ სენნენბერგის მიხედვით, მოხდა მას შემდეგ, რაც რუსებმა გაიგეს ნადავლითა და ტყვეებით დატვირთული მტრის ლაშქრის უკან დაბრუნების შესახებ და დახვდნენ, – მტკვრის პირას, მდინარეზე გადასასვლელთან, იმ სოფლის პირისპირ, რომლის სახელიცაა „ჩალო“, და რომელიც სურამისგან 7 ვერსის მანძილზე მდებარეობს („выступил к переправе реки Куры, коя находитца против деревни, называемая Чало, находящейся от Сураму в семи верстах, и пришед ко оной переправе с неприятелем в одно время“); სეკუნდ-მაიორი ახსენებს მდინარე მტკვარს ბრძოლისა და ლეკ-ოსმალთა დანაკარგის აღწერის დროსაც. თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვით კი, „ჭალას იქმნა მუნ ბრძოლა“; ლეკების დანაკარგზე საუბრისას მდინარის ხსენება კი („მტკუართა შინა შესრულნი“) მიუთითებს რომ ბრძოლა მტკვრის სიახლოვეს მოხდა. დავით ბატონიშვილიც წერს, რომ ლეკები მტკვარში ჩავარდნენ („сами понросались въ рѣку Куры“). პოლკოვნიკი ბურნაშევი ახსენებს, რომ მოწინააღმდეგეთა გვამები მტკვარმა თბილისამდე ჩაიტანა.

უეჭველია, რომ ბრძოლა მოხდა მტკვრის პირას, კერძოდ, სოფ. ჭალასთან (რუსული ანბანითა და რუსული ფონეტიკის გათვალისწინებით – „ჩალო“ / „Чало“). საუბარია სოფელზე,¹ რომელიც დღეისთვის ქალაქ ხაშურის ერთ-ერთ, აღმოსავლეთ (გარე)უბნად იქცა.² სურამიდან ის სწორედ 7 ვერსის,

1 იქ დაიბადა, მაგალითად, პოლიევქტოს კარბელაშვილი (ერთ-ერთი ფსევდონიმი: „პ. ჭალელი“). გაგვაჩნია ჭალიდან მორიგეში გამსვლელთა ორი ნუსხაც (ჯავახიშვილი 1974, 120-124).

2 საყურადღებოა, რომ XIX საუკუნის რუსულ ისტორიოგრაფიაში მითითებულია რომ ბრძოლა „ხაშურთან“ მოხდა („у деревни Хошурь“) (Потто 1899, 203; Потто 2007, 200).

ანუ 7,467.6 კმ-ის მანძილზე მდებარეობს (შვიდი 500-საჟენიანი ვერსი x 1066.8 მ).¹ სენნენბერგის ნაწერი გვაფიქრებინეს, რომ ბრძოლა მოხდა უშუალოდ სოფელთან, შესაძლოა, სოფელსა და მტკვარს შორის.

მხარეთა ძალები

მონაცემები თავმოყრილი გვაქვს ცხრილ 1-ში.

ყველა პირველწყაროს ერთსულოვანი მტკიცებით ბრძოლაში მონაწილეობა ნამდვილად 200-მდე რუსმა აგეგერმა მიიღო; აღსანიშნავია, რომ მათი ნაწილი არა ჩვეულებრივი ტალიანი თოფით, არამედ შტუცერით იყო შეიარაღებული, – ამას მოწმობს „შტუცერის 194 ვაზნის“ გახარჯვაც (*Из истории* 2014, 400). ირაკლი II და სენნენბერგი ახსენებენ 1 ზარბაზანს, თეიმურაზ ბატონიშვილი კი 2-ს. 1 იყო თუ 2, ქართული ზარბაზანი იყო. თუმცა, თოფჩებად, დიდი ალბათობით, რუსი კანონირები იყვნენ.

გასარკვევია ბრძოლაში ქართველთა რაოდენობა, და, საზოგადოდ, მონაწილეობა; ქართულ ზარბაზანს/ნებს თუ არ ჩავთვლით (ისიც, შესაძლოა, თოფჩების გარეშე). მაიორი სენნენბერგი თავის პატაკში პირდაპირ წერს, რომ ქართული ჯარი თავად მიმბაშ ამილახვრის მეთაურობით გადასასვლელისგან 2 ვერსში იდგა; ბრძოლაში მონაწილეობა მას, გადმოცემით, არ მიუღია, და მხოლოდ დამარცხების შემდეგ ტყეში გაფანტულ „ლეკ-თურქთა“ დატყვევებაში მიიღო მონაწილეობა. ბუტკოვი ენდობა სენნენბერგისა და ბურნაშევის პატაკებს, და უგულუბელყოფს დავით ბატონიშვილის ცნობას (Бутков 1869, 162); – დავით ბატონიშვილიც ხომ მიუთითებს, რომ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო 500 ქართველმა ცხენოსანმაც; სხვათა შორის, მამაცურად უბრძოლიათო, და მტრის მიერ აყვანილი ტყვეებიც გაუნთავისუფლებიათო (Баграტიони 1971, 165-166; Баграტიони 1893, 53). აქვე აღვნიშნავთ, რომ ბრძოლაში ქართველთა მონაწილეობა სხვა, ნარატიული და ეპისტოლური წყაროებითაც დასტურდება (მათ ქვემოთ შევხებით). რომელს უნდა ვენდოთ, რომელია მართალი, და რომელი ცდება (ცრუის)? საზოგადოდ, ბრძოლაში უშუალოდ მონაწილე მხედართმთავრის, *ხეგუდახუდი ჯახის მეთაუხის თანადხოუდი ოფიციალუი პატაკი*, თითქოს, ყველაზე სანდო *დოკუმენტუი* პირველწყაროდ წარმოდგინდება. მაგრამ რამდენიმე კონტრარგუმენტების მოყვანაც შეიძლება.

ბრძოლაში მონაწილეობა რომც არ მიეღოთ, ბრძოლის სი-

¹ სარგის კაკაბაძე თვლიდა რომ ეს ბრძოლა ტაშისკარის ვიწრობებში მოხდა (კაკაბაძე 1991, 36).

ახლოვეს ნახევარათასიანი კავალერიული რაზმის დგომას მაინც არსებითი ტაქტიკური მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ, ცალსახად ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ სენნენბერგის პატაკში ბრძოლაში ქართველების მონაწილეობა მიჩქმალულია და ქართველ კავალერისტთა 500-კაციანმა რაზმმა, თუ, საზოგადოდ, ქართველებმა, მაინც მიიღეს ბრძოლაში მონაწილეობა. სავსებით ვიზიარებთ იოსებ ალიმბარაშვილის არგუმენტაციას (ალიმბარაშვილი 2011, 132-135): 1) ბრძოლის შედეგების გათავლისწინებით, ირაკლი II-მ ქართველებიც დააჯილდოვა, არა მარტო რუსები: „ხოლო მეფემანცა ირაკლიმ ანიჭა ნიჭნი დიდნი, ვითარცა მხედართ მძღუ'ანთა რუსთასა, ეგრეთვე ქართველთაცა მხედართ მძღუ'ანთა და მხედრობასა მათსა.“ (მასაღები საქაჩთვედოს ისგოჩიისათვის 1905, 30-31); 2) თეიმურაზ ბატონიშვილი პირდაპირ მიუთითებს ქართველთა მონაწილეობას ბრძოლაში; 3) გარსევან ჭავჭავაძეც: „და მცირის ქართულის ჯარით“. გავიხსენოთ, რომ 4) ბრძოლაში ქართველთა მონაწილეობას ახსენებს დავით ბატონიშვილიც. გამოვთქვამთ კიდევ რამდენიმე მოსაზრებას; 5) საზოგადოდ, რთული დასაჯერებელია (თუმცა, გამორიცხულიც არ არის!), რომ დაახლ. 2 კმ-ის მანძილზე 500-კაციანი რაზმი 4 სთ-ის განმავლობაში უმოქმედოდ გაჩერებულიყო (სხვა ამბავია, რამდენად აქტიური იყო ქართველთა მონაწილეობა); 6) ამ პერიოდის სამხედრო ისტორიის, კერძოდ, ქართლ-კახეთსა და სამხრეთ კავკასიაში რუსული სამხედრო ოპერაციების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ წარმატების გაზვიადება, უსიამოვნო ფაქტების მიჩქმალვა, ქართველ მეომართა და მათი ღვაწლის დაკნინება, საზოგადოდ, სიცრუე, ამ პერიოდის რუსული დოკუმენტაციისთვის უცხო ნამდვილად არ არის (ფალავა 2023, 290-294; ფალავა იბეჭდება);¹ ქვემოთ დავინახავთ, თუ როგორ ცრუობს ბურნაშევი ამავე ბრძოლის შესახებ წერისას; თავად სენნენბერგის პატაკშიც გვხდება არაერთი საეჭვო ადგილი; 7) თავად ბურნაშევი ასახელებს 7 ქართველის დანაკლისს.

რაც შეეხება ლეკ-ოსმალთა ლაშქარს, ბურნაშევის ციფრი, – 3,000 – შეგვიძლია თამამად უარვყოთ: ის ეწინააღმდეგება (ყველაზე ცოტა, 50%-ით აღემატება) ყველა სხვა პირველწყაროს ჩვენებას, მათ შორის იმ დოკუმენტსაც, რომელსაც ბურნაშევი იმონებს თავისი პატაკის შედგენისას (სენნენბერგის პა-

¹ ეს დაკვირვება მნიშვნელოვანია საქართველოში რუსული სამხედრო შენაერთების მოქმედების თაობაზე რუსული ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებისას (მათი სარწმუნოობა შეზღუდულია!).

ტაკი); განმაცვიფრებელია, თუ როგორ უტიფრად და უშიშრად ცრუობს რუსეთის იმპერიის აგენტი: სენნენბერგის პატაკში ლეკ-ოსმალთა რაზმის რიცხოვნობა მითითებულია როგორც 1,500; ბურნაშევი კი, იმონებს რა ამ საბუთს, და თანაც ურთავს თავის პატაკს, დამარცხებული მტრის რაოდენობად ორჯერ უფრო მაღალ ციფრს, 3,000-ს უთითებს.

ტყვეების დაკითხვის ოქმიდან ჩანს, რომ მოთარეშე რაზმის წევრებმა თავადაც ზუსტად არ იცოდნენ, თუ რამდენნი იყვნენ; სულ სხვადასხვა ციფრებს ასახელებენ: 1,500-2,000; ეს ციფრი რეალური ჩანს (1,800? – სენნენბერგის პატაკში და ტყვეების დაკითხვის ოქმში მითითებულია ციფრები 1,500, 1,800, 2,000; ირაკლი II-ისა და გარსევან ჭავჭავაძის წერილებში 2,000; ქართველ ბატონიშვილებთან ასევე 2,000). ამასთანავე, ლეკები აშკარად წარბოძდნენ „თურქებს“ რაოდენობრივად, 2-3.5-ჯერ. აღსანიშნავია, რომ ამ „თურქებში“, როგორც ეს უკვე სარგის კაკაბაძემ შენიშნა (კაკაბაძე 1991, 36), (მრავლად?) გამაჰმადიანებული ქართველებიც იქნებოდნენ; ასე მაგალითად, ერთ-ერთი დატყვევებული „თურქი“ ქართულ გვარს ატარებს („მუსტაფა ლომინაძე“). მეორე მხრივ, ერთ-ერთი ტყვის ჩვენებით, „თურქ“ კეთილშობილებს (წარჩინებულებს?) შორის შორის იყო ვინმე „ვასოუგლი მამო დანიჩარ აგასი“ („васоугли Мамо Яничар Агаси“); – ვინც დაკითხვას აწარმოებდა, აშკარად ვერ გაიაზრა, რომ საუბარია *დენიჩაჩთა* ალაზე, ოფიცერზე. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ „თურქებს“ შორის იყვნენ ოსმალთა დენიჩრებიც?

ყოველ შემთხვევაში, ეჭვს არ იწვევს, რომ ლეკ-ოსმალთა ლაშქარი რუსთა რაზმს 7.5-10-ჯერ აღემატებოდა; ხოლო თუ ჩავთვლით რომ 500-მა ქართველმა ცხენოსანმა ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა მიიღო, მაშინ თანაფარდობა რუს-ქართველთა და ლეკ-ოსმალთა ჯარებს შორის გამოვა 1:2.1-2.9.

რუსულ რაზმს სეკუნდ-მაიორი თეოდორე სენნენბერგი მეთაურობდა; ქართველებს – მიმბაში თავადი იესე ამილახვარი. თუმცა, რთული სათქმელია, რუს-ქართველთა ჯარის სარდლები რამდენად შეთანხმებულად მოქმედებდნენ და მითუმეტეს, საერთო სარდლობა თუ ჰქონდათ.

ლეკ-ოსმალთა ლაშქრის სარდლობაზე მხოლოდ აყვანილ ტყვეთა ჩვენებებით თუ ვიმსჯელებთ (იხ. ცხრილი 1). იქმნება შთაბეჭდილება, რომ სათავეში რამდენიმე ბელადი ედგათ, ერთპიროვნული სარდალი კი არ ჰყავდათ.

ბრძოლის მიმდინარეობა

უშუალოდ ბრძოლის მიმდინარეობაზე მხოლოდ სენნენბერგის პატაკით თუ ვიმსჯელებთ. შესადარებლად სხვა არაფერი გვაქვს, მაგრამ ბრძოლის ზოგად მონახაზს, იქნებ, შეიძლება ვენდოთ კიდევაც (წარმატებულობის გათვალისწინებით, მისი შერყვნილად გადმოცემის მოტივი სენნენბერგს არ ექნებოდა; სხვა ამბავია – მონანილეთა ძალებისა და დანაკარგის). სენნენბერგი შემდეგ სურათს გვიხატავს: გადასასვლელს ორივე ლაშქარი ერთდროულად მიუახლოვდა; 4-იოდ საათი საომარი მოქმედებები ზარბაზნისა და თოფების სროლით შემოიფარგლებოდა (საფიქრებელია, თოფს ლეკებიც ესროდნენ). ბოლოს ლეკებმა (რუსების საცეცხლე ზემოქმედების ქვეშ?) დაიწყეს მტკვარზე გადასვლა (საქონლის ნაწილიც გადაიყვანეს); თუმცა, მეტი ნაწილი და ტყვეები ჯერ კიდევ მტკვრის მარცხენა ნაპირზე რჩებოდნენ. სენნენბერგმა აღარ აცალა, თოფებს ხიშტები ჩამოაცვეს; ზარბაზნიდან ფინდიხი გაისროლეს, თოფებიდანაც ბათქი დააყარეს; და შეუტეის. ლეკ-ოსმალთა მეომრებმა დარტყმას ვერ გაუძლეს, ტყვეები დატოვეს და, ვინც გადარჩა, მტკვარში შევარდა, სადაც ბევრი გასროლით, ბევრიც წყალდიდობით მოკვდა (*Из истории* 2014, 399-400).

ბრძოლის მიმდინარეობას საინტერესოდ წარმოადგენს ვაზნების განახარჯი; ციფრები მითითებულია სენნენბერგის პატაკში (*Из истории* 2014, 400); ისინი გაზვიადებული თუ იქნება, თორემ დაკნინებული არა. რუსებს გაუსროლიათ შტუცერის ვაზნა 194, თოფის 2,700, დამბაჩის 67. გამოდის, რომ 200-მდე აეგერს, ოფიცრებიანად, ჯამურად გაუსროლია 2,961 ვაზნა; ანუ, საშუალოდ, 14.8 თითოზე. სენნენბერგის მიხედვით ბრძოლის საწყისი, ურთიერთსროლის სტადია დაახლ. 4 სთ-ს გაგრძელდა. 240 წუთის განმავლობაში 14.8 გასროლით ვლებულობთ სროლის ტემპს თითო კაცზე 1 გასროლა 16.2 წუთში ერთხელ. ან, 200 ჯარისკაცისთვის რომ დავითვალოთ, გამოვა, რომ 200 აეგერი წუთში სულ რაღაც 12.3 გასროლას აკეთებდა. რას აკეთებდა დანარჩენი 188 ჯარისკაცი? არ გვაქვს არანაირი მონაცემი, თუ რამდენ გასროლას წუთში აკეთებდა ლეკ-ოსმალთა ლაშქარი. მაგრამ, აშკარად ჩანს, რომ იქით-აქეთ სროლა ინტენსიურობით არ გამოიჩინებოდა.

ამასთანავე, დასტურდება, რომ შეტაკება ხელჩართულ, ან, ახლო მანძილზე ბრძოლამდე ნამდვილად მისულა. სენნენბერგის ბაქიობას რომც არ დავუჯეროთ, ამაზე მეტყველებს რუ-

სული რაზმის ოფიცრების მიერ დამბაჩიდან 67 გასროლა. თეიმურაზ ბატონიშვილიც ხომ წერს რუს სერჟანტზე, რომელიც ხიშტიტ მუშაობდა (მასაღები საქართველოს ისტორიისათვის 1905, 30-31).

საზოგადოდ, ისახება სურათი, რომელიც მეტ-ნაკლებად ემსგავსება სენნენბერგის აღწერილობას: ხანგრძლივი, შედარებით დუნე იქით-აქეთ სროლა, ბოლოს კი შეტევა, რომელიც ხელჩართულ ბრძოლამდეც კი მისულა: ლეკ-ოსმალები მტკვარში გადაყარეს.

ბრძოლის გამოსავალი

ლეკ-ოსმალთა დანაკარგი, პირველწყაროების მიხედვით, ერთი შეხედვით, საკმაოდ არსებითი იყო. მონაცემები თავმოყრილი გვაქვს ცხრილ 2-ში.

რამდენად რეალურია ეს ციფრები? რასაკვირველია, ბურნაშევის ციფრები (3,000 შემოსეული, მხოლოდ 200 გადარჩენილი და ახალციხეში დაბრუნებული, ე.ი. 2,800 დანაკარგი; – მტკვარმა თბილისამდე უამრავი მოკლული მტრის გვამი ჩამოიტანა) სრულიად არარეალური და მეტისმეტად გადაჭარბებულია (დანაკარგების რაოდენობა ბარე ორჯერ ან ერთ-ნახევარჯერ აღემატება მტრის ჯარის საერთო რაოდენობას). მსგავსი გაზვიადება ირაკლი II-სთან (და გარსევან ჭავჭავაძესთან) – 1,500; გამოდის რომ მტრის ჯარი პრაქტიკულად სრულად განადგურდა, რისი პრეტენზია სენნენბერგსაც კი არ ჰქონდა. ბატონიშვილები სენნენბერგის მსგავს ციფრს უთითებენ. იესე ბართაშვილი კონკრეტულ რაოდენობას არ ასახელებს.

სენნენბერგის მიხედვით, საწყისი ციფრიდან (1,500) გადარჩენილა მხოლოდ 300: 400 გვამი დაითვალეს ნაპირას, 600-მე დაიხრჩო, 200-ც ტყვედ აიყვანეს. დაჭრილები ცალკე არ არის მითითებული, რაც ლოგიკურია: დაჭრილთა დიდი ნაწილი მტკვარში დაიხრჩობოდა; ნაწილი, შესაძლოა, დაატყვევეს; მსუბუქად დაჭრილებმა კი, საფიქრებელია, ახალციხეში დაბრუნება შეძლეს.

მაგრამ, დაეჯერება კი სენნენბერგს? მისი ციფრებიც კრიტიკულ განხილვას საჭიროებს. თუკი გამარჯვების მასშტაბს აზვიადებს ბურნაშევი, და, როგორც ჩანს, ირაკლი II-ც, რატომ არ შეეძლო ამის გაკეთება სეკუნდ-მაიორ სენნენბერგსაც? გამარჯვების გაზვიადება ხომ მის ინტერესებშიც იყო.¹ სენნენბე-

1 ირაკლი II-ს მის სამეფოში მოქმედი რუსული ჯარის ოფიცრების გულის მოგება უნდოდა; რუს ოფიცრებს – თავისი სარდლობისგან უფრო მაღალი ჩინი და სხვა ჯილდოები.

რგის პატაკში აშკარად ჩანს, რომ ის თავის კარიერაზე ზრუნავს და, დიდი ალბათობით, ფანტაზიორობასაც არ ერიდება: მტრებით გარშემორტყმული გმირულად იბრძვის მტრების გარემოცვაში; მოვარდნილი მტერი კინალამ ხანჯლით განგმირავს (მაგრამ სხვა დეგერს კლავენ; სხვათა შორის, ერთადერთი მოკლული მთელ რუსულ რაზმში...); პატაკს სენნებერგი ასრულებს ხელქვეითთა ქებით, რომელსაც მრავლისმთქმელ ფრაზას აყოლებს – „О себе ж в рекомендацию отдаюсь в рассмотрение вашего высокоблагородия“) (Из истории 2014, 400). როგორ განსაზღვრეს რუსებმა ლეკ-„თურქთა“ დანაკარგი? ნაპირას დარჩენილ გვამებს კი დაითვლიდნენ, მაგრამ ასეთი სიზუსტით („არა ნაკლებ 600 კაცისა“) დამხრჩვალთ როგორ დაითვლიდნენ? ან ასე ზუსტად („არა ნაკლებ 200 კაცისა“) როგორ დაითვალეს ქართველების მიერ ბრძოლის „შემდეგ“ დატყვევებულები, რომელნიც ქართველებს მალულად („под прикрытием“) ჰყავდათ? როგორც ზემოთ დავრწმუნდით, სენნებერგმა თავისი და თავისი რაზმის დამსახურების მეტად წარმოსაჩენად, დიდი ალბათობით მიჩქმალა მოკავშირე ქართველთა მონაწილეობა ბრძოლაში. ეს თუ გააკეთა, რა შეუშლიდა თავისი დამსახურება დამარცხებული მტრის დანაკარგისა და თუნდაც რაოდენობის გაზვიადებით გაეზვიადებინა? 2,961 გასროლით (მართალია, კიდევ წყალდიდობით) ნამდვილად 1,000 ლეკ-ოსმალო მოიკლა? თუნდაც ადიდებულ მტკვარში 900 ჩასულიდან (1,500-400 მოკლული-200 დატყვევებული) 600 დაიხრჩო (და ჩაცხრილეს)? ბოლო შეტევისას, ხელჩართულ ბრძოლაში, რუსთა დანაკარგი 6 კაცზე მეტი არ იქნებოდა (იქამდე იქით-აქეთ სროლის დროს რომც არავინ დაეკარგათ)? 1,500 კაციდან ახალციხეში მხოლოდ 300 დაბრუნდა, მაგრამ მაისის ბოლოს ქართლში ახალციხიდან ამდენივე თუ მეტი, უკვე მეტწილად ახალი მეომარი შემოიჭრა? პრაქტიკულად დარწმუნებულნი ვართ, რომ სენნებერგმა თავისი დანაკარგი თუ არ შეამცირა, მტრის დანაკარგი მაინც არსებითად გააზვიადა. გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ სულ მოიკლა ბევრად ნაკლები ლეკ-ოსმალო, შესაძლოა, რამდენიმე ასეულიც, მაგრამ არა 1,000, არამედ, ვფიქრობთ, 2-3-ჯერ ნაკლები მაინც.

ნადავლისა და ტყვეების განთავისუფლება კი, ჩანს, ნამდვილად მომხდარა. უფრო მეტიც, დაცემულთა ქონება / იარაღი გამარჯვებულთა ნადავლად იქცეოდა. აყვანილი ტყვეებიც (ქართველთა მიერ აყვანილი 200? ეს ციფრიც გაზვიადებული

ჩანს) გაცვლა-გაყიდვის ფონდს შეემატებოდნენ.

ბრძოლა ნამდვილად რუს-ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ კიდეცა.¹ თუმცა, ჩვენი აზრით, გამარჯვება არც ისეთი მასშტაბური ყოფილა, როგორც ის დაინტერესებულმა თანამედროვეებმა თუ არაკრიტიკულად განწყობილმა ისტორიოგრაფებმა წარმოაჩინეს. ეს კი შემდგომ მოვლენებზედაც იქონიებდა გავლენას.

ბრძოლის ანალიზის გარდა, ვცადეთ წარმოგვეჩინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამხედრო-ისტორიული პირველწყაროებისადმი კრიტიკული მიდგომა (მით უფრო, თუ საუბარია რუსულ, თუნდაც, ოფიციალურ საბუთებზე).

გამოყენებული ლიტერატურა:

ალიმბარაშვილი იოსები. 2011. ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი: უნივერსალი.

ბაგრატიონი თეიმურაზი. 1983. ახალი ისტორია (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა). თბილისი: მეცნიერება.

ბარათაშვილი იესე. 1950. იესე ბახათაშვილის ცხოვრება-ანეკდოტი (ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 28. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ბერძენიშვილი ნიკო, 1967. „საანგარიშო მოხსენება მოსკოვ-ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებისა (1946 წ.)“. 160-195. საქართველოს ისტორიის ნახკვევები, წიგნი IV. თბილისი: მეცნიერება.

გურული ვახტანგი. 2016. „რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში (1783-1787)“. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პიძველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ჰუმანიტაჟურ მეცნიერებათა და სამაჩთღის ფაკულტეტის შრომები, VI (2016): 75-114.

გურული ვახტანგი. 2018. მეფე ეხეკელ და ხუსეთი. ქართლ-კახეთის სამეფოს უსიძველეთა ხუსეთის იმპერიასთან (1783-1798). თბილისი: ქართული უნივერსიტეტი.

დუმბაძე მამია. 1973. „პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო

1 როგორც უკვე დავინახეთ, ირაკლი II შუამდგომლობდა ეკატერინე II-სთან (მის ფავორიტთან) ბურნაშევისა და სენნებერგის დაჯილდოებაზე. თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვით, გამარჯვებულებმა ჯილდოები მართლაც მიიღეს, როგორც ეკატერინე II-ის, ასევე ირაკლი II-ისგან, არა მარტო მხედართმავრებმა, არამედ, საზოგადოდ, მხედრობამაც (მასალები საქართველოს ისტორიისათვის 1905, 30-31).

კვანძი“. 694-705. საქართველოს ისტორიის ნახევრები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. (ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

კაკაბაძე სარგისი. 1991. კიწანისის ომი. თბილისი: მეცნიერება.

ლაცაბიძე თამაზი. 1982. „ლეკიანობა ხაშურის რაიონში“. გამაჩვენების გზა, #11 (5622), 26 იანვარი: 3-4.

მასაღები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგიის ძისა და მის ძმებისა (დაბეჭდა მ. ჯანაშიელმა). 1905. ტფილისი: ქართული ამხანაგობა.

მიქიაშვილი ლელა. 2008. ეხეკვე მეოხის სამხედრო პოლიტიკა. თბილისი.

სამსონაძე მიხეილი. 1988. საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგაერო ორიენტაცია XVIII საუკუნეში. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ფალავა ირაკლი. 2023. “ირაკლი II-ისა და რუსების გალაშქრება ქარ-ბელაქანზე და მულანლოს ბრძოლა 1784 წლის ოქტომბერში (წინასწარი სამხედრო-ისტორიული ანალიზი)“. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XV (2023): 264-313.

ფალავა ირაკლი. (იბეჭდება). „გარუსებული „კაზანოვა“ ქართლ-კახეთის სამეფოში“. ქახეთური წყახოთმცოდნეობა, XXVI.

ცინცაძე იასე. 1960. 1783 წლის მფაჩვედობითი გზაქვატი. მასაღები ხუსეთ-საქართველოს უხითიხითობის ისტორიისათვის. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჯავახიშვილი, ივანე. 1974. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. წიგნი II (XIII-XIX სს.). თბილისი: მეცნიერება.

Багратиони Давид. 1971. История Грузии (Текст издал и снабдил вступительной статьей и указателями А.А. Рогова). Тбилиси: Мецниереба.

Багратиони Давид. 1893. Краткая история Грузии (Съ предисловіемъ К.Н. Бѣгичева). Тифлисъ.

Бутков Петр. 1869. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, П.Г. Буткова. Часть вторая. Санкт-Петербург.

Дубровин Николай. 1886. История войны и владычества русских на Кавказѣ. Том II. С.-Петербург: Типографія И. Н. Скороходова.

Из истории российско-грузинских отношений. К 230-летию заключения Георгиевского трактата. Сборник документов (Составители: И.В. Зайцев, И.В. Карпеев, И.В. Попова [и др.]). 2014. Москва : Древлехранилище.

Кортуа Николоз. 1989. Русско-грузинские взаимоотношения во второй половине XVIII века. Тбилиси: Издательство Тбилисского университета.

Потто Василий. 1899. Историческій очеркъ Кавказскихъ войнъ отъ ихъ начала до присоединенія Грузии. Тифлисъ.

Потто Василий. 2007. Кавказская война. Том 1. От древнейших времен до Ермолова. Москва: Центрполиграф.

**ცხრილი 1. მონინააღმდეგეთა ქალები
(ჭალის ბრძოლა, 1785 წ.)**

პირველწყარო	მხარეები	
	რუს- ქართველნი	ლეკ-ოსმალოები
ირაკლი II-ის წერილები	200 ღეგერი და 1 ქართული ზარბაზანი	2,000
გარსევან ჭავჭავაძის წერილი	200 ღეგერი და 1 ქართული ზარბაზანი	2,000
დავით ბატონიშვილი	200 ღეგერი („მაიორი სენბერგი“); 500 ქართველი ცხენოსანი და 1 ზარბაზანი (ამილახვარი)	დაახლ. 2,000
თეიმურაზ ბატონიშვილი	1 როტა ¹ და 2 ზარბაზანი „საქართველოს არტირელიისა“; ქართველთა მორიგე ჯარი (ამილახვარი)	>2,000
სეკუნდ-მაიორ სენენბერგის პატაკი („ტყვეების დაკითხვის საფუძველზე“)	200 ღეგერამდე და 1 ქართული ზარბაზანი	300 „თურქი“, 1,200 ლეკი (=1,500)

1 როტა 200 ჯარისკაცამდე გულისხმობდა.

<p>დატყვევებულ ლეკ-ოსმალთა დაკითხვის ოქმი</p>		<p>„თურქი იუსუფი“: 500 „თურქი“, 1,000 ლეკი (დაღესტნობლი უფროსები ყარაღაჯ მეჰმეთი და სურხაის ძე იუსუფ ბეგი) (=1,500);</p> <p>„თურქი უსეინ ბერაჯე“: 300 „თურქი“ (მუსტაფა, ფაშას ჩოგხოდარი), ლეკები (ყარაღაჯ მეჰმეთი, კოგტოვა (?), ძმის/დისნული მეჰმეთი (?), სურხაის ძე აჯი მეჰმეთი);</p> <p>„თურქი მეჰმეთი“: 400 „თურქი“ (რამდენიმე კეთილშობილი, მათ შორის „ვასოულლი მამო იანიჩარ ალასი“; მდიდარი ახალგაზრდები ახალციხედან), 400 ქვეითი ლეკი, 1,000 ცხენოსანი ლეკი (=1,800);</p> <p>„თურქი მუსტაფა ლომინაძე“: 600 „თურქი“, ქვეითი და ცხენოსანი ლეკი 1,400 (=2,000);</p> <p>ლეკი ქარაბუდაგი: თურქებს მეთაურობდა სურხაის ძე</p>
<p>ბურნაშევის პატაკი</p>		<p>3,000</p>

ცხრილი 2. მონინაალმდებთა დანაკარგი
(ჭალის ბრძოლა, 1785 წ.)

პირველწყარო	მხარეები	
	რუს- ქართველნი	ლუკ-ოსმალოები
ირაკლი II-ის წერილები	0	1,500 მოკლული და დამხრჩვალნი
გარსევან ჭავჭავაძის წერილი		1,500 მოკლული და დამხრჩვალნი
დავით ბატონიშვილი		1,000 დამხრჩვალნი
თეიმურაზ ბატონიშვილი		>1,000 „მტკუართა შინა შესრულნი მოიშთვნენ“
სეკუნდ-მაიორ სენენბერგის პატაკი („ტყვეების დაკითხვის საფუძველზე“)	1 დეგერი მოიკლა, 3 მძიმედ დაიჭრა, 2 მსუბუქად	1,000 (ნაპირზე იპოვეს 400-მდე გვამი; დაიხრჩო არა ნაკლებ 600-სა); 206 ტყვე (200 ქართველების აყვანილი; 6 რუსებისა და თავად გიორგი აბაშიძის მიერ)
ბურნაშვიის პატაკი	7 ქართველი (მეომარი?), 2 ტყვე ქართველი	2,800? (200-იც არ დაბრუნებულა 3,000- დან)
ბუტკოვი	1 დეგერი მოიკლა, 5 დაიჭრა	1,377 მოკლული (აქედან 465 ლეკი, დანარჩენები „თურქები“); 200 ტყვე

**ქართველები სინაზე: O/Sin. GEORG. 38 ხელნაწერის
ცნობა 1068 წლის 18 მარტს წმ. მოსეს ეკლესიის
მინისძვრით დანგრევის შესახებ**

სინაზე ქართველები VI-VII საუკუნიდან ჩანან. X-XI საუკუნეებში აქ ძლიერი ქართული კოლონიის არსებობა წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული კოლექციის ხელნაწერებით, ხატებითა და ეპიგრაფიკით დასტურდება. ქართული ხელნაწერების კოლოფონები ადრეულ პერიოდში სინას ზოგადი სახელით წმინდა მთა სინაწმინდა / სინაწმინდა მოიხსენიებენ და ქართველი ასკეტების მკვიდრობისა ხელნაწერების გადაწერის ადგილად 968-1076 წლებში წმ. მოსეს ეკლესიას მიუთითებენ: მთა წმინდა სინა, ეკლესია წმინდა მოსესი / მთა წმინდა სინა, საყოფელი წმინდისა მოსესი (968 წ. – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-2124; 974 წლამდე –N/Sin. georg. 67; 978 წ. – O/Sin. georg. 15; X ს. –O/Sin. georg. 40; 1075 წ. – N/Sin. georg. 12; 1076 წ. – O/Sin. georg. 19).

სინას მთა, იქ, სადაც მოსე წინასწარმეტყველს უფალი გამოეცხადა და სჯულის ფიცრები გადასცა, აქტიურ სეისმურ ზონაში მდებარეობს. ისტორიულ წყაროებიდან ცნობილია, რომ სინას მთაზე რამდენიმე დიდი მიწისძვრა მოხდა, მათ შორის 1201 წლის 30 აპრილსა და 1312 წლის 6-7 აპრილს (Димитриевсий 1890; Дмитриевский 1917; Памятники Синая 1925). სინური ქართული ხელნაწერმა მნიშვნელოვანი ცნობა შემოინახა სინაზე XI საუკუნეში მომხდარი მიწისძვრის შესახებ. 979 წელს ქართველი მწიგნობრის იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილ ოთხთავზე დართულ პასქალურ ცხრილში ადგილობრივმა ქართველმა ბერმა შესაბამისი წლის გასწვრივ შეიტანა ჩანაწერი, რომელიც სინის მთის მწვერვალზე 1068 წლის 18 მარტს, ვნების კვირის სამშაბათს მომხდარ მიწისძვრასა და მთის ეკლესიის დანგრევას ეხება: „ხქობ (6672), სპც (288) – ამას ნაკსა ზედა იძრა ქუეყანად, ოდეს მთისა ეკლესია დაეცა, სამშაბათსა ვნებისასა“ (წმ. ეკატერინეს მონასტერი, O/Sin. georg. 38, 118v).

მოსეს მთის წვერზე (Gebel Musa) მიწისძვრით დანგრეული ეკლესიის ნანგრევებზე ამჟამად მდგარი წითელი გრანიტით

ნაშენი მცირე ზომის სამების ეკლესია 1934 წელსაა აგებული. ერთადერთი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოს აქ ძველი ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა X საუკუნის ქართული ასომთავრულით შესრულებული (ალექსიძე 2002). ყოველივე ეს ადასტურებს X-XI საუკუნეებში აქ ქართველი ბერების მკვიდრობის შესახებ ქართული ხელნაწერების კოლოფონების ჩვენებას და თვითმხილველი ქართველი ბერის მიერ მთის ეკლესიის 1068 ნაკიანი წლის ვნების კვირის დიდ სამშაბათს (18 მარტს) მიწისძვრით დანგრევის შესახებ მოწოდებული ცნობის უტყუარობას. სინას მთაზე ეკლესია-ნაგებობების მიწისძვრით დანგრევასა და მრავალგზის აღდგენა-გადაკეთებაზე მიწიშნებს არქეოლოგიური მასალებიც. 1998 წელს ბერძნული ექსპედიციის მიერ მოსეს მთაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა ლიტერატურულ წყაროებიდან ცნობილი იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) სამნავიანი ხით გადახურული ბაზილიკა ნართექსით და უფრო ადრეული IV საუკუნის შუახანების წმ. საბას ლავრის ბერის იულიანეს მიერ აგებული პატარა ეკლესიის ნაშთები (Cinaytica Analekta, T. 1. 2002: 69-90).

ქართველი ბერის ჩანაწერი ახალ ინფორმაციას გვანვდის 1068 წელს ახლო აღმოსავლეთში მომხდარი ორი დიდი მიწისძვრის შესახებ. ეს მიწისძვრები თანადროულ ისტორიულ წყაროებში ხშირად ერთ მიწისძვრად განიხილება. პირველი, 18 მარტს მომხდარი მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა სადღაც არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ტაბუკის რეგიონი), ხოლო მეორე, 29 მაისის მიწისძვრა განსაკუთრებით დამანგრეველი იყო პალესტინის ქალაქ რამლაში, დაახლოებით 500 კმ დაშორებით ჩრდილო-დასავლეთით. მომხდარი კატასტროფის შედეგად დაიღუპა დაახლოებით 20,000 ადამიანი, დიდი ზიანი მიაყენა სირიასა და პალესტინას, სადაც ცუნამმა გაანადგურა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები, ეგვიპტესა და არაბეთის ნახევარკუნძულს (Ambraseys, Melville, Adams, 2005).

NEW ARCHAEOLOGICAL DATA FROM THE UPPER TIGRIS BASIN

The Upper Tigris Basin, forming the northwestern section of the Fertile Crescent, has captured the attention of various travellers since the Late Middle Ages. By the 19th century, it became a focal point for European researchers, particularly in history and archaeology. This region is notable for its abundant natural resources and archaeological sites. Academic interest in the Upper Tigris Basin grew significantly towards the late 20th century and expanded rapidly during the early decades of the 21st century.

Particularly, archaeological excavations, surveys and related research conducted in the Upper Tigris Basin during the 2020s have yielded significant academic results, providing new insights into the region's historical, cultural, and ecological dynamics. Recent studies have shown that the Upper Tigris region did not experience the same collapse seen in the Euphrates area during the Late Uruk period. Instead, the region underwent a process of cultural reorganisation, with settlements demonstrating complex social structures, autonomous local elites, and a wide range of ethnic groups. These findings suggest that the Upper Tigris Basin maintained cultural vitality through a dynamic balance of local autonomy and interregional exchange. This shift from collapse to cultural reorganisation is evidenced by the interactions between Başur Höyük and its surrounding areas, where trade networks played a crucial role in shaping the region's development.

Further studies have highlighted the significance of settlements located along watercourses in the Upper Tigris, with consistent spatial patterns pointing to a trend of centralisation. A marked reduction in the number of settlements, along with a homogenisation in ceramic production during the Late Chalcolithic period, suggests the emergence of larger, more centralised locations with shared cultural practices. These findings reflect a growing standardisation within the region, both in terms of settlement patterns and material culture.

In the case of Müslümantepe, excavations revealed remarkable findings that underscore the site's role in Hurrian and later

Mitannian cultures. The unique architecture of the palace and temple complex from the 2nd millennium BC reflects a dual function – administrative and religious. The discovery of ritual objects, such as a portable hearth and a bird-human adoration vessel, highlights the continuation of ancient religious traditions. These objects further demonstrate how the Hurrian religious influence spread through time, eventually contributing to Greek oracular practices. The presence of administrative and ritual practices within the same site illustrates the complex social structure that existed at Müslümantepe, revealing early centres of power and religious influence in the Upper Tigris Basin.

Research into the political and geographical dimensions of the Upper Tigris has also brought new insights. The identification of the ancient city of Eluḫat/Eluḫut at Iluh Höyük offers new perspectives on the political landscape of the Old Assyrian and Middle Assyrian periods. This identification suggests that Eluḫat likely spanned both sides of the Tigris River, influencing the neighbouring Hurri-Mittanian and Assyrian regions. Moreover, references to Eluḫat in Neo-Assyrian sources indicate its evolving role in the formation of independent polities, such as the kingdom of Nirbu.

The study of pottery in the Upper Tigris region has revealed the early development of ceramic techniques, especially the Proto-Hassuna pottery found at Sumaki Höyük. Pottery production began in the 7th millennium BC, with mineral-tempered pottery giving way to plant-tempered forms by the latter half of the millennium. The emergence of Proto-Hassuna pottery represents a shift in technological and cultural practices, yet some overlap between these pottery types suggests a complex relationship between different cultural traditions. This further emphasizes the need for continued research to understand the regional and interregional connections that shaped pottery production in the area.

In addition to archaeological research, ecological studies of the Tigris River have shed light on the region's environmental diversity. Seasonal and spatial variations in rotifer biodiversity along the river have been linked to changes in environmental factors such as salinity, oxygen levels, and phytoplankton density. These studies highlight the ecological significance of the Tigris River and its role in sustaining a diverse and dynamic ecosystem, which in turn influences the way human societies have interacted with their environment

over millennia.

In conclusion, the Upper Tigris Basin exemplifies a region of profound historical, cultural, and ecological importance. The insights gained from recent archaeological discoveries, spanning millennia and diverse civilisations, underline the complexity of its social, economic, and political dynamics over time. These findings also illuminate the enduring legacies of its cultural and religious traditions, which shaped and connected ancient communities. Complemented by ecological studies revealing the region's environmental diversity, this body of research reaffirms the Upper Tigris Basin's pivotal role in understanding the interconnectedness of human history and natural ecosystems. Preserving and further exploring this unique heritage will undoubtedly enrich our knowledge of the ancient world and its relationship with the environment.

სარჩევი | CONTENTS

პროგრამა	5
PROGRAM	5
გიორგი არქანია	
1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც 1922 წელს საბჭოთა ოკუპაციის პირობებში შეიქმნა	20
ირინა გოგონაია	
ქიმიურ-ბიოლოგიური ცნობების შემცველი ქართული ხელნაწერების შესახებ საქართველოს სიძველეთსაცავებში	22
ქეთევან სამადაშვილი	
ისტორია და ტრადიცია ანა კალანდაძის კოფინაში.....	25
თორნიკე კოილარაშვილი	
ARMAE/I-ZI ხეთური ზმნის მნიშვნელობის დაზუსტებისათვის	29
ასმათ გვაზავა	
რევაზ კლდიაშვილი	
ბიოლოგიური საფრთხეები კულტურული მემკვიდრეობისათვის (ბაქტერიებით გამოწვეული ზიანი, გამოწვევები და პრევენციის გზები).....	32
ლელა გოცირიძე	
დოკუმენტებზე დასმული ლუქების საკონსერვაციო- სარესტავრაციო საკითხების კვლევა.....	37
მაია შაორბაძე	
თედო ჟორდანიას “უბის ნიშნაკები“ და მასში დაცული ზოგიერთი გამოუქვეყნებელი მასალის ისტორიულ- წყაროთმცოდნეობითი ანალიზი	38
ნათო ქობულაძე	
ხელოვნური ინტელექტის საჭიროებები საუნივერსიტეტო განათლებაში.....	44

ვიქტორია ჯუღელი

ნიუ მეგანეიშვილი

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
ლატინურ ნუსხათა კორპუსი..... 47

თამთა თხელიძე

საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული
ბანკითარება და კულაკებთან ბრძოლის კოლიტიკა51

შორენა თავაძე

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ეტრატზე
შესრულებული გრაგნილი ხელნაწერების არაინვანტირის
კვლევები (ვიზუალური, მაკრო- და მიკრო შეფასება)..... 53

მიხეილ ქართველიშვილი

გენუის კონფერენცია და საქართველოს საკითხი
ფრანგულენოვან პერიოდულ გამოცემებში
(გაზეთების „LE FIGARO“ და L’HUMANITÉ -ის მიხედვით)..... 56

თეა ქაბუაძე

მომავლის ანთროპოლოგია და ანთროპოლოგიის
მომავალი საქართველოში 58

ლუიზა ხაჭაპურიძე

დავით შავიანიძე

ეპიტაფიური მემორიალები როგორც ეთნოგრაფიულ-
კალეოგრაფიული კულტურის რეკონსტრუქცია
(ფარეიდნელ ქართველთა საფლავების მიხედვით)..... 60

გიორგი ჩუბინიძე

იოანე 1:1-2-ის ქართული თარგმანის ორი ვერსია
(იოანე კებრიძისა და მთაწმიდელების მიხედვით)61

ელენე შირაქაძე

ესკანელ ქალთა უფლებრივი მდგომარეობა
და ფემინისტური მოძრაობა XX საუკუნის
50-70 - იან წლებში..... 64

ქეთევან სირაძე

ქართული ენის ფენომენი..... 66

ია ხაჭაპურიძე

ჟან რასინის “ფედრას” ვერსიფიკაციული ანალიზის
ზოგიერთი საკითხისათვის 70

მაია ბარამიძე

ზოგიერთი ლექსიკური არქაიზმი
სამხრულ დიალექტებში.....71

ლუიზა ხაჭაპურიძე

რამაზ ხაჭაპურიძე

კურის კულინარიული ტრანსფორმაცია
გასტრონომიულ კულტურაში (საქართველოსა
და მსოფლიოს მაგალითები)..... 74

გიორგი ბარნაბიშვილი

მითოსური ორეულების“ კიდევ ერთი ახალი ნიმუში
(ოდისევსისა და კოლიფემონის მითოსური სიუჟეტის
ასახვა კავკასიური თქმულებებში)..... 75

ნარი ჩხაბერიძე

ღვთისმსახურების ქართულ სახელდებაში
აღბეჭდილი მნიშვნელოვანი ასპექტები. 78

ლაშა დონაძე

დღესასწაულის და სამსხვერპლო რიტუალის
ურთიერთმიმართება ძველ საქართველოში..... 83

ლია წერეთელი

ანტონ I-ის “სამი სტილი” და ღვთისმეტყველება..... 87

ლევან ბაბურიშვილი

„ოთარაანთ ძვრივი“ და ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი
იდეალი88

ქეთევანი მაგასახლისი

სამონასტრო წეს-განგება და ძველი ქართული
საეკლესიო მწერლობა..... 92

თინათინი ძოქუაშვილი

ქორწინების როლი ქალის თვითდაგვიდრების
პროცესში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში..... 95

თამარ გომოლაძე

1918 წლის თბილისი ტ. ტაბიძის ერთ კოემაში..... 96

მაია ცერცვაძე

1832 წლის შეთქმულების სათავეებთან - დიმიტრი
ბატონიშვილი..... 99

ნიკოლოზ სარაჯიშვილი

დასავლური მუსიკა და მუსიკოსები საბჭოთა
პერიოდის ოფიციალური პერიოდული
გამოცემების ფურცლებზე..... 102

თინათინ მშვიდლობაძე

გამოთვლითი კლავტფორმა ჰერკულანუმის პაპირუსის
წერილების გაშიფვრისათვის 105

ნოდარ ბახტაძე

ნაოსში მოწყობილი ბემების ძიება
ადრეჟისტიანულ ქართულ ტაძრებში 106

ზაზა ქარჩავა

ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოები
საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში..... 110

გვანცა ფოცხიშვილი

ნუცა კაკიაშვილი

ნანა კუპრაშვილი

კედლის მხატვრობის და დეკორატიული ელემენტების
ავთენტურ კონტექსტში შენარჩუნების გამოწვევები და
რეკომენდაციები..... 113

მარინე ცინცაბაძე

კულტურული მემკვიდრეობის დარგები როგორც
თეატროლოგიური მიღწევების ნიმუში 116

ნინო ხახიაშვილი

გამონათქვამისათვის: „იდუმალი „გულის კაცი“ 117

დავით მერკვილაძე

რევაზ გულაშვილის მოგონებები და ბერგმანის
ბატალიონი..... 118

ელის ბაქრაძე

რელიგიური იდენტობის თავისებურებები სამცხე-
ჯავახეთის სომხურ თემში: კოსტასაბჭოთა საქართველოს
რელიგიური ტრანსფორმაციის კონტექსტში..... 121

სალომე კაკანაძე

თეკლე განურელია

ულმერთობის პროკაგანდა ქართულ საბჭოთა
პრესაში (1932-1936წ.წ.)..... 122

ნათო სონდულაშვილი

განათლება საქართველოში საბჭოთა პერიოდში
(XX საუკუნის 80-იანი წლები)..... 123

ნიკოლოზ შამუგია

პარსკვლავთა საუბარი როცა ანტიკური სახელები
დუმან (ერთი მაგალითი) 126

გიორგი გოგუა

ალექსანდრე ამილახვარის კოლიტიკურ-
ფილოსოფიური შეხედულებები 130

მალხაზი მურუსიძე

ალავერდის საეკისკოკოსოს ისტორიიდან
(არქივისკოკოსო ზებედეს ბიოგრაფიული დეტალების
დაზუსტების საკითხისათვის)..... 134

ოთარ ნიკოლეიშვილი

საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური
კოლიტიკის ისტორიიდან XX საუკუნის
20-იანი წლების საქართველოში 138

DAVIT GONDAURI

ARTIFICIAL INTELLIGENCE AND INEQUALITY: THE ROLE OF
THE GINI COEFFICIENT AND PERELMAN’S MODEL IN
EVALUATING ECONOMIC TRENDS 141

დავით კუხლაშვილი

ისტორიული/არქივული დოკუმენტების დაცვის როლი
სახელმწიფოს კოლიტიკურ უსაფრთხოებაში..... 142

თაგარი ანთია

დიღემის დაძლევის გზები პიერ კორნელის
ტრაგედია „კორაციუსის“ მიხედვით 145

ნოდარ ჩხაიძე

რევოლუციონერობიდან სცენამდე: რეჟისორ სანდრო
ახმეტელის ანარქისტული წარსული (1905-1907 წ.წ)..... 148

ქეთევან ქუთათელაძე

„ქურმუნის“ სახელწოდებისთვის 149

ხათუნა ბაინდურაშვილი

თბილისში გადაწერილი სპარსული კოდექსების:

P-260-ისა და P-611-ის კოდიკოლოგიური და
წყაროთმცოდნეობითი კვლევა..... 154

თაბაზ გოგოლაძე

1064-1073 წწ. ზაქარიას სააღმშენებლო წარწერა
გონხარის წმიდა გიორგის ეკლესიიდან
ლიპარით IV ერისთავთ ერისთავისა და მისი
შვილების – რატ ერისთავთ ერისთავისა და
იოვანეს მოხსენიებით (წარწერის ტექსტის დაზუსტება;
ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი).....157

თაბაზ გოგოლაძე

ჭიშქარ ჩხვიშიანი

ახალი ეპიგრაფიკული მასალები
მაშავერას ხეობიდან..... 159

ირაკლი ფაღავა

ჭალის ბრძოლა (1785 წლის 17 აპრილი)..... 160

დარეჯან კლდიაშვილი

ქართველები სინაზე: O/SIN. GEORG. 38 ხელნაწერის
ცნობა 1068 წლის 18 მარტს წმ. მოსეს ეკლესიის
მინისძვრით დანგრევის შესახებ.....176

HARUTYUN KHUDANYAN

NEW ARCHAEOLOGICAL DATA FROM
THE UPPER TIGRIS BASIN 178

კონფერენციის ორგანიზატორები CONFERENCE ORGANIZERS

www.scientia.ge
www.manuscript.ge



www.conference.scientia.ge

